ეკატერინე ზღვიძე

ოცდამესი ოფლიანები

ციცინო ჩხაიძე

ნაკვეთი ნათელოვანი

თბილისი
2024

ეუძღვნი ჩემს წინაპრებს,
ელბიტე და ანტონ ზარულავეებსა

და

ნინა და მანასე ჩხაიძეებს,
მართლის გზის მანათობლებს.

რედაქტორი: რევაზ მიშველაძე

© ციცინო ჩხაიძე, 2024

ISBN 978-9941-8-7214-3

მარჯოსულობის ხიბლი

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის ციცინო ჩხაიძის ამ წიგნს, ძიების კვალი ეტყობა.

ძიება აქ ორი სახის გახლავთ: ფორმის, ანუ ჟანრის ძიება და ორიგინალური სათქმელის ძიება, ანუ იმ რაკურსით მისვლა მკითხველთან, დღემდე სხვა რომ არ მისულა.

ორივე ცდა წარმატებით დასრულდა.

ავტორმა შეძლო, ჩვენს თანამედროვეობაში იმ გზების პოვნა, გაუკვალავს რომ ვეძახით ხოლმე და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ციცინო ჩხაიძე კაზმული სიტყვის მრავალნაცადი ოსტატია და ათასი „იზმით“ გადაღლილი მკითხველი ამ წიგნს ახლო თაროზე დაიდებს, რადგანაც ენდობა მის ავტორს.

ნდობა კი, ლიტერატურული გამარჯვების საწინდარია.

ძვირფასო მკითხველო,

წიგნი, რომელიც წინ გიდევს, ქალბატონი ციცინოს ორი–სამი წლის შემოქმედებითი მოსავალია.

იგი ორი ნაწილისგან შედგება: პირველ განყოფილებაში („ნაბუხრალი“) ლექსებს იხილავთ, მეორე განყოფილებაში („წერტილი დასასრულია“) – პროზას.

ციცინო ჩხაიძე – პოეტი, ცხოვრების პერიპეტიებში ჩაღრმავებული ანალიტიკოსია, მისი ლირიული ხედვა თანამედროვეობის ურთულეს ხვეულებში პოეტური ლამპრით წვდომაა, თანაც ტრადიციული ლექსით, ნატიფი, ტრადიციული პოეტური ფორმით გადმოსცემს სათქმელს.

ლაკონურობაა მისი ლექსის უმთავრესი ნიშანი.

ნახეთ, რა მოკლედ, პოეტური სისხარტით ხატავს იგი წუთი–სოფლის სვლის მითაჟამურ სურათს:

„გარდაიცვალა ბავშვობა,
და... „ნამეხარი“ სახლიც,
ჟამთაღმრიცხველი კერიაც,
სტუმრისთვის ღია კარიც.

ბილიკები და გზა–შარა,
სხვადასხვა ზომის ტერფებით
ნაფეხური და ნაფლავი,
წლებმა წარეცხა, წაშალა;
გორაკს შემორჩა საფლავი“.

(„გარდაცვალებათა სერია“).

შემოქმედებით სიახლედ მიმაჩნია პოეზიის განყოფილების–თვის, თანდართული ე.წ. „მაქსიმები“, რომელთაც ავტორი „საგულისხმო პარალელებს“ არქმევს. ისინი გულისყურიანი მკითხველისთვის განკუთვნილი, აფორიზმული მომხიბვლელობით გულისა და გონების საზრდოა.

მაგალითად,

„სიკვდილი ძალზე იოლია,
სიცოცხლე – ძნელზე ძნელი.

•

მეგობრის დაკარგვა იოლია,
მეგობრის შეძენა – ძნელი.

•

სახლის დანგრევა იოლია,
აშენებაა ძნელი.

•

თაფლის მირთმევა იოლია,
ფუტკრის შრომაა ძნელი.

•

ბნელეთში ნათობდე იოლია,
ნათელში ნათობდე – ძნელი“.

*

წიგნის მეორე განყოფილებას, „პროზა“ პირობითად დავარ–ქვი.

ეს არ არის პროზა ტრადიციული გაგებით, უფრო მხატვრუ–ლი ჩანახატებია, თუ გნებავთ, ფილოსოფიური ეტიუდები, ყო–ველდღიურობაზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდი–ლებებია, ავტორი ასე უშურველად და შეულამაზებლად რომ აწვდის მკითხველს.

ამ ჩანაწერებს, შედარებით ზუსტად, თვით ავტორი ახასიათ–ებს: „... სკოლიდან მოყოლებული, მათემატიკასთან – ზუსტ და ლაკონურ მეცნიერებასთან ერთად მოვდივარ გადაჭდობილ მდგომარეობაში; ამიტომ ძალიან უბრალოდ, ლაკონურად ვაზ–როვნებ და ასევე ვწერ. ჩემი ნაწერები გაჯერებულია ყოველ–დღიური სასაუბრო თუ სამეტყველო სიტყვათა კონით და დიალ–ექტით. ვცდილობ, დიდი სათქმელი ერთ წინადადებაში ჩავატიო.

გლობალურ სამყაროში არ ვგრძნობ თავს. ამიტომაც, ვწერ ჩემი ფიზიკური ყოფითობის არეალის შესაბამისად, თვალით დანახულიდან და გულით შეგრძნობილიდან გამომდინარე“. („აზროვნების სპექტრი“).

ციცინო ჩხაიძის ეტიუდებში ნათლად იგრძნობა თანამედროვეობის მაჯისცემა.

სულიერი მღელვარების გარეშე ვერ წავიკითხე მერცხლებზე დაწერილი ჩანახატი („მისაბაძი პატრიოტები“), რომელშიც მწერალი სამშობლოდან გაქცეულ თანამემამულეებს მაგალითად უსახავს ამ პატარა „პატრიოტი“ ფრინველის ჩვევას, შორეთიდან კვლავ თავის ბუდეს დაუბრუნდეს.

ზოგი ჩანახატი, აშკარად, „შეკუმშული“ ნოველებია გულში საფიქრალს რომ გიტოვებს და სამუდამოდ გამახსოვრდება.

მაგალითად:

„... გამახსენდა ჩემი ბავშვობის სოფელში მეზობლად მცხოვრები მოხუცი ცოლ–ქმარი, ლიზა და ისაკი, რომლებიც დაბალ ბოძებზე შემდგარ, მოგრძოაივნიან, ცისფრად შეღებილ, ხის პატარა სახლში ცხოვრობდნენ. ისინი ყველგან ერთად იყვნენ: ან აივანზე ისხდნენ, ან ეზოში ფუსფუსებდნენ, ან ჭიშკართან დგებოდნენ მომლოდინე თვალებით. როდესაც გარეთ არ ჩანდნენ, სავარაუდოდ, სახლში იყვნენ, საჭმლის მომზადების ფუსფუსში, ან კიდევ ისვენებდნენ.

მათი ხმამაღალი გადალაპარაკება ან უდიერად მიმართვა, არ გამიგია.

უკვე ღრმად მოხუცებიც, ერთად წვებოდნენ თურმე თავშექცევით, ზაფხულში სიცხეს რომ არ შეეწუხებინათ და ზამთარში ფეხებს უთბობდნენ ერთმანეთს.

მართლაც, მაკრატელივით პირშეკრულნი და ერთსულნი იყ–ვნენ ისინი.

ერთ ზამთარსაც, ლიზა ბებოს ფეხებში მწოლარე ისაკი ბაბუ, ღამის ძილში გაიპარა.

მალე ლიზა ბებოც მიჰყვა და... ჭიშკარზე დადებული ბოქ–ლომი დიდხანს ინახავდა უმწიკვლო, შეუბღალავი, დიდი სიყვა–რულით მოარულ ერთსულთა ნამოსახლარსა და ნაფეხურალს, მათი ერთგული სიყვარულის ხსოვნას“. („როგორც მაკრატე–ლი“).

რით არ არის ეს, სწორედ რომ „შეკუმშული“ ნოველა, ოს–ტატი მხატვრის მიერ თითო, მაგრამ მკვიდრი ფერით დადებული მომცრო ტილოზე.

მინიატურული ჩანაწერებიდან განსაკუთრებით ერთი დამა–მახსოვრდა:

„მაგნიტი, მხოლოდ რკინას იზიდავს, გაპრიალებულსაც, და–ჟანგულსაც, ჯართსაც, მაგრამ არასოდეს ძვირფას ლითონებს.

სწორედ, მაგნიტია თავხედობაში გადასული, ზედმეტად თა–მამი ადამიანიც, რომელიც ბრბოს იზიდავს, იკრებს და ისინიც ეტმასნებიან.

ჭკვიანი ინტელიგენტი „მაგნიტს“ ვერ შეეკვრება, განზე დგას.

„მაგნიტი“ ბრბოს იზიდავს“. („ბრბოს მმართველი“).

რა საინტერესო, სიმბოლური მინიშნებაა თანამედროვე სა–ზოგადოების ერთ, ეპიდემიასავით მოდებულ სენზე, ყალბქარიზ–მატული პოლიტიკური პიროვნების გაფეტიშებითა და გაუცნობი–ერებელი ფეხისაყოლით რომ გამოხატავენ ხოლმე.

ძვირფასო მკითხველო,

ბოლომდე ჩაყევი ამ წიგნს,

ჩაყევი და როცა ჩაამთავრებ, დარწმუნდები, რომ ჩვენს ზოგჯერ საიმედო და ზოგჯერ უიმედო ყოფაზე, რა ღრმად, ორიგინალურად, ფილოსოფიურად ჩაფიქრებულ მწერალთან შეგახვედრა განგებამ ციცინო ჩხაიძის სახით.



რევაზ მიშველაძე
საქართველოს სახალხო მწერალი
რუსთაველის პრემიის ლაურეატი
საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე

მადლიერი აღმღერისგან

ჩემი პირველი პროზაული კრებული, „ანბანური ინტეგრალები“, შიშნარევი კრძალვით რომ გავაცანი საქართველოს ღვაწლმოსილ, ღირსეულ მწერალთა გუნდის მცირე ნაწილს, ბევრი საქებარი სიტყვით გამამხნევეს, მაგრამ, მწვავე ქარცეცხლში გატარება–გაძლებაზე მზადმყოფს რაღაც რომ დამაკლდა, ჩემი წიგნი შესაფასებლად, ძალზე მორიდებულად მივაწოდე, მწვავე და მართალი სიტყვის პირდაპირობის დიდოსტატს, ბატონ რევაზ მიშველაძეს სიტყვებით: თქვენი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია, ილუზიაში რომ არ ვიცხოვრო–მეთქი.

მეორე დღეს, მისგან საქებარ შეფასებებს შორის ჩამამახსოვრდა შემდეგი ფრაზა: „მადლობა ამ წიგნის ჩუქებისთვის, იგი ჩემი წიგნების თაროს დაამშვენებსო“, რაც ჩემთვის საპატიო ჯილდოც და პასუხისმგებლობაც იყო.

მას შემდეგ, რაც წინამდებარე მეოთხე წიგნის, „ნაკემსი ნაფლეთების“ რედაქტორობაზე თანხმობა განმიცხადა და მასალაც დავუტოვე, ჩემი თავი „თავხედობაში დავადანაშაულე“ და მშვიდი ძილი წამერთვა.

ქედს ვიხრი, ბატონ რევაზ მიშველაძის საქმისადმი უზარმაზარი პასუხისმგელობისა და ადამიანური ღირსების წინაშე, რადგან ვიგრძენი, მართლაცდა ჩემი „ნაკემსი ნაფლეთები“, მარცვალ–მარცვალ ჩაიკითხა და კარგის სათქმელის გასამყარებლად, ხელმოსაჭიდი „ნაფლეთებიც“ აღმოაჩინა და ხაზგასმით გააჟღერა, რომ მე, თანამედროვე მწერლობაში ახალი მიმარ–

თულების მაძიებელი, არ ვგავარ სხვას, რაც, კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს და უფალს შევთხოვ, ამ შეფასების ღირსეულად ტარება შემაძლებინოს.

მიწიერმა, უმოწყალოდ რომ გადამიარა,
უფალმა, გულუხვად, მის მადლს მაზიარა.

16.03.2023 წელი.
თბილისი.

ხელცარიელსა სტუმარსა,
უხვადაც რომ მიმასპინძლეს,
– რას ვუტოვებ წუთისოფელს?
– კარგ შთამომავალს!..
– ჩემს წიგნებს!..

18.07.2018 წელი.
თბილისი.

ლიქსემა

ნაბუხრალი

გულწრფელი მუზის ნაჩუქრჩულარი

მზის სხივად მოვევლინები

შთამომავლობას
ანდერძისეულის მაგვარი

როს გაღმარეთში სამარადისოდ ვიცხოვრებ მეც,
ბავშვობის ღელეს, თქეში რომ წაარეცხინებს ქვებს,
როცა ხმაურით ჩაურბენს ჩემს ნაფეხურალ გზებს,
წყურვილს რომ მოუკლავს სხვებს და დააბანინებს ხელს,
გაზაფხული რომ შეფოთლავს, ააშრიალებს ტყეს,
რომ დაამშვენებს და მოჩითავს კორდებსა და მთებს,
როცა მშრომელ კაცს გულს გაუხსნის, დააიმედებს მზეც,
ნაზამთრალ მოხუცებულებს, როცა გაუთბობს ძვლებს;
ჩაურბენს, ჩაუკისკისებს, ჩაეხუტება სხვებს;
მომძებნის, რომ ვერ მიპოვნის მის მოთაყვანეს, ვერ,
მოიწყენს, ღრუბელს მოუხმობს, დაესესხება ცრემლს;

•

მზიანი წვიმა ჩაკვალავს ჩემს სასახლისკენ გზებს;
თანდათან მიწად მოაქცევს გადაგვარებულ ნეშტს;
ნელინელ და წვეთწვეთობით, ზეცად ამიყვანს მეც;
შევერწყმი სამარადისოდ, სათაყვანებელ მზეს...

•

და... სხივად მოვევლინები, შთამომავლობას ჩემს.

10.12. 2022 წელი
თბილისი.

ჩემთვის, ესაა სამშობლო

შუხუთი – ჩემი გურია,
ჩემთვის – სამყაროს გულია.

18.04.2023 წელი.
თბილისი.

ჩემი სამშობლო,..
შუხუთია,
ლელოა, მსაჯის და სასტვენის გარეშე,
საკირე,
ჩანჩქერი,
ურემი ხარებით,
ზვირთები მორების – საშეშე.

ჩემი სამშობლო,..
გურიის მთებია,
ქედები,
ნაწრეტი წყლები თხრილებში;
მაღლობზე, წინაპართ საფლავები;
პაწია დის კი…
ეზოს ბოლოში – თხილებში.

ჩემი სამშობლო,..
საკირის ღელეა,
დარში – ღიღინა, კრიალა;
თქეშში – მღვრიე და ღრიალა;
ვიწრო ბოგირი ღელეზე,
ხავსი – ქვით ნაშენ კიბეზე;
ზამთარში – სევდის მომგვრელი,
მერცხლების ბუდე კედელზე.

ჩემი სამშობლო,..

ეზო-კარია:
კერია,
ღადარი,
გიდელი,
გოდორი,
სიმინდის კალო და
ნალია;
ჩალის ზვინები,
საძროხე,
საღორე,
ჭა და...
კარია.

ჩემი სამშობლო,..

უფორმო,
უსწორმასწორო ეზოა,
ღობედ: ყორე და მესერი,
ჭიშკართან, ცუგა ძაღლი წევს,
მეთვალყურე და დამცველი.
სახლის კუთხეში – ჯირკი ნაჯახით,
შეშის საჩეხი,
იქვე დგას სადგარი, X–ის მაგვარი,
მორების სახერხი.

ჩემი სამშობლო,..

„კუხნაა“,
შუა ცეცხლი და…
ცეცხლზე – პატარა კეცები,
ღადრის სქელ ჭადზე
ჩაფენილ–დაფარებული,
ნიგვზის ან წაბლის ფოთლები;
ხეზე – ადესის მტევნები,
ბოსტანში – ქვევრები,
კოპე და „ბოცები“,
პარმაღში – „ბოჭკები“;
ბოსტნის ღობესთან – ვარდები;
ეზოში: თხილი,
ტყემლები,
ალუბლები
და ლეღვები,
თუთა,
ვაშლები
და მსხლები,
კორკიმელი
და ატმები;
კორდებზე მიმოფენილი:
იები,.. და ენძელები,
ნექტრის მძებნელი ფუტკრები,
და მოფარფატე პეპლები.

ჩემი სამშობლო,..
მეზობლებია:
ეზოს ჭიშკრებთან ძელსკამზე,
მოხუცნი მობაასენი;
პარკის სარჩევად მოსული,
წინსაფრიანი ქალები;
ყანიდან, შებინდებისას
დაბრუნებული კაცები;
მუშაობისგან დამსკდარი
და დაკოჟრილი ხელები;
ზედმეტი აცეტებისგან
ატირებული ბავშვები;
ზამთარში გადმოთოვლილი,
მიტოვებული სახლები.

ჩემი სამშობლო,..
სკოლაა – ცოდნის სამჭედლო,
დანგრეულ ტაძრის ქვით ნაშენი;
ცისფერი კედლებით,
შავი მერხებით,
ანცი ბავშვებით:
ოქტომბრელებით,
პიონერებით,
კომკავშირლებით;
მკაცრი, თან გულისხმიერი
დირექტორ–მასწავლებლებით;
სისუფთავეზე მზრუნველი დამლაგებლებით;

და... დიდი შესვენებისას,
ქიშმიშიანი „ბულკებით“.

ჩემი სამშობლო,..
სოფელზე ფიქრია.
მძირავს ფიქრები...
ზაფხულის დილაა,
ძილბურანმოსილს,
საამოდ ჩამესმის:
ჭიკჭიკი ჩიტების,
ყივილი მამლების,
კუნტრუში ხბოების,
კიკინი თიკნების,
ჭყვიტინი გოჭების,
სისინი ბატების,
კრიახი ქათმების,
ვიტვიტი „კვატების“.

ჩემი სამშობლო,..
ბუხარია,
ზამთარში,
ღუზღუზა ჯირკით და
ბუხართან შეშებით;
ბუხრის წინ,
დაბალი, გრძელი სუფრა და
სამფეხა „ჯორკო“ სკამები;
სუფრაზე:

მწნილი,
ლობიო,
ცხელ–ცხელი ხაჭაპურები,
მოხარშული ღორის ხორცი,
კეცში დამცხვარი პურები,
ყველი,
ჩურჩხელა,
კუპატი,
გაფიცხებული ჭადები,
შემწვარი ჭყინტი სიმინდი
და მოხარშული კვახები;
მადის აღმძვრელი სუფრაა,
ქეიფს შეუდგნენ კაცები.

პატარა ყანწით არაყი,
ადესის ღვინო ჭიქებით,
შემოძახილი ზარხოშში,
გურული კრიმანჭულების;
ბოლოს...
მასპინძლის დალოცვა:
–„აშენებ–დამშვენებაო“!..
ჩემთვის, ესაა სამშობლო!
ტკბილ–მწარედ მოგონებაო.

08.06.2021 წელი.
თბილისი.

ვინც ვიყავი, დღესაც ის ვარ

ვინც ვიყავი, დღესაც ის ვარ,
არ შევცვლილვარ, გარდა ხნისა,
სხვისი არც მშურს, არცა ვჯიბრობ,
არხეინად დავაბიჯებ,
ვალი არ წამყვება სხვისა.

შეშურდება ჩემი იმას,
ჩემი თმენა თუ სჯობს მისას,
შეურაცხმყოფს თუკი ვინმე,
გვერდს ავუვლი, სხვა გზას ვირჩევ...
იმ გზას, უფალი რომ მირჩევს.

24.04.2023 წელი.
თბილისი.

მუზა წყალობაა

წარმოშობილი „ნაწარმოების“
შენ მოისურვებ კვლავაც წაკითხვას,
თუკი ის შეძლებს მუზის წყალობით
გულის კუნჭულის კარიც გაგიხსნას.

ხან, შეგშალოს და შეგაზანზაროს,
სულზე მალამო ხშირად წაგისვას,
ხან, ცხარე ცრემლი დაგადენინოს,
ხან, სიყვარული ჩოქვით აგიხსნას.

თუკი, უხილავ ძალასაც შეგძენს,
სულის ნაყოფით შეგივსებს გულსაც,
სამოთხის კარსაც თუკი გაგიხსნის,
დაუბრუნდები კვლავ წაკითხულსაც.

17.10.2017 წელი.
თბილისი.

უფალს გულს ვუშლი

წარსულს, ფიქრებით ვეხები,
ნახლდება ტკივილი ვნებების,
ღაწვებზე, კვალით მართალი ცრემლების,
წინაპრებს ნათელი შევხვდები.

ღამის გასათევს როდესაც ვეძებდი,
კარდაკარ მავალს, არ მყავდა მშველელი,
წაქცეულს, „მთელავდნენ ფეხებით“,
სამი „ზურგჩანთით“, არ სურდათ „მძევლები“.

ცხოვრებას ყინვიანს, „ვეღარ ველევი“,
თუმც ვცდილობ, ფიქრებში კვლავ მას ვეხვევი,
ტკივილის სარკეა თვალების ელფერი,
კარგა ხანია, ამ ყოფას ვეჩვევი.

გართობით ცხოვრებას, ვერ შევერწყმები,
ორბიტის გარეთ, ახალ გზებს შევყევი,
გაცისკროვნებას, ნაშრომით ვეძლევი,
თუმც გზები უცხოა, მაინც ვერკვევი.

ფეხშიშველს, ბილიკმა, მატკინა ტერფები,
წვიმაში, ულმობლად ვსველდები,
წინსვლა ჭირს, ლაფში ვეფლვები,
საფარველს მთავაზობს, ნაცნობი ვერხვები.

თავს ვაღწევ წუმპეებს, ქოხს ვაგებ – შევთბე ვით,
მარტოობაში, შვებას ვგრძნობ, მხნე ვხდები:
უფალს გულს ვუშლი, მახრჩობს ცრემლები,
დაღლილი, სასთუმალს მჭიდროდ ვეხვევი;
მოგვიანებით,.. მშვიდ ძილს ვეძლევი.

•

უფლის ხატს, თვალებით ვეხები,
კრძალვით ვდგავარ და არა ვედრებით,
ჩუმად ვზლუქუნებ, ვეღარ ვჩერდები,
საოხად შემრჩა მხოლოდ ცრემლები,
ცრემლები, ვალის გადამხდელები.

30.10.2022 წელი.
თბილისი.

დედის ამაგი

დედა გვშობს და... მუდამ ცდილობს
დედამიწას შეგვაჩვიოს,
დღეს, ღამესთან შეაერთებს,
რათა თავი კარგად ვიგრძნოთ.

დედა გვმოძღვრავს და გვასწავლის:
სად ვიშრომოთ, სად ვიომოთ,
და ლოცულობს: პური შრომით,
უფლის გზით რომ მოვიპოვოთ.

16.01.2021 წელი.
თბილისი.

მზის მადლი შემოდგომაზე

მზემ, ღრუბელს წასვლა აცალა,
დარობა გამოაცხადა,
ყველგან სხივები დაგზავნა
მთა–ბარსაც მიეთაკარა,
და წყაროც ნახა წანწკარა.
•
მზის სხივები დამტკბარა,
ქარვისფერი გამხდარა,
ხის ფოთლებზე დამსხდარა,
ტოტებს შუაც გამძვრალა,
დედამიწას ჩასწვდა რა...
ორნამეტი დახატა.
მერე?
მერე...
დარის დარობით
მწიფე ყანა გამშრალა,
მოხუცები გამთბარან,
ჩირი და ჩურჩხელები
დამტკბარა და გამხმარა;
გლეხმა შეშაც მოზიდა
და პარმაღში დაცალა,
დაკრეფილი ყურძენი
საწნახელში ჩაცალა.

16.09.2022 წელი.
თბილისი.

სამშობლოს ჩემეული ინტერპრეტაცია

სამშობლო, მშობლისთვის ის ადგილია,
სად იშვა–იზარდა მისმა მშობელმა;
შემდეგ კი,.. მე მშვა, მიმშობლა,
რითაც თვითონ ისამშობლა.
მე რომ ვმშობლობ, პატივია ღვთის წყალობით,
შვილებისთვის რომ ვსამშობლობ.
ახლა, როცა შვილი მშობლობს,
თავის შვილებს უსამშობლებს.
შვილიშვილებიც იმშობლებს,
და... ისინიც ისამშობლებს.

•

ოოჰ! რა კარგია?! თუ გაქვს სამშობლო,
და შანსი, ისამშობლო;
ვაი, ვინც კარგავს სამშობლოს,
თან შანსს, ისამშობლოს;
და...
ნასამშობლარს, გაცნობს სამშობლოდ.

08.03. 2022 წელი.
თბილისი.

მე რომ აღარ ვიქნები

მე რომ აღარ ვიქნები,
მართლაც მშვიდად ვიქნები,
რადგან შვილშიც ვიქნები,
შვილიშვილშიც ვიქნები,
მეგობრებშიც ვიქნები,
ნაცნობებშიც ვიქნები;
სინანულის ცრემლებით
დანამული ვიქნები;
მრავალ სანთლის კაშკაშში
შესაწირშიც ვიქნები.

– ლოცვით ნუ დაიღლებით,
უფლის გვერდით ვიდგე ვით,..
აქ, უფალი მპატრონობდა,
აბა, იქ რაღა მიჭირს?!

20.05. 2024 წელი.
თბილისი.

შემასმენელი

მაცადეთ უთქმელს სათქმელი,
იქნებ, საჭიროს ვამბობ?!
ყველამ აკეთოს თვისი საქმე:
დურგალმა რანდოს,
მხატვარმა ხატოს,
თამადამ სუფრა მართოს,
ბრიყვთან კამათში, მართალმა დათმოს.

იცით?!
პოეტი, სამკობელს რითმაში ამკობს,
მწერალი, სიტყვებით მხატვრობს.
•
უთქმელის სათქმელს რომ მოუსმინეს,
გაკვირვებული დარჩა მსმენელი,
მართლის მთქმელს, ერთხმად შემოუძახეს:
აწ, შენ ხარ ჩვენი შემასმენელი!

25.07. 2024 წელი.
თბილისი.

წუთისოფელი ქველია

წუთისოფელი...
რარიგად ვრცელია?!
რარიგად მწველია?!
რარიგად მომქანცველია?!
რარიგად გადამღლელია?!

თან, რარიგ სასურველია?!
და... რარიგ საყვარელია?!
თანაც,.. რარიგად ქველია?!
თუმც, უმოწყალოდ წველიან.

მგლეჯელი უფრო ბევრია,
გლეჯენ და არა შველიან.
ვინც ფასი იცის, ეკრძალვის,
მცირედსაც დასჯერებია.

ვინცა მგლობს, იმას არ ფიქრობს,
როს წავა, რის წამღებია?!
ანდა, ფიქრობს კი იმაზე,..
ვინ დარჩა წაუსვლელია?!

11. 06. 2022 წელი.
თბილისი.

ზამთრის არია

ამ წელს...
ზამთარი, ზამთრის დარია,
დარიც კი... ზამთრის დარია,
ალმაცერობა მზის სხივთა,
ზამთრის ბრალია;
ზამთრის დამხმარე ქარია,
ქარი, ზამთრისთვის ქნარია,
მოისმის ზამთრის არია.

ამ წელს...
ზამთარი, ზამთრის ხამია,
ქარმა ზამთარი მთლად გადარია,
ფიფქები არივ–დარია,
დიდ ხეებს ხელი დარია,
წაქცეულ–ჩამოლეწილნი,
შესაბრალისის დარია.

ამ წელს...
ზამთარი ზამთრის დარია,
ზამთრისთვის, ქარი ქნარია,
ის რომ...
ცერად წვიმს,
ცერად თოვს,
ცერად ცრის,
ქუხს და ბუქს,

გვიკვირს ცის...
ზამთრის და ქარის ბრალია.
მზეც როა, ცივი დარია,
დარიც კი ზამთრის დარია,
ესაა ზამთრის არია.

23. 12. 2022 წელი.
თბილისი.

თავის უფალი

წინაპართ, კარგად შემასწავლეს ყოფის წესდება,
სიფრთხილით დამაქვს ტრადიციის ფარი და ხმალი,
აზრის უფლება ვერ წამართვეს, ვერც წამართმევენ!
რადგან ვიყავი და ახლაც ვარ თავის უფალი.

27.11. 2021 წელი.
თბილისი.

საუკეთესო მოსაგონარი

ბავშვობისა და სტუდენტობის,
საუკეთესო მოსაგონარი
დედულეთია – შვების სავანე;
ბებო და დეიდა შვილებით –
სიკეთის სათავე.

ბევრს მავალებდა, დღესაც მავალებს,
გონიერი და მკაცრი ბებია:
ცხოვრების წესით და ქალური ღირსებით...
იგი წავიდა წუთისოფლიდან,
103 წლისა,.. ჯანსაღი კბილებით.

21.03.2024 წელი.
თბილისი.

გაუხუნარი

სილამაზეს წლები განლევს,
თუნდაც იყოს უწუნარი,
მყარ სიყვარულს ვერას აკლებს,
დარჩება გაუხუნარი.

07.03.2024 წელი.
თბილისი.

მადლიერება ლოცვად გულში

მადლიერი ვარ, უფალთან ერთად
ჩემი ცხოვრების მკაფიო ნაფეხურებისა,
რაც გულშია ჩატკეპნილი და მუდამ მემახსოვრება.

მახსოვს:

ბავშვობისას მშობელთა რჩევები შესაგონებელი;
როგორ მზრუნველობდნენ კლინიკაში თანაკურსელები;
როგორ მაფასებდნენ სამინისტროს ავტორიტეტები;

დედობაში, გამისიგრძეგანდა ძალა–უძლეველის:
დაბრკოლებათა შემაფერხებელ–გამასწორებელის,
დედა–კაცობა შვილთა აღზრდისას, აღმა–მშენებლობის.

უფალი, ხელმარტოს დამყვებოდა, დამამოძღვრებელი;
წაქცევისას, ფეხის წატეხვისას, გამამხნევებელი.

•

ვიგრძენ:

სიყვარული შვილიშვილებისა, ამამზევებელი.

•

ახლა:

წიგნებმა ჩემმა, მომმადლა მადლი, მასაზრდოვებელი,
შთამომავალთათვის, სამკვიდროს შემცნობიერებელი.

•

ბედნიერი ვარ:

რადგან ვიყავი, ვარ და ვიქნები მართლმადიდებელი,
კანონებისა უფლისმიერის, აღმასრულებელი...
მდევს, მადლიერება ლოცვად გულში, ჩასაჩოქებელი.

28.10.2023 წელი.
თბილისი.

ნაბუხრალი

მახსენდება,..
ბუხრის პირას ნაუბარი,
როს გვფარავდა
მყუდრო სახლის,
საიმედო სახურავი.

საუბრისას
გვამხნევებდა, შიგადაშიგ,
ნელი წრუპვით,
შავი ყურძნის ნაწურალი.

თავს მახსენებს,
ნაუბართა ნაგუბარი,
ფიქრში, მწვავედ ნაწუხარი.

აუტანელ სევდას მგვრის და...
გულს მიწურავს,
სხვადასხვაგვარ შეშა–ჯირკთა
ტკარცალისას,
სითბოს მფრქვევი,
ნდომის მღძვრელი,
მრავალ საიდუმლოს მტევი,
შავი კვამლით ნამურალი,
გარდაცვლილი ნაბუხრალი.

•

მოგონებებს მიადვილებს საჩუქარი,
მეგობრისგან ნაჩუქარი.

24.08. 2023 წელი.
თბილისი.

გარდაცვალებათა სერია

გარდაიცვალა ბავშვობა,
და... „ნამეხარი“ სახლიც,
ჟამთაღმრიცხველი კერიაც,
სტუმრისთვის ღია კარიც.

ბილიკები და გზა–შარა,
სხვადასხვა ზომის ტერფებით
ნაფეხური და ნაფლავი,
წლებმა წარეცხა, წაშალა;
გორაკს შემორჩა საფლავი.

10.04.2023 წელი.
თბილისი.

მონანული სული

ახლა მე რომ ვკვდებოდე,
სული მეთხოვებოდეს,
მაღლა–მაღლა მიქროდეს,
მზისკენ ეჩქარებოდეს,
ბოლოს შეერწყმებოდეს...
•
მზიდან ჩემს გვამს ათბობდეს,
თუმცა ვეღარ ვთბებოდე;

არ მტოვებდეს, მნათობდეს,
სხეულს ეფერებოდეს;

ჩაბრუნებას ლამობდეს,
მაგრამ არ ხერხდებოდეს;

განშორებას ნაღვლობდეს,
განტევებას ნანობდეს;

ჩემში ყოფნას ნატრობდეს,
სინანული აღრჩობდეს.

09.10. 2023 წელი.
თბილისი.

შუხუთი ჩემი ძიძაა

(აკროსტიხი)

შ არშანდელივით მახსოვს ბავშვობა,
უ რჩობით, ნდობით და მორჩილებით,
ხ ელგაშლილობით სტუმრის დახვედრის,
უ ზრუნველყოფის გამოჩინებით;
თ ამაშ–თამაშში სიბრძნის სწავლებით,
ი ყო პატივი, უფლის მოძღვრების.

ჩ ემებურობა, არასდროს მაკლდა,
ე ს, ადამთათვის მისახვედრია,
მ ისიას, მუდამ ჯახირით ვაღწევ,
ი ცხოვრო ღრძობით, ჩემი ხვედრია.

ძ ნელად მიღწეულს სხვა ფასი ადევს,
ი მტკიცებ რწმენას, და... შენც მტკიცდები,
ძ ნელი გზა, სულაც არ ნიშნავს სასჯელს,
ა ღმართის ძლევა, უფრო მაკაჟებს,
ა რს მრწამსი უფლის, ძალას რაც მაძლევს.

03.04.2021 წელი.
თბილისი.

ღარები ბორცვზე

ღვარიდან ჩამოღვარული ღარები ბორცვზე,..
მზეგადაკრული მოხუცის ნაოჭებია;
ირგვლივ ძეძვი და ყალყზე ბალახი,
დაუვარცხნელი თმებია.

ფერდობი... კაბის კალთები,
„რეცხვისგან“ რომ გაცრეცილა,
ნაკემსი ნაფლეთებია;
მინდვრის ყვავილებს, მისი მოჩითვა,
რატომღაც დავიწყებია,
გულმკერდზე რომ სჩანს
მეჩხრად მძივები,
სხვადასხვაგვარი ქვებია.

თვალებდახრილი მოხუცი,
ტყესაც რომ გარიგებია,
სიოც კი გარიდებია,
სიხარულს დაუბრებია,
და... მის მოკუმულ პირ–ბაგეს,
ღიმილიც დავიწყებია.

ლოცვებში გულდამშვიდებულს,
დაისში ჩასძინებია;
მისი ლოცვები,.. უფლისკენ,
მზის სხივებს დამგზავრებია.

აისში,..
უფლის პასუხად,
ეულს, გარიყულს,
სხივები თავს ევლებიან;
ახალი დღის მომლოდინეს,
გულს დარდი შენელებია.

24.04.2023 წელი.
თბილისი.

ფიქრებმა გამამათრახა

ფიქრებმა გამამათრახა,
ფეხქვეშ გამიგდო ულმობლად,
თითქოს სისხლიდან ვიცლები,
ძალ–ღონეს მაცლის უნდობლად.

ბორკილდადებულს, კვლავ ფიქრი მათოვს,
თავის დაღწევა, ხანდახან მიჭირს,
გადამეკარგა სურვილი შრომის,
დრო კი არ იცდის, ხალისით მიქრის.

ხან... ყველაფერი, ჩირად არ მიღირს,
უთავბოლობაც აღარ მადარდებს,
თუ... დღეის საქმეს, თავს ვერ გავართმევ,
ხვალეს კი არა, ხვალ–ზეგს გადავდებ!..

13. 05. 2021 წელი.
თბილისი.

სიცოცხლე მომხიბლველია

ეცოტავებათ სიცოცხლე,
თუნდაც გრძელია,
იოლად ვერ ნებდებიან,
დათმობა, ძალზე ძნელია;
სიცოცხლე, თუნდაც მდუღარი,
საოცრად მომხიბლველია.
•
სამყაროს ხიბლის შეგრძნება,
მშობლებმა შეგვაძლებია,
თუმც, გვიჭირს აღიარება
(უძღების ჩვევა გვჩვევია):

–სიცოცხლე, თუნდაც უიღბლო,
მაინც იღბლიანთ ხვედრია;
თან რარიგ სასურველია?!
და... რარიგ საყვარელია?!

11. 06. 2022 წელი.
თბილისი.

თვითონ გავალ ფონს

ფიქრებმა წამლეკა,
არ მინდობს,
არ მწყალობს,
გონებაწართმეულს
ჩამძახის:
– რას წვალობ?!

კუთხეში მიმაგდო,
არც მაჭმევს,
არც მასმევს,
ძველმანში მახვევს და...
ახლებს არ მაცმევს.
მიზნებდამსხვრეული,
ფიქრებგაცვეთილი,
ფეხზედაც ვერ ვდგები;
იმედგაცრეცილი
უფალს ვევედრები:

– იმედმაც მიმტყუნა,
იმედი გამიცრუა.
ახლა ვის დავეყრდნო,
რა შორს გამიტყუა?!
თავს მევლებოდა და...
თურმე ვენდე თარსს,

სახტად დარჩენილი
ვეჭიდები ხავსს.

თუმცა...
გვიანღაა,
მოვეგები გონს,
ხავსს ვეღარ ვენდობი,
ძალებს მოვიკრებ და...
თვითონ გავალ ფონს.

04.07.2021 წელი.
თბილისი.

მზეს ვნატრულობ

მზის სხივებს ვნატრულობ,
ხანდახან მნახულობს,
როცა ვნატრულობ – ვმარხულობ,
ხსნილია – როცა მნახულობს.

24.09. 2021 წელი.
თბილისი.

დროა, გამოიღვიძონ!

რადგან ვებღაუჭები ქართულ ტრადიციებს
თავმოქარჩალებული,
მაგრძნობინებენ „თანამედროვენი“, რომ ვარ...
გამოთაყვანებული.

ვაი იმათ! თუკი ასე ფიქრობენ?!
იქნებ უჯობთ წინაპრებზე იფიქრონ;
უგნურება კისერს მოატეხინებთ,
იქნებ დროა!
დროა!
გამოიღვიძონ!

21.03.2024 წელი.
თბილისი.

ზამთრის პირი

ზამთრის პირია,
ღრუბელი გიჟია,
მზე ირიბია,
ჰაერი ცივია,
წვიმა ხშირია,
ხან–და–ხან
ცრის...
მზე უღიმღამოდ კრთის,
ქარი ფანჯარას ღრღნის,
მუქარას კბილებში ცრის,
ხეებს ჩეხავს და თხრის,
ნგრევის და რბევის,
შიშის ჯაჭვს ქმნის,..
უნდობლის სახელს მკის.

ბოლოს...
ქარწყლდება ქარწყება;
ქარწყვეტა...
აქარწყლებს შიშს,
იმედის კარს ხსნის.

27. 11. 2021 წელი.
თბილისი.

ის დრო მენატრება

მენატრება ცივი კერა, ცეცხლს რომ მოვაპუჟუნებდი;
გულიანად ქსოვა–კერვა, რომ არ მივაფურთუხებდი;
გაკვეთილის კარგად სწავლა, როცა ჩავარაკრაკებდი;
ამოცანის სხვაზე ახსნა, როცა სხვასაც ვავარგებდი;

როცა, შარვალს ოსტატობით, კაბად გადავაკეთებდი;
როცა, ძველი აგურებით, აბაზანას ვაშენებდი;
აივანზე, არა ყვავილს, ბოსტნეულს რომ ვაშენებდი;
სადედოფლო ტორტის მორთვით, მჯობნთა მჯობნს რომ ვაკვირვებდი;
გაუკვალავ გზაზე წასვლა, გზას, ჩემით რომ გავაგნებდი;
თავშესაფრის უქონელი, საფარსაც რომ ავაგებდი;
დანაზოგი რომ მქონოდა, მანეთს გვერდზე გადავდებდი;
შეუძლებელს რომ დავძლევდი, როცა საქმეს ვაგვარებდი;

სამი შვილის პატრონობას, ხელმარტოდ რომ ვახერხებდი;
შესაშური ენერგიით, საქმეში რომ ვათენებდი;
მოკლედ,.. ის დრო მენატრება, დღე–ღამეს რომ ვასწორებდი;
მიღწეულით კმაყოფილი, ტაძრად სანთელს რომ ვანთებდი.

09.04.2024 წელი.
03 სთ. და 03 წთ.
თბილისი.

უცნობ გოგონას

ჩვენს ჩახერგილ,
უღიმღამო აივნისთვის
შენი მოსვლა:
მოხდენილი ტან–ფეხით და
კულულების კენწლაობით,..
პირმცინარი აისია.
წასვლა...
წასვლა?
გამცილებლის დამსხვრეული განწყობით სჩანს,
საავდაროდ შეწკეპილი,
სევდიანი დაისია.

22.08. 2021 წელი.
თბილისი.

თვით - ირონია

ვგავარ...
ურმის ქვეშ გასრესილ
ჩალის ღერს;
ტალახში ჩაგნესილ
ჭყინტ ტაროს;
დაჭყლეტილ ბროწეულს
დაწრეტილს „სისხლიდან“,
არა ვარ საჭირო,..
რის გამოც.

26. 11. 2021 წელი.
თბილისი.

არც ჩანავლდება კერია

მშობელი შობილს ძღვნად ტოვებს,
ფუძის განგრძობის იმედად;
ჩემმა მშობელმა, ძღვნად რომ დამტოვა,
მშვიდად წავიდა იმ ქვეყნად.

მშვიდად დავტოვებ მეც წუთისოფელს,
წყალობით ღვთისგან სავსე ისედაც,
თანაც, მეც მყვანან დასატოვარნი,
ფუძის განგრძობის იმედად.

ახალ–ახალი მუგუზლით,
მჯერა იღვივებს კერია;
ვფიქრობ:
–ადვილი არ არის!
თუმცა?..
–არც ისე ძნელია?!
ღვთის ნებაც თუ ჩაერია,..
კიდეც იმრავლებს ერია!
არც ჩანავლდება კერია!

11. 06. 2022 წელი.
თბილისი.

სიცოცხლე ერთადერთია

სიცოცხლე ერთადერთია,
ისე, ვით...
მზე და ღმერთია,
გაგრძელდება ჩვენს შემდეგაც,
სხვებისთვის, ვინც დარჩებიან,
და მათთვის... ვინც გაჩნდებიან.

ღირდა სიცოცხლე, შეგვეგრძნო,
მზის სითბო, მადლი ღმერთისა,
სიცოცხლეს ნუ შეიმოკლებ,
დგომით უღირსის გვერდითა.

13.09.2022 წელი.
თბილისი.

დავდევი ზავი

ჭახრაკულად
და...
ხან ჭადრაკულად
ცხოვრებაგანვლილს,
გამსვლელი პაიკის იმედით,
გათვლით,
ოღროჩოღროთა დაძლევისას,
არ მქონდა უფლება ლაფოში
ჩაფლვის,
აღარც წაქცევის, და... აღარც

დაღლის.
ახლა...
ნაწრთობმა,
გამობრძმედილმა,
როცა აღარ მაქვს
მე შიში წარღვნის,
და აღარც შიში,
ბიჯის გადადგმის,..
განგაშის ნიშნად,
შემოვკარ ზარი:
–არ ძალმიძს ბრძოლა!
–დავდევი ზავი!

უკვე უძლურს და
ძალზე გადაღლილს,
წუთისოფელი საათად მექცა,
ახლა მჭირდება:
ნელთბილად ყოფნა,
ჩეროში ჯდომა,
მოგონებების წერა...
ან თხრობა,..
ანდა წაკითხვა;
გონივრულ თამაშობებში,
შვილიშვილებთან ბჭობა,
გართობა,
ან
პაექრობა.

23.05.2021 წელი.
თბილისი.

ქვა ვარ

რიყის ქვა ვარ, უტეხელი;
კიდევ,.. კიდევ? წისქვილის ქვაც,
მუდამ რაღაცის მფქვეველი,
და ფქვილის გამომფრქვეველი.

ქვაც სალესი: წალდ–ნაჯახთა,
ცელ–ნამგალ–ჯაყვა–დანათა;
ზღვის ქვაც, მოსაკირწყვლად გზათა.

ვარ დიდი ქვაც, უფერული,
მწყურვალთა ჩამოსაჯდომად,
წყაროსთან დავანებული.

ქვა–ლოდიც მონაწონარი,
საფლავზე ჯვრით და წარწერით,
წარსულის მოსაგონარი.

09.02.2023 წელი.
თბილისი.

ოცნება

ჩემი ოცნებაა, მარტოს მქონდეს,
პატარა სახლი და ეზოც პატარა,
მყავდეს სიცოცხლის ბოლომდე,
ვით ბავშვობისას, მზრუნველი ხანდახან.
•
განმარტოებულ მაღლობზე,
მქონდეს საფლავი წარწერით,
მნამავდეს ზაფხულში წვიმა...
ზამთარში თოვლის ნამქერი.

ირგვლივ ხარობდეს ხეები,
ვერ ერეოდეს ქარები;
ზედ, მოჭიკჭიკე ჩიტებით,
და,.. მოჟღურტულე ბარტყებით.

09.09.2023 წელი.
თბილისი.

ნაფქვავი

გარდაიცვლება „წისქვილი“,
და... მასთან ერთად „საფქვავიც“,
შთამომავლობის ვალია,
გადაინახოს „ნაფქვავი“.

03.12.2021 წელი.
თბილისი.

ჩემი წარსული ხელკავით დამყავს

ვიღაც წავიდა, ვიღაცა დარჩა,
ყველანი, მაინც, ჩემს გულში ჩარჩა,
ცხოვრება, კვლავაც ჯახირში გამყავს,
მათ ავიწყდებათ, უმწეოს ნახვა,
აკვირდებიან შორიდან ამბავს,
სამსახური აქვთ ასეთი ალბათ.

მე, ვერასოდეს მოვხვდები მათთან,
მოგონება და ფესვები დამრჩა,
ჩემი წარსული ხელკავით დამყავს,
„ორბიტის“ გარეთ, აღარც მსურს გასვლა.

•

„ჭიშკართან“ ვდგავარ, მომსვლელი არ ჩანს,
უფლის წყალობის იმედს არ ვკარგავ.

24. 09. 2021 წელი.
თბილისი.

სევდიანი თვე

სევდიანი ჰაერი,
სევდიანი მზე,
სევდიანი სიჩუმე,
სევდიანი თვე,
აბა როგორ, სხვაგვარად,
დეკემბერზე რა ითქმის?!
ყველა თვე გასულია,
ყველა ვალმოხდილია;
ჩიტები წასულია,
ეს ხომ დასასრულია,
თან, წლის აღსასრულია.

ოი! როგორ გვეჩქარება,
დეკემბრის მიცვალება,
ახალი წლის იმედი გვაქვს,
ველით ფერისცვალებას.
სიხალისით მოვუხმობთ
იმედებს, ახალ აზრებს,
ძველ წელს ისე ვაცილებთ,
თითქოს ნიშნავს არაფერს.

21.12.2022 წელი.
თბილისი.

გვიხსნის ტრადიციულობა

მზემ ღრუბელი რომ გამოჭრა,
იმედების გახსნა კარი,
ღვთივკურთხეულ ქართულ მიწას,
დაეხატა ნათლით ჯვარი.

და... რადგანაც, საქართველო,
ღვთისმშობლისგან რჩეულია,
დედა–მანათობლისგანაც,
რადგან ჯვარდასახულია,
ვერ ვიჯერებ, წაიშლება
საქართველოს ქართულობა,
მძიმე სენი თუ შეგვყარეს,
გვიხსნის ტრადიციულობა.

18.10. 2022 წელი.
მანგლისი.

ვის უნდა ცოდნა?!

ვის უნდა ცოდნა, ან გამოცდილება?!
რა საჭიროა ნიჭი?!
მხოლოდ იმისთვის?! რომ არ დაგვჭირდეს,
რჩევები სხვისი...

08.11.2022 წელი.
თბილისი.

ცოტა მაცალე ღმერთო

მზად არ ვარ სიკვდილისათვის,
ცოტა მაცალე ღმერთო!
მაქვს „განძი“ საშვილთაშვილო,
დასატოვარი ერთობ.

ჩემს შემდგომ, დანატოვარი,
ნაგრამს სანთლად რომ ენთოს,
გულიდან გადმოტუმბულმა
ფიქრებმა, მათთვის ღვენთოს.

12. 04.2023 წელი.
თბილისი.

რეალობა

მე, ცხოვრების მღვრიე მორევს არ დავყვები,
არც ვიკადრებ მის ტალღებში შეცურებას,
მე, ქართული ტრადიციის დამცველი ვარ,
ღირსეულად დავდიოდი, დავალ დღესაც.

23.11.2017 წელი.
თბილისი.

კონფისკაცია

ვინაც იწვნია კონფისკაცია:
მანქანის, ბინის,
მოსავლის, მიწის;
ბანკის თანხების,
ბაღ–ვენახების,
და განძეულის,
სხვა ფარჩეულის...
ამ ყოველივეს,
დროში აღადგენს,..
თითქოს დაკარგეს.

მაგრამ...
რაღა ქნას,
ვინც იწვნია კონფისკაცია:
თავისუფლების?!
ღირსებისა და პატიოსნების?!
ტრადიციის და სარწმუნოების?!
ქალწულობის და კდემით დედობის?!
ჩაღიმილ–ჩაკისკისების?
ანცი ბავშვობის და სტუდენტობის?!
ცოდნის და ნდობის?
თმენის და გლოვის?!

და... დამრჩა ბოლოს,
სხეული მხოლოდ:

გამოფიტული,
როგორც ფიტული;
უძვლო, უკუნთო,
გულგამოცლილი,
უხერხემლო და უსახური,
სულგამოცლილი,
უვარგისი და უმაქნისი,
ჩამოფხორილი;
ფრთებშეკვეცილი,
უფალთან აღკვეცილი,
წაქცეული და სისხლდაქცეული,
ცრემლადქცეული,
დაბეგვილი და ძვლებდამსხვრეული...
ხერხემალშიაც გადამსხვრეული,
ჭირისუფლისთვის ჭირადქცეული.
•
უფლის წყალობით,
შემომრჩა მხოლოდ,
მხოლოდ და მხოლოდ...
თვალის ჩინი,
და...
საღი ტვინი.

22.06.2023 წელი.
თბილისი.

„მასხარას“ სცენარი

წუთისოფლიდან მშვიდი სიკვდილით მინდოდა წასვლა,
არამც და არამც, არ მინდოდა მენახა წარღვნა,
გონის დაბინდვას იწვევდა სკოლაში ომების სწავლა,
უმეცართ ნებით ვიხილე, სასცენაროდ ადამთა კაფვა.

ტაკიმასხარამ, ქვეყანა აქცია ძმათაკვლის აქტად,
სიამეს ანიჭებს, სისხლიანი სასცენო ფარდა,
მკვდრებს არ ჰყავთ დამტირებელი, ცალკე საფლავიც არ აქვთ.
ნაბახუსევზე დასცინის ჩვილებს, ვინც მარტოდ დარჩა.

უფლის წესს გადაუხვია, სატანა მოჰყვა ხარხარს,
წესის აგება სცენარისტს გადაავიწყდა ალბათ;
აღარც ცრემლი და საფლავი, აღარც ჯვრით ხელში წასვლა;
ცოცხლებს, მოუხდათ სხვა ქვეყანაში მათხოვრად გასვლა.

სხვისი იმედით, ბრიყვმა ქვეყნად მოაწყო კაცთკვლა;
ხალხის სჯული და ადათი, მასხარამ აიგდო მასხრად,
თვითონ კი... ქვეყნის დარბევით დიდძალი ფული ნახა,
უზარმაზარი ქვეყანა, გაყიდა ჩირის ფასად.

•

სანამ ჭკვიანი, ქვეყნისთვის უმჯობესობას ფიქრობს,
ამასობაში მასხარა, ქვეყანას თავზე იმხობს.

17.03.2022 წელი.
თბილისი.

ჩემი მეგზური უფალია

დიდთოვლობას,
როდესაც ძაღლს,
გარეთაც არ გააგდებენ,
უფლის ნებით, ძალისხმევით,
მე, „გარეთ გამომაძევეს“.

მომაწოდეს საგზური და
მომახურეს მანდილი,
წუთისოფლის „ვაგონში“
მიმიჩინეს ადგილი.

შემეშინდა სიმარტოვის
და ტირილი მომინდა,
ჩემი შიშის გასაფანტად,
უფალი გამომიჩნდა.

დამიყვავა, მესაუბრა:
–„მე ვარ შენი მეგზური,
წარმატება გაგამხნევებს,
გამოგაწრთობს საცდური,
სანატრელიც გაგიხდება
ზოგჯერ, ბოლო სადგური.

სისუსტე მოგეძალება?
ლაფში ამოისვრები?
გამოსავალს გამოძებნი,
თანდათან გაიზრდები“.

ხან სწორ გზაზე დამატარებს,
ჩვენი მატარებელი,
ჩახერგილ გზებს ფეხს ვერ ვუწყობ,
ვარ აუჩქარებელი.

–„აუჩქარე, ტემპს ნუ ჰკარგავ!
შემახსენებს გამყოლი;
–თუ ჩამორჩი, არ მოგიცდის,
ჩაიქროლებს ვაგონი“!

კვლავ, უფალი გამამხნევებს,
–„გული გქონდეს საგულეს,
დროზე ადრე ნუ ჩაკეტავ საგდულებს;
შენ გაჰყვები, სულ სხვა ვაგონს,
სადაც დაისადგურებ“!

21.06.2023 წელი.
თბილისი.

ვაი სირცხვილო?

ერთსქესიანთა ერთობას,
თუკი ნაღარით შევხვდებით,
და... თუ, მათ კვალშიც ჩავდგებით,
თანდათან გადავშენდებით.

მაშინ გვაღირსებს ევროპა,
კარების ფართოდ გაღებას?!
დაჩოქილთათვის აპირებს,
გულმოწყალების გაღებას?!

ვაი, სირცხვილო?..თანხმობას,
უწინამც სიკვდილს ვარჩევდი,
ჩვენს ადათს, სინდისის ნიშას,
თუკი ვერ გადავარჩენდით.
ამ მსხვერპლის ფასად თუ ველით,
ევროპის დამეგობრებას,
უმეგობრობას ვარჩევდი,
და.. თუნდაც უმეზობლობას.

გარყვნილთა გუნდრუკის კმევას,
სჯობს ისევ ჭრაქზე ცხოვრება,
გუთანის ხელში აღება
და შუა ცეცხლის დანთება.

29.06. 2022 წელი.
თბილისი.

ბოდიში ბატონო!

თავგანწირვა საჭირო არც კი ყოფილა,
იოლად უნდა ჩამეხედა საქმეში.
თავი თუ გადავდე და არ დავაფასე,
მერე რაა?...
მიყურებენ, როგორც დევს,– მრუდე სარკეში.

დროს ვერ დავაბრუნებ, ჩაბარდა ისტორიას!
რომც მოხდეს სასწაული, მე ვერ შევიცვლები,
რაც თავი მახსოვს: თავსაც ვთხოვ, სხვასაც ვთხოვ,
სხვაგვარად არ ძალმიძს! ჭკუიდან შევიშლები!

ნაშრომის განგება ღვთისთვის მიმინდვია,
გადააფასოს, აწონ–დაწონოს.
რამე შემეშალა?
იქნებ ვერ შევძელი?
დამნაშავე ვარ?
–ბოდიში ბატონო!

01.09.2014 წელი.
თბილისი.

ჩარაზული

ჩარაზული ვარ ჩემს თავში,
აქედან ვერ გავაღწიე,
მზის კონებს ჩავეკონები,
თავს თავი თუ დავაღწიე.

27.11. 2023 წელი.
თბილისი.

მარტოკას ყოფა

სამყაროს ცენტრში ვდგავარ მარტოკა,
დღისით მზე მათბობს, ღამე გამთოშავს,
თუმც, გამიჭირდა ლხენა მარტოკას,
მაინც ვახერხებ სიმის აწყობას.

მარტოკა ყოფნა, ჩემი ყოფაა,
ხან მაწუხებს და ხანაც ნორმაა,
თუ სამოთხეა, სულში წყობაა,
თუ ჯოჯოხეთი – მაშინ წრთობაა.

30.08. 2021 წელი.
თბილისი.

არ გადავჩეხავ

ავის მქმნელი, რომც დაბრმავდეს,
ხელს არ ვკრავ, არ გადავჩეხავ;
გონებაში არ გამივლის...
სხვისი რბევა, არც დაქცევა.

ვინც არ უნდა გამიჭირვოს,
არ ვისურვებ: მის წაქცევას,
და აღარც მის დაბრმავებას,
უფალს ვანდობ განჩინებას.

24.04.2023 წელი.
თბილისი.

სანატრელი ალცაიმერი

თავი მძულს, სულით ხორცამდე:
ჩემი წარსულის გამო,
ჩემი დათმენის გამო,
მისგან, შვილების გამო.
•
მოხეტიალე ფიქრებო!
რატომ მახსენებთ წარსულს?!
ხომ გთხოვეთ გადამავიწყოთ,
რომ შეხსენება არ მსურს!

რა ბედნიერი ვიქნები,
ალცაიმერით მნახოთ?!
ღიმილით შევციცინებდე,
აწმყოს, და... მხოლოდ აწმყოს.

01.08.2023 წელი.
თბილისი.

ღმერთო ჩემო

ღმერთო ჩემო,
გადამრჩენო,
ერთობ ქველო;
და გამჩენო;
შენს შეწევნას,..
მუხლმოყრილი ვმადლიერობ.

გევედრები:
ნუ დამასევ სევდის ქარებს,
შემეწიე, დამიფარე.

29.09.2023 წელი.
თბილისი.

უფალმა მომხედა

ცხოვრების „ურემი“ რომ გადამიბრუნდა,
მთელი ნაშრომი, თავზე რომ გადამემსხვრა,
უფალმა მომხედა, გულში ჩამიხუტა,
ძალები, ურმიდან დაძვრომის, შთამბერა.

28.02.2017 წელი.
თბილისი.

ცრემლის არსი

ცრემლი...
არ არის ტრაგედია,
არც წარღვნა,
არცა გენია.
ცრემლი...
არც სუსტთა ხვედრია;
ის მკურნალია,
ბრძენია;
ის, გულის ამომრეცხია,
ის, სულის განმწმენდელია,
თანაც,..
რა მრავლისმთქმელია?!

25.11. 2021 წელი.
თბილისი.

ვაი იმას

ვაი იმას!
ვინც უფლის მრწამსს განუდგა,
მართალს ზურგი შეაქცია,
ეშმაკის გზას გაუდგა.

05.01.2024 წელი.
თბილისი.

ჯანგაცვეთილი

ზომიერად დაღლილს რა სჯობს,
ანდა, კიდევ გადაღლილს?!
აბა, შეხეთ ქანცგაცლილებს,
წელში გადაწყვეტილებს?!
ჰგვანან, დაცლილ ღვინის ტიკებს,
ღვინოგამოწრეტილებს.

სწორედ ქანცგადაწყვეტილი,
კვლავაც, შრომით ვიკვლევ გზას,
ვარ, თუმცა ჯანგაცვეთილი,
მომავლის ხეს, მაინც ვრგავ.

21.07.2023 წელი.
თბილისი.

დრო

უფერულ დღეებს, ვათრევ როგორღაც,
დრო, შეუმჩნევლად მიდის და მცვითავს,
არ შემიბრალებს მტირალს და მხოხავს,
არც შეჩერდება, არც მომიკითხავს;
ქვეცნობიერში ჩამჯდარი, მქოქავს:
–ჩამოიშორე, ვინც გზას გიღობავს!

13.05.2020 წელი.
თბილისი.

გულის ჩურჩული

გული მეჩურჩულება,
დახმარება სჭირდება,
რა ჰქნას, თუკი შველას ითხოვს?!
სანაცვლოდ კი,.. ლამაზ დღეებს,
მშვიდ სიცოცხლეს მპირდება.

23.09.2022 წელი.
თბილისი.

სამყარო

სამყარო დაქცეულია,
დამარბეველის ჰკლავს ჟინი,
სამყარო წაქცეულია,
იარებს სისხლიანს, სტირის:
– საუკუნეებს გავუძელ,
მშვიდობით გამოვიარე;
ბნელეთის მოციქულებმა,
დამლეწეს, გადამიარეს;
უღირსობისთვის უფალი,
მათ ჩაუბნელებს მზიანეთს!

09.10.2023 წელი.
თბილისი.

ჩემი გული

აუუ!.. რამდენი წელია
უთქმელობით რომ ვაწამებ?!
რიტმიც არ დაურღვევია,
წამის რითმით, ითვლის წამებს.

როგორც მე, ალბათ გულსაც აქვს,
თმენის ფიალა, ღირსება...
და თუ არ გავუფრთხილდები,
უთუოდ გადმოიღვრება.

მე კი, თითქოს ღირსეულმა,
გულის ღვაწლი, ურცხვად ვიშვნე,
იქნებ ისიც დაიღალა,
თუ დავფიქრდი, ან თუ ვკითხე?!

ჩირად ვთვლიდი უგუნური,
გულის ერთგულ მსახურებას,
ჰოდა,.. უსულგულობისთვის,
მომიწევს „გაპანღურება“.

ვაღიარებ, ვიმსახურებ,
მიბაგუნოს, თან მიჩხვლიტოს,
და უყურადღებობისთვის,
მსახურებაც შემიწყვიტოს.

23.09.2022 წელი.
თბილისი.

ბუქის გარეშე

შუა ზამთარში, ბუქში მოვლენილს,
მიყვარს ზამთარი ბუქის გარეშე,
მზის სიყვარულში ჩალეულს კი, მსურს:
საფლავში სხივთა წნულით ჩავეშვე.

03.01.2023 წელი.
თბილისი.

მარტოდმარტო

რომ არასოდეს ვყოფილვარ
ისე ვარ მარტო,
ადრეც კი მითქვამს ამგვარად
უფალო, გახსოვს?!
ჰოდა, ახლაც ვარ მრავალთა შორის
სულ მარტოდმარტო.

მავანთ და მავანთ, სხვასთან ყოფნა სურთ
და იცით რატომ?
რადგანაც, ჩემთან
ვერასდროს ლაყბობს.

25.07. 2024 წელი.
თბილისი.

პ ა რ ა ლ ე ლ ე ბ ი

საგულისხმო პარალელები
ანუ
უფლის გზა

თავისუფლად ცხოვრება, იოლია,
იცხოვრო თავის უფლებით, ძნელი.

•

ცოდნის გამოყენება, იოლია,
ცოდნის შეძენა ძნელი.

•

უღირსად იცხოვრო, იოლია,
ღირსების ქულებით – ძნელი.

•

სიკვდილი, ძალზე იოლია,
სიცოცხლე – ძნელზე ძნელი.

•

ბოროტების კეთება, იოლია,
სიკეთით ცხოვრება – ძნელი.

•

გარჯას სხვას თხოვდე, იოლია,
შენ ირჯებოდე – ძნელი.

•

ხმამაღლა გოდება, იოლია,
გულში ჩახვევა – ძნელი.

•

პირქუშობა, ძალზე იოლია,
პირღიმილიანობა ძნელი.

•

სიზარმაცე, ძალზე იოლია,
ბეჯითობაა ძნელი.

•

მეგობრის დაკარგვა იოლია,
მეგობრის შეძენა – ძნელი.

•

სახლის დანგრევა იოლია,
აშენებაა, ძნელი.

•

გაყიდვა ძალზე იოლია,
შეძენა, ძნელზე ძნელი.

•

ხის მოჭრა ძალზე იოლია,
დარგვა–გაშენებაა ძნელი.

•

ადამიანის „მოკვლა“ იოლია,
სულის შთაბერვა – ძნელი.

•

გადამტერება იოლია,
შემორიგება – ძნელი.

•

სტუმრისთვის კარის ჩარაზვა იოლია,
გახსნა–შეპატიჟებაა ძნელი.

•

ურცხვად ცხოვრება იოლია,
პატიოსნება – ძნელი.

•

ფუქსავატობა, იოლია,
გარჯა–შრომაა ძნელი.

•

ტყუილის თქმა, ძალზე იოლია,
გულწრფელობაა ძნელი.

•

რეპლიკის სროლა, იოლია,
დიალოგია ძნელი.

•

ფერდობზე ასვლა, იოლია,
მწვერვალის დაპყრობა – ძნელი.

•

შვილზე უარის თქმა, იოლია,
დედობა იტვირთო – ძნელი.

•

სირცხვილით ცხოვრება, იოლია,
სიწმინდით ცხოვრება– ძნელი.

•

თავხედობა, ძალზე იოლია,
კდემით ცხოვრება- ძნელი.

•

მრუდე გზით ცხოვრება, იოლია,
ცხოვრება უფლის გზით, ძნელი.

•

სუფრათან ჯდომა, იოლია,
სუფრის გაშლაა ძნელი.

•

უზნეობა, ძალზე იოლია,
ზნეკეთილობა – ძნელი.

•

წაქცეულზე ფეხის დადგმა, იოლია,
წამოყენებაა ძნელი.

•

არ ვიცის გზა, ძალზე იოლია,
ვიცის - პასუხისმგებლობაა ძნელი.

•

თანამშრომლობა, იოლია,
უფროსობაა ძნელი.

•

ღვინის სმა, ძალზე იოლია,
ღვინის ხელობა - ძნელი.

•

თაფლის მირთმევა, იოლია,
ფუტკრის შრომაა ძნელი.

•

ცხოვრება სიხარბით, იოლია,
ხელგაშლილობით – ძნელი.

•

უძლურის დაკნინება, იოლია,
პატივით მოპყრობა – ძნელი.

•

კაპასობა, ძალზე იოლია,
თავშეკავება – ძნელი.

•

დოვლათის ფლანგვა, იოლია,
შექმნა დოვლათი – ძნელი.

•

უღვთოდ მოქცევა, იოლია,
მადლიანი იყო – ძნელი.

•

ლუკმის გადაყლაპვა, იოლია,
სათქმელის გადაყლაპვა – ძნელი.

•

სულის წარწყმედა, იოლია,
სასუფევლის მოპოვება – ძნელი.

•

ვნებებზე აყოლა, იოლია,
უფალზე გაყოლა – ძნელი.

•

ვიშვიში, ძალზე იოლია,
სიმშვიდე, ძალზე ძნელი.

•

ნაშრომის წუნდება, იოლია,
ნაშრომის შექმნა – ძნელი.

•

გაკრიტიკება, იოლია,
რჩევის მიცემა – ძნელი.

•

ზურგს უკან გაკილვა, იოლია
პირში თქმა, ძალზე ძნელი.

•

წაქცევა, ძალზე იოლია,
წამოდგომაა ძნელი.

•

მორალის წაკითხვა, იოლია,
მორალით იცხოვრო – ძნელი.

•

დამრიგებლობა, იოლია,
მაგალითის ჩვენება – ძნელი.

•

ტკივილის მიყენება, იოლია,
ნუგეშისცემა – ძნელი.

•

შვილის გაჩენა, იოლია,
აღზრდაა ძალზე ძნელი.

•

სოფლით ამაყობდე, იოლია,
სოფელი შენით ამაყობდეს – ძნელი.

•

სხვისი დამცირება, იოლია,
პატივით მოპყრობა – ძნელი.

•

უყურადღებობა, იოლია,
გულისყურობა – ძნელი.

•

დროს ფლანგავდე და გრჩებოდეს, იოლია,
დრო არ გყოფნიდეს – ძნელი.

•

წუთისოფლიდან გაქცევა, იოლია,
შეჭიდება–გაძლება, ძალზე ძნელი.

•

შურიანობა იოლია,
უშურველობა – ძნელი.

•

წუწუნით ცხოვრობდე, იოლია,
თმენით ცხოვრობდე – ძნელი.

•

გარეგნული მოწესრიგება, იოლია,
სულში წესრიგიანობა – ძნელი.

•

მფარველის ქვეშ ცხოვრება, იოლია,
სხვას მფარველობდე – ძნელი.

•

დაცოდვილება, იოლია,
უცოდველობა – ძნელი.

•

წამოროშვა, ძალზე იოლია,
სულდათქმულობა – ძნელი.

•

გვარის შერცხვენა, იოლია,
გვარი ასახელო – ძნელი.

•

საქმე ჩაუშალო, ძალზე იოლია,
საქმის მოუგვარო – ძნელი.

•

ბნელეთში ნათობდე, იოლია,
ნათელში ნათობდე – ძნელი.

•

გაქცევა სიცოცხლისგან, იოლია,
სიცოცხლით ტკბებოდე – ძნელი.

•

სიცოცხლის გაფლანგვა, იოლია,
გამოყენება – ძნელი.

•

ფიქრთა გროვაში ჩაფლვა, იოლია
თავდაღწევაა ძნელი.

•

სამყაროს დარბევა–განადგურება, იოლია,
შეცნობა–შეყვარება–აღმშენებლობაა ძნელი.

•

მყარ საფუძველზე შენება, იოლია,
საფუძვლის შექმნა – ძნელი.

•

ილხინო სხვის ხარჯზე, იოლია,
ალხინო შენს ხარჯზე – ძნელი.

•

სოფელს სამკლად ხედავდე, იოლია,
მოსამკლის შექმნა – ძნელი.

•

ჭინჭველთა განადგურება, იოლია,
მასთან შეჯიბრება – ძნელი.

•

მაგრობდე მფარველით, იოლია,
შენით მაგრობდე – ძნელი.

•

ბილწსიტყვაობა, იოლია,
კეთილმოუბრობა – ძნელი.

•

საქმეს გაექცე, იოლია,
საქმისკენ გაიქცე – ძნელი.

•

ნაშრომის გაუფასურება, იოლია,
სწორი ფასდება – ძნელი.

•

თავისთავზე ზრუნავდე, იოლია,
სხვებზეც ზრუნავდე – ძნელი.

•

უძლურს ხელი ჰკრა, იოლია,
შეეშველო – ძალზე ძნელი.

•

სხვისით „ჩინარობდე“, იოლია,
შენით „გამოჩინარდე“ – ძნელი.

•

უწესო იყო, ძალზე იოლია,
წესებით ცხოვრობდე – ძნელი.

•

ლურსმნობა, ძალზე იოლია,
ჩაქუჩობაა ძნელი.

•

ბედნიერებით ლაღობდე, იოლია,
სიძნელეთა ძლევით – ძნელი.

•

სხვას იყენებდე, იოლია,
სხვას გამოადგე – ძნელი.

•

მკვეხარას კვერი დაუკრა, იოლია,
ზურგი შეაქციო – ძნელი.

•

კარგ მთქმელს წაუყრუო, იოლია,
კარგი გამგონი იყო – ძნელი.

•

ავის მკეთებელი იყო, იოლია,
მადლის მკეთებელი – ძნელი.

•

ამპარტავნება იოლია,
თავმდაბლობაა ძნელი.

•

სხვისგან ითოხნიდე, იოლია,
სხვებს უწილადო – ძნელი.

•

გამზირზე იარო, იოლია,
ვიწრო ბილიკზე – ძნელი.

•

ყვავილებს კრეფდე, იოლია,
კრეფდე „ვარსკვლავებს“ – ძნელი.

•

სამშობლოს გაყიდვა, იოლია,
პატრიოტი იყო – ძნელი.

•

ურცხვად იცხოვრო, იოლია,
სინდისის ნიხრით – ძნელი.

•

ავადსახსენებელი იყო, იოლია,
იყო კარგადსახსენებელი – ძნელი.

•

კარგადმყოფი ავადმყოფობდე, იოლია,
ავადმყოფი კარგადმყოფობდე – ძნელი.

•

ცრუდ ტრაბახობდე, იოლია,
სატრაბახოდ ცხოვრობდე – ძნელი.

•

სხვისი შეგშურდეს იოლია,
შენი რომ შურდეთ – ძნელი.

•

გაკვალულ გზაზე იარო, იოლია,
გზას, შენ კვალავდე – ძნელი.

•

არაკაცობით „კაცობდე“, იოლია,
კაიკაცობით კაცობდე – ძნელი.

•

კლდეზე გადაჩეხო, იოლია,
გადაჩეხვას გადაარჩინო – ძნელი.

•

უფალი, აუგად მოიხსენო, იოლია,
უფალს ჰმადლობდე – ძნელი.

•

სკოლამ გასახელოს, იოლია,
სკოლა ასახელო – ძნელი.

•

ადამიანის გაცნობა, იოლია,
შეცნობა – ძალზე ძნელი.

•

მუდამ სხვას ბაძავდე, იოლია,
შენ იყო მისაბაძი – ძნელი.

•

გარეგნული სისუფთავე, იოლია,
სულის სისპეტაკე – ძნელი.

•

ბევრთან ბევრი იყო, იოლია,
მარტოობაში ბევრობდე – ძნელი.

•

უძლურს აბუჩად იგდებდე, იოლია,
ღირსებით ეპყრობოდე – ძნელი.

•

ცუდს სხვაში ეძებდე, იოლია,
ეძებდე, შენს თავში – ძნელი.

•

უგნურთა შორის ბრწყინავდე, იოლია,
გონიერთა შორის – ძნელი.

•

სხვისი ნაშრომით პურდებოდე, იოლია,
სხვას აპურებდე – ძნელი.

•

ადამიანი სიტყვით მოკლა, იოლია,
სიტყვით განკურნო – ძნელი.

•

სასჯელს იხდიდე უზნეობისთვის, იოლია,
სიმართლის დაცვისთვის – ძნელი.

•

წარსულით ხარობდე, იოლია,
ხარობდე აწმყოთი – ძნელი.

•

სხვისი დამდაბლებით მაღლობდე, იოლია,
მაღლობდე შენი ამაღლებით – ძნელი.

•

სხვისი ჭკუით დადიოდე, იოლია,
ჭკუასაკითხავი იყო – ძნელი.

•

უპასუხისმგებლობა იოლია,
პასუხისმგებლობა – ძნელი.

•

სხვისგან ისარგებლო იოლია,
სხვისთვის ისარგებლო – ძნელი.

•

სიკეთის დავიწყება იოლია,
მუდამ გახსოვდეს – ძნელი.

(სულ: 116 ფრაზა)
2023 წელი.
თბილისი.

სამწუხარო პარალელები

აღმამსვლელს, შეჰხარის აქა–იქ ცოტა,
დაღმამსვლელს, „ლაშქარი“ ასხამს ხოტბას.

•

აღმამსვლელს, უღვთოდ აფრქვევენ თვალში ნაცარს,
დაღმამსვლელს, გულუხვად აყრიან „შაბაშს“.

•

აღმამსვლელს, ხშირად უბრობენ,
დაღმამსვლელს, ყოფას უმკობენ.

•

აღმამსვლელს, ხვდებიან ტალახის გუნდებით,
დაღმამსვლელს – კაჭკაჭთა გუნდებით.

•

აღმამსვლელს, ბილიკსაც ჩაუქაცვავენ,
დაღმამსვლელს, დარბაზებს მოუქარგავენ.

•

აღმამსვლელს, ხვდებიან ნარ–ეკლის კონებით,
დაღმამსვლელს, ხვევნა–კოცნა–ჩაკონებით.

•

აღმამსვლელს, ქვა–ღორღს დააწევენ,
დაღმამსვლელს, გმირობას შეაწევენ.

•

აღმამსვლელს, ისრებით გულს გაუგლეჯენ,
დაღმამსვლელს, სიმღერით ფიანდაზს გაუგებენ.

•

აღმამსვლელს, დაჰხარის, მხოლოდ არწივი,
დაღმამსვლელს – ყვავების ხროვა, ჩხავილით.

•

აღმამსვლელს, ამხნევებს უფლის ლოცვა,
დაღმამსვლელს, უგნურთა ხოტბა–როკვა.

02. 09. 2022 წელი.
თბილისი.

მსურს და... მძულს

პირობა დათქმული,
ფიცი არ თქმული,
სიტყვა კაზმული,
წერტილი დასმული
მსურს.

•

ვერთვოდე:
ქაფქაფა მდინარეს
და... არა მძინარეს,
სიმღერით ამბავს ყვებოდეს,
თან კენჭებს ეფერებოდეს,
ლოდებზე შემფრენ ტალღებზე,
სხივები ათინათობდეს...
მსურს.

•

ვხვდებოდე:
გათლილებს,
და არა წაშლილებს,
კარგად აღზრდილებს...
ვხედავდე:
საქმეში ჩართულებს,
ქსელში არ გართულებს,
არწაქცეულებს,

არდაჩოქილებს,
ხელარგაწვდილებს
მსურს.

•

მრუდე სარკესთან,..
როგორც თავხედთან,
როგორც ცრუს მთქმელთან,
ავის მზრახველთან,
თან ულმობელთან,
ცინიკოსთან და
სულის მჩაგვრელთან,
ჩავლაც...
მძულს.

•

სარკე, სუფთა და მართალი,
და არა გამწყრალი,
ვით მეგობარი,
თავს სწორად მაცნობდეს,
სიმართლეს ამბობდეს,
სიწრფელით – მამკობდეს,
სინაკლით მაკრთობდეს...
მსურს.

•

ვხვრეპდე რუს:
კამკამას,

რაკრაკას,
ანკარას;
მიგრილებდეს შუბლს,
მავიწყებდეს ცუდს,
ძალას მმატებდეს,
რწმენით მავსებდეს,..
მსურს.

•

ღრუბელი:
შავი და გრუხუნა,
რომელიც გვიხეთქავს გულს,
ჭექა–ქუხილით რომ გვემურება,
და...
ქვეყნის დაქცევა სურს;
მზეს, გზას რომ უღობავს,
უფლებებს უზღუდავს...
მძულს.

•

ლურჯ ცაზე,
მზე მწველი,
დღე – გრძელი,
წუთისოფელში მავალი,
მრავალი დღეგრძელი
მსურს.

•

ზღვა...
ვითომ წყნარი,
მზაკვრულად ავი,
თვალთვალით,
კატას რომ გაგონებს
მზეზე მწოლარეს,
თითქოს მთვლემარეს...
რომელიც არ ინდობს
თამამ მსხვერპლთ:
ტალღებზე „მოგზაურთ“,
ჯანმაგარ მეზღვაურთ;
ჩამხვევი ტალღებით
მოიმწყვდევს უბეში,
წამსვე რომ მოგუდავს
ბუნებით უხეში,
ადგილს რომ მიუჩენს
„უძღებ მუცელში“...
მძულს.

•

ველოდე მეგობარს:
სულგრძელს,
გამჭრიახს,
ერთგულს,
რომელიც არ გესვრის
ტალახის გუნდებს
და...

ზურგს უკან
არ ჩაგცემს ბებუთს,
მსურს.

•

ვერ ვიტან
მკვეხარას,
ანუ, მშიშარას,
გვერდით რომ უდგება
გაბღენძილ „კუნთმაგარს“,
წაქცეულს ფეხს წაგკრავს,
გადაგაბიჯებს,
და...
სხვასთან, სხვა ტონზე
დაიწყებს ტრაბახს,
დამცინავ ჩუქჩუქს,
ანდა,..
ხმადაბლა ჩურჩულს,
მძულს.

•

ვხედავდე ჰორიზონტს,
ნათელს და მკაფიოს,
მის ხილვად კონტურებს,
მოხატულ ქონგურებს;
ამხელდეს: მომხვდურებს,
დაცემულ მორწმუნეთ,

ზნედაცემულებს,
სამშობლოს მძარცველებს,
განძზე გამცვლელებს...
მსურს.

•

ვზივარ ნაპირთან,
გავყურებ ზღვას:
ლამაზს,
ტორტმანას,
ლივლივას,
წყნარს,
ძალზედ რომ წააგავს,
შენიღბულ ქალს – ფარულად ავს;
ის ფიქრებს მიწვალებს,
განწყობას მიმწვავებს,
ულმობელ წარსულით
მიმწარებს სულს;
რის გამოც...
არ მიყვარს კი არა,
ვნატრულობ კი არა,
სულ უფრო,
სულ უფრო,
სულ უფრო
მძულს!

•

ტაძარში მხვდებოდნენ...
არა, ვაჭრები –
 მლოცველთა სულის გამძარცველები,
არამედ:
ქრისტეს მოციქულები,
ღვთის მსახურები,
გზის გამკვლევები,
დაბნეულ „ცხვართა“ გადამრჩენები,
შემომქცევები...
მსურს.

•

ვესწრაფვი:
ოჯახის სავსობას,
ადათის განგრძობას,
ბავშვთა ანცობას,
მათ სიცილ–კისკისით
მინდორში გართობას;
სულის დათბობას,
ღიღინში განღმრთობას,
შრომაში განვრცობას,
ერთობით დატკბობას.
ასე რომ...
სუნთქვა კი არა,
სიცოცხლე კი არა,

ცხოვრება
მსურს.
•
უფალი მაწრთობდეს,
სიკეთე მაღმრთობდეს,
იმედი მათბობდეს,
წინაპართ ვამკობდე,
მომავალთ ვახსოვდე...
მსურს

08.03.2021 წელი.
თბილისი.

სხვადასხვა დროის განწყობები

* სული ისე დამიმძიმდა,
მისი ზიდვა გამიჭირდა.

* გულისცემა შემისუსტდა,
უძლურებამ შემისრუტა.

*ვეღარაფერს ვეღარ ვფიქრობ,
ვერცა ვგეგმავ, ვერცა ვცდილობ.

*დაბეგვილ მასად ვიქეცი,
არ მახსოვს, თუ წავიქეცი?!

* აღარავის აღარ უნდა უილაჯო.
თუნდაც სულში სიკაშკაშე დაინახონ.

* სამართალი დამდევს წესად,
სიმარტოვე დამიწესდა.

* ტელეფონი არავისგან არ ზარუნებს,
აღარც კარზე აღარავინ აკაკუნებს.

* აღარ უნდათ, უფინანსო გონიერი,
ურჩევნიათ ფულიანი, თუნდაც შტერი.

* დაღლილი ვარ უსაშველოდ,
და,.. წაშლილი უსაშლელოდ.

* ჯობია არ თქვა სიმართლე,
  კოცონზე დაწვას ინატრებ.

* ცხოვრებამ დამღალა, გული დაღარა,
  ნირი წაშალა, არც მინდა აღარა.

* სიკეთის ქმნას, არ უნდა გამხელა,
  უფლის გზა, უფრო გაგინათდება.

* ახლა, შემოდგომაზე, შემოდგომა ისე მჭირდება,
  როგორც შემომდგომს, შემცვლელი სჭირდება.

* დრომ არა, არ იცის მოცდა და შენდობა,
  უფლება არა გვაქვს, დავუშვათ შეცდომა.

* ფიქრში, ფიქრით წავიქეცი,
  ვეღარსად ვერ გავექეცი.

• მზე დღეს, ნავთჩალეული ჭრაქივით ბჟუტავს,
  უფერულობით, გულს და განწყობას ხუთავს.

* რა ძვირფასი ხარ, სამყაროვ – დედავ?!
  დასანანია,.. მოწყენილს გხედავ!

* თუკი, მეტს იზრუნებ სხვებზე,
  განწყობას იუმჯობესებ.

* მიწიერმა, უმოწყალოდ რომ გადამიარა,
უფალმა, გულუხვად, მის მადლს მაზიარა.

* ვიყავ მხოლოდ უფლის მონა,
ვერაკაცმა დამიმონა.

* ხელცარიელსა სტუმარსა, უხვადაც რომ მიმასპინძლეს,
რას ვუტოვებ წუთისოფელს?

–კარგ შთამომავალს,.. ჩემს წიგნებს!..

2018 – 2024 წწ.

თბილისი.

საბავშვო

პირველი თოვლი

პეპლებივით ფარფატებენ ფიფქები,
იმდენია?! ეს არავინ იცის,
როგორ მიყვარს მე ეს თეთრი ფიფქები?!
ვზივარ მარტო და ფანჯრიდან ვითვლი.

ერთი, ორი... ამერია ყველა,
ლამის დავთვრე, ისე სწრაფად რბის,
ისე სწრაფად ეშვებიან ველად,
თოვს, ფიფქები... ვით თრითინა თრთის.

ოხრავს ზეცა, ემატება ფიფქი ფიფქს,
ვემზადები საგუნდაოდ მეც,
თოვლის პაპას გავუკეთებ ბავშვებს,
იმათ, ნატვრა აუსრულდათ დღეს.

03.01.1982 წელი.
13 სთ.
ქუთაისი.

ზარმაცი ნია

ზარმაცია ჩვენი ნია,
უფროსების არ ესმის,
დაარიგებ? არ შეისმენს,
და თვალებით ქვას გესვრის.

აღუმართავს ცერი ზევით,
ხან გარბის, ხან გამორბის,
საქმეშიც დაგეხმარება,..
სწავლა კი?.. არ გამოსდის.

21. 02. 2022 წელი.
თბილისი.

სამი წლის კორექტორი

–სათვალეებს ხედავ ტახტზე?
მომიტანე ბარბარე!
–ბებო! ეს ხომ ერთი არის?
უნდა გეთქვა სათვალე!

19.01.2021 წელი.
თბილისი.

ყოჩივარდა

ყოჩივარდა გაიბუტა,
აღიარა გულის დარდი:
–ყოჩივარდას რად მეძახით?!
არც ყოჩი ვარ და არც ვარდი!

31.07. 2021 წელი.
თბილისი.

ნაუბრები

ღია ბარათი, ნ. ბარათაშვილს:

კვლავაც „მოღელავს მტკვარი“,.. ოღონდ მღვრიე, არა ანკარა,
„და მის ზვირთებში“,.. აღარც მთვარე კრთის, აღარც მზე თაკარა.

18. 04.2022 წელი
თბილისი.

•

მიწიერმა უმოწყალოდ რომ გადამიარა,
უფალმა გულუხვად მის მადლს მაზიარა.

16.03.2023 წელი.
თბილისი.

•

ახლა, შემოდგომაზე, შემოდგომა ისე მჭირდება,
როგორც შემომდგომს შემცვლელი სჭირდება.

31.12.2022 წელი.
თბილისი.

•

დრომ არა, არ იცის მოცდა და შენდობა,
უფლება არა გვაქვს, დავუშვათ შეცდომა.

17.02.2020 წელი.
თბილისი.

•

რაღაცის გაკეთებას ვახერხებ და
რაღაც–რაღაცეებს გვერდს ვუვლი;
ვიღაცას, მთელს სიცოცხლეს ვჩუქნი...
ვიღაცას, ლუკმასაც ვერ ვუწვდი.

23.11.2019 წელი.
თბილისი.

•

დაღლილი ვარ უსაშველოდ
და წაშლილი უსაშლელოდ.

27.09.2023 წელი.
თბილისი.

•

მზე დღეს, ნავთჩალეული ჭრაქივით ბჟუტავს,
უფერულობით, გულს და განწყობას ხუთავს.

28.10.2023 წელი.
თბილისი.

•

სიკეთის ქმნას, არ უნდა გამხელა,
უფლის გზა, უფრო გაგინათდება.

03.05.2023 წელი.
თბილისი.

•

უფალი გულით შეიყვარე და შეგიყვარებს.

03.09.2023 წელი.
თბილისი.

•

სიხარული ჩანაცრდება,
წუხილით თუ ჩანაცვლდება.

01.01.2021 წელი.
თბილისი.

•

ვინც, სარჩო–სარგებლის აპარატს გამთიშა,
პასუხად, უფალმა ცხოვრებას გათიშა.

07.04.2022 წელი.
თბილისი.

•

შუხუთი – ჩემი გურია,
ჩემთვის – სამყაროს გულია.

18.04.2023 წელი.
თბილისი.

•

რაც მეტს იზრუნებ სხვებზე,
განწყობას იუმჯობესებ.

05.02.2024 წელი.
თბილისი.

•

წვიმს და წვიმს,
სარეცხი არ შრება,
ღრუბელს მზე ჩაუკეტია,
არ სურს მისი გამოჩენა.

23.06.2023 წელი.
თბილისი.

•

გარდაცვალებულს ცრემლი რად უნდა?!
იქ აღარ არის შესაცოდები,
მას სიცოცხლეში ჰკითხე, რა უნდა?
და მიაწოდე მისაწოდები.

30.10.2022 წელი.
თბილისი.

•

ალბათ ჯერ კიდევ საჭირო ვარ,
რადგან, უფალმა სიცოცხლე გამიგრძელა,
საქმე? იცოცხლე, მაქვს თავსაყრელად,
ძალებს მოვიკრებ, გულმა თუ დამიჯერა.

12.04.2022 წელი.
თბილისი.

•

ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლის ხელყოფას
ღვთისგან მოველი;
ვინ მოგვცა უფლება, ერთმანეთს ვუმოკლოთ,
წუთისოფელი?!

05.05.2017 წელი.
თბილისი.

•

ჭეშმარიტება იშვება,
ორი კაციც რომ დაობდეს,
ქართულ ადათს გავუფრთხილდეთ,
არ გაფუჭდეს, არ დაობდეს.

03.12.2021 წელი.
თბილისი.

•

როგორ მომბეზრდა ერთფეროვნება,
ნამზეურებით გადახუნება?!
გამოფხიზლებას, ახლის დანახვას,
სჭირდება ძველის განადგურება.

03.09.2020 წელი.
თბილისი.

•

დღესაც წვიმს,
ცივა.

ცრის.
ჰაერი ბაცია.
ოთახში ვზივარ,
თბილად მაცვია.

26. 11. 2021 წელი.
თბილისი.

•

სამყარო მოწყენილია,
მზესაც კი უჭირს ნათება,
ცხოვრება ისე გაჭირდა,
მოგვიწევს ჭრაქის ანთება.

30. 11. 2021 წელი.
თბილისი.

•

რადგან ჩემი გულისთქმები
ჯანსაღია, თან ქაცვური,
ამიტომაც ვარ ეული
და ტოტებშემოძარცვული.

22. 08. 2021 წელი.
თბილისი.

•

სულით თუ არ დაეცემი,
მარჯვედ თუ მოიქნევ წერაქვს,

ჩახერგილ გზებს გაიკაფავ,
და დაიპყრობ კიდეც მწვერვალს.

11. 10. 2021 წელი.
თბილისი.

•

არ უყვართ სტუმრობა,
როცა არ ელიან,
მით უფრო სიკვდილის,
წუხილით ხვდებიან.

11.06. 2022 წელი.
თბილისი.

•

წასვლა სტუმრისა დროულად,
სიბრძნეა ვისაც სჩვევია;
უმტკივნეულოდ ადგილის თმობა,
კულტურაა და ოქროს წესია.

11.06. 2022 წელი.
თბილისი.

•

მეგობრობა რომ გაწყდება,
ძველებურად არ აღდგება,
გადაბმა კი მოხერხდება,
თუმცა, კვანძი ხინჯად რჩება.

29.06. 2022 წელი.
თბილისი.

•

სიცოცხლე საჩუქარია,
გარდაუვალია სიკვდილი,
ცხოვრება საამურია,
თუ არ აწუხებ ჩივილით.

01.01.2021 წელი.
თბილისი.

•

ცხოვრებამ დამღალა,
გული დაღარა,
ნირი წაშალა,
არც მინდა აღარა.

07.04.2022 წელი.
თბილისი.

•

მთვარე გამინაწყენდა,
თითქოს მახე დავუგე,
–არსად გაგხსენებივარ,
მზეს, კოშკები აუგე!

25.08. 2022 წელი.
თბილისი.

•

მორცხვმა და გაუბედავმა,
ვძლიე დიდი ბარიერი,

მშობლები ბედნიერია,
მე კი, უფლის მადლიერი.

17.05.2020 წელი.
თბილისი.

•

საქმე იქამდე მივიდა,
აჯანყდა დიდი, პატარა,
მთავრობა გამოიცვალა,
„დიდი რეფორმა“ გატარდა.

23.12.2017 წელი.
თბილისი.

•

ბადრიმ ყორე, შემოავლო
სოფლის ეზოს, ქვით და კირით,
ჩიტი ჩიორა, ამ დროს გაბმულად,
გაიძახოდა: ქვით–კირ, ქვით–კირი.

25.11.2017 წელი.
თბილისი.

•

მე რომ შემეძლოს, შემოვიღებდი
ოსკარს „შვილობის“ უპირველესად,
და ამ ტიტულის პირველ მფლობელად

ვაღიარებდი, ძვირფას ქეთევანს.
(ქეთევანი, ჩემი მეგობრის, მალვინა კუკულაძის შვილია.)

04.12.2023 წელი.
თბილისი.

•

ზეცაში აჯარებაა,
ღრუბლები სადღაც მიდიან,
–ხომ მშვიდობაა ნეტავი?!
მათ, მისი საქმე იციან.

13.08.2018 წელი.
მანგლისი.

•

<u>ნინო საგინაშვილს – 8 შვილის დედას.</u>

ნინო! წმინდა ნინოს დარო!
ქალის ეტალონი ხარო;
შექებას, არც კი შეიშნობ,
–მე, რა? ღვთის ნებითა ვარო.

04.07.2017 წელი.
თბილისი

•

გული ხშირად ბაგა–ბუგობს,
გაუჭირდა, მკურნალს ითხოვს;
ხან კი, მამცნობს გადაღლას,
პულსი თუკი დავარდა.

23.09.2022 წელი.
თბილისი.

•

უსულგულობამ, დაუკარგა სიკეთეს ყავლი,
მუქთად მშოვნელმა, გადაავსო ბეღლებიც, სახლიც,
უშრომლად ნაშოვნმა, ოფლით მოწეულს დაუგდო ფასი.

16.10.2022 წელი.
თბილისი

•

დროში დაკარგულს როცა შეხვდები,
გიდის მისიით ამცნე გაყოლა,
გულს გადაუშლი? არ გაგიკვირდეს?!
მოეწონო და იგრძნო თანხმობა.

29.11.2020 წელი.
თბილისი.

•

კვლავ „ვბოდიალობ“ წუთისოფელში,
უფალი მწყალობს ლაბირინთებში,

ამ ჯახირობებს, თავს რომ დავაღწევ
გავემგზავრები ზე, ზესოფელში.

23.10. 2023 წელი.
თბილისი.

•

აბა რა სჯობს გაზაფხულზე,
მაძღარ კვირტებს შესცქეროდე,
გიღვიძებდეს ხვალის იმედს,
გულში რწმენას შეგმღეროდეს.

20.03. 2019 წელი.
თბილისი.

•

წარსულისა და დღევანდელობისთვისაც,
უფალს უნდა, უჩინარი მაჩინოს,
ჩრდილში მდგარი, ჩადრჩამოფარებული
სხვებისთვისაც რომ გამხადოს საჩინო.

08.03.2024 წელი.
თბილისი.

•

წუწუნს არა ვარ ჩვეული,
არც ვაი-ვიშს და მიმოთქმას,

გულს ჩაკეტილს და ჩარაზულს
გახსნის, ნაფიქრთა ამოთქმა.

18.07.2018 წელი.
თბილისი.

•

ყურს არ ვუგდებთ, წავუყრუებთ,
გულის კაკუნს კარებზე?!
როცა კარებს შემოანგრევს,
ვრჩებით, ჯანის გარეშე.

23.09.2022 წელი.
თბილისი.

•

შემოძარცვია ხურმას ფოთლები,
დახუნძლულია ქარვის მძივებით,
გაძლებაზეა მხრებჩამოყრილი,
ვერ ელევიან დედას შვილები.

17.11.2022 წელი.
თბილისი.

პროგრამა

წერილი დასასრულია

გზადაგზა ნაფიქრალები

ბავშვობაში გასაკეთებელი

ბავშვობა ურთულესი პერიოდია იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ამ დროს ეყრება საფუძველი შენს მომავალს.

თუ ჩამორჩი, რაიმე თუ გამოგრჩა, ვერასოდეს დაეწევი.

ბავშვობაში გასაკეთებელი, ბავშვობაში უნდა გააკეთო. შემ–დგომში, დაწევის მცდელობისას, მიხვდები, რომ გამოტოვებული სიცარიელის შევსება დაგვიანებულია.

რაც შეეხება ბავშვური ცხოვრების სილაღეს, იმაში გამოიხ–ატება, რომ არ დარდობ და არ ზრუნავ:

საცხოვრებელზე,
სასმელ–საჭმელზე,
გათბობაზე,
ჩაცმა–დახურვაზე,
ბინის მოწყობაზე,
ჰაერის გამოცვლაზე,
კომუნალურ გადასახადებზე,
წასვლა–მოსვლის ორგანიზებაზე,

სტუმრის დახვედრის პასუხისმგებლობაზე.

მოფერების და სიყვარულის ობიექტი ხარ ოჯახში,

შენს გახარებაზე არიან ორიენტირებულნი.

გონივრულად გამოიყენე ეს შეღავათები და ცხოვრება გაგიიოლდება დიდობაში!

06.05.2022 წელი.
თბილისი.

ადამიანთა დამაკავშირებელი

ადამიანები ერთმანეთისთვის იმიტომ არიან საინტერესონი, რომ განსხვავებული ხედვა, განსხვავებული ინტერესები და განსხვავებული მეცნიერებები აინტერესებთ.

ურთიერთობებიც აქედან ყალიბდება. საუბრებითა და კითხვების დასმით გებულობენ ერთმანეთის ხედვებს, აზრებს, გემოვნებებს, მისწრაფებებს.

ხიბლიც სწორედ იმაშია, რომ ზოგს ვარდი მოსწონს, ზოგსაც ია; ზოგს ცეკვა უყვარს და ზოგს კი სიმღერა; ზოგს ექიმობა მოსწონს და ზოგს – გეოლოგობა; ზოგი ხეხილის გაშენებას მისდევს და ზოგი ფუტკრების ოჯახებზე მზრუნველობას...

აბა წარმოიდგინეთ, ყველა ერთნაირი მიმართულებით რომ ინტერესდებოდეს, მაშინ საკვებიც ერთნაირი იქნებოდა და ადამიანებიც ერთი პროფესიისანი.

თუკი ყველა იდენტური იქნება, მაშინ ერთმანეთთან რაზე უნდა ისაუბრონ?! იქნებიან ინკუბატორის წიწილებივით, მხოლოდ ჭამასა და დასვენებაზე ორიენტირებულნი.

რა მოსაწყენი იქნებოდა სამყაროს ერთფეროვნება?

აზრების გაზიარება საუკეთესო რამაა, იგი ადამიანთა დამა–კავშირებელია. მონატრებასაც აზრთა გაზიარების სურვილი იწ–ვევს. ერთმანეთთან მიმოსვლისა და სატელეფონო საუბრების სურვილი ამიტომაც გაგვაჩნია.

თუკი აზრის გამზიარებელი გყავს და თავადაც კარგი მსმე–ნელი ხარ, ე.ი. მარტო არა ხარ და მაშინ,.. ცხოვრებაც და სი–ცოცხლეც საინტერესოა.

09.04.2023 წელი.
თბილისი.

აზროვნების სპექტრი

ყველა ადამიანის ცხოვრების წესი, მოქმედების არეალი სხვადასხვანაირ განზომილებაშია, აზროვნების სხვადასხვა სპექტრში მოგზაურობენ, სხვადასხვანაირი ხედვა აქვთ ამა თუ იმ დროსა და სივრცეში. ამიტომაც, ადამიანებს ასახვის სხვადას–ხვანაირი მიდგომა აქვთ სიტყვებში გამოხატული.

მაგ.: ფილოლოგი სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ მოღ–ვაწეებთან ერთად დააბიჯებს ხელიხელჩაკიდებული.

ისტორიკოსი, კაცობრიობის არსებობაში ცვლილებებთან, ახალ–ახალ საზღვრებთან და რუკებთანაა შერწყმული, და ამ გა–მუდმებული სიახლეების ეპიცენტრიდან შეჰყურებს სამყაროს გლობალურად.

ყველა დარგის სპეციალისტი პროფესიის შესაბამისად აზ–როვნებს და სამეტყველო ლექსიკონშიც იკვეთება დარგობრივი ლექსიკა.

ჩემს შემთხვევაში კი, როგორც არაჰუმანიტარული დარგის მიმდევარი და მოყვარული, სკოლიდან მოყოლებული, მათემატიკასთან – ზუსტ და ლაკონურ მეცნიერებასთან ერთად მოვდივარ გადაჭდობილ მდგომარეობაში. ამიტომ ძალიან უბრალოდ, ლაკონურად ვაზროვნებ და ასევე ვწერ. ჩემი ჩანაწერები გაჯერებულია ყოველდღიური სასაუბრო თუ სამეტყველო სიტყვათა კონითა და დიალექტითაც. ვცდილობ, დიდი სათქმელი ერთ წინადადებაში ჩავატიო.

გლობალურ სამყაროში არ ვგრძნობ თავს. ამიტომ წერითაც ვწერ ჩემი ფიზიკური ყოფითობის არეალის შესაბამისად, თვალით დანახულიდან და გულით შეგრძნობილიდან გამომდინარე.

07.04.2022 წელი.
თბილისი.

გარდაცვალება და სიკვდილი

წუთისოფლიდან გაუსვლელი არავინ რჩება, მაგრამ ზოგი სიკვდილით მიდის, ზოგიც – გარდაცვალებით.

ადამიანის წუთისოფლიდან გასვლა ჭირისუფლისთვის ისეთი სასჯელია, რომლის წინაშეც უძლურია ყველა გარშემომყოფი: თუნდაც ზღვა მეგობარი, ზღვა სანაცნობო, თუნდაც დამწუხრებული მსოფლიო.

ვერც სიტყვა, ვერც ზღვა თაიგული, ვერც ზღვა ცრემლი, ვერც მის სახელზე ანთებული ჩაუქრობელი კანდელი და სანთელი და ვერც უსაზღვრო მატერიალური დახმარება ვერაფერს შეცვლის; ეს ყველაფერი კარგად დადგმული სპექტაკლია, რო–

მელიც სულიერად დამწუხრებულს, მწუხრს დროებით აისად მოგაჩვენებს, ჩამოქუფრული ცა ცოტათი გაიხსნება და მზის სხივი იმედად გამოანათებს ღრუბლებს შორის; გულს მოგიოხებს, შვებას იგრძნობ ცოტათი.

სიკვდილი უშეღავათო სასჯელია ჭირისუფლისთვის.

გარდაცვალება კი...

გარდაცვალება ფიზიკური ტვირთის შემსუბუქებაა, რომლის შემდეგაც კარგა ხანს გტკივა ზურგი, თუმცა უზარმაზარ შვებას გრძნობ, არ ისრისები მხოლოდ აუცილებელი ტვირთის ზიდვით, რადგან უკიდეგანო შეღავათია, თუკი გარდაცვლილმა ღირსეულად დატოვა წუთისოფელი ღვაწლმოსილების გამო. თუ ჰქონდა ისეთი გამოგონება, ისეთი ნაშრომი, ისეთი შემოქმედება ან ისეთი შთამომავლობა ჰყავდა, რომელიც უკვდავყოფს მის სახელს, თუნდაც ერთი საუკუნის განმავლობაში.

სწორედ, გარდაცვლილის ღირსეული დანატოვარი იქნება ჭირისუფლის შეღავათი, გარდაცვალებით გამოწვეული ტვირთის შემსუბუქება და საოხი.

ეს იქნება ჭეშმარიტი გარდაცვალება ანუ ადამიანის სახეცვლილება.

თუმცა,.. ეს ხომ ერთეულთა შორის ერთეულთა ხვედრია?!

12.06.2021 წელი.
თბილისი.

გაუფრთხილდი და ასახელე

როცა საქართველოში – სამშობლოში, იქცევი ცუდად, ან ვინმეს შეურაცხყოფ, ამით შენს გვარსა და ოჯახს შეურაცხყოფ.

შენ! საქართველოში, ანუ სამშობლოში, შენი გვარისა და ოჯახის სახე ხარ!

როცა, საზღვარგარეთ იქცევი ცუდად, ან ვინმეს შეურაცხყოფ, ამით საქართველოს, ანუ სამშობლოს შეურაცხყოფ.

შენ! საზღვარგარეთ, საქართველოს, ანუ სამშობლოს სახე ხარ!

გაუფრთხილი შენს გვარს, ოჯახსა და საქართველოს, ანუ სამშობლოს!

ასახელე შენი გვარი, ოჯახი და საქართველო, ანუ სამშობლო!

28.07.2023 წელი.
თბილისი

გზის დასასრულს

ყველა ხეს როდი მოსთხრის ქარბუქი ან როდი წალეკავს ნიაღვარი?!

ან კიდევ, კარგად შერჩეულ ალაგზე, კარგად ნაშენ სახლს საფუძველს იოლად როდი გამოუშლის დროებითი ღვარცოფი?!

ძლიერმა ქარმა, ძლიერ ხეს, შეიძლება სუსტი ტოტები შეამ–ტვრიოს, მაგრამ დროთა სვლაში მოიშუშებს იარებს და თუნდაც ხეიბარ მდგომარეობაში გააგრძელებს დგომასა და სარგებლის მოტანას წუთისოფლისთვის.

შემდეგ კი, კარგი ნაყოფიერებისთვის, მისი ხსენება დიდ–ხანს გაგრძელდება გარდაცვალების შემდეგაც.

ასეა ადამიანიც.

კარგად აღზრდილი და სწავლაში დამოუკიდებლად ნაწრ–თობი ადამიანიც მყარად დგას. თუნდაც მწვერვალები ვერ დაიპ–ყროს, სადაც დგას, იქაც ფასდება მისი შრომა და გონიერება, წონასწორობას არ დაკარგავს, სასოწარკვეთილებაში არ ჩავარ–დება; მიწაზე დანარცხებისასაც გულდინჯად წამოდგება, ნელ–ნე–ლა წელში გასწორდება და კვლავ გააგრძელებს ცხოვრებას, ჩვეულ რიტმში.

ყურადღებას არ მიაქცევს მოსეირეთა დამცინავ მზერას.

მშრომელ და ძლიერ ადამიანს არ სცალია სასეიროდ, სხვის გასაკილად ან დასაცინად. თუკი წაქცეულს შენიშნავს, მივა და ღირსეულად წაეშველება, გვერდში დგომით ტკივილს შეუმსუბუ–ქებს და დააიმედებს.

ადამიანთა სულის განადგურებაზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოება, თუმცა, აქაც სუსტები ხდებიან მსხვერპლნი.

თუკი წინააღმდეგობას ვერ უწევ დაბრკოლებას, გვერდი აუქციე და სხვა გზით იარე.

სამყარო იმდენად დიდი კია, გვერდის აქცევა რომ შეძლო უმტკივნეულოდ და გააგრძელო გზა სხვა მიმართულებით, მტკი–ცედ და გონივრულად.

კიდევ შეგხვდება მსგავსი დაბრკოლება სახეცვლილებით?! იქაც არ უნდა მიიმტვრიო ცხვირ–პირი.

გზა ყოველთვის არსებობს, გამოსავლის.

გზის დასასრულს, სიცოცხლის ბოლოს, როცა განვლილ ცხოვრებას უკან მოუხედავ, დაინახავ შენს ნაკვალევს, ლაბირინ–თის სახით.

თუ ეს ტრაექტორია მხოლოდ სწორხაზოვანია, ე.ი. უფერ–ულად გაგივლია ცხოვრება, ან ვიღაცის ზედამხედველობისა და მფარველობის ქვეშ.

თუ ტეხილი და მრუდე ხაზები ბევრია, ე.ი. გიბრძოლია და გამოწრთობილხარ. სათქმელიც გექნება შთამომავლობასთან მოსაყოლი ან თუნდაც უცნობთა დასაინტერესებლად.

რომელ კვანძთანაც უფრო დიდხანს იყავი და იჯახირე, ე.ი. ძნელი ამოცანის წინაშე იდექი.

ადამიანის სავლელი გზა სუფთა ფურცელია, რომელზეც შენს მიერ ნაშრომ–ნამოღვაწარი კვლებად გვირისტდება.

გზის დასასრულს...

თუ ფურცელზე ლამაზი გვირისტითაა ხვეული ლაბირინთე–ბი, ანუ შენი ნაკვალევი ამოტვიფრული, მაშინ სასიამოვნო და საგულისხმო მოსაგონარი დარჩება ოჯახს, შთამომავლობასა და ნაცნობ–მეგობრებს შენს შესახებ.

და... მადლმოსილი, ბედნიერი მიიცვლები.

08.04.2023 წელი.
თბილისი

დამაბრკოლებელი და გამამხნევებელი

ადამიანი რაღაც გადაწყვეტილებას ფიქრებში იღებს, რაშიდაც სასვენი ნიშნები ეხმარება.

კითხვითი ნიშანი ნაბიჯის გადადგმას მიკრძალავს, გადაწყვეტილების მიღებაში მაბრკოლებს, ეჭვქვეშ აყენებს ჩემს მოსაზრებას. მამაჩემის ბუნებრივად მკაცრ, სქელწარბებშეკრულ მდგომარეობას მახსენებს, რომელიც უსიტყვოდ მაგრძნობინებდა:

– სად მიხვალ?

– რას აკეთებ?

– როდის დაბრუნდები?

კითხვითი ნიშანი გაორჭოფებს, გზაზე დამდგარს უკან მოგაბრუნებს; გადაწყვეტილების მიღებაში ხელს გიშლის; ზოგჯერ უტყუარ საქმესაც სასწორზე შეგაგდებინებს, თუკი საპირისპირო, დამაჯერებელი არგუმენტებით შემოიჭრება და შეიძლება საქმე ჩაშალოს; ან პირიქით, სასწრაფო საქმისკენ გაქცეულს, რაღაც მივიწყებულს შეგახსენებს, რომ ის უფრო მთავარია, არ დაგავიწყდესო და მისამართს შეგაცვლევინებს.

ხან, ისე შეიბურები კითხვითი ნიშნებით, ერთ ადგილზე გაგაშეშებს. საიდან დაიწყო და პასუხი რომელს გასცე, არ იცი.

მოკლედ, დაბნეული ხარ.

ძახილის ნიშანი კი, გადაწყვეტილების მიღების ფიქრებში გართულს, წინსვლისკენ გიბიძგებს, გამამხნევებლად შემოგძახებს და შეგაგულიანებს:

– წადი, ნაბიჯი გადადგი, არ წასვლას სვლა სჯობს! ჭეშმარიტება და სიმართლე წინსვლაში გაირკვევა! ხან ჩაგძახებს, რომ

შეცდომას უშვებ და გადადგმულ ნაბიჯს უკან გადმოგადგმევ–ნებს.

ანუ, ძახილის ნიშანი გმოძღვრავს, რჩევას გაძლევს, სხვა–დასხვაგვარად შეგაგონებს:

– იარე, ერთ ადგილზე ტკეპნა მცონარად გაქცევს და დამ–დგარ წყალს დაემსგავსები, დროთა სვლა რომ აბინძურებს!

– უსარგებლო, გამოუსადეგარი და უარყოფითი აზრები გულს გამოგხრავს!

– არ შეჩერდე!

– თუნდაც წარუმატებელი დარჩე, სვლა არ შეაჩერო!

•

წარმატება ნელი ნაბიჯით მოდის, თავშეკავებულად.

იგი არ მოჩუხჩუხებს.

იოლად რომ გეგებებოდეს, მაშინ დიდი სიხარულის მომ–გვრელიც არ იქნება და ფასდებულიც!

წარუმატებლობები გწვრთნის!

გაკაჟებს!

ბრძოლის ჟინს გიზრდის!

ჩაფიქრებას და დაფიქრებას გასწავლის!

განსჯის უნარს შეგმატებს!

სიბრძნეს გაზიარებს!

სხვისას კი არა, შენი წატეხილი ფეხის ტკივილზე გამოწრ–თობილ სიბრძნეს.

კითხვითი და ძახილის ნიშნების ურთიერთმონაცვლეობა, გადაწყვეტილებებს აფორმირებს. ხან გეხმარება, ხან გაბრკო–ლებს.

ხან წინ მიდიხარ და ხან უკან იხევ.

ხან წყაროს წყალივით გარაკრაკებს, ხან კი... ბორკილს და–გადებს და ერთ ადგილს მიგაჯაჭვავს.

და მაინც...

კითხვითი ნიშანი შემაყოვნებელია და დამაბრკოლებელი.

ძახილის ნიშანი კი,.. გამამხნევებელი, შემომძახებელი და შემაგულიანებელი.

18.01.2021 წელი.
თბილისი.

დაუცველობის სინდრომი

დაუცველობის სინდრომი ბავშვობაში შიშს იწვევს, როცა რაღაც პრობლემა შენი გადასალახია და სხვა ვერ, ან არ გეხმა–რება.

შეშინებული და დაფეთებული თვალებით ებრძვი პრობლე–მას, რომელიც გადაულახავი გეჩვენება, თუმცა გადალახვის შემ–დეგ გამოცდილებას გძენს.

თავდაცვის იმუნუტეტი გეზრდება.

შემდეგ ეჩვევი.

ბრმად აღარ დგამ ნაბიჯს.

გამოცდილს ცხოვრება აღარ გეჩვენება ისე რთული, როგო–რიც გეგონა თავდაპირველად.

უკვე სხვას ეხმარები შიშის დაძლევაში და კიდევ და კიდევ უფრო ძლიერდები. ზოგჯერ ჭკუასაკითხავიც კი ხდები.

მშობლის როლის დაკისრება კიდევ უფრო გიმძაფრებს თავ-დაცვის ინსტინქტს და შვილებთან კრუხივით ხარ. თავიდანვე და-მოუკიდებლობას აჩვევ მათ, რათა მათაც არ გაიარონ დაუცვე-ლობის შიშის მწარე განცდა.

გადის წლები.

ასაკი გემატება.

პრობლემები აღარ გინდა.

ბავშვობას უახლოვდები და უსუსურობაც გიჯდება ძვალ-რბილში.

გამოცდილება არ გშველის.

შინაგანად უძლური ეძებ დამხმარეს, მცველს, რომელიც არ, ან იშვიათად გიდგას გვერდით.

ან, არ კადრულობ დამხმარეს „გამოძახებას“.

დაუცველობის სინდრომით ბავშვობას უბრუნდები და ზოგ-ჯერ ვეღარ გამოდიხარ ამ ჩიხიდან.

23.04.2021 წელი.
თბილისი.
მთაწმინდის პარკი.

დედა დედასამშობლოცაა

(ანბანური ინტეგრალების მოტივებზე)

დედა დედასამშობლოცაა და დედასამშობლო დედაცაა.

დაუძლურებული დედისა და დედასამშობლოს დატოვება დროებითი დროსტარებისთვის დანაშაულია.

დედაც და დედასამშობლოც დაუდევრობით დაგეკარგება და დაგეღუპება.

დრო დაგაბრძენებს.

დაკარგულის დაბრუნებას დაიჩემებ?

დედის დაბრუნება დაგვიანებულია და დაუშვებელი – დედა–მიწასთანაა დაკონებული.

დედასამშობლოს დასაბრუნებლად დაეჭიდები დამპყრობთ? დაილეწები, დაიბეგვები, დაიჩეჩქვები და დედასა და დედასამ–შობლოსავით დაგტკეპნიან დედამიწაზე.

დედის და დედასამშობლოს დამკარგავს, დაგვიანებით, დაღვინებისას დაგაჟღნობს დარდი.

დანაკარგით დაღდასმული, დაბეჩავებული, დარეტიანებუ–ლი, დედისა და დედასამშობლოს დასატირებლად დაიჩოქებ დედაღვთისმშობელთან.

დარდით დაღარული დაემხობი დედამიწას.

დაგვიანებულს დატირება დაგამშვიდებს?!

დაუწყებ დედამიწას დატორვას, დაიტირებ...

დაუძლურებული დასრულდები და დატოვებ დედა–დედასამ–შობლოს, დასისხლიანებულსა და დედაბუდიანად დარდშებუ–რულს.

დაუძლურება დააკნინებს, დააჩიავებს დედასამშობლოს და დაუცველობით დაობლებულს, დავრდომილს დაემსგავსება.

დუმილით, დროულ დახმარებას დაელოდება დღითი დღე დაგლახებული და დაჩაჩანაკებული დედასამშობლო.

დაუცველობა დაღუპავს დედასამშობლოსაც და დასასრულს დაუძლურებული დადუღაბდება დედამიწაზე.

დასანანია, დამპყრობნი დაეპატრონებიან დედაღვთისმშობ–ლისგან დალოცვილ, დოვლათიან დანატოვარს, დედა–დედა–სამშობლოს.

დარდით დამდუღრული დედაღვთისმშობელი დაიტირებს და დაივალდებულებს დედასამშობლოს დედაბოძობას, დასაბა–მისაებრ დასასრულამდე.

დროულად დაუდექით დედასა თუ დედასამშობლოს დამ–ცველადაც და დარაჯადაც!

და...

დედაღვთისმშობლის დალოცვა, დარდებს დაგიამებს და–სასრულამდე.

03.05.2024 წელი.
თბილისი.

თვალთვალი

სხვაზე თვალთვალი ჭკვიან, თავდაჯერებულ, შინაგანად ინ–ტელექტუალურ, ან მრავალმხრივ შემოქმედ ადამიანს არ ახასი–ათებს და ამისთვის არც სცალია, რადგან იგი თავისი საქმითაა დაკავებული, შრომაშია გართული, ან წასასვლელია სადღაც, ან ვიღაცას სჭირდება, ან ვიღაცას ელოდება და ა.შ.

ზარმაცი, უსაქმური, პრიმიტიულად მოაზროვნე, უსარგებ–ლო ადამიანია დაკავებული ხშირად თვალთვალით. ზუსტად იც–ის, მეზობელი როდის გავიდა სახლიდან, როდის დაბრუნდა; კა–მათობს და ჩხუბობს, თუ ბედნიერი წაიმღერებს ხოლმე სახლში.

თუ ამ ყველაფრის მიზეზები ვერ გაიგო, იწყენს, სხვასთან გააბამს ჭორაობას და... ამოისუნთქავს, თუკი ვინმესგან დააზუს–ტებს რაიმე ინფორმაციას თვალთვალის ობიექტზე.

თვალთვალის ობიექტი მაშინ ხდება ოჯახი, ან პიროვნება, თუკი მოთვალთვალესთან მხოლოდ მისალმებითი ურთიერთო–ბით შემოიფარგლება.

თვალთვალი უსარგებლო, დამამცირებელი თვისება და „ხე–ლობაა“.

თვალთვალი, არასრულფასოვანი ადამიანის სინდრომია.

საცოდავია და სულიერად გაუწონასწორებელი მოთვალ–თვალე ადამიანი.

თვალთვალი სასარგებლოა და გამართლებული პარტიზა–ნული რაზმებისთვის, მომხვდური მტრის დაბანაკებისა და მისი საიერიშო გეგმების შეტყობის მიზნით, რათა მოხერხებულად უკ–უაგდონ მტერი.

მეზობელზე თვალთვალი კი უგვანო, ბილწი საქციელია, ყოვლად უსარგებლო და უვარგისი ადამიანის თვისებაა.

03.03.2021 წელი.
თბილისი.

მარადიული სიყვარულის სიმბოლო

იგი ყველასთან მიდის.

არა აქვს მნიშვნელობა, რა ასაკის ხარ.

მას ყველა უყვარს.

იგი, ყველას სამარადჟამო სიყვარულს ჰპირდება სხვადასხვანაირი ფორმით.

მისგან განშორება და ღალატი გამორიცხულია.

მთელი ცხოვრება მასთან შეხვედრის ფიქრი დაგსდევს, ნერვიულობ, მოლოდინის რეჟიმში ხარ...

ზოგჯერ, საყვედურიც კი წამოგცდება, დაგვიანებაში ადანაშაულებ...

იგი ჩვენი მეორე ნახევარია დაბადებისთანავე, მაგრამ მის არსებობასა და მასთან ჩვენს აუცილებელ კავშირს მოზრდილი ასაკიდან ვაცნობიერებთ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ერთ დროს მასთან აუცილებლად დავაკავშირებთ ცხოვრებას, მაგრამ მორცხვი და ძნელად მოსაპოვებელი პატარძალივით თავს ვიკავებთ, იოლად არ ვთანხმდებით პირველივე ხელის შეთავაზებაზე, თავს არ დავუკრავთ თანხმობის ნიშნად.

გავურბივართ, ვემალებით, ის კი... ჯიუტი სასიძოსავით მუდამ თან დაგვსდევს აჩრდილივით, ყველგან დაგვყვება შორიახ-

ლოს, გვითვალთვალებს და ჩვენს მოსახელთებლად ხელსაყრელი მომენტის დაჭერას ცდილობს, ჩასაფრებულია და როგორც კი ჩვენში სისუსტეს იგრძნობს, მაშინვე წამოგვეპარება და ხელს მაგრად ჩაგვავლებს.

ჩვენ კი თავდაჭერილ და თავშეკავებულ პოზიციაზე ვდგავართ კვლავ.

ვუძალიანდებით, ვებრძვით, ყოველ ღონეს ვხმარობთ თავის დასაღწევად და მისი ძლიერი ხელიდან გასხლტომას ვლამობთ; ხან იოლად გამოგვდის და გამარჯვებულის იერით ვაგრძელებთ სვლას. ვიცით, გვჯერა, რომ მის ხელში არ დავიტანჯებით, ხელის გულზედაც გვატარებს, ცივ ნიავსაც არ მოგვაკარებს, სამუდამო მოსასვენებელ ყოფას გვპირდება, მაგრამ... მაინც ფეხს ვითრევთ , მაინც ვახანგრძლივებთ ნარ–ეკლიანი გზით სიარულის პერიოდს.

როგორ და რა ხერხით არ ვცდილობთ მასთან შეკავშირებისგან თავის დაღწევას, თავდაცვას, თუნდაც ერთი წლით, ერთი თვით, ერთი კვირით, ერთი საათით?!

ვის არ მივმართავთ დახმარებისთვის, თითქოს ძლიერთ ამა ქვეყნისანთ, საზღვარგარეთაც გავრბივართ, ვეძებთ ხსნის გზებს.

თუმცა, ეს ყველაფერი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ არ გვაშინებს. ვყიდით, რისი გაყიდვაც შეიძლება, უძრავ–მოძრავ ქონებას, ვიღებთ მოწყალებებს ახლობლებისგან, კრედიტს ბანკისგან.

ყველაფრის ფასად გავურბივართ მას, ვემალებით, უკეთეს გეგმებზე ვოცნებობთ და დაქორწინების ვადის გადაწევაზე გან–

ცხადებას განცხადებაზე ვწერთ; ოღონდ ჯერ არა, ცოტა კიდევ მაცალეს გავიძახით ან ჩუმად ვჩურჩულებთ, ვლოცულობთ.

ხშირად მასთან კუკუდამალობანას ვთამაშობთ.

ასე ძლიერ და ნებისყოფიან პატარძალს ემართება, თორემ მოტაცებაც ხდება: ქორწილში ან სხვის დატირებაზე მიმავლის, თეატრის სცენაზე ტრიუმფის ან სპორტსმენის ზენიტში ყოფნის დროს, მძინარის, ზღვის ტალღებზე მოსრიალის; ამ დროს ხვეწ–ნა–მუდარას აზრი არა აქვს, უკვე მისი ხარ.

პირიქითაც ხდება, ლოდინით გულგადალეული „პატარძა–ლი“ განაწყენებულიც კია, როგორ მიმატოვა, არც კი ვახსოვარ, ეტყობა ჩემი მისამართი დაავიწყდაო.

არის მომენტი, მჭიდროდ ჩაგვავლებს ხელს. ვფიქრობთ, დამთავრდა, თავბრუ გვეხვევა, ძლიერ გვიკრავს გულში და ვნებდებით თითქოს, მაგრამ თუკი ჩვენს სახეზე ნაღველი და სევ–დის მოჭარბება იგრძნო, ისიც გაგებით ეკიდება ჩვენს უღიმღამო მდგომარეობას და უკან იხევს, მოლოდინის რეჟიმში გადაინაც–ვლებს, რადგან არ უნდა ძალდატანებითი ფორმით „დაქორწინ–დეს“.

მე კარგა ხანია თანახმა ვარ, მაგრამ ახლა თვითონ დგას შორიახლოს, თან გულგრილად, თითქოს არ ვუყვარვარ.

არადა, იყო დრო, დაჩოქილი მევედრებოდა, კოშკებს მი–გებდა, მაგრამ შვილები იყვნენ წინააღმდეგნი, ვერ მელეოდნენ, ძალიან ვჭირდებოდი მათ, ამიტომ დანიშნული „ქორწილის“ დღე გააუქმა. მას შემდეგ გულგრილი გახდა ჩემდამი.

მისი სიშორე ზოგჯერ მანაღვლიანებს, სინანულის ცრემ–ლამდეც კი. მისგან მოხერხებულად თავდაღწეულს, ბედნიერად რომ მიმაჩნდა თავი, თურმე რა ძლიერ ვცდებოდი?!

რამდენჯერ ხელიდან გავუშვი სხვადასხვა მიზეზთა გამო შანსი ბედნიერებისა.

•

ჩვენ ვიცით, დარწმუნებულნი ვართ, რომ ბოლოს და ბოლოს აუცილებლად მოვა, გულში ჩაგვიკრავს, მაგრად ჩაგვიხუტებს, თან მარადიული ერთგულების ფიცს ყურში ჩაგვიჩურჩულებს, დაგვაჯერებს, რომ ის ერთადერთია, რომელიც არ მიგვატოვებს, არ გვიღალატებს და ისე დაგვარწმუნებს ამ ყველაფერში, სიყვარულის მორევში ჩაფლულნი წინააღმდეგობას აღარ გავუწევთ, მის ერთგულებაში თავდაჯერებულნი ყველაფერს მივატოვებთ, უკან არც კი მოვუხედავთ მთელი სიცოცხლის ნაშრომნაღვაწს, ახლობლებს, მეგობრებს და სიხარულით, მორჩილად გავყვებით მარადიული სიყვარულით ფრთებგამოსხმულნი, სამუდამო სიამტკბილობაში სანეტაროდ და... მოსასვენებლად.

ისიც, ჩვენი თანხმობით აღფრთოვანებული, იმთავითვე მსახურებს დაგვიყენებს მოსართავ-შესამკობელად.

გამოსამშვიდობებელ რიტუალსაც მოაწყობენ, საკმაოდ მოზრდილ, შესაბამისად მორთულ დარბაზში.

და... მიწაზე ფეხდაუდგმელად, ხელში აყვანილს, დაბანგულივით ღრმა ძილს მიცემულს, გადაგვაბრძანებს მის სამფლობელოში და ჩაგვაბრძანებს ჩვენთვის წინასწარ გამზადებულ „ტახტრევანში“.

06.11.2019 წელი.
თბილისი.

მზე შველაა

მადლობა, უფალო: სიცოცხლისა და უნარისთვის, შემეცნო სამყარო, აღმექვა სილამაზე ამქვეყნიურობისა, ყოველდღიურობისა;

დღე-ღამის მონაცვლეობის საჭიროებისა;

იმის დანახვისთვის, რომ მზე, მთელი სამყაროს დედაა.

მზის ჩასვლას რასაც ვეძახით, დაისი, სევდის მომგვრელია, მაგრამ ამის აუცილებლობას ვაცნობიერებ და შეგნებულად ვხვდები, რადგან იგი ხომ მთელი სამყარს ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე მზრუნველია.

მზის სიკეთისა და მრავალფუნქციურობის შეცნობის უნარისა;

მზის წრებრუნვაში სამყაროს ირგვლივ მისი კეთილშობილების უანგაროდ ფრქვევის დანახვისა;

მზის ყოველდღიურობაზე ფეხის აწყობა რომ შევძელი.

მზე იმედია და სიყვარულით ვხვდები ყოველ დილით ამ იმედს.

მზე ვერავის და ვერაფერს დატოვებს უყურადღებოდ, ყველას მიესიყვარულება.

მზე ყველას მიეთაკარება, გულს გაუთბობს და იმედით აავსებს.

მზე სამყაროს დედაა.

მზე შველაა.

მადლობა, უფალო, სიცოცხლისა და მზის მადლის შეგრძნებისთვის.

18.07.2023 წელი.
თბილისი.

მისაბაძი პატრიოტები

გადამფრენი ფრინველები ჩვენი ქვეყნიდან გვიან შემოდგომაზე თბილ ქვეყნებში მიფრინავენ. ისინი გაურბიან ჩვენს მკაცრსა და ხანგრძლივ ზამთარს, რათა აქ დაფრთიანებული შთამომავლობა გამოკვებონ და ფიზიკურად გააძლიერონ შემდგომი ცხოვრებისთვის. ისინი დაუზარლად მიფრინავენ ზამთარში თავის გადასარჩენად და ასევე დაუზარლად მოფრინავენ უკან, სამშობლოში ყოველი წლის გაზაფხულზე. ბუდეს შეაკეთებენ, ოჯახურ ატმოსფეროს გააღვივებენ, შვილებს დააფრთიანებენ, გაწვრთნიან და გააძლიერებენ ხანგრძლივი საფრენოსნო ამტანობისთვის და ზამთარში გამოსაკვებად კვლავ გაეშურებიან თბილ ქვეყნებში გვიან შემოდგომაზე.

ასე გრძელდება გეგმაშეუცვლელად ყოველ წელს: გაზაფხულიდან შემოდგომის ბოლომდე ჩვენთან რჩებიან, ანუ წელიწადის სამ სეზონს და მხოლოდ ერთ სეზონს, ზამთარს, ატარებენ სტუმრად – თბილ ქვეყნებში.

სამწუხაროდ, ადამიანებმაც მიბაძეს გადამფრენ ფრინველთ, მაგრამ უცხო ქვეყანაში დაყოვნების ხანგრძლივობას არ საზღვრავენ და ხშირად სიცოცხლის უმეტეს ნაწილს სამშობლოსგან მოწყვეტილად ატარებენ. ისინი ბედნიერად გრძნობენ თავს უმადური შვილებივით, რომლებიც მშობელს სიღარიბის გამო ტოვებენ და სტომაქს სხვაგან ივსებენ, ტანისამოსსაც მდიდრულს ეძებენ.

დაწუნებული სამშობლო, ანუ მშობელთა საცხოვრისი მოწყენილი და მომლოდინე თვალებით გაჰყურებს გზას შვილების მოლოდინში. დაწუნებული მშობელი ძველებურად მწირ ტანისა–

მოსსა და საკვებს სჯერდება, რადგან კერიის გაცივებას ვერ შეეგუება, სანამ ცოცხალია. არადა, შვილებთან ერთად ხომ უფრო წელმაგარი იქნება და კერააღუღუნებულიც?! გულისგამაწვრილებელი სიჩუმე აღარ იქნება დასადგურებული მათ ეზო–კარში და „სარეველა ბალახიც“ ვერ მოძლიერდება, რომელიც უკვე უფრო მეტია, ვიდრე სასარგებლო და კულტურული, მშობლიური, ნაყოფისმომცემი „შინაური მცენარე“.

დროა, დაფიქრდეთ და დაუბრუნდეთ სა–მშობლოს, ანუ მშობლის საცხოვრისს, თუნდაც გამოკეტილს, მით უფრო, თუ ჯერ კიდევ არ არის კარებაჭედილი, უდროოდ ნუ დააუძლურებთ ლოდინში დასაცოდავებულს. სამშობლოში მშობელთან ცხოვრება რატომ არ გირჩევნიათ, თუნდაც შეჭირვებულად?! მშობელთან ერთად დაიძინ–გაიღვიძებთ, ერთმანეთის სიხარულ–სიყვარულში გაათენ–დააღამებთ, მშობლიურ ჰაერს ჩაისუნთქავთ, მშობლიურ ენაზე ისაუბრებთ და იაზროვნებთ. ერთმანეთს გაუზიარებთ დღიურ საფიქრალსა და სატკივარს.ნუთუ, ფულიანი ჯიბე მშობელსა და მის საცხოვრის ადგილზე – სამშობლოზე უფრო ძვირფასია და საყვარელი?!

სა–მშობლო, ანუ მშობელთა საცხოვრისი, უცხო, ველურმა „სარეველა ბალახებმა“ დაიკავეს, გადაფარეს ეზო–კარი და ქუჩები. ჩვენი სამშობლოს კულტურულ მცენარეთა ხარობის ადგილები, სწორედ „უცხო სარეველების“ საცხოვრისად იქცა. ქუჩებიც გადაიფარა და ტრანსპორტიც.

ჩვენებურები და ჩვენებურობა მოენატრა კანტიკუნტად დარჩენილ პატრიოტთა თვალსაწიერთ.

ცრემლის ღვრა და გოდება არ შველის ამ საქმეს. კვლავ ჩვენს კულტურულ მცენარეთა უკანვე ჩარგვა და გახარება, გამრავლება და მორწყვა – განაშენიანება უშველის მხოლოდ.

თუკი ყველა სარეველა მცენარის ადგილს კულტურული – შინაური მცენარეები დაიკავებენ, მაშინ სარეველები თანდათან ამოიძირკვებიან და გადაშენდებიან.

სირცხვილია, მერცხალი რომ გვჯობნის სამშობლოსა და მშობლიური კერის სიყვარულსა თუ ერთგულებაში.

ამ დიდი სიყვარულის გამო გვიყვარს ჩვენ – ადამიანებს მშობლიურ ბუდესთან დაბრუნებული მერცხლები, სიხარულგაჯერებული ჟღურტულით რომ აიკლებენ გარემოს. ვხედავთ და ვგრძნობთ, როგორ ესიყვარულებიან თავიანთ საბუდარს, თუნდაც მონგრეულს, დაზიანებულსა და შესაკეთებელს. როგორ დაფრთხიალებენ თავთაიანთი სახლების აივნებზე და ჭიკჭიკით იკლებენ იქაურობას! რითაც დიდისა თუ პატარას ყურადღებას იპყრობენ, მათ ხალისს მატებენ და შრომითი საქმიანობისთვის განაწყობენ. თვითონაც გულმოდგინედ შეუდგებიან დაზიანებული ბუდის გადახალისება–შეკეთება–აშენების სამუშაოს. იციან დროის ფასი, კარგი მეურნე გლეხივით და საქმიანობენ შეუსვენებლად და თადარიგიანად.

ღმერთო, როგორ აღიზარდნენ თავისი საქმის გენიოსებად?!

ჩვენ, ადამიანები, კი დროსტარებისა და მცონარობის გამო ხშირად დროის ჩამორჩენით ვსაქმიანობთ.

ყური უგდეთ მოფრენილ (დაბრუნებულ) „აკადემიკოსებს“, რომლებიც არა მარტო ლაპარაკ–ჭიკჭიკით გვამახსოვრებენ თავს, არამედ პრაქტიკულ „ლექციებს“ გვიტარებენ დროის განაწილებაზე, შრომით საქმიანობასა და პატრიოტიზმის თემებზე

უხელფასოდ, უსასყიდლოდ, მხოლოდ იმის საფასურად, რომ გვთხოვენ და გვმოძღვრავენ, გვაფრთხილებენ და გვეხვეწებიან, რათა ვიყოთ მუყაითნი მათსავით და გვიყვარდეს სამშობლო.

მათ იციან, რომ არ უნდა დაივიწყონ მშობლიური კუთხე, კერა, რადგან ყველაზე მშვიდად, ხალისიანად და ბედნიერად თავიანთ ბუდეში გრძნობენ თავს. ისინი, უპატრონოდ მიტოვებულ სახლზე ბუდეს არ აკეთებენ. მათ უყვართ ადამიანებთან ახლოს ცხოვრება, ალბათ დაცულად გრძნობენ თავს.

გაზაფხულის მაცნე ჩიტუნიები, ჩვენი სამყაროს დამამშვენებლები, არა მარტო ჭიკჭიკით, საფრენოსნო თუ სახლის შენების ოსტატობით, არამედ თავდაუზოგავი პატრიოტიზმითაც გვაკვირვებენ, რაზედაც ადამიანებს მიგვანიშნებენ და მიმბაძველობისკენ მიგვითითებენ.

ჩვენ, მართლაც, თვალყური უნდა ვადევნოთ მათ. შევეჯიბროთ სამშობლოს სიყვარულში, შევისისხლხორცოთ მათი უტყვი და უანგარო თავდადება მშობლიური კერისადმი. ამას საქმით ადასტურებენ, წელიწადში ორჯერ ათასობით კილომეტრის გადაფრენითა და მალევე უკანვე დაბრუნებით. ამისთვის არც ჯილდოს ითხოვენ, არც აპარტამენტებს; მხოლოდ მათი სამყოფი საცხოვრისი – ციცქნა ბუდე აკმაყოფილებთ და ამისთვის უსაზღვრო ენერგიას ხარჯავენ, რომ დაუბრუნდნენ გაზაფხულობით თავიანთ ადგილ–სამყოფელს.

ღმერთო! რა შესაშურია მათი საქციელი, გამოხატული სამშობლოსადმი თავდადებასა და სიყვარულში; თან ამ ყველაფერს უშურველად, დაუმადლებლად აკეთებენ და ჩვენც უზარმაზარ სიამოვნებას გვანიჭებენ ჭიკჭიკით გამოხატული ურთიერთობებით.

ისინი ნამდვილი „წმინდანები“ არიან თავიანთი ქცევა–საქ–მიანობით და მადლობა უფალს, ის მაინც ძევს ჩვენს სააზროვნო კოდში, რომ მათი სიცოცხლე ხელშეუხებელი იყოს ადამიანების–გან.

•

ფრინველთა ის კატეგორია კი, რომლებიც არასდროს ტოვე–ბენ სამშობლოს, სიცივესაც და მწირ საკვებსაც რომ სჯერდებიან მკაცრი ზამთრის პირობებში, ჰგვანან მუდამ სამშობლოში მცხოვრებ, ყველანაირი პირობების შემგუებელ და ამტან მკვიდრთ, რომელთაც სიცოცხლის ფასადაც არ უღირთ მოგზა–ურთა და გახიზნულთა „გაფუფუნებული“ ბედი, რა მოტივაციით–აც ამართლებენ მიგრირებულნი თავიანთ გადაწყვეტილებას გა–ჭირვებული სამშობლოს მიტოვებისას.

ე.ი. ღარიბი და გაჭირვებული მშობელი უნდა დატოვო უმ–წეო მდგომარეობაში და როცა გაძლიერდება, მაშინ ურცხვად უნდა დაუბრუნდე შენარჩუნებულ და გადარჩენილ კერას?

ცივილიზაცია და თავისუფალი არჩევანის უფლება, თურმე, თანდათან როგორ აკნინებს ბაჯაღლო ტრადიციას, და... მშობ–ლიური კერის სიყვარულის, გაფრთხილების, შენარჩუნებისა და გაძლიერების გრძნობასა თუ სურვილს?!

სამწუხარო რეალობის წინაშე ვდგავართ და ფრინველთა–გან გვმართებს სწავლება.

იქნებ, ფრინველებმა, ჩვენი ძირძველი წინაპრებიდან ისწავ–ლეს და შეისიხლხორცეს, სიყვარული თუ ერთგულება სამშობ–ლოსა და მშობლიური კერის მიმართ?!

შემაწუხებლად მაწუხებს დღევანდელობა.

იმედისმომცემ ჰორიზონტს ვერ ვხედავ.

როგორ მინდა, მხოლოდ მე ვერ ვხედავდე.

სინამდვილეში კი ყველაფერი სასიკეთოდ და საჭიროებისამებრ ჩანდეს.

03.04. 2024 წელი.
თბილისი.

კეთილმოგონებათა სკივრში

ოკეანეები და დიდი ზღვები, თავისი ბინძური, ვერაგულობის დიდი შესაძლებლობებით ძალიან ჰგვანან სოფლისა და ქალაქის უბნის „ყოჩებს“, რომლებიც ბინძური ხერხებით ჩაითრევენ ბრიყვულად სუსტებს, ბინძურ, ულმობელ საქმეებში და ასე ბინძურადვე ჩამოიშორებენ, „გაასაღებენ“ ბოლოს იოლად, ვითომც არაფერი.

ზღვებიცა და ოკეანეებიც, ზოგჯერ, როგორ ლამაზად და წყნარად ლივლივებენ, როგორც გამოწკეპილი „უბნის ყოჩები“ უბანში, მორიგი მსხვერპლის მოლოდინში?! აბა გაუთამამდეს თამამი მოცურავე, ან თუნდაც უზარმაზარი გემის მფლობელი, უძლეველი რომ ჰგონია თავი!

ჯერ აზვირთდება შემდეგ აბობოქრდება, მზიან დარს წარღვნად უქცევს და უბეში მომწყვდეულს, მის ფსკერზე ისე მიუჩენს სამუდამო საცხოვრისს, ვითომც არაფერი და ჩაწყნარდება ახალი მსხვერპლის მოლოდინში. ერთეულ, კარგად მოცურავეთაც არ პატიობს შეთამამებასა და ყოვლისშემძლეობის განწყობას, რითაც შიშის ზარს სცემს ადამთ და ზოგჯერ თითს კი არ უქნევს გამაფრთხილებლად, მკაცრი მასწავლებელივით ან მშობელი–

ვით, არამედ პირველივე თავხედობაზე კისერს უგრეხს და „გაასაღებს“, როგორც უბნის ყოჩებს სჩვევიათ.

აბა, პატარა წყაროს შეხედეთ, ლერწმის ღარზე გადმომავალს!

იგი უბრალო, მშრომელმა ადამიანმა აღმოაჩინა და მისი სარგებლიანობის გამოსაჩინებლად გაუკეთა ლერწმის ღარი, თითქოს მხოლოდ მისთვის, მაგრამ შემდგომ სხვებისთვისაც სასარგებლო და სამადლო ხდება, რადგან სუფთა, მორაკრაკე წყარო არა მარტო წყურვილს უკლავს მწყურვალს, ჯანსარ ფიქრებსაც აღუძრავს. მასთან ჩამოჯდომის სურვილიც აღეძვრება და იქვე შორიახლოს, თუნდაც ცოტა მოშორებითაც ჩამოჯდება, ჩაფიქრდება, დაფიქრდება, კეთილშობილური აზრები წარიტაცებს. ასე გაკეთილშობილებული უბრუნდება საცხოვრისს და კვლავ-დაბრუნების სურვილიც მიჰყვება, თუკი იგი შემთხვევითი მგზავრია. სხვა დროისთვის ჭურჭლის წამოღებასაც დაგეგმავს, გზადმიმავალს წყლის მარაგი რომ ჰქონდეს.

ასეთ წყნარ, სასარგებლო წყაროს, ვიღაცის მოხერხებული ხელი და გონიერება რომ სჭირდება აღმოსაჩენად, დიდი დღე არა აქვს, ზღვებისა და ოკეანეების დარად, რადგან მასთან, ზოგჯერ, უსულგულონი, საქეიფოდ ჩამომსხდარნი, შიგადაშიგ შუბლს რომ გაიგრილებენ ვიშ! ვიშ!-ის ძახილით, იქეიფებენ, გადათვრებიან, ერთმანეთს დაერევიან და ამ კეთილშობილი წყაროს ღარსაც ხელს წამოავლებენ იარაღად; იქაურობას მიანგრ-მოანგრევენ, ნასუფრალსაც ოხრად აქცევენ და გაიკრიფებიან, ვითომც არაფერი.

ასე დაიკარგება ღარიდან ჩამოღვარული წანწკარა, ცივი, სასარგებლო წყარო, რომელიც ძალ-ღონით კი არ ამახსოვრებს

თავს ადამთ და კი არ აშინებს ვინმეს, არამედ მისი კეთილშობილებით ჩაგამახსოვრდება და დიდხანს გაგყვება მისგან წყურვილის მოკვლისა და გამოცოცხლების გრძნობა. მუდამ კეთილ მოგონებებს აღგიძრავს და განგაწყობს მისი ნახვის ნდომით.

მაგრამ... ბოლო როგორი აქვს, ზოგჯერ, ამ უწყინარ, უჩინარ, სასარგებლო და კეთილშობილ წყაროს უდიერთა წყალობით?!

მიაკითხავს ისევ მისი აღმომჩენი, ისევ მოძებნის, ისევ გაუკეთებს ახალ ღარს, ისევ სასარგებლოს გახდის, შეუკურთხავს დამანგრეველსა და ჩამქოლავ უდიერთ.

ასე წარიტაცებს და ჩაკლავს კეთილშობილთ ბოროტ ადამიანთა ზნედაცემულობანი და ბუნების აღვირახსნილობანი.

სამაგიეროდ, წყარო, მხოლოდ კეთილმოგონებათა სკივრში დაიდებს ბინას ოკეანეებისა და ზღვებისგან განსხვავებით.

27.02.2024 წელი.
თბილისი.

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲨᲔᲙᲓᲝᲛᲔᲑᲘ

ზვინივით კაცს პატარა ძაღლი თოკზე გამობმული მიჰყავდა და თავი მაგარი ეგონა. ეს მის სახეზე და ნაბიჯებზე აისახებოდა, არადა სულ თოკის ქაჩვაში იყო, რადგან ძაღლი მთელი ძალით ხან წინ და ხან გვერდზე გარბოდა, თოკიდან თავის დაღწევას ლამობდა.

ჩავფიქრდი.

ჩამეღიმა კიდეც გულში.

მაგარი მაშინ ხარ, როცა თოკის გარეშე წამოგყვება ძაღლი.

გეშინია არ გაგექცეს, არ დაკარგო და თოკით იმიტომ დაგ–ყავს?

გიყვარს და იმიტომ გეშინია მისი დაკარგვის?

თუ გიყვარს, მას ისე უნდა მოექცე, გაქცევის სურვილი არ გაუჩნდეს.

თოკით იმორჩილებ და გგონია მაგარი ხარ?

პირიქით, ძალზე სუსტი და მშიშარა ხარ.

•

ასეა ცოლ–ქმარს შორის ურთიერთობაც.

სუსტი მამაკაცი მუდამ ხმამაღლობს ოჯახში, ჩხუბობს, აშინ–ებს ცოლს, ემუქრება სხვადასხვა ხერხით, რადგან მან არ იცის როგორ შეაყვაროს თავი და მას თვითონ ეშინია არ გაექცეს ცო–ლი. შიშით ჰყავს „დაბმული“ და თვითკმაყოფილია, რადგან ჰგონია, მისი მორჩილია.

სინამდვილეში, ძაღლიცა და ცოლიც მუდამ გაქცევას ცდი–ლობენ მისგან.

ძაღლი თოკიდან თავის დახსნაზე „ოცნებობს“, ცოლი კი ში–შის სინდრომის გადალახვას ელოდება, რათა თავი დააღწიოს მონურ მორჩილებას.

მიაღწევს კიდეც, ოღონდ დროებით მოთმინება სჭირდება.

ცოლი შენს მოსამსახურედ კი არ უნდა იგულო, თუ გიყვარს, ყურადღებით უნდა მოექცე, შენც უნდა ემსახურო და ეს მომსახუ–რება შენაც სიამოვნებას უნდა განიჭებდეს. აბა, მაშინ თუ შეგიპ–ყრობს მისი გაქცევის ან მიტოვების შიში?!

შენ რომ ითხოვ სახლში დაბრუნებისას კარებში შეგებებას, ისეთივე გაუკეთე მასაც.

სახლში დაბრუნება ორივეს უნდა გიხაროდეთ, ერთმანეთის მონატრების სურვილით.

აი, მაშინ ხარ მართლაც ძლიერი და შიში არც შეგჭამს და შეცდომებსაც აღარ დაგაშვებინებს.

•

ძაღლი, გაგექცევა და თავისუფლებას მიეკედლება.

ცოლიც.

30.03.2021 წელი.
თბილისი.

ოქის ანარეკლი

სოფლის დარბეული და განადგურებული სახლები.

დაბნეული და გონებადანგრეული ადამიანები აქა–იქ ჩანან, გაოცებულნი, შეშინებული თვალებით, გაწეწილი თმებით.

ტანსაცმლის ჩაცმის ესთეტიკა დარღვეულია.

გარეგნულ მხარეს ვერც აღიქვამენ.

სიტყვები არაა საჭირო.

ყველაფერი ნათელია.

სიხარული და პირღიმილიანობა ჩამკვდარია და გადავიწყებული, წაშლილია.

სიცარიელის სიმყუდროვეს არღვევს თითო–ოროლას უთავბოლო მოძრაობა.

ცრემლი და გოდება აზრდაკარგულია.

უარესობა არ არსებობს.

სიკვდილი გამოსავალია სიმშვიდის მოსაპოვებლად.

მაგრამ, მკვლელიც სადღაც გამქრალა და სანატრელი გამ–ხდარა.

თვალებს სილამაზის დანახვის უნარი წართმევია და აღარც ეძებს.

არსებობის აბსურდულობაა დასადგურებული.

გაუბრალოვდა სიკვდილიანობა, აღარ გიკვირს, აღარ გაკრ–თობს, აღარ გაოცებს კაცთკვლა.

დიახ, კაცთკვლა სუფევს და არა გარდაცვალება.

გარდაცვალება სანატრელი გახდა.

სადღაა გარდაცვალება და ახლობელთაგან თანაგრძნობა, სამძიმარი და პანაშვიდი?!

ჯვრით ხელში დაკრძალვა ფუფუნებაა.

ყველა სათანაგრძნობოა.

კალოებია მოკლულთა.

შედუღაბდა დახოცილთა კატეგორია, დაიკარგა ასაკობრი–ვად წასვლის, რიგითობის წესრიგი.

დუმილი და გულისგამაწვრილებელი სიჩუმეა ერთ დროს ხმაურიან სოფელში.

ნანგრევებზე ჩამოჯდა შემთხვევით გადარჩენილი სოფლის მკვიდრი და პირველად იგრძნო სიცოცხლის უადგილობა.

17.03.2023 წელი.
თბილისი

პიროვნება ეროვნებაში

როგორი ავტორიტეტული ეროვნების წარმომადგენელიც არ უნდა იყოს ადამიანი, საზოგადოებაში ავტორიტეტი რომ მოიხვეჭოს, უპირველესად თვითონ უნდა იყოს პიროვნება.

ეროვნებას ადამიანთა ჯგუფი განსაზღვრავს, რომელთაც გააჩნიათ საცხოვრებლად ტერიტორია, სასაუბროდ და განათლების მისაღებად – ენა, ქცევისა და ცხოვრების წესისთვის – კულტურა, ტრადიცია და სარწმუნოება, რაც ეროვნების სულიერ სიმდიდრეს აფორმირებს.

ადამიანს ამ ღირსებების მატარებელი ერი ავტორიტეტს სძენს, მაგრამ თითოეულმაც ხომ უნდა იფიქროს ერის და ეროვნების, ეროვნულობის, ანუ სამშობლოს ავტორიტეტზე?! რისთვისაც საჭიროა იგი, უპირველესად, იყოს პიროვნება.

თვითონ სიტყვიდან გამომდინარეც, ეროვნებას ერი განსაზღვრავს, პიროვნებას – პირი, ანუ თითოეულ ადამიანში არსებული, ინდივიდუალური პიროვნული ღირსებები. იგი, უპირველესად, უნდა იყოს პირიანი, ანუ სიტყვის პატრონი; ქცევის და უმცროს – უფროსობის „აკადემიკოსი“; ინტელექტუალური, სასკოლო დონეზე მაინც; ტრადიციის პატივისმცემელი და დამცველი, მისი ცხოვრების წესით; სიტყვის და ქცევის მაკონტროლებელი, რაც მას ავტორიტეტს ანიჭებს.

პიროვნებას, თვით ამ სიტყვიდან გამომდინარე, მისი პირი წარმოაჩენს: როგორ საუბრობს და რაზე საუბრობს; სამეტყველო ლექსიკონში რა უფრო სჭარბობს, ბილწსიტყვაობა თუ კულტურული სამეტყველო ლექსიკა, თუნდაც კუთხური დიალექტით გაჯერებული, რაც სულაც არ აკნინებს ადამიანს.

პიროვნება უნდა იყოს კეთილშობილი და არა ბოროტი; ხელგაშლილი ზომიერების ფარგლებში და არა წუწკი; უნდა გაჩნდეს სტუმარ–მასპინძლობის კულტურა; ჭამისა და სუფრასთან მოქცევის კულტურა; მოსმენის კულტურა; მშობელთან, შვილთან, პედაგოგთან, საზოგადოებაში ქცევის კულტურა; უნდა იცოდეს ადამიანებთან მოქცევის კულტურა ქუჩაში, ტრანსპორტში, დასვენებისა და თავშეყრის ადგილებში, მეზობლებში, ნათესავებში,..

თუ ადამიანი პიროვნებაა, იგი ყველგან და ყველასთან იქნება მისაღები და ერისთვისაც ავტორიტეტული, სხვა ქვეყანაში მიგრირებისას.

თუ პიროვნება არ ხარ, მაშინ ეროვნებისთვის სამარცხვინო ლაქა იქნები.

თუკი ეროვნებით ამაყობ, ერმაც უნდა იამაყოს შენით ან მისი ღირსეული ინდივიდი მაინც უნდა იყო.

შენი პიროვნული თვისებები და ღირსებები, უნდა ჯდებოდეს ეროვნულ ჩარჩოებში.

02.01.2024 წელი.
თბილისი.

როგორც მაკრატელი

ცხოვრების თანამგზავრები ასაკში ისევ ხელიხელჩაკიდებულნი რომ აგრძელებენ ცხოვრებას, მათი დანახვა სასიამოვნო განწყობის შემქმნელია.

ერთხელ, ასეთი ერთსულნის შემხედვარე, შევჩერდი და თვალი გავაყოლე ტკბილად მოუბართ, ხელიხელჩაკიდებულნი

რომ მიდიოდნენ ახალშეყვარებულთა მსგავსად და საუბრისას ერთმანეთს თვალებში შესცინებდნენ.

ისინი, გადაჯაჭვულნი იყვნენ მაკრატლის პირებივით, თავის უფალნი, ერთარსად რომ არიან პირებით შეერთებულნი, როცა გასაჭრელი არაფერი აქვთ, ანუ როცა არ საქმიანობენ.

სასიამოვნო განწყობა დამეუფლა.

•

ასეთი წყვილის მაგალითად გამახსენდა, ჩემი ბავშვობისას სოფელში მეზობლად მცხოვრები მოხუცი ცოლ–ქმარი, ლიზა და ისაკი, რომლებიც დაბალ ბოძებზე შემდგარ, მოგრძო აივნიან, ცისფრად შეღებილ, ხის პატარა სახლში ცხოვრობდნენ. ისინი ყველგან ერთად იყვნენ: ან აივანზე ისხდნენ, ან ეზოში ფუსფუ–სებდნენ, ან ჭიშკართან დგებოდნენ მოლოდინის იმიჯით; როცა გარეთ არ ჩანდნენ, ე.ი. სახლში იყვნენ, საჭმლის მომზადების ფუსფუსში, ან კიდევ ისვენებდნენ.

მათი ხმამაღალი გადალაპარკება, ან ერთმანეთზე უდიერად მიმართვა არ გამიგია.

უკვე ღრმად მოხუცებიც ერთად წვებოდნენ თურმე თავშექ–ცევით, ზაფხულში სიცხეს რომ არ შეეწუხებინათ და ზამთარში, ფეხებს უთბობდნენ ერთმანეთს.

მართლაც, მაკრატელივით პირშეკრულნი და ერთსულნი იყ–ვნენ ისინი.

ერთ ზამთარსაც, ლიზა ბებოს ფეხებში მწოლარე ისაკი ბაბუ, ღამის ძილში გაიპარა.

მალე, ლიზა ბებოც მიჰყვა და... ჭიშკარზე დადებული ბოქ–ლომი დიდხანს ინახავდა უმწიკვლო, შეუბღალავი, დიდი სიყვა–

რულით მოარულ, ერთსულთა ნამოსახლარსა და ნაფეხურალს, მათი ერთგული სიყვარულის ხსოვნას.

•

მაკრატლის პირებიც, ხომ უერთმანეთოდ საქმეს ვერ აკეთებენ, მხოლოდ ერთად ახერხებენ ქსოვილის გადაჭრას...

საქმის დასასრულს კვლავ შეერთდებიან.

უერთმანეთოდ არარაობანი იქნებიან.

წყვილ ადამიანთა შემთხვევაში მათი გამაერთიანებელი ერთნაირი აზროვნებაა, გულის ფიქრები და ინტერესებია.

ესაა საქმის გადაჭრის და ერთობის გარანტი.

მაკრატლები გაერთიანებული არიან სახრახნისით. ეს ერთადერთი დამაკავშირებელი ღერძია, რომლითაც შეერთებულნი არიან. საქმის დროს ერთმანეთს წამიერად დაშორდებიან, სწორად მოერგებიან გასაჭრელ ქსოვილს და გაჭრიან, ანუ ასე ერთობით საქმეს აგვარებენ.

როცა საქმე არა აქვთ, ერთმანეთთან სიამის ტყუპებივით არიან პირშეკრულნი – ერთარსნი ერთმანეთისთვის.

ასეთ ადამიანთა წყვილს, მართალი სარკის ფუნქციით ერთნაირად უხარიათ და ერთნაირად სწყინთ. ერთად ყოფნა მათთვის განტვირთვაა, დასვენებაცაა და მოსვენებაც, ერთმანეთში ხინჯიც უყვართ. ერთმანეთი არასდროს ბეზრდებათ და არ ეზედმეტებათ.

მაკრატლის პირებს ადამიანი მართავს, წყვილთა გულების ერთობას კი,.. უფალი განაგებს.

დროთა სვლაში მაკრატლის შემაერთებელი ხრახნისი იცვითება. „მკურნალობის“ შემდეგ მათი შესაძლებლობები აღდგება

და კვლავ აგრძელებენ საქმიანობას მანამ, სანამ საბოლოოოდ არ გაიცვითებიან, სანამ არ განილევიან. ასეთ მოშლილ მაკრატ-ლებს ან დაცალებულ პირებს „ჯართს“ მიაბარებენ.

წყვილთა დამაკავშირებელი გულებიც საჭიროებს მკურნა-ლობას შიგადაშიგ.

შესაძლებლობების მიხედვით სხვადასხვაგვარი მაკრატლე-ბი არსებობენ: დიდი საქმისთვის, მხოლოდ ფრჩხილებისთვის, საკანცელარიო, ბუჩქის საკრეჭი, ვენახის სასხლავი, ზიგზაგების მკეთებელი და ა.შ.

ანალოგიურია, სხვადასხვაგვარი წყვილების ცხოვრების ინ-ტერესები, არსებობის მიზანი და დანიშნულება.

შესაბამისად, ყველა ოჯახიც სხვადასხვაგვარია.

მაკრატლების მსგავსად ოჯახური წყვილებიც სხვადასხვა ღირსების, ფუნქციებისა და შესაძლებლობების მატარებლები არიან.

თუკი „მაკრატლის პირების“ შესაძლებლობებს არამიზნობ-რივად გამოიყენებენ, ადრევე დაიშლებიან და პირებს ცალ-ცალკე სადღაც მიაყრიან.

წყვილთა შემთხვევაში კი, ფუნქციონალური რღვევა ერთმა-ნეთის დაცალცაკევებას იწვევს და ცალუღლობის მსხვერპლნი ხდებიან.

ლიზა ბებოს და ისაკი ბაბუს მსგავს ერთსულ წყვილთ კი, მხოლოდ სიკვდილი განაშორებთ დროებით.

03.09.2021 წელი.
თბილისი.

სეკდაშებურული ქალის პორტრეტი

გრაფიკოს მხატვარს, ალექსანდროვის ფორმატზე დახატული ქალის პორტრეტი უკმაყოფილო გამომეტყველებით, ისეთი არ გამოუვიდა, როგორი ჩანაფიქრიც ჰქონდა და წაშლა გადაწყვიტა. მკრთალი ხაზები, რომლებიც ალამაზებდა ქალს პორტრეტზე და ქალურ ხიბლს მატებდა, წაიშალა როგორღაც.

ძირითადი კონტურული შტრიხები ღარებად დარჩა ფურცელზე, ალაგ-ალაგ ჩამუქებული ტონებით. ეს სქელი ფორმატი ისე იყო დაღარული და წანაშლელი შავი ტონებით შეთითხნილი, ახალი ნახატისთვის გამოუსადეგრად მიიჩნია და კარადებს შორის ვიწრო ზოლში შეაცურა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, მხატვარი ფურცლების ნაკლებობას განიცდიდა და გაახსენდა ის გაფუჭებული ფორმატი. იფიქრა, ჩავაბრუნებ და მუზის ესკიზს მეორე მხრიდან დავხატავო.

გამოიღო ფურცელი, ფანქრის ნაკვალევს კიდევ ერთხელ გადახედა და თვალები გაუბრწყინდა... ეს ის იყო, რისი დახატვაც მას უნდოდა თავდაპირველად: ცხოვრებაწაშლილი, ძლიერი და მკაცრი ქალის პორტრეტი – სულიერად განადგურებული ქალის.

შედეგით კმაყოფილმა ჩარჩოში ჩასვა და საპატიო ადგილიც მიუჩინა სახელოსნოში.

ქალის განწყობაწაშლილობა, მისი სარკაზმული შტრიხების წაშლით გამოისახა.

ცხოვრებაშიც სწორედ ასეა.

თუკი ქალს ხიბლის მომგვრელ ქალურ ღირსებებს შეასხეპს მოძალადე, დარჩება ხალისწაშლილი, ღირსებააყრილი, ნირწამხდარი, სევდაშებურული ქალი.

02.09.2021 წელი.
თბილისი.

სიცოცხლის სეზონები და პერიოდები

ადამიანის ცხოვრებაში სიცოცხლის გაზაფხული დაბადების თარიღიდან იწყება. ჩემი ინტერპრეტაციით, ადამიანის ხანგრძლივი, 96 წლიანი სიცოცხლე (თუმცა, უფრო ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ, უფლის წყალობით!), დავყავი ჩვეულებრივ, ოთხ სეზონად:

გაზაფხული;
ზაფხული;
შემოდგომა;
ზამთარი,
რომლებიც 24-24 წლიან პერიოდებს შეიცავს.

ამ პერიოდებიდან გამომდინარე სეზონის თითო თვე რვა წლიანი პერიოდია.

ჩემთვის, სიცოცხლის ოთხი სეზონის 24 წლიანი პერიოდები ასე ნაწილდება:

გაზაფხულის სეზონის 24 წლიანი პერიოდი დაიწყო 1955 წლის 16 იანვარს.

ჩემთვის გაზაფხულის პირველი თვე – თებერვალი გაგრძელდა რვა წელს და დამთავრდა 1963 წლის 16 იანვარს.

თვეებზე განაწილებით (თებერვალი, მარტი, აპრილი) გაზაფხულის 24 წლიანი პერიოდი ასე მიმდინარეობდა:

თებერვალი – 8 წელი. (1955 –1963წწ.). ––– 8 წლის.

მარტი – 8 წელი. (1963 – 1971წწ.). ––– 16 წლის.

აპრილი – 8 წელი. (1971 – 1979წწ.). ––– 24 წლის.

ე.ი. გაზაფხულის 24 წლიანი პერიოდი დასრულდა 1979 წლის 16 იანვარს და ვიყავი **24 წლის**.

ზაფხულის სეზონის 24 წლიანი პერიოდი დაიწყო 1979 წლის 16 იანვრიდან.

თვეებზე განაწილებით (მაისი, ივნისი, ივლისი) ასე მიმდინარეობდა:

მაისი – 8 წელი. (1979 – 1987 წწ.). ––– 32 წლის.

ივნისი – 8 წელი. (1987 – 1995 წწ.). ––– 40 წლის.

ივლისი – 8 წელი. (1995 – 2003 წწ.). ––– 48 წლის.

ე.ი. ზაფხულის 24 წლიანი პერიოდი დასრულდა 2003 წლის 16 იანვარს და ვიყავი **48 წლის**.

შემოდგომის სეზონის 24 წლიანი პერიოდი დაიწყო 2003 წლის 16 იანვარს.

თვეებზე განაწილებით კი (აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი) ასე გამოიყურება:

აგვისტო – 8 წელი. (2003 – 2011 წწ.). --- 56 წლის.

სექტემბერი – 8 წელი. (2011 – 2019 წწ.). --- 64 წლის.

ოქტომბერი – 8 წელი. (2019 – 2027 წწ.). --- 72 წლის გავხდები თუ უფალმა ისურვა.

ე.ი. შემოდგომის 24 წლიანი სეზონი დასრულდება 2027 წლის 16 იანვარს.

ანუ, ახლა, ჩემს ცხოვრებაში, შემოდგომის მესამე თვეა, კონკრეტულად – ოქტომბრის მეხუთე წელია. 2024 წლის 16 იანვარს შემისრულდა 69 წელი.

ჩემი შემოდგომის სეზონის მესამე თვე, ოქტომბერი 8 წელიწადში დასრულდება – 2027 წლის 16 იანვარს და გავხდები **72 წლის** თუ უფალმა ინება!..

ზამთრის სეზონის 24 წლიანი პერიოდი დაიწყება 2027 წლის 16 იანვრიდან და 2051 წლის 16 იანვრამდე გაგრძელდება, თუკი ვიცოცხლებ.

თვეებზე განაწილებით კი (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი), ასე გაგრძელდება:

ნოემბერი – 8 წელი. (2027 — 2035 წწ.). ––– 80 წლის.

დეკემბერი – 8 წელი. (2035 — 2043 წწ.). ––– 88 წლის.

იანვარი – 8 წელი. (2043 — 2051 წწ.). ––– 96 წლის.

ეს მეოთხე 24 წლიანი ზამთრის სეზონი დასრულდება 2051 წლის 16 იანვარს და თუ უფალმა ინება, გავხდები **96 წლის.**

თუკი, ადამიანი სიცოცხლეს გააგრძელებს 96 წლის შემდეგაც, ის იცხოვრებს „ზამთარს პლუს“ ზე-სეზონში. ანუ, ასე ვთქვათ: **გამყინვარების პერიოდი** დაიწყება მის ცხოვრებაში.

სქემა											
სიცოცხლის სეზონები და პერიოდები 96 წელზე გათვლით, დაბადების თვისა და რიცხვიდან მოყოლებული											
გაზაფხული			**ზაფხული**			**შემოდგომა**			**ზამთარი**		
24 წლიანი პერიოდი			**24 წლიანი პერიოდი**			**24 წლიანი პერიოდი**			**24 წლიანი პერიოდი**		
1 **თვე**	2 **თვე**	3 **თვე**	1 **თვე**	2 **თვე**	3 **თვე**	1 **თვე**	2 **თვე**	3 **თვე**	1 **თვე**	2 **თვე**	3 **თვე**
8 **წელი**	8 **წელი**	8 **წელი**	8 **წელი**	8 **წელი**	8 **წელი**	8 **წელი**	8 **წელი**	8 **წელი**	8 **წელი**	8 **წელი**	8 **წელი**

28.05. 2021 წელი.
თბილისი.

სიცოცხლის უკმარისობა

სიცოცხლე ადამიანთათვის არასდროს არ არის საკმარისი.

ადამიანი, მსუყე სადილის სუფრაზე კარგად, გადავსებამდე რომ დანაყრდება, რაც არ უნდა შესთავაზო, მისთვის საყვარელი და სასურველი კერძიც კი, პირს არ დააკარებს და სიამოვნებით იტყვის უარს.

აბა, სიცოცხლით დანაყრებული და „გადამძღარი“ ადამიანი გინახავთ? ან გაგიგიათ, ჭარმაგ ადამიანს ეთქვას: მეტი სიცოცხლე აღარ მინდა, ყველაფერი ვნახე, ყველაფერი მაქვს, ყველა ახლობელი კარგად მყავს და მზად ვარ წუთისოფლის დასატოვებლადო?

არამც და არამც!

წუთისოფელი იმდენად მრავალფეროვანია და მზარდი თავისი შინაარსით, იმდენ სიახლეებს გვთავაზობს, აბა, როგორ იტყვი შენი ნებით სიცოცხლეზე უარს?!

ხანდაზმული, მშრომელი ადამიანი ეზოში ხეხილის ხეს რომ დარგავს ან დაამყნობს, თავის ნააზრევ სურვილს ხმამაღლა იტყვის: ამის ნაყოფს უნდა მოვესწროო.

ან კიდევ, ადამიანს შვილი რომ შეეძინება, შვილიშვილის მოსწრებაზე ფიქრობს; შვილიშვილს რომ მოესწრება, შვილთაშვილის მოსწრებაზე დაიწყებს ფიქრს...

და კიდევ,.. შემოქმედმა ადამიანმა, როგორი მცირე „შედევრიც“ არ უნდა შექმნას: ნახატის, ლექსის, პროზის, ქანდაკების, და ა.შ. სახით, კიდევ უფრო უკეთესის შექმნაზე დაიწყებს ოცნებასა და ფიქრს. თანდათან ფანტაზია მოეძალება და ასაკში მოკრძალებულად გაამჟღავნებს: მრავალი კარგი ჩანაფიქრი

მაქვს თუ დამცალდაო, ე.ი. უკვე სიცოცხლის უკმარისობის ფიქ–რი შეეპარება. სამერმისო გეგმები ბავშვს არა აქვს და წლების არყოფნობა ვერც წარმოუდგენია. ეს სენი და პრობლემა ასაკში სჭირს ადამიანს და სიცოცხლის ხანმოკლეობის შიში ტანჯავს, რაც კიდევ უფრო უმოკლებს სიცოცხლეს.

სწორედ, ამ სენითაა შეპყრობილი ადამიანი, როცა წუთი–სოფელს ტოვებს.

ის, რაც ოჯახის წევრებისთვისაა ცნობილი, რის მოსწრება–ზეც ოცნებობდა, თითზე ჩამოსათვლელია. ისე კი,.. ვინ იცის, რამდენი კარგი და გაუმხელელი გეგმის განხორციელების სურ–ვილს თან წაიყოლებს!

ადამიანი ამოუცნობი და ამოუწურავი ფენომენია ფიქრებით და რაც უფრო ვიცნობთ მას და რაც უფრო ასაკოვანია, მით მე–ტად გვენანება გარდაცვალებისთვის, მისი ღვაწლმოსილებისა და განუხორციელებელი გეგმების გამო.

თუ სიცოცხლე ღირსების ქულების დაგროვებაში გალია და საკმარისადაც დააგროვა, მაშინ ის მის თვალსაწიერ ადამიანთა მეხსიერებაში დარჩება, როგორც ღირსეული ადამიანის ავტო–რიტეტით მოსილი.

დარჩენილთა ვალია, გაუფრთხილდნენ გარდაცვლილის მრავალმხრივი ღვაწლმოსილების შარავანდედს და ამაყად და მშვიდად იარონ წუთისოფელში; მისი ავტორიტეტის საკადრისად იღვაწონ.

•

წუთისოფლის გზა იოლი სავალი არაა; ყველაფერი კარგი ძნელად მისაღწევია.

სწორედ, ძნელი გზით, უფლის გზით უნდა იაროს ადამიანმა კარგი კვალის დასატოვებლად.

17.08. 2023 წელი.
თბილისი.

უსიყვარულობა სასჯელია

საქმე, რომელსაც აკეთებ, თუ სიყვარულს არ ეფუძნება, არ გამოგივა.

სიყვარულით გარემოცული საქმიანობა კი კელაპტარივით ანთია და კვლავ და კვლავ გიბიძგებს ახალ–ახალი საქმიანობის–კენ.

უსიყვარულოდ საქმიანობა ფიტულის მსგავსია. თითქოს, გარეგნულად ყველაფერი შესანიშნავადაა, მაგრამ გულგამოცლილია, ღერძი არა აქვს და სიცოცხლე აკლია, სიყვარული აკლია, სული აკლია.

უსულგულოდ „ნაშენის“ ბედი კი იმთავითვე განწირულია.

ბედნიერებაა, როცა შვილი გყავს და მის აღზრდაში ჩაილევი, მაგრამ ორმაგი ბედნიერებაა, როცა შვილი სიყვარულის ნაყოფია და მასში საყვარელი ადამიანის შტრიხებსა და სიყვარულის სხივებს ხედავ, მასში შენს სიყვარულს ხედავ, ანუ მისგან შენი სიყვარულის სხივები ჭვივის.

თუკი სიყვარულის გარეშე ცხოვრობ და შრომობ, და... სიყვარულის გამოუცდელად გალევ წუთისოფელს, სასჯელია.

01.07.2021 წელი.
თბილისი.

წერტილი დასასრულია

მრავალწერტილი ნათქვამის მიღმას გულისხმობს.

წერტილი მრავალფუნქციური და მრავლისმთქმელია: იგი საქმიანობას ამთავრებს, აზრს ასრულებს; არასასურველ ადამიანთან ან გარემოსთან ურთიერთობის გაწყვეტაში გეხმარება.

წერტილი ამოსასუნთქი საშუალებაა წინადადებებს შორის.

ანტრაქტია ახალ საქმიანობებს შორის.

ზოგადად, წერტილი დასასრულია ყოველგვარი საქმის, ანუ გარდაცვალების სიმბოლოა.

ყველა ადამიანის ქვეცნობიერი, საქმიანობის დასასრულის – წერტილის მოლოდინშია.

წუთისოფელი მუდმივი გარდაცვალებების პროცესია. ყოველი გარდაცვალებით წერტილი ესმება რაღაცას და იწყება სხვა – ახალი. ასე ხდება განუწყვეტლივ, რადგან დროს უკან ვერ დააბრუნებ. ამგვარად, წუთისოფელში ცხოვრება გარდაცვალებების ერთობლიობაა ანუ წერტილთა სიმრავლე.

ე.ი. წუთისოფელი მრავალწერტილია.

ჩვენ, ადამიანებს, ცხოვრებისეულ შრომაში გართულებს და სხვა სასვენი ნიშნების (კითხვითის, ძახილის, ტირის, წერტილ-მძიმის,...) ორომტრიალში გადაღლილებს, გვეჩქარება და მივისწრაფვით საქმიანობის დასასრულისკენ, წერტილისკენ, ანუ გარდაცვალებისკენ.

ამგვარად, ყოფით ცხოვრებაში წერტილი გარდაცვალებაა წინა მდგომარეობის. რამდენნაირი გარდაცვალებების მრავალფეროვნებას განიცდის ადამიანი დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე?!

დაბადება – გარდაცვალებაა მუცლადყოფნის მდგომარეობ–იდან;

გამოჯანმრთელება – გარდაცვალებაა ავადმყოფობის;

კარგი შვილი – აღზრდაში ჩადებული შრომისა და ღვაწლის;

ძილი – სიფხიზლის;

გაღვიძება – ძილის;

ახალგაზრდობა –ბავშვობის;

გაუმხელელი სიყვარული გარდაიცვლება გამხელისას;

ყოველი წელი გარდაიცვლება ახალი წლით;

ყოველი დღე – ახალი დღით;

ყოველი წამი – ახალი წამით;

ყოველი ჩასუნთქვა – ამოსუნთქვით;

წუთისოფელში, ბოლო ამოსუნთქვა, ბოლო გარდაცვალებაა წერტილის გამოხატულებით, რაც ნიშნავს სიცოცხლის დასას–რულს.

ანუ, წერტილი დაესმება წუთისოფელში ცხოვრებას და... სიცოცხლე შეიცვლება სიკვდილით.

სიკვდილი წუთისოფლისთვის შუალედური პროცესი არაა, ის საბოლოოა და შეუქცევადი.

ამგვარად: წუთისოფელში ცხოვრება მრავალწერტილია.

სიკვდილი კი... სიკვდილი წერტილია, ანუ წუთისოფელში არსებობის, მოღვაწეობის, სიცოცხლის დასასრულია.

07.05.2015 წელი.
თბილისი.

წარმატების საწინდარი

(რჩევა შვილიშვილებს, მომავალ თაობას...)

• ცხოვრებას ჯანსაღი თვალით უყურე, ისიამოვნე.

• არ შეგეშინდეს.

• თამამი იყავი, წესიერად თამამი.

• შეუპოვრად, ყოჩაღად იარე შენი მიზნისკენ.

• ვიღაცის ხათრით ან შიშით გზიდან ნუ გადაუხვევ.

• უერთგულე შენს თავს მძიმე სიტუაციებშიც კი.

• გჯეროდეს მიზნის მიღწევის.

• მშვიდად იარე, შრომა არ დაიზარო სხვისი დახმარების იმედით.

• საქმის გაიოლების მიზნით სხვა არ ჩაუშვა და არ გაწირო.

• ძნელად მიღწეული მიზანი უფრო სასიამოვნოა, უფრო საამაყოა, უფრო აგამაღლებს.

• წაქცევისას წინსვლის იმედს ნუ დაკარგავ.

• ტკივილი აიტანე, როგორც აუცილებელი გასავლელი პირობა.

• წამოდექი და გზა გააგრძელე მხნედ.

• ცოდნა მზის სხივივითაა, გაკაშკაშებს.

• რაღაცის არცოდნა განაჩენი არაა და არც სირცხვილი. სირცხვილია, თუ ისეთი რამ არ იცი, რაც აუცილებელია და რისი სწავლაც შესაძლებელია, ან იოლად ხელმისაწვდომი.

• სწავლა მოთხოვნილებად უნდა აქციო, როგორც წყლის დალევა.

• რაც გიყვარს, რაც გაინტერესებს, რაც შენი გონებისთვის მიუწვდომელია, ყველა ძალა გამოიყენე მის შესასწავლად: წიგნით, მშობლით, პედაგოგით, ინტერნეტით.

• სწავლისთვის დახარჯული შრომა – დრო და გარჯა, ზედმეტი არასოდეს არ არის.

• თავი არ შეიცოდო სწავლის გამო.

• წარუმატებლობისას მომდგარ ცრემლს „აღვარღვალების“ უფლება არ მისცე, იგი საქმეში ამოშრება.

• დაემორჩილე ოჯახურ კანონებს.

• პატივი ეცი მშობლებს; მათზე უკეთ ვერავინ დაგეხმარება. მათ ყველაფერი შენთვის უნდათ.

• მშობლისგან გაღებულ ზრუნვას ნუ გაანიავებ ცუღლუტობასა და სიზარმაცეში, რადგან ზრუნვაში დიდი შრომაა ჩადებული, შრომაში – ძალისხმევა.

• შენს გასაკეთებელ საქმეს მუდამ სერიოზულად მოეკიდე და აუცილებლად წარმატებით დასრულდება.

• დრო ძვირფასია, არ გაფლანგო.

• საქმე დაასრულე და მერე გაერთე.

ეს დისციპლინაა, რომელიც ღირსეულ ადამიანად გაქცევს!

დისციპლინა წარმატების საწინდარია!

წარმატება – ცხოვრების საგზალია და საყრდენი!

09.11.2019 წელი.
თბილისი.

წრეწირის ცენტრი და რადიუსები

ყველა ოჯახი სამყაროს ცენტრში ანუ სიმბოლური წრის ცენ–ტრში, ცხოვრობს და ოჯახის წევრთა სახლიდან გადაადგილებე–ბი, ამ წრის რადიუსებზე ხდება.

ბაღის ასაკისანი, შედარებით მოკლე რადიუსის მანძილზე დადიან.

სკოლის ასაკისანი – გაცილებით გრძელი რადიუსებით გადა–ადგილდებიან და შესაძლოა, განსხვავებული მიმართულებითაც, თუკი რაღაც მიზეზთა გამო, სხვადასხვა სკოლაში სწავლობენ.

მშობლები სამსახურებში სხვადასხვა მიმართულებითა და სხვადასხვა სიგრძის რადიუსების რაღაც წერტილში მოღვაწეობენ.

ბებიასა და ბაბუას სამოქმედო არეალი, შესაძლოა, რაიმე მსუბუქ სამსახურთან იყოს დაკავშირებული: ან პარკში სეირნო–ბასთან, ან თანამოსაუბრესთან დროის მოკვლასთან, ან სახლში სხვადასხვანაირად ფუსფუსთან, რაც ოჯახის წევრთათვის მზრუნველობითი და სასიხარულო სიტუაციებითაა გამოხატული.

წრის ცენტრი, ანუ სახლი, ბუდეა ოჯახის წევრთათვის.

დღისით თუ მიდი – მოდიან თავთავიანთ სამოქმედო არე–ალში, საღამოს შეივსება ოჯახი განსატვირთად, მოსასვენებ–ლად, დასანაყრებლად, სასაუბროდ, გულის გასახსნელად, ერ–თმანეთის პრობლემებში ჩასახედად და გასამხნევებლად, ან შე–საქებრად.

შესაბამისად, ყოველი დღე თითქოსდა ერთნაირი, მაინც სხვადასხვანაირობით მრავალფეროვანი და საინტერესოა: ბა–ღელები ძილამდე თამაშობს, მოსწავლეები გაკვეთილებს ამზა–დებენ; უფროსები ან ისვენებენ, ან სახვალიო თადარიგს იჭერენ,

ან კითხულობენ, ან ტელევიზორით ინფორმირდებიან; ხან ერთობიან; ხდება მოსწავლეთა მიმოსვლებიც უფროსებთან, საგნებში გაურკვეველი საკითხების გასარკვევად.

შიგადაშიგ წაკინკლავებებიც აქტიურ ფაზაშია.

ბოლოს და ბოლოს ყველანი თავთავიანთ საწოლებს მიაშურებენ მოსასვენებლად, ძალების აღსადგენად, ემოციების გადასატვირთად, დღის ორომტრიალით გამოწვეული დაღლილობის მოსახსნელად.

დილით ისევ თავთავიანთ რადიუსებზე გადაადგილდებიან, თავთავიანთი ფუნქციების შესასრულებლად და ა.შ.

დასვენების დღეებში ოჯახის წევრები შეიძლება სახლში აკეთებენ განტვირთვას, შეიძლება სეზონისა და ამინდის შესაბამისად ქალაქიდან გადიან ერთად, დროის გატარების მიზნით განსხვავებულ რადიუსზე, ან ყველა სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა რადიუსებზე მიდის სხვადასხვაგვარ მიზეზთა გამო: ვინ დაბადების დღეზე, ვინ ექსკურსიაზე, ვინ ავადმყოფის, ან დიდი ხნის უნახავი მეგობრის მოსანახულებლად, ვინ სახლში რჩება სიმყუდროვეში განსატვირთად.

საღამოს ისევ ყველა წევრის თავშეყრა ხდება სახლში – წრეწირის ცენტრში და იწყება სახვალიოზე ფიქრი.

ოჯახი კარგი რამ არის, მით უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფუნქციური.

ეს არის შრომის, დასვენების, განტვირთვის, მოსვენების, დანაყრების, საუბრის, დაგეგმვის, გონების გადახალისების, აზრთა გაცვლა–გამოცვლის, ჩაფიქრებისა და შემოქმედობითობის გამოვლენის ადგილი.

დროთა განმავლობაში იცვლება წრის ცენტრში ფუნქციები, მდგომარეობები, მათი გადაადგილების რადიუსები.

ერთმანეთს ენაცვლება: სიხარულები და მწუხარებები, წარუმატებლობები და წარმატებები, წაფორხილებები და აღმაფრენები.

ამასობაში, ბაღის ასაკი დიდი ხნის ჩამოტოვებულია, ზოგიერთის სტუდენტობაც დასასრულს უახლოვდება;

შემატებებია დაწყვილების ხარჯზე და ახალი სიცოცხლის მოლოდინი. ეს კი ახალი ტალღის, ენერგიისა და შემართების შემომტანია ოჯახში.

ვიღაცა, სტუდენტურ წლებს ამთავრებს და შრომით საქმიანობას იწყებს.

ვიღაცა, ავადმყოფობს ოჯახში და მზრუნველობითი ყურადღების ცენტრშია.

ვიღაცა, ტოვებს წუთისოფელს და ნაღველი ჩაწვება ოჯახში.

სასინანულო განწყობებისა და მოგონებების სერია ტრიალებს სადილ–ვახშამზე თავშეყრისას.

დიდხანს გრძელდება დანაკლისთან – წარმოშობილ სიცარიელესთან ტკივილიანი შეგუებების პროცესები.

დაწყვილება ოჯახის წევრთა შემცირებასაც იწვევს, თუკი გოგონა ქმნის ოჯახს, იცვლის საცხოვრისს და სხვა „წრის“ ცენტრში აგრძელებს ცხოვრებას.

იგი სხვა რადიუსებზე იწყებს მიმოსვლებს და აღმზრდელი „წრის“ ცენტრს, სტუმრის სტატუსით უბრუნდება ზოგჯერ ცნობილი რადიუსით.

ბედნიერებაა ოჯახური წრებრუნვა.

დამღლელიცაა, მაგრამ ბედნიერებით გადაღლას სხვა ხიბ-ლი, ინტერესი და შინაარსი აქვს, რომელსაც ვერანაირი მდიდ-რული, ძვირადღირებული სამკაული ან ქონგურებიანი სასახლე ვერ შეედრება, ვერც – მხოლოდ სიმდიდრეზე ოცნება და ამ ოც-ნების ახდენა.

18.03.2024 წელი.
თბილისი.

შიში და საშიში

არსებობს ადამიანთა ჯგუფი შენს გარშემო, რომელიც გიყ-ვარს, აფასებ, რიდი გაქვს, მაგრამ, გარკვეულწილად შიშიც.

მაგალითად, ბავშვობაში შიში გაქვს დედისა და მამის იმ შემთხვევაში, თუ რაიმე შეგეშალა, ან ისე არ გააკეთე, როგორც ისინი მოითხოვდნენ. შიშობ, გაგიწყრებიან, ან დაგსჯიან რაიმე მეთოდით უპასუხისმგებლობის, დაგვიანების, უზრდელობის გა-მოვლინების, თავხედობის, უფროსისადმი უპატივცემულობის, უსწავლელობის გამო.

კარგ მოსწავლეს გეშინია მასწავლებლის იმ შემთხვევაში, თუ რაღაც ისე არ იცი, როგორც საჭიროა და შიშობ, საყვედურს გეტყვის, დაბალ ნიშანს დაგიწერს... ამავე მოტივაციით. სტუდენ-ტობისას გეშინია ლექტორის, რადგან იგი შენს დასპეციალებაზე აკეთებს აქცენტს და მკაცრია გამოცდაზე.

ეს შიში იმ ადამიანებისგან მოდის, რომელთაც შენთვის სი-კეთე უნდათ და პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავის საქმესა და შენს მომავალს. ეს ადამიანები, ზოგადად, საშიშნი არ არიან. მა-

თი სიმკაცრის გამო კი გეშინიათ, მაგრამ ისინი შენს ღირსეულ ადამიანად ჩამოყალიბებაზე ზრუნავენ და სწორი გზიდან გადახვევის საშიშროებისგან დაცვას ცდილობენ.

შიში, რომელსაც ქვეცნობიერით ბავშვობიდან ატარებ მზრუნველ–აღმზრდელთა გარემოცვის მიმართ, კეთილშობილი შიშია და დიდ როლს ასრულებს, შენში ადამიანური ღირებულებების ფორმირებაში.

გიყვარდეთ, პატივით მოეპყარით და დააფასეთ ეს ადამიანები!

თქვენი ბიოგრაფია კი, ამით ღირსების ქულებით გამდიდრდება და ღირსეულ ადამიანადაც ჩამოყალიბდებით.

შიში აღმზრდელთა გარემოცვის მიმართ კეთილშობილური შიშია.

•

საშიში ის ადამიანია, ვინც თავისი ბინძური ამბიციების დასაკმაყოფილებლად პატიოსანი ადამიანების მიმართ უსასტიკეს ხერხებს მიმართავს: ცემა, დასახიჩრება, დამუქრება მკვლელობით, ქურდობა სახლში შევარდნითაც, დაყაჩაღება, გაუპატიურება, იარაღის გამოყენება,..

საშიში ადამიანი, საშიში საშიშროებებით, აშინებს კეთილსინდისიერთ და გარკვეულწილად, იმორჩილებს კიდეც მათ.

შვილი სწორად უნდა აღზარდო, მართალი ადამიანი უნდა გამოიყვანო მისგან. თაღლითად თუ გაზრდი და აჩვენებ თაღლითობის უპირატესობას, რომ გაიზრდება, საზოგადოებისთვის საშიშ ადამიანად ჩამოყალიბდება.

შენ სწორად აღზარდე და საზოგადოება თავისთავად უკარ–ნახებს, როგორ მოიქცეს: მეორე ყბა უნდა მიუშვიროს, თუ ხურ–და მაინც დაუბრუნოს, ან სრულფასოვნად გადაუხადოს.

იყავით ძლიერნი, რადგან საშიში ადამიანები თავად არიან ძალზე სუსტნი და იმიტომ მიმართავენ ბინძურ, ძალადობრივ ხერხებს.

მიუხედავად ამისა, მოერიდეთ საშიშ ადამიანებს!

მათთან საერთო ენის გამოძებნას ნუ ეცდებით!

ნუ შეეჩეხებით!

იარეთ მისგან პარალელურ ან აცდენილ წრფეებზე!

გეშინოდეთ საშიშ ადამიანთან საქმის დაჭერის!

საშიში ადამიანი, მართლაც, საშიშია.

27.04.2020 წელი.
თბილისი.

ღრუბლის დაჯქმინება ცრემლებით

გაზაფხულის ბოლო თვეა.

ხანგრძლივი წვიმების შემდეგ დარობა გახანგრძლივდა.

ქარი მძლავრობს. ხის ტოტებს უმოწყალოდ ლეწავს.

ქუჩებში ყვავილთა მტვრის კორიანტელია.

თვალსაწიერი ყვავილედებითაა გაჯერებული.

აუცილებელ საქმეზე მივდივარ, თორემ, არ ღირს ქუჩაში გასვლა ამ მტვრის ჩასუნთქვის ფასად.

სასუნთქმა გზებმა მტვერზე რეაქცია გამოხატეს და ამიტყდა ცემინება. თვალებმა გამაღიზიანებელ ფაქტორს ცრემლით უპასუხეს.

ჰაერის გამჭვირვალობა გაბუნდოვანდა.

მტვერი ღრუბლებამდეც ააღწევს.

ღრუბელსაც აუტყდება ცემინება, რაც ჭექა-ქუხილის სახით ჩამოაღწევს ჩვენამდე.

ცრემლებიც დასდინდება უნებლიედ. თანდათან იმატებს ცრემლდენა, ბოლოს თავშეუკავებლად „აღვარღვალდება“ და ჩვენ კოკისპირულ წვიმად მოგვევლინება.

ადამიანის ცრემლები ხომ სასარგებლოა, ადრენალინის შემამცირებელია და გულის ამომრეცხი?!

ღრუბლის ცრემლებიც სასარგებლოა, ჰაერის ჩამომრეცხია; ესეც ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ზოგადად, ცოცხალი სამყაროს სასარგებლოდაა მოწყობილი დედაბუნების მიერ.

ესაა ჰაერის გამწმენდი საშუალება.

ასე რომ, ღრუბელი ატმოსფეროსთვის მტვერსასრუტის ფუნქციასაც ასრულებს, მისი ცრემლები დედაბუნებას დანალექი მტვრისგან გაასუფთავებს და ბოლოს, ნარეცხ წყალს მდინარეებს დაუბრუნებს აორთქლებულის სანაცვლოდ.

15.05.2023 წელი.
თბილისი.

გულში ჩანაგუბარი

აბსურდულობა – გმირობის საწინდარია?

„შეუძლებელს მხოლოდ ისინი აღწევენ,
ვისი მცდელობებიც აბსურდულია.“
კაფკა.

კაფკას დასკვნამ ჩამაფიქრა.

ჩემი ცხოვრების წარმატებების და მიღწევების მიზეზი, ანუ სათავე, თუ აბსურდულობა იყო, ვერც წარმოვიდგენდი.

განვლილი ცხოვრება, ეპიზოდურად, უზარმაზარ პრობლე–მებთან შებმას ითვალისწინებდა და მავალდებულებდა კიდეც, რაც შეიძლება მართლაც რეალობასთან შეუსაბამო, აბსურდული და უაზრო იყო სხვათა გადასახედიდან; მაგრამ... უზარმაზარი შინაგანი ძალა და შესაძლებლობა მკარნახობდა ამ შებმას და წამითაც არ მიფიქრია ფარ–ხმლის დაყრაზე.

უკან დახევას არ შევეგუებოდი სიცოცხლის ფასადაც კი.

ალბათ, ამიტომაც, ვაღწევდი წარმატებასაც შიშველი ხელე–ბით, სხვისი მხარდაჭერის, ეკონომიური საყრდენისა და მრჩევ–ლის გარეშე.

შენს საქმეში საუკეთესო მრჩეველი ხშირად მხოლოდ საკუ–თარი თავია, რადგან საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს მხოლოდ შენ ხედავ, შენ გრძნობ, დასკვნასაც შენ გააკეთებ და გადაწყვეტილებასაც თავად მიიღებ.

თუ შიში შეგეპარა და გვერდზე დაიწყე ყურება, დრო გაგეპარება, ადგილის ტკეპნას დაიწყებ და ვერაფერსაც ვერ მიაღწევ.

სხვისი იმედით გაკეთებული საქმე, მოწოდებული ჭადის ფუნჩხებია; რაც არ გაკმაყოფილებს, მაგრამ სხვა გზა არა გაქვს, უნდა დასჯერდე და ქედიც უნდა მოუხარო მომფუნჩხველს.

კმაყოფილებას და წარმატებას მხოლოდ შენი შრომა მოგიტანს.

შენი ოფლით უნდა მოიყვანო მოსავალი, რათა კარგად დანაყრდე, ბედნიერიც იყო და საკუთარი თავის მადლიერიც.

გამრჯე, დაუზარელ ადამიანს, განწყობაც აგიმაღლდება და თავდაჯერებულობაც.

და... არ ჩათვლი აბსურდულობად:

1. სამი უსუსური შვილის ხელმარტოდ აღზრდას;

2. სამსახურთან ერთად და უძილობის ხარჯზე, სადედოფლო ტორტების კეთებას, რითაც უბინაობის პრობლემა მოვუხსენი შვილებს, კუპონობის პერიოდში;

3. სკოლაში, სამივე შვილის საუკეთესოობა მხოლოდ და მხოლოდ ჩემი კონსულტაციისა და მუდმივი კონტროლის ძალისხმევით, უმაღლესებშიც უფასოზე მოწყობა და ამასთანავე უფლის გზით ცხოვრებისთვის, პატიოსანი ქალობისა და დედობისთვის, სიყვარულისა და პატივისცემის დამსახურება სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან, ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელთაგან და მეზობლებისაგან.

მე ეს ყველაფერი შევძელი პირადულისა და ყოველგვარი სიამტკბილობის დათმობის, უარყოფის ხარჯზე.

შედეგზე ორიენტირებულმა მიზანდასახულობამ, თავდახ-რილმა შრომამ და დაუზარლობამ, საუკეთესო შედეგებამდე მი-მიყვანა.

ჩემს შრომას, ყველა წარმატებასა თუ მიღწევას, სტუდენტო-ბის ჩათვლით, და შვილების ხელმარტოდ აღზრდას გმირობად თვლიდნენ და დღესაც თვლიან, რადგან, მე, ამ ყველაფერს ვაღ-წევდი, ჩემი გონებრივი გათვლითა და შესაძლებლობებით, ჩემი გულმოდგინე, თავდაუზოგავი შრომით, პროტეჟესა და ანგარე-ბის გარეშე.

სხვათა შორის, შვილების წარმატებებიც ასე ითვლება, რად-გან ჩემი გაზრდილები და აღზრდილები არიან წიგნისა და შრო-მისმოყვარეებად.

დაე, სხვამ ჩათვალოს აბსურდულობად, ჩემი გმირობის ტოლფასი, უზარმაზარი წარმატებები.

27.06.2022 წელი.
თბილისი.

ამოუცნობი დუღაბი

უფლის წყალობაა ყოველივე, რაც ჩემშია და რაც მწამს.

ღვთისგან ბოძებული ნიჭის და შესაძლებლობების საფერად, კალეიდოსკოპისდაგვარად უამრავწახნაგოვანი დუღაბი ვარ:

მტერიცა და მოყვარეც;
მორწმუნეცა და ურწმუნოც;
უღარიბესიცა და უმდიდრესიც;
ურჩიცა და მორჩილიც;
ტლანქიცა და მოქნილიც;
მოხერხებულიცა და მოუხერხებელიც;

თავდაჯერებულიცა და მერყევიც;
დამოუკიდებელიცა და უსუსურიც;
უკმაყოფილოცა და კმაყოფილიც;
ქედმოხრილიცა და ქედმოუხრელიც;
უდარდელიცა და დარდიანიც;
უხალისოცა და ხალისიანიც;
ურეაქციოცა და რეაქციულიც;
უფხოცა და ფხიანიც;
იმედიანიცა და უიმედოც;
უქონელიცა და მქონებელიც;
უცხოცა და ნაცნობიც;
უჩვეულოცა და ჩვეულებრივიც;
უთვალ–უყუროცა და ასთვალ–ასყურაც;
უფუნქციოცა და მრავალფუნქციურიც;
დაუმორჩილებელიცა და დამყოლიც;
უდრტვინველიცა და ბუზღუნაც;
უბედურიცა და უბედნიერესიც;
უშფოთველიცა და შფოთიანიც;
უმაღლესიცა და უმდაბლესიც;
გულუხვიცა და გაუმეტებელიც;
ულმობელიცა და ლმობიერიც;
უმცირესიცა და უზარმაზარიც;
მოსიყვარულეცა და მოძულეც;
უპრობლემოცა და პრობლემურიც;
უდრეკიცა და დრეკადიც;
მედიდურიცა და მდაბიოც;
უმდაბლესიცა და უმაღლესიც;
უანგაროცა და ანგარებიანიც;

წყნარიცა და კაპასიც;
უსაქმურიცა და საქმიანიც;
მღილისოდენაცა და უკიდეგანოც;
უჩინარიცა და გამოჩინარებულიც;
უებარიცა და უვარგისიც;
რბილიცა და კერკეტიც;
სასარგებლოცა და უსარგებლოც;
უშიშარიცა და მშიშარაც;
უახლოესიცა და უშორესიც;
გამოუსადეგარიცა და გამოსადეგიც;
უტკბილესიცა და უმწარესიც;
უჩლუნგესიცა და უნიჭიერესიც;
უგულთბილესიც და უგულცივესიც;
უცნაურიცა და ჩვეულებრივიც;
გულგახსნილიცა და გულჩათხრობილიც;
გულკეთილიცა და გულქვაც;
გულხელგაშლილიცა და გულხელდაკრეფილიც;
უტყუარიცა და მატყუარაც;
უღალატოცა და მოღალატეც.
გულწრფელიცა და გულდახურულიც;
გულზვიადიცა და გულჩვილიც.

აი, ასეთი ინგრედიენტებისგან შემდგარი დუღაბი ვარ.
ჩემი გაცნობა, ძალზე ადვილია.
შეცნობა? ძნელზე ძნელი.
შეუძლებელიც.

21.06.2020 წელი.
თბილისი.

ალ თქმა

შემოდგომაა.

სკოლამდელ ასაკში ვარ, ალბათ 5–6 წლის.

გრიპიანობა დადიოდა სოფელში.

მაშინ გაუგებარი იყო ჩემთვის გრიპის მსვლელობა კარდა–კარ რა ფორმით ხდებოდა.

ჩვენს ოჯახსაც ეწვია.

ბავშვებმა მოიტანეს სკოლიდანო, ასე თქვეს, ანუ ჩემმა და–ძმამ.

ჯერ ისინი ჩაწვნენ.

ცოტა უკეთესობა რომ დაეტყოთ, ლოგინში ცელქობდნენ, ხტუნავდნენ, დედის შენიშვნისა და აკრძალვის მიუხედავად.

დედა თავს ევლებოდა მათ. საწოლში მიართმევდა ხოლმე საუზმეს, სადილს, ვახშამს, შიგადაშიგ კომპოტს, მურაბას, ხილს და სხვადასხვა სასუსნავებს.

გარკვეულწილად, თითქოს ხიბლიანიც კი იყო მათი პატი–ვისცემის ქვეშ ყოფნა, ჩემი გადასახედიდან.

ბოლოს გრიპი მეც მეწვია. ისე მაგრად ჩამიხუტა, დიდხანს არ გამიშვა ხელი მაღალმა სიცხემ და ხველებამ, ალბათ „მოვე–წონე“ დედის დამჯერე ავადმყოფი. სუნთქვა მიჭირდა, სიცხისგან თავი მისკდებოდა.

წამალს მასმევდა დედაჩემი, მეც ვებრძოდი, ლოგინში ჩა–ფუთნული, მაგრამ თავს ვერ ვინთავისუფლებდი, ისე მაგრად მი–ჭერდა მისი ძლიერი „ხელებით“.

ძალიან ცუდად კი დამამახსოვრა თავი.

დედაჩემი ძმრით შემიზელდა სხეულს, საფეთქლებს, იღლი–

ებს, ფეხის გულებს, შუბლზე ძმრიან ტილოს დამადებდა და მეტ-ყოდა:

– ლოგინში არ გაინძრე, არ აიშიაქო, ოფლი უნდა მოიხა-დო!

ე.ი. სანამ კარგად არ დამასველებდა ოფლი, სანამ გასაწუ-რი არ გახდებოდა ჩემი პერანგიცა და თეთრეულიც, მანამდე არ მაძლევდა უფლებას ხელი გამომეყო საბნის გარეთ, ანუ არ უნდა ამეშიაქებინა გასაგრილებლად. მეც ვუჯერებდი, მალე კარგად გახდომის იმედით.

არც ჩემმა დამჯერებლობამ გაჭრა „აშიაქებასთან“ დაკავში-რებით, არც დედაჩემის თანგადაყოლილმა მზრუნველობამ.

სიცხე დაბლა არ იწევდა.

ღუმელივით ვხურდი.

არანაირი საჭმელი არც მინდოდა და არც მეგემრიელებოდა პირში.

ყველაფერი გაუგემურდა.

მახსოვს, ერთადერთი რაც მეგემრიელა პრასის მჟავე იყო და „ბლომადაც“ ვჭამე, მაგრამ რად გინდა, მალევე უკან გადმო-ვანთხიე და მას შემდეგ პრასის მჟავის სუნიც კი, ზიზღისმომ-გვრელად, უარყოფითად აღიზიანებს ჩემი ყნოსვის რეცეპტო-რებს დღესაც კი.

მოკლედ, ჩემი სიცხიანობა დიდხანს გაგრძელდა. ისე დიდ-ხანს, რომ ვიგრძენი, დედაჩემი უძლური იყო ჩემთან წვეული „პატივცემული“ გრიპის თანმხლები სიცხიანობის წინაშე. ძალზე წუხდა, რადგან არც წამალი მშველოდა და არც აუშიაქებლობა.

ერთ საღამოს, ისევ ჩაფუთნული ვწევარ, ოფლის „მოხდის“ პოზიციაში.

დედაჩემიც იქვეა.

იმედგადაწურულობა ეტყობოდა.

უცებ ჩემს საწოლთან დაიჩოქა და სასოწარკვეთილმა წარ-მოთქვა:

– ღმერთო, ჩემი ციცინო გამომიჯანმრთელე და ჩემს სიცოცხლეში ფრინველის თავს არ შევჭამ! – სამჯერ გაიმეორა და ჩემს საწოლზე თავი ჩამოდო. ალბათ გულში აგრძელებდა ლოცვას.

დედაჩემს, მართლაც განსაკუთრებით უყვარდა ფრინველის თავი. როცა ფრინველისგან კერძს მოამზადებდა, მაგიდაში ჩადგმამდე თავის თეფშზე წინასწარ გადმოიღებდა თავს, რათა შემთხვევით სხვას არ შეხვედროდა.

უფალს გულწრფელად შეჰფიცა პირის გემოს სიამოვნებისა და სიყვარულის დათმობა სიკვდილამდე, რაც აასრულა კიდეც.

მეორე დილიდან უკეთესობა დამეტყო და ნელ-ნელა დამიბრუნდა ბავშვური ცხოვრების რიტმი.

მას შემდეგ ფრინველის თავს მე დამიდებდა-ხოლმე თეფშზე და მეც შევიყვარე, ოღონდ მხოლოდ ტვინს ვჭამდი.

რწმენით, გულწრფელ ლოცვას მაგიური ძალა აქვს.

08.11.2023 წელი.
თბილისი.

გამოხატვის მოულოდნელობანი

მესამე შვილიც უნივერსიტეტში ასპროცენტიანი გრანტით რომ მოეწყო, ბედნიერი დავაბიჯებდი, მსუბუქად და მხნედ. შვილების ფონს კარგად და წარმატებულად გაყვანა დიდ იმედს მაძლევდა.

დიდი საეკლესიო დღესასწაული იყო.

ბათუმის საკათედრო ტაძრის ეზოში შევედი და მოულოდნელად ბავშვთა პოლიკლინიკის ექიმი შემხვდა.

გულთბილად გადავეხვიეთ და მოვიკითხეთ ერთმანეთი.

მე, ჩემი შვილების წარმატებების ამბავი ვამცნე, ბედნიერმა.

რა თქმა უნდა ძალიან გაუხარდა და ბოლოს გულისხმიერად ჩამეკითხა:

– თქვენ როგორ ხართ?

გამაკვირვა ამ შეკითხვამ ბედნიერი დედა და კითხვა შევუბრუნე:

– კარგად ვარ. რატომ მეკითხებით, რამე მეტყობა?

მან კი შვილებზე თავგადაგებულ დედას მშვიდად მითხრა:

– ხანგრძლივად სუნთქვაშეკრულად და თავდავიწყებულმა ცხოვრებამ ბოლოს იცის გამოწევა.

ერთმანეთს დავშორდით.

გამაოცა და გამაკვირვა მისმა დიაგნოზმა. დიდხანს ვყვებოდი ახლობლებთან და ვასკვნიდი, რომ ჯერ არა, მაგრამ ეს „გამოწევის“ დროც დადგება ალბათ–მეთქი.

აჰა დადგა კიდეც.

იმ შეხვედრიდან თხუთმეტი წლის შემდეგ „გამომიწია“. ალბათ ძალიან ჯანმრთელი ვყოფილვარ და იმიტომ.

არასრულყოფილი, არასრულფასოვანი, არაჯანსაღი გავხდი. ყველაფერი მოიშალა ჩემში ერთდროულად, მაგრამ არ ვიმჩნევ.

არ ვწუწუნებ.

არ მტკივა და არ მეცრემლება ტკივილი, არც ბედუკუღმართობა.

ცრემლი მხოლოდ სიხარულზე, საქმეში წარმატებაზე, გამარჯვებაზე თუ მომადგება.

ხშირად არ ვარ კონკრეტული, თანმიმდევრული, აქტიური, აღმამსვლელი.

ჩემდა გასაკვირად ხანდახან დინებას მივყვები, თუმცა თავს არ ვკარგავ, რადგან ვერევი არაორდინალურობას.

ხან რაიმე საქმის გაკეთებაზე ხელს ჩავიქნევ, თუმცა შემიძლია მისი გაკეთება. მეგობრებიც არ მახვევია თავს, რომ მომაფხიზლონ.

ეკონომიურადაც არ ვლაღობ.

ასე რომ, ვცოცხლობ.

ვცხოვრობ კიდეც, თუმცა მოლოდინის შესაბამისად არა.

რაც ვარ, ის ვარ.

მე უკვე შესაძლებლობისდაგვარად ვდგავარ, უფლისმიერად.

•

მესამე შვილის სრული გრანტით მოწყობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საგულისხმო მომენტიც მახსენდება.

მან გამოცდები ბათუმში ჩააბარა.

ქულები ვიცოდით, მაგრამ გრანტში მოხვედრა მოგვიანებით, ინტერნეტით უნდა გაგვეგო.

მე, სამსახურიდან ხელმოცარული, გოგონებთან ერთად თბილისში ვიყავი და ვისაც როგორ შეგვეძლო, ისე ვაგვარებდით ეკონომიურ მხარეს.

იტალიურ ეზოში, მეზობლად, საკმაოდ ასაკოვანი სომეხი ქალბატონი, სუსანა, ცხოვრობდა. ის ჩემს გოგონებს უკვე იცნობდა, როგორც სრული გრანტით მოწყობილებსა და კარგ, დაუზ-

არელ, მშრომელ, სუფთა ახალგაზრდებს.

ყველანი სულმოუთქმელად ველოდით უმცროსი ვაჟის შედეგების დადებას ინტერნეტში.

ინტერნეტიც სუსანას ოჯახს ჰქონდა.

ეს დღეც დადგა.

აგვისტოს ცხელი დღის 11–12 საათი იქნებოდა, გოგონები გახარებულები გამოვარდნენ სუსანას ოთახიდან, ეზოში მდგარს შემომეხვივნენ და ძმის სრული გრანტით მოწყობა მომილოცეს.

თავშეკავებულად ვხარობდი სამივე შვილის სასკოლო ეტაპის წარმატებულად დასასრულს და ფონს გასვლას.

ვხედავ, მოდის ქალბატონი სუსანა.

მისგან ჩვეულებრივ მოლოცვას ველოდებოდი.

მომიახლოვდა.

ხელი გამოწვდილი არა აქვს ჩამოსართმევად.

მოულოდნელად ჩაიჩოქა უხეშქვებიან მიწაზე, ხელები შემომხვია მუხლებზე და კოცნა დამიწყო.

ჩემი თხოვნის მიუხედავად აგრძელებდა თაყვანისცემას. ბოლოს ადგა, გულში ჩამიხუტა და მითხრა:

– როგორ მინდა შენი ნაფეხურები ვკოცნო! შენნაირი დედა ჯერ არ შემხვედრია!

გაოგნებული შევყურებდი ამ სომეხ ქალბატონს.

მადლობა მოკრძალებულად გადავუხადე.

ასეთი გულწრფელი ჟესტით გაოცებულიც დავრჩი, რადგან ასე გულიანად და მსგავსი თაყვანისცემით არავის არასდროს მოულოცნია ჩემთვის წარმატებები.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა.

ალბათ, ქალბატონი სუსანა ცოცხალიც აღარ არის.

თუმცა, ჩემი მადლიერება მისი გულწრფელი და კეთილშობილური საქციელისთვის მას ცხონებაში ნამდვილად წაადგება.

21.06.2020 წელი.
თბილისი.

გუთვლილი სიკეთე

მეორე კურსის სტუდენტი ვარ ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

პირველი სემესტრის ბოლოა.

ჩათვლები დავამთავრეთ.

გამოცდების ციებ-ცხელების მოლოდინია.

მაგრამ...

გამოცდებამდე ახალი წლის საცდურზე გვერდის ავლაც ძნელია სტუდენტისთვის, რადგან განტვირთვა ნამდვილად საჭიროა მოსალოდნელი დიდი შრომისა და განსაცდელის წინ.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ და გავიფანტენით სამხიარულო სიტუაციების შექმნის თვალსაზრისით ახლობლებისკენ, ოჯახებისკენ.

•

ნაახალწლევს ინსტიტუტის ეზოში შეკრებილი თანაკურსელები არჩევდნენ საახალწლო დროსტარების სამხიარულო, შთამბეჭდავ დეტალებს და ერთმანეთს კითხვებს აყრიდნენ. იყო სიცილ-კისკისი, ლაღი იუმორით გაჯერებული განხილვები. იგრძნობოდა გადახალისებული, ენერგიული განწყობებით დაბრუნება.

მე, როგორც მჩვევია, ამ ორომტრიალის ეპიცენტრში არ ვიდექი და თამაშგარე მდგომარეობიდან ვუსმენდი მათ. გული რომ იჯერეს ერთმანეთის მიკითხ-მოკითხვით და დაცხრნენ, მა-

შინ „აღმომომაჩინეს“ და ერთ–ერთმა, ჩემით დაინტერესებულ–მა, მკითხა:

– შენ ალბათ, ბათუმში იყავი ხომ?

იცოდნენ, იქ მამაჩემი სოფლის ხორაგით დატვირთული ჩა–დიოდა ჩემი დის ოჯახში და მსუყე სუფრაც იშლებოდა საახალ–წლოდ; ზოგჯერ მეც იქ ვხვდებოდი ხოლმე.

– არა, მე დეიდაჩემთან ერთად შევხვდი ახალ წელს, აქვე, პატრიკეთში (ქუთაისთან ახლოს).

სერიოზული დუმილი ჩამოწვა. იცოდნენ, დეიდა მარტო რომ ცხოვრობდა.

მეტი არაფერი მითქვამს.

შემდეგ ვიწრო წრეში გავშალე თემა.

•

შვილმკვდარი დეიდა მარტოდმარტო ცხოვრობდა პატარა, რკინის ბოძებზე შემდგარ ხის სახლში. მისი ვაჟი, მთავარი ინჟინე–რი ნავთძიების სამმართველოში, იშვიათად ჩადიოდა მასთან. ხო–ლო ქალიშვილი, ახალგათხოვილი, 30 წლის ასაკში ჰყავდა გარ–დაცვლილი და იმას ვერ ინელებდა, მიწას მიბარებული შვილი როგორ მივატოვე და სასაფლაოდან სახლში გამოვბრუნდიო.

მე მას, შეძლებისდაგვარად, ხშირად ვსტუმრობდი.

დეიდაჩემი ამ დროისათვის სამოცდაათს გადაცილებული ადამიანი იყო.

საახალწლოდ კი, რომ გავიფიქრე, დეიდაჩემი ახალ წელს უსიხარულობაში გაატარებდა, არც მიყოყმანია, მასთან წავედი მისი განწყობის გამოსაკეთილშობილებლად.

ნაშუადღევი იყო, რომ მივედი.

როგორც ველოდი, სიცივეში უიმედო მარტოსული უკვე ჩაწოლილიყო ლოგინში, თავისი შვილის უზარმაზარსურათებიან ოთახში. ფეხის ხმაზე თავი წამოწია ბალიშიდან და რომ დამინახა, სიხარულით შემომძახა იმერული დიალექტით:

– დია, რამ გაგაჩინა ახლა შენ?.. (ეტყობა, ისიც ფიქრობდა, რომ მე ჩემებთან წავიდოდი საახალწლოდ, მაგრამ დეიდაჩემიც ხომ ჩემი იყო, გულგამომწვარი და გულდათუთქული?!).

წამოდგა, ჩამეხუტა, სიხარულის ცრემლები შეიმშრალა, ჩაცმა დაიწყო გახარებულმა და ძალაშემატებულმა.

არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ყველაფერს მოვახერხებთო.

მართლაც, ერთი მეზობლიდან ქათამი იყიდა, მეორედან ყველი და შევუდექით საქმეს. ბუხარში ცეცხლი დავანთეთ, ქათმისთვის წყალი შემოვკიდეთ, დეიდაჩემმა სახაჭაპურე ცომი მოზილა, მე ნიგოზი დავარჩიე და ნიორთან ერთად დავნაყე; სახაჭაპურედ ყველი გავამზადე,.. მთავარი დეიდაჩემი იყო, მე მუყაითი, დამჯერე დამხმარე.

მოკლედ, ქათამი ჩავასაცივეთ, ხაჭაპურები და ჭადები გამოვაცხვეთ, ღომიც გავაკეთეთ და ქათქათა, თეთრ სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე სუფრაც გავაწყვეთ, სადაც, დასალევად შავი ღვინო და ტკბილი ლიქიორი, დესერტად ჩირი და ჩურჩხელა, კანფეტები და ვაშლი ეწყო მაგიდაზე. თითქოს, ასე მოკრძალებულად, მაგრამ გულსავსედ და იმედიანად შევხვდით ახალ წელს.

ეს ახალი წელი, ჩემი დალოცვის გამოვიდა, რადგან დეიდაჩემმა ბევრჯერ ახსენა ხაზგასმით:

– დია! შენ რომ არ მოსულიყავი, ხვალ დილით ჩაის დავლევდიო.

ორ იანვარს წამოვედი.

გამოცდებმა ხომ არ იცის საახალწლო შეღავათები?!

წამოსვლის წინ ბალიშის ქვეშ დაგროვებული ხურდა ფული გამოიღო და წინააღმდეგობის მიუხედავად მუჭში ჩამიდო სიტ-ყვებით:

– არ დამიწუნო, ამ ხურდებს შენ გიგროვებ!..

სხვა დროსაც აკეთებდა ასე. ქაღალდის ფულიც კი მოუცია, მაგრამ ნაგროვები ხურდიდან, დაგროვებული სითბო იგრძნობო-და.

გამომაცილა ცენტრალურ გზამდე, კერძო მანქანა გააჩერა, მძღოლს სამგზავრო ფული გადაუხადა და მანქანაში მსხდომ მგზავრებს ჩემი თავი ჩააბარა.

დეიდაჩემის სახეზე იმედის სხივი სჭვივოდა, რომ სხვა დროსაც გავახარებდი.

ჩემი თანაკურსელი აღფრთოვანებულიცა და გაკვირვებუ-ლიც დარჩა ჩემი მონაყოლითა თუ გადაწყვეტილებით.

მეც ძალზე ბედნიერი ვიყავი მაშინ ჩემი არჩევანით და ახ-ლაც გულს მითბობს ეს ისტორია.

საგზლად მომყვება იმ ახალი წლის მადლი, ცდუნებას რომ არ ავყევი და ერთ უიმედო ადამიანს გულის ტვირთი ცოტათი მა-ინც შევუმსუბუქე.

თანაც, ჩემს კეთილ საქმეთა ნუსხას ერთი ფურცელიც შევ-მატე.

ამ ამბავს ახლა ჩავუკვირდი და ეს იარლიყიც ახლა მივაკა-რი, თორემ, როცა რაიმეს აკეთებ, იმაზე თუ იფიქრე, ეს სიკეთე-ში ჩამეთვლებაო, სიკეთე აღარ გამოვა.

10.08.2023 წელი.
თბილისი.

გაუხუნარი მეხსიერება

საჩუქრით, ან რაიმე ძვირფასეულის შეძენით გამოწვეული სიხარული და ბედნიერება წარმავალია, რადგან ეს ყველაფერი ცვეთადია და დროთა განმავლობაში მეხსიერებაშიც უფერულდება.

ბოლოს...შეიძლება მეხსიერებიდანაც წაიშალოს.

ადამიანური ურთიერთობები კი, ცოცხალ ხატებად, წარუშლელი და გაუხუნარი რჩება მეხსიერებაში.

იგი არ ხანდაზმულობს.

რა შთამბეჭდავი იყო, ცხელი ზაფხულის გვიანი საღამო დედულეთში?!

ეზოში, სახლსა და ჭიშკარს შორის, მოედნისებური, მოლიანი სივრცის შუაში, კიდევ უფრო პატარა სივრცის – წრის ირგვლივ, პატარა ჯორკოებზე ვისხედით: ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული ბებიაჩემი, დეიდაჩემი, სტუდენტი დეიდაშვილი გოგონა და მე, რომელიც ძალზე პატარა ვიყავი მათთან შედარებით ასაკითაც (დაწყებითი კლასის მოსწავლე) და ძალიან შორსაც მათი საუბრის თემებისა და პრობლემებისგანაც.

მე, მათთან ერთად, თითქმის არ ვიჯექი.

ჩემი ჯორკო, ფაქტიურად ცარიელი იყო, რადგან ვცელქობდი და ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი.

მათი თქმით, მე ბედნიერი ბავშვობა მქონდა და პროგნოზითაც, მუდამ ბედნიერი ვიქნებოდი.

გონიერ გოგონას ყველა საქმე კარგად ამეწყობოდა მომავალშიც.

სავსე მთვარესა და მოკაშკაშე ვარსკვლავებით გადაჭედილი ცის თაღს უკუნი სიბნელე ნათლით შეეცვალა და ერთმანეთის უხმაურო ემოციების გარჩევაც ძნელი არ იყო.

ემოციები მოგონებებისა და სასაუბრო თემის მიხედვით იცვლებოდა.

ხან სინანული სჭვიოდა, თუკი ბებიაჩემი 37-ნი წლების მსხვერპლის, თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო ვექილი ვაჟიშვილის მოლოდინზე ჩამოაგდებდა საუბარს, ან იმ სინანულზე, ცხრა შვილიდან მხოლოდ სამი რომ შემორჩა და საკმაოდ გამეჩხრდა მისი დიდი ოჯახის შემადგენლობა.

დეიდაჩემი კი მისი წარმატებული ქალ-ვაჟის მომავალზე ჩამოაგდებდა საუბარს, რასაც ჩემი დეიდაშვილი ხუმრობაში გაუტარებდა და აკისკისდებოდა. საუბრის თემას სტუდენტურ ცხოვრებაზე გადაიტანდა, რომელიც დაუსწრებლად მიმდინარეობდა სოხუმში და სტაჟისთვის ქუთაისში მუშაობდა. ძმა კი უკვე ნავთძიების სამმართველოში მთავარი ინჟინერი იყო და დაოჯახებისთვის „ვერ იცლიდა“.

ზეციურ ნათებას ციცინათელების ციმციმიც ემატებოდა, ბებიაჩემის სიცილს კი, მისი ფუმფულა მუცლის თახთახი.

ოჯახური საუბრის დასასრულსა და დაძინებაზე არავინ ფიქრობდა. მხოლოდ მაშინ, როცა მთვარე წასვლას გადაწყვეტდა მოსასვენებლად და ჩაითავდაღმართებდა, ბებიაჩემი იტყოდა:

– ავდგეთ ახლა დია, საწოლებს მივაშუროთ! თორემ, სალაპარაკოს ჩვენ რა გამოგვილევს და თავზე არ წამოგვათენდეს!

საუკეთესო მოსაგონარი

ბავშვობისა და სტუდენტობის,
საუკეთესო მოსაგონარი
დედულეთია – შვების სავანე;
ბებო და დეიდა შვილებით –
სიკეთის სათავე.

ბევრს მავალებდა, დღესაც მავალებს
გონიერი და მკაცრი ბებია:
ცხოვრების წესით და ქალური ღირსებით...
იგი წავიდა წუთისოფლიდან,
103 წლისა,.. ჯანსაღი კბილებით.

21.03.2024 წელი.
თბილისი.

•

გურიაში იმერული დიალექტითა და კილო-კავით დახუნ-ძლული ვბრუნდებოდი და მეორე არდადეგებამდე მოგონებები მასაზრდოებდა დედულეთზე, წერილებით მოვიკითხავდი და ვაწვდიდი ინფორმაციას ჩვენს შესახებ.

წამოსვლისას, არდადეგების დასასრულს, ჩემს გამოსაცი-ლებლად, მთელი ოჯახი ჭიშკართან იყრიდა თავს.

ბებიაჩემი ახლა მაღალ „ტაბურეტზე“ იჯდა.

ჯოხზე დაყრდნობილ ბებიას, ავტობუსის მოლოდინში, რამ-დენჯერ შეაშრებოდა მოსალოდნელი განშორებით გამოწვეული ღაწვზე ჩამოგორებული ცრემლი, ვინ იცის?!

მე კი, ჩვეული სიცელქით, ვეხუტებოდი, ვუმსუბუქებდი ნაღ-ველს და სასწავლო წლის ხანმოკლეობას თითებზე თვეების ჩა-მოთვლით გამოვხატავდი.

მასაც სახე ებადრებოდა, ასე მარტივად რომ ვაგვარებდი და ვუიოლებდი მომავალ ზაფხულამდე მოლოდინის რეჟიმს.

და... ბოლოს, მთელი წლის საგზლად მიმყვებოდა: გულაჩუ-ყებული ბებიაჩემის ცრემლიან-ოფლიანი სახისა და მოხუცი სხე-ულის სირბილე, განსხვავებული სურნელით; აგრეთვე, ბუხარში გახურებულ პატარა კეცებზე, მის მიერ ჩაკრული, წაბლის ნეშოში

გამომცხვარი ჭადების სურნელი, ერთი სული რომ მქონდა, ჩა-მეკბიჩა ხმელ ყველთან ერთად. თან, გაცივების პროცესი ხომ უსაშველოდ ხანგრძლივდებოდა ზაფხულში.

ავტობუსში რომ ჩავჯდებოდი, ჩემს წასაყვანად ჩამოსულ მა-მაჩემთან ან დედაჩემთან ერთად, ხელის ქნევით, დიდხანს ვემ-შვიდობებოდი დედულეთსაცა და ზაფხულის არდადეგებსაც.

გზაში, ფიქრები თანდათან გადაერთვებოდა გურიაზე, სახლზე, ხეხილით გადავსებულ ეზო-კარზე, სასკოლო ჩანთაზე, წიგნებზე, ჩემს საწოლზე, ბალიშზე და გული ჩქარა ნახვის სიხა-რულით მიჩქროლდებოდა.

გურიაში, იმერეთისგან განსხვავებით, ოჯახური თავშეყრის საღამოები, შემოდგომაზე, სიმინდის რჩევის პროცესში იყო, შუა ცეცხლთან, ბაბუასეული ხის სახლისგან გადაკეთებულ „კუხნაში“.

დრო სწრაფად გადიოდა, დარჩეული სიმინდით გოდრის ავ-სებისა და ამასობაში ჭყინტი სიმინდის შეხვედრის ინტერესით, რომელსაც, იქვე, ცხელ ღადარში ვწვავდით და ვინაწილებდით, რითაც შრომა უფრო ხალისდებოდა.

ეს პროცესი, მოგვიანებით, ასე ჩამოვაყალიბე:

ნაკ-ვერ-ჩხალ-ზე იბ-რა-წე-ბა შე-მოდ-გო-მის ჭყინ-ტი ტა-რო,

დრომ ყვე-ლა-ფე-რი წა-შა-ლა, ხსოვ-ნა-ში უნ-და ვა-ტა-რო.

17.09.2020 წელი.
თბილისი.

გზა გოლგოთისკენ

მივდივარ, მივისწრაფვი ჰორიზონტთან შესახვედრად.

შესვენების გარეშე მინდა მივაღწიო.

შესვენებას იქ ვგეგმავ.

ვჩქარობ.

მინდა დავტკბე ჰორიზონტის სწორხაზოვნებით, ცისა და დედამიწის შერწყმის ადგილის ხილვით და შემდგომი სავალი გზა დავგეგმო.

მაგრამ... უშედეგოდ.

გულუბრყვილო ბავშვივით გამომდის ყველაფერი.

გზას ვაგრძელებ.

მანძილი უცვლელია, გზის გაუმჯობესებაც არ ჩანს, ყველგან ოღრო–ჩოღროა და ეკალ–ბარდი.

არადა, შორიდან თითქოს ყველაფერი ახლოს, სწორხაზოვანი და ადვილად მისასვლელი მეგონა.

აი ახლა, აი ახლა მივაღწევ–მეთქი, ვფიქრობ კვლავ ჯიუტად.

ასე გულაჩქარებული, გულამოვარდნილი მივისწრაფვი ჰორიზონტისკენ.

გზაში ყველა წვრილმანს, ყველა წაქცევას, ყველა აღმასვლას, ყველა შოკური თუ კომური მდგომარეობის დაფიქსირებასა და კოპირებას ვცდილობ.

ხან პეწიანი ვარ, ხან – ლაფში ამოსვრილი, ხან – კოჭლი, ხან – დაჩოქილი, ხან – გულაჩუყებული, ხან – გულატირებული, ხან – გულხელდაკრეფილი, ხან – გულხელგაშლილი, ხან – ბედნიერი, ხან – ქარბორბალასავით ჩქარი, ხან – ზოზინა და მცონარა, ხან აკადემიურად გამოვიყურები, ხან – უბრალოდ, ყოველდღიურ–

ობაში; ხანაც წამშველებელს ვეძებ ამაოდ და არასრულფასოვ-ნების სინდრომი აფერხებს სვლას ჰორიზონტისკენ, მაგრამ მა-ინც არ ვჩერდები და არც ვნებდები.

როცა ჩემთვის თითქოს დაუძლეველ ბარიერს, დიდ აღ-მართს გადავლახავ, ბავშვივით მიხარია, ძალა მემატება და თავ-დაღმართში მივექანები. ახლა ყველაფერი მალე დასრულდებას ფიქრში... ახალი აღმართი იწყება და... ისევ ყველაფერიც თავი-დან იწყება.

ახალი აღმართი უკვე სხვა სიმაღლეებია და სხვა სირთულე-ები, რომლის დაძლევაცაა თვითმიზანი.

ეს სწრაფვა და ბობოქრობა ჩემში ხდება ფარულად, შიგნით, გულის სიღრმეში. ამას სხვა ვერც ამჩნევს. ეს ჩემი სულის ტრა-ექტორიაა, ასეთი სინუსოიდალური, რომელიც განუწყვეტლივ შემოდის ჩემში.

მე, როგორც წესი, როგორც სუნთქვა, როგორც გულისცემა, ისე ვღებულობ ამ დაბრკოლებებს და ისე ვარ ჩართული მის გა-დალახვაში, გვერდით მყოფთ ვერც კი ვამჩნევ. სხვაზე ყურად-ღების გადატანა ხელს შემიშლის მიზნისკენ სვლაში.

მე ხომ სხვისი იმედით არ მივისწრაფვი საქმის მოსაგვარებ-ლად?!

ჰორიზონტისკენ მიმავალი გზა არავისთვისაა ხიბლის ობი-ექტი. მისი გადალახვის სურვილი არავის შეეხარბება, არავის შეშურდება, იმდენად ჩახერგილისა და გაუვალის შთაბეჭდილე-ბას სტოვებს?!

მე არც მეშინოდა და არც ახლა მაშინებს, რადგან ჩემთვის ისინი ჩვეულებრივობად იქცა.

ისედაც, შიში ვერ შემაშინებს, ვერც შემაჩერებს, მაინც ვაგრძელებ გზას, „მუჯლუგუნების“ მიუხედავად.

ეს ჩემი ცხოვრების ნორმად იქცა.

მივეჩვიე სიცივეს, უყურადღებობას, ზურგის შექცევას, დამ–ცინავ მზერას, გაქილიკებას.

ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს.

ჩემი საბრძოლო იარაღი გაცლა და განშორებაა. თითქოს მათ ვერ ვხედავ, გვერდს ავუვლი და გზას ვაგრძელებ.

გზაში სულ მარტო ვარ, ზოგჯერ ხმის გამცემი მენატრება.

შიგადაშიგ გამოჩნდებიან ხოლმე, მაგრამ ყველა სულ სხვა ენაზე ლაპარაკობენ, მე კი ისევ იმ ენაზე ვსაუბრობ და იმ ენაზე ვაზროვნებ, რომელზეც აღმზარდეს.

ერთგული დავრჩი ჩემი ფესვების.

მიწიერი ვერ ვიფრენ, ვერ ვიფარფატებ.

მოგვიანებით მივხვდი, ჰორიზონტისკენ სწრაფვა ჩემი გოლ–გოთისკენ სწრაფვა ყოფილა.

თურმე, იქ ასასვლელ გზებს ვკაფავ და ოფლად ვიღვრები.

კვირა და ორშაბათი ერთმანეთში არეული მაქვს.

დღეთა სვლას მზის ამოსვლა–ჩასვლა მამცნობს.

კიდევ კარგი, ჩემი სათაყვანებელი მზე რომ ზრუნავს ჩემს ქვეცნობიერზე.

მუდამ მზის ნატრული, თვალცრემლიანი, სუნთქვაშეკრული ვემშვიდობები დაისს და მის დაბრუნებამდე სული კბილით მიჭი–რავს.

ბედნიერი ვეგებები ყოველ აისს.

მეჩვენება, ჩემთვის აფრქვევს სხივებს, მხოლოდ ჩემში იღ–ვრება და ისადგურებს.

აისიდან დაისამდე მთელი სიცოცხლეა.

რამდენი ასეთი სიცოცხლე მაჩუქა უფალმა უანგაროდ, დროის გაუფლანგველობისა და თავდაუზოგავი შრომისთვის?!

საჩუქარი სტიმულს მაძლევს და კიდევ უფრო მეტად ვიხარ-ჯები მზის თვალწინ, თითქოს ბოლო საჩუქარია.

ყველაფერს მაინც ვერ ვასწრებ და გადადებული საქმისთვის კვლავ მორიდებულად შევთხოვ უფალს ერთ აისს.

ისიც, ჯერჯერობით, უშურველად მასაჩუქრებს.

მზე ერთგვარი ზედამხედველიც არის უფლისგან, დამხმა-რეც, გზის მანათობელიც, მახარობელიც, გამათბობელიც, მამ-ხნევებელიც, მკურნალიც და... სტუმარიც.

სტუმარს დახვედრა უნდა, გამასპინძლებაცა და გაღიმებაც.

სტუმარს წამოწოლილი მასპინძელი არ უყვარს, მით უმეტეს მზეს, რადგან იგი ერთადერთი უტყუარი და ერთგული მაცნეა, ინფორმატორია, იმედიცაა და სტიმულის მომცემიც.

ასეთი საპატიო სტუმარი არ უნდა გააწბილო, მისი რჩევები უნდა გამოიყენო, უნდა მიჰყვე, უნდა მოუსმინო, უკმაყოფილო არ უნდა გაუშვა, თორემ... იქნებ და, აღარ მოგაკითხოს უკმაყო-ფილოდ გასტუმრებულმა და უკუქცეულმა?!

რას დავთეს დღეს?!

რას ვტოვებ ღირებულს?!

გამუდმებით ამაზე უნდა ვიფიქრო!

დრო არ უნდა გავფლანგო და პირნათელმა უნდა ავაღწიო გოლგოთას!

•

დრომ არა, არ იცის მოცდა და შენდობა,
უფლება არა მაქვს, დავუშვა შეცდომა.

23.11.2019 წელი.
თბილისი.

დაბადება

ჯერ დაბადებული არ ვარ.

მაგრამ... ვაპირებ.

გეგმა უკვე შედგენილია.

•

დედაჩემის საუბრიდან გავარკვიე, რომ იანვარში უნდა მოვევლინო სამყაროს.

ახალი, 1955 წელი ახლოვდება.

– ახალმა წელმა მაინც ჩაიაროს, ხელი არ შეგვიშალოს სამზადისში; თან, რა ცუდი ამინდები დაიჭირა?! გადაუღებლად წვიმს. – მოწყენილი ლაპარაკობდა წუხელ დედაჩემი.

კარგი, ჩაიაროს ახალმა წელმა, ვიფიქრე მეც. თან ეს წვიმები რა უბედურებაა?! დარში სჯობს დაბადება.

შევჩერდი და მომენტს ველოდები.

წვიმებმა გადაიღო.

ყინვები დაიჭირა.

შობამაც ჩაიარა.

საკალანდო ღორიც დაკლეს.

კუპატებიც გააკეთა დედაჩემმა, სახლში საუცხოო სურნელი დგას.

აბა, ახლა შეიძლება ხელის შეშლა?!

ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეს.

რომ ვიფიქრე, ახლა ნამდვილად დადგა ჩემი მოვლინების დრო–მეთქი, დილით დედაჩემის ხმა მესმის:

– უი, წუხელის მოუთოვია, ნეტა გზები არ ჩაიკეტოს!

ეს გზების ჩაკეტვა რაღაა?! ვერ მივხვდი, რას ნიშნავს!

ცოტას კიდევ დავიცდი–მეთქი, ვიფიქრე.

საუბრიდან ვხვდები, თოვამ არ გადაიღო.

ამატებს და ამატებს...

ყოველდღე ახალ–ახალი პრობლემები ჩნდება: შეშა დასახერხი და მოსამარაგებელია თურმე, ბავშვები რომ არ გაცივდნენ და თანაც, ახალშობილს სხვა პირობები სჭირდება.

მივხვდი, ახალშობილში მე მგულისხმობდნენ.

მეც დავფიქრდი: ცოტას კიდევ დავიცდი, შეშა ბლომად დახერხონ, შაქარი იყიდონ, წისქვილში სიმინდი დაფქვან; პურის ფქვილიც მოიმარაგონ; გზები რომ ჩაიკეტოს, პურს სახლში გამოაცხობენ.

მოკლედ, ოჯახი ანგარიშგასაწევია.

პრობლემები არ ელევათ.

ბავშვების ჟრიამულმა იმატა. როგორც გავარკვიე, საგუნდაოდ გარეთ გადიან, ციგები არა აქვთ, მაგრამ გადაბრუნებული სუფრით სრიალებენ თავდაღმართში. სახლში ლოყებაბრაწულნი და სველი ტანისამოსით ბრუნდებიან. დედაჩემი მათ ტანსაცმელს უცვლის, გაყინულ ხელებს უთბობს. გუნდაობის სურვილი მეც აღმეძრა, მაგრამ ისინი დიდები არიან და წამიყვანენ კი?!

მეორე დილით შეშფოთებულნი ალაპარაკდნენ, რომ უკვე ჭიშკრები და ღობეები გადაფარა თოვლმა, გარემო „დემოკრტიულობამ“ მოიცვა, რომ კიდევ თოვს, მაგრამ შიგადაშიგ იმასაც აღნიშნავენ, თუ რა ლამაზია გარემო.

– ამ სილამაზეს რა შეედრება?! – თქვა მამაჩემმა.

მგონი ჩემი არსებობა გადაავიწყდათ.

ახლა უკვე მოთმინების ფიალა ამევსო!

– ყველა და ყველაფერი ჩემგან ანგარიშგასაწევია?!

– თავში ქვა უხლიათ!

მკაცრად უნდა დავსვა ჩემი დაბადების საკითხი, თორემ, პრობლემები არ ილევა.

მეც უნდა ვნახო ეს სილამაზე–მეთქი და დედაჩემს ჩემი არ–სებობა შევახსენე ფეხების მოძრაობით.

ფეხის გაშლა მინდოდა, მაგრამ ისეთ სივიწროვეში ვიყავი, ვერ მოვახერხე. გავჯიუტდი და მთელი ძალით ვაწვებოდი თურ–მე, დედაჩემის მუცლის კედლებს.

დედაჩემმა ატეხა ძახილი, მამაჩემს უხმო საშველად. მამა–ჩემმა გარეთ გაიხედა და სინანულით თქვა:

– თოვლი ლამაზი კია, მაგრამ ასეთ უგზოობაში სად წავიდე?!

ვიფიქრე, ახლა კიდევ დამახათრებენ და მომაცდევინებენ–მეთქი და უფრო და უფრო დავიწყე ფეხების ბაკუნი.

დედაჩემი ძალზე რომ შეწუხდა, მამაჩემმაც დაიწყო წასას–ვლელად სამზადისი. მაღალი, სამონადირეო „ვალინკები“ ჩაიც–ვა, ნიჩაბი ღორის ქონით გაპოხა, ზედატანზე (თბილ ბამბიანზე), საწვიმარი გადაიცვა და ახლა უკვე მე მომმართა:

– მამა, ცოტა მოითმინე, წავალ ექიმს მოვძებნი და მოვიყვან, თორემ არც ტრანსპორტია, ვერც ურემი გაივლის ამხელა თოვლში, კიდევ ამატებს და ცოტა ანგარიში გაგვიწიე! – და... კა–რები ჩქარა გაიხურა.

შევატყვე, ნამეტარი აჩქარდა.

როგორც იქნა, ჩემთვის დაფაცურდნენ–მეთქი, გავიფიქრე და მეც გავიტრუნე. ოღონდ, კარგად ვერ გავიგე, ჩემს დაბადებას ექიმი რად სჭირდებოდა?!

მამაჩემს ოჯახის ავტორიტეტად ვცნობ, მის ნათქვამს ყველა ემორჩილება: დიდიც და პატარაც. თუმცა, ხანდახან ხმამაღლობა

სჭირდება. ცოტა ამან დამაფიქრა, ვაითუ ჩემზეც გაბრაზდეს–მეთქი და როგორც შემეძლო ვითმენდი, თუმცა შიგადაშიგ ხან ერთი ფეხის გაშლას ვლამობდი, ხან – მეორის. ამ დროს დედა–ჩემი აწუწუნდებოდა, ნეტა შოთა მალე დაბრუნდესო.

აჰა! მამაჩემს შოთა რომ ჰქვია, ესეც დავაზუსტე.

მივხვდი, მამაჩემის მოსვლა აუცილებელი ყოფილა.

თურმე არც ისე იოლადაა საქმე, მე რომ მეგონა.

სხვა ადამიანი, ექიმი ან ექთანი ყოფილა საჭირო, ყველაფე–რი მშვიდობით რომ დამთავრდეს.

– რა თქმა უნდა მშვიდობით მინდა გამოსვლა და ცხოვრება, ახლა რამოდენიმე საათის ლოდინის გამო საქმეს ხომ არ გავა–ფუჭებ?!

•

მოსაღამოვდა.

პარმაღიდან ფეხების ბაკუნი ისმის.

აჰა, ალბათ მამაჩემი დაბრუნდა, მაგრამ ჩემი მშველელიც თან ახლავს ნეტა? ფეხების ქნევა შევაჩერე და გავიტრუნე.

კარები გაიღო, შემოვიდა მამაჩემი ვიღაც ქალთან ერთად.

ალბათ ესაა ჩემი მხსნელი.

დედაჩემი წამოწოლილია, მოძრაობაში უფრო არ მეტკინოს მუცელიო, ამ მიზეზით.

ყველა იმედიანად შეხვდა სტუმარს. ამ სტუმარს მეანი ერქვა.

მამაჩემმა გაბადრული სახით მომმართა:

– ყოჩაღ, მამა, რომ დამელოდე!

მოკლედ, პირველი შექება მამისგან დაბადებამდე დავიმსა–ხურე და გამიხარდა. იგი ხომ იშვიათად აქებდა ვინმეს.

მეანმა, ჩემს საღსალამათად მოსავლენად შორი გზა რომ გამოიარა ამ ბუქში, ყველაფერი გაამზადა, რაც საჭირო იყო დედაჩემის დასახმარებლად და თან რჩევებს აძლევდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო...

•

მეც და–ვი–ბა–დე!!!

1955 წლის 16 იანვარის საღამოა.

ამ დროს მამაჩემი გარეთ იცდიდა. ასეთი ძლიერი მამა ჩემი დაბადების პროცესისას უძლური იყო.

იგი ჩემი ტირილის ხმას ელოდებოდა თურმე.

მეც არ დავაყოვნე.

როგორც კი გადაჭრილი ჭიპლარი განასკვა მეანმა, ფეხებით დამკიდა, საჯდომზე ხელი შემომარტყა და მეც გაბრაზებულმა ყვირილი მოვრთე.

ვიფიქრე, მამაჩემმა ერთი პასუხი მოსთხოვოს ამ მეანს ჩემი გალახვისთვის–თქო.

მამაჩემი სიხარულით ცას ეწია. კედელზე მიკიდულ, დატენილ თოფს ხელი წამოავლო და სამჯერ გაისროლა.

ჩემი დაბადება ამცნო ჩაჩუმათებულ სამყაროს, მეზობლებს, ეზო–კარს.

– ოჰო!!! აღლუმით შეხვდნენ ჩემს დაბადებას!

თუმცა, ნანატრი თოვლი არც იმ ღამეს დამინახავს, არც მეორე დღეს და...

•

რამოდენიმე დღეში მზემ გამოანათა და მეც თბილად ჩაცმული და კარგად შეხვეული გარეთ გამიყვანა მამაჩემმა.

მზემ თვალები მომჭრა და დავხუჭე.

მამაჩემი ბედნიერი და გახარებული ჩანდა. დედაჩემზეც ზრუნავდა, გარეთ გასვლას უკრძალავდა და ყველა პირობით უზ–რუნველყოფდა.

ღუმელს ღამითაც ანთებდა, პატარას არ შესცივდესო. პატა–რაში მე მგულისხმობდა, ალბათ, არადა რა დიდი მეგონა ჩემი თავი?!

ჯერ ერთი, ხუთი კილოგრამი დავიბადე, თან ძუძუსაც რა კარგად ვწოვდი?!

ჩემი და–ძმა თავს რომ დამტრიალებდა და მათვალიერებდა, მაშინ ვიგრძენი ჩემი სიპატარავე; ამბობდნენ, რა პატარააო და ცივ თითებს ხან ცხვირზე მაჭერდნენ, ხანაც – ლოყაზე.

02.08.2021 წელი.
თბილისი.

თვითგადარჩენის გზა

ადამიანის ინტელექტი იმით ფასობს, თუ როგორ არჩევანს აკეთებს ის, როცა ცხოვრების მეგზურს ირჩევს. მაგრამ იმ შემ–თხვევაში, როცა არჩევანის გარეშე ცხოვრობს და ტრადიციის მორჩილი, სხვის არჩევანს ემორჩილება?! ამაზე დიდი ცოდვა, შეცდომა და დანაშაული არ არსებობს. ე.ი. შენს გრძნობებს, ინ–ტერესებს, ინტელექტს, გემოვნებას ტალახში სვრი, ცოცხლად მარხავ, აფურთხებ და მონასავით ცხოვრობ ყოველდღიურობაში.

სულში პროტესტის გრძნობა განუწყვეტლივ ღვივის, მაგრამ ვერ ყვირი. არადა, იცი, ეს მშვიდად არ გადაწყდება; არ კი არა, ვერ გადაწყდება.

მრავალწახნაგის მრავალფეროვნებაში თუ ერთი წახნაგი არ მოგწონს, მას თვალს აარიდებ, სხვა წახნაგებით მიიღებ ტკბობას, მაგრამ... თუკი არც ერთი წახნაგი შენი არაა, შენს გემოვნებაში არა თუ არ ჯდება, საზიანოც კია შენთვის, როცა ყველა მათგანისგან სხვადასხვა ხარისხით, სხვადასხვა ფორმით მოგეწოდება შემავიწროებელი, შეურაცხმყოფელი, სრულიად საპირისპიროებანი, რომელთაც ვერ ერევი, ვერ გამოდიხარ შლამიან ჭაობიდან; ცდილობ, იქნებ, ამოხვიდე ცოტათი მაინც, მაგრამ სულ უფრო და უფრო კი არ ეფლობი შიგნით, არამედ გძირავს ძალადობრივი, ფსიქოლოგიური, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ფაქტორები. არაფერი გახარებს, არაფერი გამშვიდებს, არაფერია სიცოცხლის მასტიმულირებელი; ბოლოც რომ აღარ ჩანს?! ანუ, წერტილი არ ესმება არც ყოფითობასა და არც სიცოცხლეს?!

იწყებ ფსიქოლოგიურ გაძლიერებაზე ფიქრს, თვითგადარჩენისთვის.

ყოფითობაში ისე იქცევი, თითქოს ყველაფერს შეეგუე, თითქოს ყველაფერი მისაღებია შენთვის, რომ დაემორჩილე ბედს.

სწორედ ეს, მოჩვენებითი სიმშვიდეა გადამრჩენი, თურმე.

შინაგანი ძალები ძლიერდება, ფსიქოლოგიურად მდგრადი ხდები, უფრო მეტი შესაძლებლობების ხარ, ვიდრე ეს წარმოსადგენია ჩვეულებრივთათვის.

ღონეზე არაა საქმე, თურმე. უძლურსაც შეუძლია ძლიერი იყოს თუ იგი მზადაა ფსიქოლოგიურად. გამუდმებით: დღისით, ღამით, შვილის შეძენამდე, სამშობიაროში, შვილის აღზრდისას, მერე მეორის, მერე მესამის.

მე ამასობაში შიგნით გავიზარდე, გავძლიერდი. იმ კრიტიკულ მომენტამდე მივედი, რომ ან სიკვდილი, ან ჩემი „მე“-ს ხსნის გზა.

სწორედ, ამ შესაძლებლობის მაქსიმუმისთვის მზად რომ ვიყავი, ყოველგვარი დიდი ხმაურის, დებოშის, შეთქმულების, რევოლუციის და დიდი მსხვერპლის გარეშე გადავდგი მტკიცე ნაბიჯი უზარმაზარი „ჩექმებით“, რომელიც ყველანაირ წინააღმდეგობაში გამოგადგება, ფონს გაგიყვანს მაშინაც კი, თუნდაც სასაცილოდ გამოიყურებოდე სხვის თვალში. ეს „ჩექმები“ისე შენეულია, ისე მორგებული, თავს მასში კომფორტულად, არხეინად და ბედნიერად გრძნობ. ეს ის არის, რაც გადაგარჩენს, ეს შენი ფსიქოლოგიური სიმტკიცეა, რომელიც გზის გაკვლევაში, დაბრკოლებების გადალახვაში, ნარ-ეკლიანი გზის გავლაში გეხმარება და ტკივილს გიმცირებს, აღარ ჩერდები, რადგან ყოველდღიურ ნაკაწრებს ვერ გრძნობ, არ ზიანდები იოლად.

ღრმად ჩასუნთქული, თავაწეული, წელგამართული მიაბიჯებ წინ, საკუთარი თავის იმედით და უკან მიხედვის აუცილებლობას ვერც ხედავ, რადგან ამ სიძულვილისთვის დროის ფლანგვა არ ღირს. პირიქით, ბედნიერი ხარ, შლამიანი ჭაობიდან რომ ამოხვედი, დამყაყებულ წუმპეს თავი რომ დააღწიე და მისი გახსენებაც არ გინდა.

თუ მაინცადამაინც რაიმე ფაქტორი ან ვინმე, ბოროტი სული, შეგახსენებს იმ ბინძურ წარსულს, ხმამაღლა აცხადებ, რომ ბედნიერი ხარ, რომ გულწრფელად გსურს ამნეზია დაგემართოს, წაიშალოს მეხსიერების ფსკერზე წარსულის ყველა ფურცელი, დაიწვას, განადგურდეს, ამოიძირკვოს და რომ გსურს მხოლოდ ახ-

ალი ფურცლიდან იწყებოდეს ცხოვრება, სწორედ იქიდან, როცა ყველგანმავალი „ჩექმები“ ჩავიცვი და თქვი:

– წინ!!!

რომ გაკვირვებულმა და ბედნიერმა უპასუხო ბოროტ სულს:

– რაზე ლაპარაკობ?

– ვერ გავიგე?

– ალბათ ვიღაცაში გეშლები.

იმდენი ძალა, იმდენი შესაძლებლობა, იმდენი გამჭრიახობა, იმდენი ცოდნა, იმდენი ფანტაზია, იმდენი შემოქმედებითი უნარი მომიძღვნა, მომმადლა, წილად მარგუნა უფალმა დაბრკოლებებისგან გადასარჩენი და თავდასაღწევად საჭირო დამხმარე ძალები მომმადლა, გაკვირვებული ხშირად ჩავუფიქრდები ჩემს თავს და კითხვას ვსვამ:

– რით დავიმსახურე ყველაფერი ეს?

მთელი დარჩენილი სიცოცხლე მუხლზე ჩოქვით რომ ვიარო, იარებს გავუძლო და მაინც გავაგრძელო სვლა, ვერ გადავიხდი უფლის ამაგს.

მაგრამ,.. მე ხომ უფალს დაჩოქილი არ მოვწონებივარ?!

არა, უფალს უშიშარი, მებრძოლი, გასაოთებამდე მუხლჩაუხრელად მშრომელი მოვეწონე, წამომეშველა, წამომეხმარა, გამამხნევა, დაწყევლილი ჭაობიდან გამომიყვანა, შემომიდგა საყრდენის ფუნქციით.

მეც შვებას ვგრძნობდი და შესვენების გარეშე ვაგრძელებდი გზას.

მეც შეუძლებლობების მძლეველად ვიქეცი და ახლაც ვაგრძელებ გზას ფონისკენ მშვიდად და ნელ–ნელა, ჩვეული აუჩქარებლობით.

•

მიწიერმა, უმოწყალოდ რომ გადამიარა,
უფალმა მის მადლს გულუხვად მაზიარა.

21.11.2019 წელი.
თბილისი.

მაგრობა

ძლიერი მოსწავლე მათემატიკაში.

ძლიერი სტუდენტი ტექნიკურ საგნებში.

ძლიერი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებში, რაც ჩემგან სიმტკიცეს და სიძლიერეს მოითხოვდა და საჭიროებდა.

ძლიერი დედა.

ძლიერი ქალი.

მასუსტებდა უკუღმართი ცხრა წელი, მფიტავდა და მანადგურებდა, მაგრამ დედობა მაძლიერებდა და მოთმინებით ძალებს ვაგროვებდი ჩემში განთავისუფლებისა და დედობის ტვირთის მარტო ზიდვისთვის. რაშიც, თმენა და დუმილი დამეხმარა.

ყველაფერი კარგად დამთავრდა.

განვთავისუფლდი.

თუმცა ყოფითობა უმოწყალოდ მსრესდა და უკვე ძველებურად ძლიერი აღარ ვიყავი, სიძლიერეს მუდამ ითხოვდა ჩემგან ცხოვრება. ძალებს სიმწრით ვიკრებდი და მაინც ვმაგრობდი. სიმაგრის, ნებისყოფის, მუხლჩაუხრელობისა და უძილობის ხარჯზე პატარა ბინაც შევიძინე.

რადგან გონება მიჭრიდა და დამხმარეც არ მყავდა, ძალად მაგრობით საქმეს ვაგვარებდი და ესეც მახარებდა.

სამი შვილის ხელმარტო დედას ძილის, დასვენების, დროებით მოსვენების, მეზობლური და მეგობრული ურთიერთობების უფლება არ მქონდა.

უძლურებასა და ადამიანურობის დეფიციტზე არ ვწუწუნებდი. თავი ისე მეჭირა, თითქოს ყველაფერი კარგად მქონდა. ამ ყველაფერს ძალად მაგრობის ხარჯზე ვახერხებდი, რამაც უსაშველოდ გადამღალა და გამომფიტა; ძალები გამომაცალა და დამაუძლურა.

უკვე ბებიასგან, ცხოვრება ჩემგან კვლავ სიძლიერეს ითხოვს ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრობას კი დიდი ძალისხმევა სჭირდება.

ჩემი სიძლიერის ტიტულის გამო არც და ვერც მეხმარებიან.

ისე გამბეზრდა და ზოგჯერ ისე მძულს ჩემი სიძლიერე, მინდა მოვახრჩო და ჩამოვიცილო ერთხელ და სამუდამოდ.

ალბათ, ქალი მაინც ქალია ბოლოს და ბოლოს და მხოლოდ ქალის ფუნქციას საჭიროებს.

განა, საკმარისი არაა ქალისთვის ათეული წლების მანძილზე დედობაცა და კაცობაც?! უკიდეგანო სიძლიერით ცხოვრება?!

გადავიღალე ფიზიკურად.

გადავიღალე ფსიქოლოგიურად.

გადავიღალე მორალურად.

ამ ყველაფრისგან გადაღლილს, დაუძლურებულს, მოსაგვარებელი საქმეების გარემოცვაში ჩაფლულს, მბეზრდება ცხოვრება და არსებობა.

სიძლიერისგან წაშლილს მფიტავს და უსაშველოდ მაწუხებს მოუწესრიგებელი გარემო ჩემს ირგვლივ.

უკვე მაგრობაც აღარ შემიძლია!

უძლურად ვერავინ აღმიქვამს.
არადა,..
მაგრობიდან კარგახანია გარდავიცვალე.

26.11.2023 წელი.
თბილისი.

მადლიერობა სტუმარმასპინძლობაში

ხშირად საკუთარ სამყაროში ვარ ჩაფლული.

მარტოს, უფლის იმედად მიწევს ამ სამყაროში ცხოვრება, პრობლემებთან გამკლავება, სიხარულისა და მწუხარების განცდასთან შეხლა–შეჭიდება–ჩახუტება.

საკუთარმა სამყარომ იმდენად გამაძლიერა, რომ ყველანაირი შედეგის უკიდურესობა ან ზენიტი აღარც აღმაშფოთებს და აღარც აღმაფრთოვანებს და იოლად ვუმკლავდები წუთისოფლის უკიდეგანობანს.

ჩაძირვის ან ხელის ჩაქნევის უფლებას ჩემს თავს ვერ ვაძლევ, რადგან არ მაქვს იმედი, ვინმე დახრჩობისგან გადამარჩენს ან გამამხნევებს; ეს მე თვითონ უნდა გავაკეთო, რადგან წუთისოფელში, როგორც სასტუმროს სტუმარი, უფლის ნებით ერთჯერადი ცხოვრებისთვის შემოხიზნული, თავხედობას ან უმადურობას ვერ ვიკადრებ.

სტუმარი ხომ მორიდებულად და კრძალვით უნდა ეპყრობოდეს მასპინძელს და მის ეზო–კარს. მადლიერი უნდა იყოს არსებული გარემოთიც და გამასპინძლებითაც.

მეც არ უნდა ვიდგე, ან ვიჯდე გულხელდაკრეფილი, მომსახურებისა და მორთმევის იმედად. ხელებდაკაპიწებულმა უნდა

წავეხმარო მასპინძელს საჭიროებისამებრ. შეძლებისდაგვარად შევმატო კიდეც რაიმე სასიკეთო. მაშინ ისიც კიდევ უფრო უხვად გამიმასპინძლდება და ჯილდოდ დამასაჩუქრებს კიდეც.

შიგადაშიგ გულისთქმას ვარ აყოლილი.

ჩემს გულისთქმებს – ყურში ნაჩურჩულარს გონება იჭერს, ალაგებს და ხელი კალმით ფურცელზე გამოსახავს (გამოხატავს) აზრებად, ფრაზებად, პროზად, ხან ლექსად. ესენი არც კლასიკური ნაწარმოებებია, არც შედევრები. უბრალოზე უბრალოა, ყველასათვის გასაგები და მისახვედრი, რადგან იგი შინაგანად უბრალო, მაგრამ მრავალმხრივი ადამიანის ნააზრევია, ჩემი შეხედულებებია, ჩემი განცდებია მომხდართა გამო.

მიყვარს ბუნება და ბუნების საოცრებებში წვდომა არა მარტო გარეგნულად, არამედ მისი გამოძახილის, ტკივილისა თუ გამორჩეულობების დაჭერა და აღქმა.

როცა რაიმეს ვწერ, მაგ.; ბავშვობაზე ან სხვა მოვლენებზე, თითქოს იმ პერიოდის სურათების ან პეიზაჟების ალბომი მიჭირავს ხელში, მხრებზე შალშემოხვეული, ბუხრის პირას, სავარძელში მჯდომი, ვათვალიერებ ამ ალბომს და სურათების აღწერას ვაკეთებ წერილობით. ე.ი. რაიმეს კი არ ვიგონებ, მხოლოდ პირველკლასელივით სურათს აღვწერ.

სულ ეს არის.

ვცდილობ, წუთისოფელს – ჩემს მასპინძელს კარგად მოვეპყრო, კარგად დავამახსოვრო თავი, რათა კმაყოფილმა გამისტუმროს ჩემი სამუდამო ნავსაყუდელისკენ, საცხოვრისისკენ. თუკი ჩემი გასტუმრებისას მასში გულისწყვეტას, ან სინანულს მაინც გამოვიწვევ, ე.ი. ცუდად არ მიცხოვრია.

ვმადლიერობ და ქედს ვიხრი წუთისოფლის წინაშე.

ვცდილობდი და ვცდილობ არ დავაზიანო, არ წავბილწო, არ გავანადგურო, არ შეურაცხვყო იგი და შეძლებისდაგვარად შევ–მატო რაიმე.

•

ხელცარიელსა სტუმარსა,
უხვადაც რომ მიმასპინძლეს,
რას ვუტოვებ წუთისოფელს?
– კარგ შთამომავალს!.. – ჩემს წიგნებს!..

10.05.2021 წელი.
თბილისი.

მარტოსულობა მარტოობაში

რაც თავი მახსოვს მარტოსულობის გრძნობა თან მსდევს.

ეს ჩემი ხასიათია.

ადრე, მარტოსულობას მარტოობასთან ვაიგივებდი.

გვიან მივხვდი, რომ ეს სხვადასხვა რამაა.

შეიძლება ხალხმრავლობაში ვიყო, მაგრამ მე მათ კონკრე–ტულობაში ვერ აღვიქვამ. ჩემს სულში ვბორიალობ, იქ ვეძებ სი–ახლეს, თანამოაზრეს, საყრდენს; რაღაც–რაღაცებს ვშლი, რაღა–ცას ჩავეჭიდები და თუ საინტერესოდ მივიჩნევ, ვინიშნავ უბის წიგნაკში. ამ დროს ჩემს თავში სიბევრეს ვგრძნობ და სავსე ვარ ჩემთვის უფალთან ერთად, ირგვლივ მყოფთ კი ვერც ვამჩნევ ან შორეულად აღვიქვამ.

გაკვეთილზე ჩემი სული მასწავლებელს ეკუთვნოდა, ლექ–ციაზე – ლექტორს, შუალედურ დასვენებებზე კი – მე. ამ დროს კლასში ან აუდიტორიაში უთავბოლო, ქაოსური აურზაური ჩემ–თვის დაკვირვების ობიექტი იყო მხოლოდ. არავითარი სურვილი

არ გამაჩნდა, იქ როლი მქონოდა, ვერც მათ საქციელში ვხედავ–დი გადაჭარბებულობას.

უბრალოდ, მე ჩემს სულთან მარტოსულად, კომფორტულად ვიყავი.

თუმცა, იმ ქაოსში წარმოშობილი ინციდენტები არ გამომე–პარებოდა.

მარტოსულს სულთან მარტო მერჩივნა ყოფნა, უხმაუროდ, დამოუკიდებლად, თავის თავში ჩაღრმავება, გაანალიზება სიტუ–აციების, შედეგების, წარმატება–წარუმატებლობების. ამ დროს უფალთან ახლოს ვიყავი. ახმაურებული ყოფა და ჩემი ცხოვრე–ბის ეპიზოდების რეპროდუქცირება არ მსურდა. დაგვიანებულად გამოვლენილი ჩემი წარმატება უფრო მანიჭებდა სიამოვნებას და სრულფასოვნებას.

მარტოსულობა, ჩემი მეგობარია და შემოქმედებითობის მეგზური, გზამკვლევი; ჩემი თავის რეალიზებაში მეხმარება. ასე რომ, ჩემთვის:

მარტოსულობა – სულის მკვებავია;

ერთგული მეგობარია;

სრულყოფილებაა და ამაღლებული განწყობის საწინდარი.

ჩვენ უკვე ერთნი ვართ.

ახლაც ასეა, ამ მხრივ არ შევცვლილვარ.

თუმცა, მარტოობა დამემატა.

ოჰ, ეს მარტოობა!

აი, ეს კი ნამდვილად არ მიყვარს.

ადამიანების გვერდით ყოფნა მინდა და მჭირდება პერიოდ–ულად; თანაც განყენებულ ასპექტში და არა მათთან „შეთქვეფა“.

ბავშვობაში მარტოობის მეშინოდა თუკი სახლში მარტოდ მტოვებდნენ აუცილებლობიდან გამომდინარე.

ახლა მარტოობა ჩემი წამშლელია.

თუმცა, მღლიან ადამიანები, რომლებიც ჩემი ნდობით სარ–გებლობენ და უპასუხისმგებლოები არიან, რითაც შეურაცხყოფი–ლად ვგრძნობ თავს.

ამ თვალსაზრისით მარტოობა ხელსაყრელია.

შრომა–საქმიანობის პროცესს დიდი პასუხისმგებლობით ვე–კიდებოდი მუდამ და ვეკიდები დღესაც, რადგან, უფლის წინაშე საქმიანობა სხვაგვარად როგორ შეიძლება?!

თუ სხვებისგან გაწბილებული ვარ უპასუხისმგებლობით, მათთან ურთიერთობის გაწყვეტას და განმარტოვებას ვამჯობი–ნებ.

მარტოობა ჩემი მტერიცაა, ულმობლად დამანგრეველი.

მძარცველია, სულიერად მაღატაკებს, ხელბორკილს მა–დებს, უმოძრაო და უმაქნისი ვხდები.

იგი არასდროს მომწონდა, მაგრამ მუდმივად დამდევს აჩრ–დილივით.

ვიღაც ჰაერივით მჭირდება, ხანდახან, გვერდში მდგომის ფუნქციით:

ახლობელი;

მეგობარი;

თანამოაზრე;

შემხმიანებელი;

ვისთანაც კომფორტულად ვგრძნობ თავს საუბრისას.

•

თუმცა...

მარტოობასა და მარტოსულობაში რაღაც საერთოობაც არ–ის მონათესავე სულებივით.

მარტოსული მარტოობასთან შეთანწყობილია.

მარტოსულობა მარტოობის გადამრჩენია, ამ დროს უსაშველოდ ბედნიერი ვარ და სავსე, რადგან შემოქმედებითობისთვის სრულფასოვნებაა, ოაზისია.

მაგრამ, ხანდახან ვიღაც ისე მჭირდება, როგორც უდაბნოში წყალი.

მჭირდება კარგი მსმენელი, მოაზროვნე, ერთგული და საიმედო დასაყრდენი და არა გაშტერებული მეთვალყურე, დამკვირვებელი და ქილიკოსი, ან ცინიკოსი.

მარტოსულობა მარტოობაში, ნეტარებაა.

15.04. 2020 წელი.
თბილისი.

მაშველი ძალა

გამამხნევებელ სიტყვას ვეძებ ზოგჯერ.

ყველას გასაგონად მინდა ვიყვირო, მომეხმარონ გამამხნევებელი სიტყვის მოძებნაში.

ან იქნებ, ქუჩაში დავდგე კალმით ხელში და გამოკითხვა ჩავატარო, ვინ რა სიტყვა იცის გამამხნევებელი, ძალიან რომ მჭირდება სულის გადასარჩენად.

ან იქნებ, ბოძებზე გავაკრა განცხადება: „ვეძებ გამამხნევებელ სიტყვას“ და ტელეფონის ნომერი მივუთითო?

თვითირონია წამეხმარა.

როცა მსგავს სიტუაციებში წარმოვიდგინე თავი, შიგნიდან, ჩემში ჩაბუდებული მაშველი ძალა წამომეშველა. ჯერ ყელში ბურთივით გამეჩხირა, ჯებირს ცრემლების გუბე ბურთად მოაწვა

– გადმოღვრას ლამობდა. ეს რომ ვიგრძენი, უკვე შველა საჭირო აღარ იყო და მაშველთა სარეზერვო რაზმი უკანვე დავაბრუნე.

თავი დაცულად ვიგრძენი. წლების მანძილზე გამოუყენებელი ცრემლების სამაშველო რაზმის წაშველების მზადყოფნის გაფიქრებამაც კი ძალა შემმატა და მხოლოდ თვალების აწყლიანებაც საკმარისი აღმოჩნდა განსამუხტად.

გვერდში დგომა ყველას სჭირდება სიცოცხლის სრულყოფილებისთვის.

ცრემლები კი, თვითგადარჩენის საშუალება, მძაფრი განცდების დროს წარმოშობილი ადრენალინის გასანეიტრალებლად იმთავითვე ჩაგვიდო უფალმა, ჩვენი თავის უფლების, სრულყოფისათვის.

ასე რომ, ვერავინ მიხვდება შენს სატკივარს. უკიდურეს შემთხვევაშიც კი გადაგარჩენს და „ბედნიერი“ აგრძელებ გზას, მავანთა გასაკვირად, რომელიც გაშტერებული გიყურებს და უკვირს, რადგან ვერ აუხსნია, შენი მარტოობაში ყოფნის მიუხედავად, რა არის მაგრობის გასაღები.

სწორედაც, მაგრობის და არა სიძლიერის გასაღები.

როცა ძლიერი ვიყავი, ცრემლის არსებობაც კი დავიწყებული მქონდა.

ცრემლის ფუნქცია ახლა ვიგრძენი, როცა სიძლიერის მწვერვალიდან ფერდობზე ჩამოვინაცვლე და ბუნების ბუნებრივ ცვალებადობას ბარომეტრივით აღვიქვამ.

მავანთათვის ამოუცნობი ამოცანა ხარ და მუდამ ამოუცნობ ამოცანად დარჩები.

დიდი სურვილი მაქვს, მაგრობის სტატუსით ვიცხოვრო ბოლომდე.

შეიძლება, ფიზიკურად კიდევ უფრო დავუძლურდე ასაკობრივად, მაგრამ ეს ყოფითი გარდაცვალებაა და საცოდაობასთან არანაირ კავშირში არ იქნება.

16.08. 2023 წელი.
თბილისი.

სასაკილო „მათხოვარი“

სამყარო, წუთისოფელი, სიცოცხლე იმ დროს მიყვარდა და ბედნიერად ვგრძნობდი თავს, როცა ყველაფერს ჩემი გონებრივი შესაძლებლობითა და ჩემივე შრომით ვაღწევდი.

ვკაშკაშებდი ჩემი განწყობით და სხვებშიც დადებითი ენერგია და აურა შემქონდა.

მაგრამ, ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობები ამოუწურავი არ არის. ხდება მისი განლევა თანდათანობით.

გონებრივობა კი რჩება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის საქმის სრულყოფილად რეალიზებისთვის.

გონება გასაკეთებელ საქმეს გეგმავს, გამოაქანდაკებს კეთების გზებს და საბოლოო ფორმასაც, მაგრამ ფიზიკურად რომ ვეღარ ახერხებს მის გაკეთებას, სხვას მიმართავს თხოვნით დასახმარებლად.

ის სხვა ჩემსავით შრომისმოყვარე არაა, ფანტაზიაც დაქვეითებული აქვს, რის გამოც, შენს აზრებში ვერ ერკვევა, გიმტკიცებს საქმის შეუძლებლობას და გაწბილებული რჩები.

მერე სხვას სთხოვ დახმარებას, იქაც გაწბილებული რჩები; იმედს არ კარგავ და სხვასთან ინაცვლებ თხოვნით, მერე სხვასთან და ამასობაში სასაცილო „მათხოვარი“ ხდები მავანთათვის. თავს იმართლებენ საწინააღმდეგოს მტკიცებით.

ისინი ბევრნი არიან, შენ კი – ერთი, თან „მათხოვარი“.

უმრავლესობა ტუშის ხასიათზეა, შენ კი, კუთხეში მიგდებული, მათხოვრადქცეული გონიერი და სხვები შენს გონიერებაზე მოხითხითენი.

შენი ფიზიკური უსუსურობა სასაცილოდ იგდებს გონებრივ სიჯანსაღეს.

ზიხარ თავსაყრელად ქცეულ გაუკეთებელ საქმეებს შორის, ე.წ. ბორკილებში. თვალის გახელაც არ გინდა, რადგან თვალსაწიერი დაპატარავებულია და ნაჭუჭში გამომწყვდეულს გავხარ, სამყაროში შენი სამოქმედო არეალის სიმცირის გამო.

ვეღარ კაშკაშებ ჩამალულ, ღრუბლადქცეულ, მოუგვარებელ საქმეებში.

წუთისოფელმა აზრი დაკარგა.

ხარ შენთვის, შენთვის კაშკაშებ გულსა და გონებაში.

შენი სიკაშკაშე მხოლოდ შენში კაშკაშებს და იწვი.

სხვა ვერავინ ხედავს ამ წვის პროცესს და უკვირთ შენი ცუდად ყოფნა დამწვრობის გამო.

ეს პროცესი ნელ–ნელა აჩიავებს ადამიანს, სხვისთვის არაფერი და მისთვის ყველაფერი სულს უხუთავს „მათხოვრად“ ქცეულს, ოღონდ გონიერ ადამიანს და მოკაშკაშე გონება ბოლოს და ბოლოს გარდაიცვლება, რაც სხვისთვის, ალბათ უმიზეზო გარდაცვალებად მიიჩნევა. .

მსუბუქად მოაზროვნე მოხითხითენი ხითხითში განლევენ წუთისოფლის კუთვნილ გზას და გაუკაშკაშებლად მოკვდებიან.

სხვაობაც სწორედ ეს არის.

მოკაშკაშე „მათხოვარი“ გარდაიცვლება, მოხითხითენი კი კვდებიან.

ამ განსხვავებასაც ცოტანი თუ ხვდებიან, თუმცა,.. ცოტაც საკმარისია.

20.11.2023 წელი.
თბილისი.

სიკეთე ნაძალადევია

თუ გინდათ სიკეთის არსი შეიგრძნოთ, პატარა ბავშვებს უნდა დააკვირდეთ. მათში, გაუთვლელ, გულწრფელ სიკეთეს ამოიკითხავთ, სამაგიეროს მოლოდინის გარეშე და შვებას იგრძნობთ, გულში სითბო ჩაგეღვენთებათ.

საბჭოთა კავშირი, „ნანგრევებად“ რომ იქცა 90–იანი წლებში, საქართველოში ძნელბედობის ჟამი დადგა.

ჩვენს ოჯახშიც.

სამი შვილიდან მხოლოდ უფროსი გოგონა, თამთა იყო სკოლის მოსწავლე – მეორე კლასელი. დანარჩენი ორი: თეონა, ექვსი წლის და შოთა, ოთხი წლის ბაღში დადიოდნენ.

ცივი ზამთარი იდგა.

ჩემი შვილების მამასთან ახალგანქორწინებული ვიყავი.

ცხოვრებააუწყობელიც.

ღამით ნამცხვრებს და ხაჭაპურებს ვაცხობდი, მაღაზიებში რომ ჩამებარებინა, ქალაქის ცენტრში. მაშინ გარეუბანში ვცხოვრობდით, მეგობარმა მათხოვა დროებით ბინა.

უტრანსპორტობაც იყო.

სამუშაო დღეებში, დილით, ოთხივე ერთად გავდიოდით სახლიდან. ჯერ პატარებს მივიყვანდი ბაღში, შემდეგ უფროს გოგონას ვტოვებდი სკოლაში, სადაც გახანგრძლივებული ჯგუფიც

ფუნქციონირებდა. მე კი ვაგრძელებდი გზას ქალაქის ცენტრის-კენ. ჩავაბარებდი ახალგამომცხვარ პროდუქტს. ანგარიშს ყოველდღიურად მისწორებდა გამყიდველი. ბაზარში გამოვივლიდი პროდუქტების საყიდლად და ისევ ტვირთით ხელში დავადგებოდი გზას სახლისკენ.

უკანმობრუნებული ჯერ სკოლაში შევივლიდი, მასწავლებელთან შვილის სწავლის ამბავსაც მოვიკითხავდი და უფროს გოგონასთან ერთად პატარებს ბაღში მივაკითხავდი წამოსაყვანად. სახლში მისვლამდე, გზაში, ბავშვები ინტერესდებოდნენ, იყო თუ არა გაყიდული წინა დღის პროდუქტიდან ყველა. ძალაუნებურად ბავშვები ჩართულნი და დაინტერესებულნი იყვნენ ოჯახის შემოსავლით.

ჩვენი საღამოები, თითქმის ყოველდღე, ერთფეროვანი იყო.

ვახშამი.

ნასუფრალის ერთობლივად ალაგება.

შემდეგ ფუნქციები იყოფოდა.

უფროსი სამეცადინოდ ჯდებოდა, პატარები თამაშობდნენ, ხატავდნენ, თან ბაღიდან დავალებულ ლექსებს ვასწავლიდი, საქმესთან ერთად. მე კი მეორე დღისთვის ცომეულის სამზადისში ვიყავი. შიგადაშიგ ბავშვებსაც წავიხმარდი, საჭიროებისამებრ. თან დღის ამბებს ჰყვებოდნენ თავთავიანთ ამხანაგებზე, მასწავლებლებზე და ვინ მოთვლის, რამდენ წვრილმანზე. იცინოდნენ, კამათობდნენ, ჩხუბობდნენ, ზოგჯერ ხელჩართულადაც; ხშირად ჩემს ჩაურევლად საქმე არ გვარდებოდა.

დღეების ერთფეროვნებას შვილები არ მაგრძნობინებდნენ. თითოეული თავთავიანთი ცხოვრების მრავალფეროვნებით მახალისებდა.

•

იმ წელს ხანგრძლივი, თოვლიანი ზამთარი იყო ბათუმში.

უფრო სწორად, თოვლ–ჭყაპი იყო.

ერთხელაც უფროს გოგონასთან ერთად, საბავშვო ბაღს მი–ვადექით. ჯერ შუათანა გამოვიყვანეთ, დავეხმარე თბილად ჩაც–მაში და მერე უმცროსთან გადავინაცვლეთ. ახლა იმას ვაცმევ, თან მის მასწავლებელს ვესაუბრები.

ვატყობ, ბავშვს რაღაცის თქმა უნდა, თავს მახრევინებს მისკენ, მაგრამ ვანიშნე, გზაში მითხარი–მეთქი. ქუდიც დავახურე და ჯერი ხელთათმანზე მიდგა. ჯერ მარჯვენა მომაწოდა, მარცხენა ხელის მუშტი, შეკრული აქვს და არ შლის. ხელს რატომ არ შლი–მეთქი რომ ვკითხე, ისევ თავი დამახრევინა და ყურში ჩამჩურჩულა:

– რაღაც მაქვს თქვენთვისო.

ხელი გავაშლევინე და ვხედავ ლობიოს მარცვლის ოდენა, ტკბილი ორცხობილის სამ ნატეხს, თან ბედნიერი ამბობს:

– ეს, თქვენ შეგინახეთ, შეჭამეთ, ძალიან გემრიელია!

ნამცხვარი ჩემს შვილებს არც აკლდათ და არც ენატრებო–დათ, მაგრამ მაღაზიისას, მართლაც არ ვყიდულობდით.

მისმა სიკეთემ გული ამიჩუყა, თვალები ამიწყლიანდა და გულში ჩავიკარი. მერე ვკითხე:

– თეონა ხომ შენს ბაღშია, ის რატომ გაითვალისწინე?

– ხომ შეიძლებოდა, მის ჯგუფში არ დაერიგებინათ?!

– კი მაგრამ, რამდენი ცალი ორცხობილა დაგირიგეს? – ჩა–ვეკითხე ინტერესით.

– ერთი ცალი, პატარა და მრგვალი ფორმის.

ვერ მოვითმინე და მასწავლებელს ვაჩვენე შოთიკოს ხელში გადანახული „ნობათები“, ოჯახის წევრებისთვის გათვლილი.

ბავშვს ხომ თითქმის ორი საათის განმავლობაში მუჭი არ გაუხსნია, რათა ხელიდან არ გავარდნოდა ეს ნამცეცები და ალბათ ერთი სული ჰქონდა, როდის გვნახავდა და გაგვახარებდა.

მასწავლებელმაც, დიდი სიყვარულით ჩაიხუტა შოთიკო, კარგა ხანს ეფერა, მერე ჯგუფს წარუდგინა, მოუყვა მისი დამოკიდებულების შესახებ დებისა და დედის მიმართ და ბავშვებს მიმართა:

– შოთიკოს საქციელი სამაგალითოა! მისგან უნდა ისწავლოთ, რომ სიკეთის კეთება ყოველთვის შეიძლება, ამისთვის აუცილებელი არაა ბევრი ფული და სიმდიდრე!

სიკეთე ნამცეცშიაც იგრძნობა.

მას შემდეგ მასწავლებელი კუთვნილზე გაცილებით მეტ სასუსნავს აძლევდა შოთიკოს, გაკეთებული სიკეთის ჯილდოდ.

•

ერთ დღესაც შვილებს თითო ცალი საწუწნი კანფეტი ჰქონდათ. გაარჩიეს და პირის ჩაგემრიელება დაიწყეს. უცებ ოთხი წლის შოთიკომ თქვა:

– რა გემრიელია?! მაიკოს შევუნახავ!

პირიდან გამოიღო კანფეტი და შეახვია იმავე ქაღალდში, რომელიც ჯერ კიდევ ხელში ეჭირა.

მაიკო მეზობლის სტუდენტი გოგონა იყო, რომელიც საბავშვო ბაღში მუშაობდა მის დასთან, მანანასთან ერთად. გოგონები მეგობრობდნენ შვილებთან და ხშირადაც მოდიოდნენ ჩვენთან.

იმ საღამოსაც, როცა გოგონები გვესტუმრნენ, შოთიკომ გამოურბენინა მისი გადანახული, ნაწუწნი კანფეტი და ამ კანფეტის „ისტორიაც“ მოვყევით.

მე შევეცადე, შოთიკოს პირში ნადები კანფეტი გადამერეცხა, მაგრამ ამჯერად სიკეთის დანახვისა და დაფასების უნარი მაიკომ გვიჩვენა:

– შოთიკომ, პირის გემო ჩემს გამო დათმო და გადარეცხვა უკადრისობა იქნება!

კანფეტი პირდაპირ ჩაიდო პირში და სიამოვნებით გააგრძელა შოთიკოს ნაწუწნი კანფეტის წუწნა.

•

ახლა, როცა შვილიშვილები რაიმეს ვერ იყოფენ, არაკივით ვუყვები, შოთიკოს სიკეთის ამბავს.

05.10.2024 წელი.
თბილისი.

სიმდიდრე

უფრო დიდი სიმდიდრე, ვიდრე შვილია,
არ მესიმდიდრება.

დედისთვის დედობა სამყაროს ორ ნაწილად ხლეჩს: შვილი და ყველა სხვა დანარჩენი. ის კი არა, შვილის სიყვარული ისე დიდია და გრანდიოზული, სამყარო დედის წინაშე უმნიშვნელოა, უგულვებელყოფილია, შეუმჩნეველია, რადგან უზარმაზარი ტვირთისა და პასუხისმგებლობის ზიდვა უწევს დედას და ყურადღების სხვებზე გადანაწილებაზე არ კი არა, ვერ ფიქრობს.

დედა დაუღლელია, შეუცვლელია, ყველაფერს აიტანს შვილის კეთილდღეობისთვის.

შვილის წარმატების თუ წარუმატებლობის წინაშე დედა ლაკმუსის ფურცელივით, ბარომეტრივით მგრძნობიარეა.

დედობა დიდი ძალაა: შეუძლებელს შეგაძლებინებს, მიუღწეველს მიგაღწევინებს.

დედობა ბევრ სიახლეს აღმოგაჩენინებს, ჯერ საკუთარ თავში და შემდგომ – სამყაროში.

დედა შვილის კეთილდღეობისთვის, ჩოქვით შემოუვლის დედამიწას, უძილობის რეკორდს მოხსნის, ავადმყოფობას ფეხზე გადაიტანს.

•

დედობამდე და დედობის შემდეგ.

ასე გაიყო ჩემი საკუთარი წელთაღრიცხვაც თავისთავად, ძალდაუტანებლად, უცერემონიოდ, როდესაც, უფლის ნებით, დედობაში გარდავიცვალე.

და... ამ გარდაცვალების პირველივე დღიდანვე დაუღლელ, ყოვლისშემძლე დედაკაცად ვიქეცი.

ვერავითარი ჯილდო და ვერავითარი თანამდებობრივი სტატუსი ვერ შეედრება დედობას.

დედაც და მკაცრი, ულმობელი, საიმედო „რეპეტიტორიც“ ვიყავი შვილთათვის.

ახლა კი,.. უკვე ბებია, ყოველ დილით, თვალის გახელისას, გულიდან თავისთავად იღვრება უტყვი, უღაღადებელი მადლიერება უფლისადმი: სიცოცხლის ჩუქებისთვის, დედობისთვის, გონებრივი შესაძლებლობისთვის, რომლის წყალობითაც ცხოვრების გზას დღესაც ვინათებ და ვიკეთილშობილებ.

მადლიანი აურით დავდივარ.

•

ვის დიდი სახლი ან სახლები ესიმდიდრება, ვის – შემოსავლიანი თანამდებობა და სამსახური; ვის – სხვისის მითვისების

უნარი; ვის ძვირადღირებულ ტანსაცმელთა ტარება, მანქანები და მდიდრულ რესტორნებში სისტემატიურად სადილობა ან საღამოების გატარება... ვის – შვილები და მათთვის თავშესაფრის შექმნისა და განათლების მიცემის შესაძლებლობა, კარგი ოჯახური სადილები და აუცილებელი, მოხდენილი სამოსი.

ყველა სიმდიდრე თავისებურად სიმდიდრეა. თუმცა, რამდენად ხარ ბედნიერი ამ სიმდიდრით და რამდენად გამოგადგება იგი, ეს სულ სხვაა.

სახლი, შეიძლება დაგეწვეს, დაგენგრეს მიწისძვრის ან ომის „წყალობით"; თანამდებობა შეიძლება შეეწიროს რეფორმას, სახელმწიფო გადატრიალებას, ასაკს,.. ყველა დანაკლისი დარდთანაა დაკავშირებული, მაგრამ იოლად შესაგუებელი პროცესია იმასთან შედარებით, ვიდრე შვილის დანაკლისია.

რაც უფრო დიდი შრომაა ჩადებული სიმდიდრეში, მით უფრო დიდი დანაკლისია მისი დაკარგვა.

ყველაზე დიდი შრომა კი – ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ მატერიალური, შვილის აღზრდაში იხარჯება.

უძილო ღამეები?! ეს კიდევ სხვა განზომილების შრომაა.

ეს თუ არ გამოცადე, ვერ შეიგრძნობ, ვერ გაითავისებ ამ შრომის სიდიადის დუღაბს: სიმძიმეს, სიამოვნებას, სიხარულს, დარდს, ნატვრას, ლოცვისა და ცრემლის ძალას დიდი სიხარულისა თუ მწუხარებისას.

ამგვარად, ყველაზე დიდი და ძვირადღირებული სიმდიდრეც შვილებია. ოჯახის შექმნისას წყვილმა, სწორედ, ამ სიმდიდრის შეძენა–დაგროვებაზე უნდა იზრუნოს.

•

ყველანაირი სიმდიდრე თავისებურად გამოსადეგია ან გამოუსადეგარი.

ყველაზე დიდი განძი და სულის საზრდოა გამომდგარი შვილი.

ყველა ლურსმანი არ ჩაიჭედება და საქმეს ვერ გააკეთებს. ზოგი – გადაიღუნება, ზოგი – აისხლიტება და გაექცევა საქმეს, ზოგი – გადაიკარგება, გვერდზე გადგება. რომელიც გაუძლებს სიმყარეში „გაძრომის“ სირთულეს და „თავში ჩარტყმას“, ის ბოლომდე ჩაიჭედება და თავის საქმეს ბოლომდე, ღირსეულად შეასრულებს.

გამოუსადეგარი და გზასაცდენილი შვილი ყველანაირი სიმდიდრის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს აღემატება.

დანაკარგთა შორის დედისთვის ყველაზე ტკივილიანია უმადური შვილი.

ნეტა იმ მშობელს, ვისი შვილიც უკან იხედება და დაუძლურებულ მშობელს შეეშველება, მშობლის ადათს გაითვალისწინებს, ანგარიშს გაუწევს, პატივს სცემს.

ამ შემთხვევაში მშობლის შრომა ფასდადებულია, შემსუბუქებულია და ნაყოფიერი; ჯიშიანი ვაზის ტოლფასია, რომლის სარგებლიანობა და ნაყოფიერება საუკუნეებს გადასწვდება.

თუმცა, შვილი დიდი სიხარულია, მაგრამ ტკივილიცაა და ჯანმრთელობის დაუძინებელი მტერიც.

და... მაინც,

უფრო დიდი სიმდიდრე, ვიდრე შვილია, არ მესიმდიდრება.

13.04.2021 წელი.
თბილისი.

სიმკაცრის აკადემიები

სიმკაცრე ბევრნაირია – სხვადასხვაგვარად გამოხატული.

ზოგი – ყვირილით გამოხატავს, ზოგი – წკეპლით, ზოგი – თვალით, ზოგი – დუმილით,..

მკვეთრად ჩამამახსოვრდა დედულეთის ბებიის სიმკაცრის დეტალები და მამაჩემის დისციპლინა სუფრასთან, ერთად სადილობისას.

მაგ.; დედულეთის 90 წლის ბებიას, იმერეთის სოფელ პატრიკეთში, სადაც ზაფხულობით, არდადეგებზე ჩავდიოდით, არ უყვარდა ბავშვების ქუჩაში თამაში ან მეზობლებთან გადასვლა დაუკითხავად და აივანზე მდგარ საწოლზე წამოწოლილს ბალიშის ქვეშ მუდამ ჰქონდა დასაქადნებელი წკეპლა ამოდებული.

ბავშვები, გაქცევით იგერიებდნენ „დამსახურებულ“ გაწკეპვლას. თუმცა, ვერავინ გაბედავდა იმ წკეპლის ჩუმად აღებასა და გადაგდებას.

ძალიან თბილიცა და ბრძენი ქალიც იყო ბებიაჩემი. ყველაზე პატარა შვილიშვილი ვცდილობდი, მისგან გაწყრომის ადრესატიც კი არ ვყოფილიყავი.

ბებიაჩემი მკაცრი იყო, მაგრამ დესპოტი არა, მას ბავშვის გათავხედება არ უყვარდა. პირიქით, ავტორიტეტული ქალბატონი იყო ცხრა შვილის კარგად აღმზრდელი დედა. თუმცა ჩემს მახსოვრობაში მხოლოდ სამიღა ჰყავდა შემორჩენილი, სხვადასხვა მიზეზთა გამო. მეც ძალდაუტანებლად ვემსახურებოდი და პატივისცემით ვეპყრობოდი, რისთვისაც, არდადეგების დასასრულს, წამოსვლისას და დამშვიდობებისას, მისგან გულწრფელი სიყვარულისა და სინანულის ცრემლებს ვიმსახურებდი;

რის გამოც, პატივისცემის ძაფით, კიდევ უფრო მეტად ვეჯაჭვებოდი.

ბებიაჩემი, 85 წლისაც კი, ჩვენთან ჩამოდიოდა გურიაში (იგი ასე ზოგადად მოიხსენიებდა ჩვენს საცხოვრისს ყოველთვის და არასდროს შუხუთით). მხნე და ენერგიული იყო, ჯარასავით ტრიალებდა სახლში, თან ყველას გვიქსოვდა წინდებს, ხელთათმანებს, ქუდებს, „სვიტერებს“,..

ერთხელაც, ჩვენთან სტუმრობისას, მაშინ პირველ კლასელი ვიყავი, მათემატიკის საკონტროლო წერაში ციფრის გადასწორების გამო ოთხიანი მივიღე. მახსოვს, სახლისკენ ფეხათრევით მივდიოდი, ამ „მარცხის“ გამხელას სიკვდილი მერჩივნა. როგორც იქნა მივაღწიე სახლამდე. მსახიობობა არასდროს მეხერხებოდა და სიმართლის თქმასაც ვერ ვბედავდი. უთქმელად შემატყვეს, დანაშაულის მატარებელი რომ ვიყავი და დაიწყეს ჩემი უხასიათობის მიზეზის კვლევა, სუფრასთან მიჯდომამდე.

განსაკუთრებით ბებიაჩემი დაინტერესდა ამ საკითხით, რაღაც გჭირს და გაწუხებსო. ბოლოს და ბოლოს ამოვღერღე:

– მათემატიკის წერაში ოთხიანი მივიღე.

ბებიაჩემმა დოინჯი შემოირტყა და მკაცრად მომმართა:

– როგორ, ოთხიანი მიიღე და კიდეც ამბობ?!

ჩემთვის, ეს იყო სასჯელის უმაღლესი ზომა.

მას შემდეგ, წარუმატებლობისას, გაბრაზებული ბებიაჩემის, დოინჯშემორტყმული, მკაცრი იერი წარმომესახებოდა თვალწინ და სირცხვილით ვიწვოდი.

დღესაც კი მაკონტროლებს უსაშველოდ პატიოსანი, გონიერი ბებიის მკაცრი ჟესტი.

•

ჩემთან სახლში, გურიაში, განსაკუთრებით ჩამამახსოვრდა მამაჩემის სიმკაცრე სადილობისას. ამ დროს, ბავშვებს ზედმეტი ლაპარაკის, წაკინკლავების, ხითხითის,.. უფლება არ გვქონდა.

ჯერ თვალით შემოგვხედავდა, თუ საკმარისი არ აღმოჩნდებოდა, წარბებს შეჭმუხნიდა და თუ ესეც არ დააოკებდა ჩვენს ბავშვურ აღტკინებას და თუ მაინც ირღვეოდა სუფრის ეტიკეტი, მაშინ სიტყვიერად, მკაცრად მოგვმართავდა:

– ლუკმამ გაგაჩეროთ!!!

ეს უკვე საბოლოო განაჩენი იყო და ამის შემდეგ მორჩილად ვაგრძელებდით სადილობას, თითქოს დასჯილნი.

სუფრიდან გაძევება, ალბათ ტრიბუნალზე გადაცემის ტოლფასი იქნებოდა, მაგრამ საქმე აქამდე არ მიგვიყვანია.

სადილობის ბოლო ფაზაში, როცა დესერტზე გადადიოდა სუფრის „რიტუალი“, მშობლები ხშირად წაკითხული წიგნის დეტალების გარჩევაზე გადადიოდნენ. საინტერესო მომენტებს იხსენებდნენ. წიგნის გმირებს ხან აკრიტიკებდნენ, ხან იწონებდნენ. დეტალურად აღწერდნენ სიტუაციებს.

სუფრიდან ყველა ერთად ვდგებოდით.

იყო შემთხვევა, მამაჩემი წიგნის წაკითხვას აგრძელებდა სასადილო მაგიდასთან. ამ დროს ბავშვებს ადგომის „უფლება“ გვქონდა.

დედაჩემი მაგიდას ალაგებდა.

ეს იყო სუფრის აკადემიის, თითქმის ყოველდღიური, ერთ-ერთი ჩვევადქცეული ნიმუში, რომელსაც მეც ვიყენებდი შვილების აღზრდისას შეძლებისდაგვარად. ჩემს შემთხვევაში კი ბავ-

შვებს შენიშვნას, მამაჩემის მსგავსად, მხოლოდ სიტყვიერად ვაძლევდი:

– ლუკმამ გაგაჩეროთ!

23.05.2021 წელი.
თბილისი.

ცოდნის ძრავალსახეობა

ცოდნა მზის სხივივითაა, გაკაშკაშებს.

თუმცა, სიძულვილის ცოდნა ბნელი წერტილია გონებისთვის, განგრევს, გაჩანაგებს.

სიძულვილი, მეცხრე კლასში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შეგვეცვალა და მან შემასწავლა ისე კარგად, რომ სკოლის დამთავრებისთანავე ქართული ლიტერატურის ყველა წიგნი და ყველა რვეული დავწვი შუაცეცხლზე, მისი თავი რომ არ გაეხსენებინათ.

ოცდარვა წლისა გამათხოვეს და სიძულვილის აკადემიის ცხრაწლიანი კურსი გავიარე იმ დონეზე, რომ დღემდე ვერ ამოვძირკვე, რადგან იმ სიძულვილის სამი ნაყოფი, ხშირად მახსენებს მის თავს.

სიძულვილი ისე მახრჩობს, როგორც ჭაობში ჩაძირულს ლაფზე მოურეველი სიმძიმის ძალა, თანდათან უფრო და უფრო რომ გძირავს. ამ დროს, როგორმე უნდა მოახერხო გვერდის ავლა და სხვა გზით გავლა, მაგრამ თავდაღწევა არ გინდა?

ოხერი მეხსიერება გახრჩობს და გაყურყუმალავებს.

გაწბილება მაშინ ვისწავლე და ვიწვნიე, როცა ყველამ თავისი წილი მიიღო ჩემგან, მე აღარ ვიყავი საჭირო და აუცილებელი მათთვის; და... აღარც შემეძლო.

ცოდნა გამოცდილებაა.

შენ იცნობ, გრძნობ მას.

გამოცდილება კი სიბრძნეა.

სიყვარული, შვილების შეძენამ მასწავლა.

სიყვარულიც უსაშველო ვიცი.

შეიძლება მცენარემ, ფრინველმა, ბუნების ბუნებრივმა შემოქმედებამ, აისმა ისე დამატყვევოს მომხიბვლელობით, შევბარბაცდე სიყვარულით, შემძრას სულით ხორცამდე.

გვიან შემოდგომაზე, წითლად აელვარებული ნეკერჩხლის ნახვამ, სიყვარულის ისეთ ალში გამახვია?!

სიყვარულით აგიზგიზებულმა, სახლში მოსვლამდე, გზაშივე დავწერე ლექსი: „ერთი ნახვით შეყვარება“.

დიდხანს ვსაზრდოობ ამაღლებული განწყობით.

ერთგული სიყვარული,.. ნამდვილი და შეუფუთავი, ისე როგორც ყველას, მეც მეწვევა აუცილებლად და დედასავით ჩამიხუტებს გულში სამარადჟამოდ.

სულმოუთქმელად ველოდები მასთან შეხვედრას. იგი გადამავიწყებს და განმათავისუფლებს წუთისოფლის უკიდეგანო სიყალბეთა ორომტრიალისგან.

ერთგულ სიყვარულს გამოცდილება არ ახლავს.

ის სამუდამოა.

11.06.2021 წელი.
თბილისი.

შეგებების დიბლოშაკები

ოჯახის წევრს, სახლში დაბრუნებისას, შეგებება და მისიყვარულება სჭირდება. მისასალმებელია, თუ ეს წეს-ჩვეულება ოჯ-

ახში არსებობს; და თუ არა, ბავშვი რომ გაჩნდება ოჯახში, მისგან ისწავლით.

ჯერ კიდევ ფეხაუდგმელ ან ახალფეხადგმულ ბავშვში არის მიგებების ინსტიქტი, რომლითაც დიდ სიყვარულს გამოხატავს სახლში შემოსული დედ–მამის ან ბებია–ბაბუის მიმართ გაწვდილი ხელებით, გაბადრულ–გაცინებული სახით, ადგილზე ხტუნვით ან თუ სიარული იცის, გაქცევით და ფეხებზე ხელების შემოხვევით, ხელში აყვანისას კი – კისერზე ხელების შემოჭდობით, ლოყებზე კოცნით და თან ხელების მოტყაპუნებით, მხარზე თავის დადებით.

ამ მოქმედებით ბავშვი უზარმაზარ ენერგიას გიწილადებთ და როგორი დაღლილიც არ უნდა იყოთ, ყველა მის მოთხოვნას წუწუნის გარეშე ასრულებთ.

ჩემი სამი შვილის აღზრდის პროცესში, ეს სიამოვნება არ მაკლდა უფროობით ხარისხში. ჩემი სახლში დაბრუნება ნამდვილი ზეიმი იყო მათთვის. თუ ტვირთი მქონდა, კიბეებზე ჩამომეგებებოდნენ. სამივე ცდილობდა რითიმე გავეხარებინე: ჭურჭლის გარეცხვით, ოთახის დასუფთავება–მოწესრიგებით,.. , სწავლით.

სწავლის პერიოდში კი რაიმე გაურკვეველი თუ ჰქონდათ, მხოლოდ იმას მეტყოდნენ, თორემ გაკვეთილებს არასდროს ვიბარებდი. ყვებოდნენ თავთავიანთ „თავგადასავლებს“. მე კი დაღლილს, დაღლა მავიწყდებოდა და დასვენების მაგივრად მეორე დღისთვის საქმის თადარიგს ვიჭერდი.

ასე სიხარულში გაიარა შვილების ბავშვობამ და სკოლის პერიოდმა.

შემდეგ ცოდნის სხვადასხვა მწვერვალებისკენ რომ აიღეს გეზი და დამოუკიდებლები გახდნენ, დავცალცაკევდით და ამ სიხარულების დეფიციტს განვიცდი.

•

ხშირად ოჯახის წევრებს შორის გაცივებულმა და ძალდატანებითმა ურთიერთდამოკიდებულებამ გამოსავალი შინაურ ცხოველში – ძაღლში ჰპოვა. რადგან ძაღლში შეგებების ინსტინქტი უფროობით ხარისხშია; თანაც, ძაღლი ერთგულია და წყენის ჩამახსოვრებაც არ იცის.

მახსოვს, ბავშვობაში, სოფელში გვყავდა პატარა, ხშირბეწვიანი თეთრი, ლამაზი ცუგა. იგი, ეზო–გარემოს ერთგულიც იყო, ოჯახის ყველა წევრიც უყვარდა და შეგებების სიამოვნებასაც არავის აკლებდა; მაგრამ, ამ მხრივ გამორჩეული დამოკიდებულება მამაჩემისადმი ჰქონდა, ალბათ გრძნობდა ოჯახის უფროსი და ავტორიტეტი რომ იყო.

ერთხელ მამა საქმეზე წავიდა ქალაქში სამი დღით. მთელი ამ ხნის განმავლობაში ცუგას, საჭმლისთვის პირი არ დაუკარებია; იწვა ჭიშკართან შემაღლებულ ყორეზე, თავი წინა თათებზე ედო და გზისკენ ეჭირა თვალი. ჩვენს დაძახებაზე თავს ძლივს წამოწევდა ავადმყოფივით, შემოგვხედავდა უღიმღამო, სევდიანი თვალებით და ისევ მოლოდინის რეჟიმს აგრძელებდა.

მესამე დღეს, ნაშუადღევს, უცებ წამოხტა, ყორეს გადაევლო და ქუჩაში გავარდა. რამოდენიმე წუთში სირბილით აქოშინებული შემოიჭრა ეზოში, ყველას კუდის ქიცინით და ცქმუტვა–წკმუტუნით მოგველაქუცა და ისევ ქუჩაში გაიჭრა. ასე გააკეთა სამოთხჯერ, სანამ მამაჩემმა ჭიშკარი არ შემოაღო. ეს იყო ძაღლის უზარმაზარი ზეიმი, სიხარული, პატრონის სახლში მოსვლით გა–

მოწვეული, რომელიც ჩვენც გადმოგვედო. პატრონის დაბრუნებით გულდამშვიდებულმა ცუგამ საჭმელიც მადიანად მიირთვა და ლოდინით გადაღლილმა თავის „საწოლზე“ მალევე მიიძინა.

თუ სადმე წაყოლის ნებართვას მიიღებდა, იგი ერთგულად ჩვენს გვერდით მოცუნცულებდა; არც წინ გაგვისწრებდა, არც ჩამორჩებოდა. თუ შემხვედრთან შევჩერდებოდით გამოსალაპარაკებლად, ისიც სულგრძელად გველოდებოდა უკანა ფეხებზე დაყუნცული.

თუ შემთხვევით ეზოს გარეთ დარჩებოდა, ჭიშკართან წკმუტუნით აიკლებდა იქაურობას, შემოსვლის მოთხოვნით.

რაც შეეხება ქალაქის ე.წ. ოთახის ძაღლს, იგი კარჩაკეტილი ცხოვრების უღელშია შებმული, თავისუფლებაშეზღუდულია და ძირითადად, მხოლოდ ადამიანთა გარემოცვაში ცხოვრობს. ეზოსა და ქუჩაში კისერზე ყულფშებმული დაჰყავს პატრონს, რადგან ეშინია არ გაექცეს. ასე თოკით ტარება, ძაღლის შესაძლო დაკარგვითაცაა გამოწვეული. ასეთი ძაღლი პატრონს კი არ დაჰყავს, პირიქით, პატრონი მიჰყვება და მისდევს ძაღლს, რომელიც მუდამ ხელიდან დასხლტომაზე ფიქრობს. პატრონი იმასაც შიშობს, რომ გაიქცეს „თავისუფალმა“ ძაღლებმა არ დაკბინონ.

ოთახის ძაღლი მდიდრულ ოჯახში გაზრდილ, გაზულუქებულ, დედისერთა ბავშვს მოგაგონებს, რომელიც მუდამ ხელჩაკიდებული და მეთვალყურის ზედამხედველობით დაჰყავთ ყველგან იმის შიშით, რომ არ დაჩაგრონ, არ გალახონ, წაქცევისას ააყენონ. ასეთ ბავშვს მოზრდილ ასაკში უჭირს დამოუკიდებლად ცხოვრება, რაიმე გადაწყვეტილების მიღება, მეგობრული ხელის გაწვდა, გაჭირვებულზე ლუკმის გაყოფა, დამოუკიდებე-

ლი აზრის წამოყენება და წინააღმდეგობის შემთხვევაში მისი დაცვა ან გატანა.

მიუხედავად სივრცითი შეზღუდულობისა, პატივაყრილი თავისუფლებისა, ჩაკეტილი ძაღლებიც პატრონისადმი გამოირჩევიან მონატრებისას სევდით და ოჯახის წევრის სახლში დაბრუნებისას – სიყვარულით შეგებების დემონსტრირების ნაირგვაროობით.

თუ სახლში წარუმატებელი ან რაღაცის გამო განაწყენებული დაბრუნდი და უთქმელობით, ან ხანგრძლივი დუმილით გამოხატავ განწყობას, ბავშვიც მოწყენით და მხარზე თავის ჩამოდებით თანაგიგრძნობს, სულგრძელად ელოდება სიტუაციის განმუხტვას. ძაღლი კი ასეთ შემთხვევაში, შენს ფეხებთან განირთხმება და თავს ფეხებზე დაგადებს, ან შორიახლოს დაწვება და ჩათვლემილის პოზიციაში დაელოდება პატრონის ხასიათის, მდგომარეობის გამოკეთებას და გაიტრუნება.

სიყვარულით შეგებება კი ადამიანს სასიცოცხლო ენერგიით მუხტავს, ძალას მატებს.

ოჯახის წევრებზე გულწრფელი სიყვარულით შეგებებაში, პატარა ბავშვები და ნებისმიერ პირობებში მცხოვრები ძაღლები, მისაბაძნი არიან და შეიძლება, მათ ღირსეულადაც ვუწოდოთ – **შეგებების დიპლომატები**.

04.11.2021 წელი.
თბილისი.

სულით ხეობარი

ცოდვაა ის ადამიანი, ვისაც სიყვარული არ განუცდია.

უკიდურესად სამწუხაროა, რომ მე ამ საცოდავ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები. არადა, ცხოვრების არც ერთ ეტაპზე საცოდავი არ ვყოფილვარ. დაუხმარებლად, საკუთარი ძალებით, პატარა–პატარა, თუმცა, სულ წარმატებულ საფეხურებზე მივაბიჯებდი ბედნიერი.

ერთადერთი ნაბიჯი, რომელიც სხვისი ძალისხმევით გადამადგმევინეს, უფრო სწორად ხელის კვრით გადამჩეხეს, ოჯახის შექმნა იყო. რაც, როგორც მოსალოდნელი იყო, კრახით დამთავრდა.

ახლა მივხვდი, რატომაა ცივი და უსუსური ჩემი ჩანაწერები, რადგან სიყვარულით არ არის გაჯერებული. ყველა შეცივებულ, მშიერ, მობუზულ, უსუსურ ბეღურას ჰგავს.

მთელი ცხოვრება ძლიერი, უშიშარი, დამოუკიდებელი, საკუთარი აზრის მატარებელი ვიყავი, მეგონა ბედნიერიც; თურმე ვცდებოდი, რადგან მთავარი არ მახლდა – სიყვარული.

პაულო კოელიომ ბრძანა: „სიყვარული უბრალოდ სიტყვაა, სანამ ვინმე გამოჩნდება და მნიშვნელობას მიანიჭებს.“

ჩემს შემთხვევაში ეს შვილის გამოჩენა იყო, რომლის სიყვარულმა შემძრა და შემაზანზარა.

სხვების გამკვირვებია, ალმოდებული გულით რომ აღმერთებენ და შეჰმღერიან სიყვარულს. მე კი გულგრილად ვკითხულობ და მიკვირს, თუ როგორ ღელავენ ამ სიტყვის გარშემო ან რისთვის. ზოგჯერ მგონია, ეს ხელოვნურად შეთხზული სცენარია, სცენაზე სათამაშოდ.

თუმცა ჩემთვის სიყვარულია შვილის, შვილიშვილის, დედამამის, ბებია–ბაბუის, მეგობრის, მსახიობის, კინოს... აჩახჩახებული ნეკერჩხლის,.. და სიცოცხლის სიყვარული.

ადამიანი, არ შეიძლება საცოდავი იყოს სიღარიბის გამო, სოციალური სტატუსის გამო, თანამდებობის გამო, ბავშვთა სახლში აღზრდის გამო, სახლის არქონის გამო, არც ხეიბრობის გამო, არც სიმაღლის გამო, არც განათლების არქონის გამო. ადამიანი საცოდავია მხოლოდ მაშინ,თუ მან სიცოცხლე სიყვარულის გარეშე განვლო.

უკვე საკუთარი თავი არ მომწონს, მზარავს კიდეც ჩემი ფრთამოტეხილობა – ჩანაწერებში ასახული.

ალბათ, ასეც ხდება: შესაძლოა, მე იმ გზებზე ვიარე, სადაც არ ჩამოიარა ჩემმა მეორე ნახევარმა. დარწმუნებული ვარ, ისიც ჩემსავით მარტოა და მსხვერპლია უსიყვარულობის; უკმაყოფილოა ცხოვრებით და **სულით ხეიბარია** ჩემსავით.

ეს ყველაზე დიდი სასჯელი და განსაცდელია ცხოვრებაში არსებულ განსაცდელთა შორის.

სამწუხაროდ, „ჩვენ“ ალბათ, აცდენილ წრფეებზე ვმოძრაობდით.

კარგი იყო დიდი სიყვარული გამომეცადა, დიდი, უკიდეგანო სიყვარული და დამეწერა სიყვარულით გაჟღენთილი თუნდაც ერთი ჩანახატი ან ლექსი.

სიყვარული სასჯელი არაა, არც გაუსაძლისი სატანჯველია.

სიყვარული საგზალია, რომელიც მთელი სიცოცხლე გეყოფა.

სამწუხაროდ, გვიან შემეფეთა სიყვარული, აჩახჩახებული, წითელი ნეკერჩხლის სახით. შემეფეთა და გამაშეშა. ვიდექი მის წინაშე და ხელის შეხებას ვერ ვბედავდი, უფრო სწორად ვერ ვაკადრე, რადგან, ისეთი ნაზი, გაცრეცილი, ალისფრად შეფაკლუ-

ლი ფურცლებით იყო შემოსილი, შემეშინდა, არ შემებღალა მისი სრულყოფილება.

მას შემდეგ,.. შემახსენდება და სულში სითბო ჩამეღვრება, ნახვის ნდომა აღმეძვრება, მაგრამ მისი სახეცვლილების მეშინია.

ის შორსაა.

მეც შორს ვარ მისგან.

მისი ჩემს გვერდით გადმონერგვაზე არც მიფიქრია.

იყოს იქ, სადაც ხარობს, იქ იხეიროს. მთავარია, მან სიყვა–რულის განცდა მომანიჭა და მაჩუქა.

13.05.2021 წელი.
თბილისი.

უგანაჩენო განაჩენი

სიღარიბე და ხელმოკლეობა ყოფილა განაჩენი – უგანაჩენო განაჩენი.

საზოგადოება, რომელიც ასე აზროვნებს, საცოდავია.

დღიური ცხოვრებითა და წუთიერი სიამოვნებისთვის არ ვცხოვრობ.

სიმდიდრე ყველა ადამიანშია, არა პირდაპირი გაგებით – ფულის სახით, არამედ სხვადასხვანაირი ნიხრებითა და სხვადას–ხვანაირად აღსაქმელი. ამას მიხვედრა და შეცნობა სჭირდება. ვიღაცამ თუ უფულობის გამო ჩამომკვეთა და იგნორირება გამი–კეთა, ეს მისი „მიხვედრილობის ბეჭედია“. ე.ი. მისი გონება თვა–ლებშია.

მე ისეთი ბედნიერი ვარ!

გაჯიბრებას ვერც გაბედავს გაფუყული, კუჭამოყორილი „ლუარსაბები“, რომელთა აზროვნება იმდენად მწირ, დახშულ ნაჭუჭშია მოქცეული, სხვაგვარად არ ძალუძთ; თან, მუდამ წუწუნებენ, სახე მუდამ ჩამოსტირით. ასეთი ადამიანები მხედველობის არედანაც კი ამოვშალე.

მე კი,.. მე, მუდამ ბედნიერი სახით დავაბიჯებ. იმიტომ, რომ უსაშველოდ მდიდარი ვარ შიგნით. ჩემში მრავალმხრივი ინტელექტუალური ძალაა და ხელმოკლეობას ვერც ვგრძნობ.

გადაგვარებულ, სამწუხარო დღევანდელობაში, სიღარიბე სოციუმიდან განკვეთის განაჩენია. რაც დაბალი ინტელექტის მაჩვენებელია.

თავის გადასარჩენი საშუალება მაქვს მხოლოდ, მაგრამ თავი ღარიბად არასოდეს მიგრძვნია, თუკი ვიღაცას ძვირადღირებულ საჩუქარს ვერ ვუკეთებ. ეს მე, არც მაკნინებს და არც მაბეჩავებს. პირიქით, ძალიან მდიდარიც კი ვარ.

მარტოდმარტოდ, ჩემი გონებრივი შესაძლებლობით, ცხოვრება ავაწყვე დამოუკიდებლად სამი უსუსური შვილის თანხლებით.

ახლა, თუ ჩემი ნააზრევები წიგნად ვაქციე, ეს ძვირადღირებული ფუფუნება იცით რისი ეკონომიის წყალობით მოვახერხე? ვიკვებები გადასარჩენად და არა, რაც მინდა და რაც მჭირდება. არავისთან არ დავდივარ საჩუქრით, თითქმის არ ვყიდულობ წამლებს, ვიცმევ მოკრძალებულად, ჩემი შემოქმედებითი უნარებისა და კერვის წყალობით.

მათხოვრებთან მუდამ ვალში ვარ და ბოდიშსაც ვუხდი ხშირად, თან თავდახრილი, მორიდებულად ჩავუვლი. ერთხელ, კატეგორიულ მათხოვარს, გზა რომ გადამიკეტა, დავუმტკიცე მშვი-

დი საუბრით, რომ მე უფრო მიჭირდა ეკონომიურად, ვიდრე მას. როგორ ახერხებ თავის გატანასო, მკითხა. შიგნით ისეთი მდიდარი ვარ, უფულობა მავიწყდება და ძალიან ბედნიერიც კი ვარ–მეთქი ვუთხარი.

უფულობა, ზოგიერთისთვის განაჩენია.

მე ასე არ ვფიქრობ და ეს ვინც მაგრძნობინა, გულწრფელად მეცოდება, რადგან მისი ინტელექტუალური შეგნების არეალი იმდენად მწირია და შეზღუდული, რომ სიტუაციებს რეალურად ვერ აღიქვამს, ან ვერ ერკვევა, ან არ უნდა დანახვა.

თუ ეს სასჯელია, ამას სულგრძელად ვუძლებ.

დაე, მე ყველას მეგობარი და ყველასთვის დაუზარელი, უმ–ეგობროდ, მაგრამ ბედნიერი დავაბიჯებდე უფალთან ერთად წუ–თისოფელში.

ისინი კი, მუდამ მოწუწუნე, საცოდავი მარიონეტები არიან ჩემს თვალში.

კვლავ განვმეორდები: იმდენი მაქვს, რომ ვალი არ მაქვს და ეს ჩემთვის სიღარიბეს არ ნიშნავს.

დიახ,..

იმდენი მაქვს, რომ ვალი არ მაქვს!

ასე რომ,..

როგორც ძალმიძს, ვჩხრიალებ.

14.07.2021 წელი.
თბილისი.

უფალს არ ვაეიწყები

ზოგჯერ, კუთხეში ვდგავარ უიმედოდ.

უფალი წამომეპარება უკნიდან, ხელს მკრავს და სცენაზე შემაგდებს გამოსაჩენად.

უხერხულად ვდგავარ:

– ვიღაცისთვის – მხოლოდ თვალსაჩინო;

– ვიღაცისთვის – საამაყო.

ეს წუთიერი სიხარული ძალას მმატებს.

ცხოვრების სტიმულს მაძლევს.

ჩამოვდივარ სცენიდან აფაკლული.

ამოვისუნთქავ.

ვისვენებ და...

ისევ კუთხეში ვდგები.

კვლავ ვაგრძელებ საქმიანობას.

არავის ვახსოვარ.

არავინ მნახულობს.

და... კვლავ მიბიძგებს უფალი.

კვლვ სცენაზე შემაგდებს „გამოსაჩინარებლად“.

24.07.2021 წელი.

თბილისი.

ფარგალი

სკოლამდელი პერიოდის ბავშვობა.

ესაა აუცილებლად გასავლელი და გამოსაყენებელი სილაღე, გამოხატული თამაშებში: კლასობანა, ლახტით ხტუნვა, მასწავლებლობანა, დედობანა დედოფალასთან, დაჭერობანა, როცა მეზობლის ბავშვებიც იყვნენ.

შიგადაშიგ თვლისა და ანბანის სწავლა; წერის მცდელობები – ესეც თამაშივით დიდ ინტერესს იწვევდა ჩემში.

ათამდე თვლა რომ ვისწავლე, გახარებული ვიყავი და ეზო–ში თამაშობებში ვიყენებდი: ლახტზე ხტუნვას ვითვლიდი, თვალ–ხუჭობანას თამაშისას მინდოდა, მე დამეხუჭა და ცოდნა გამომე–ყენებინა.

ანბანის სწავლისას დედაჩემი ამიხსნიდა ასო–ბგერას და მარცვლებს ჯერ თვითონ მიწერდა და იქ ვკითხულობდი. დედაე–ნა რომ შემიძინეს, გახარებულმა ჩავიხუტე გულში თვალგასახა–რი ფერადი წიგნი, სადაც ყველა ასო–ბგერას შესაბამისი სურათი ამშვენებდა.

დედაენის ორივე ნაწილს, როგორც შეუფასებელ განძს, ვი–ნახავ და ვუფრთხილდები დღესაც.

უკვე სწავლის სურვილი უსწრებდა შესაძლებლობას. თუმცა, თანმიმდევრულობა აუცილებელი იყო.

სწავლაში დამჯერე ვიყავი, დაუზარელიც და დედას ვახა–რებდი; საღამოს კი – მამას, როცა ვუკითხავდი იმ დღეს ნასწავ–ლი ბგერის შესაბამის ტექსტსა და მათემატიკის ელემენტებს ვუ–რაკრაკებდი. მახსოვს, სახე როგორ ებადრებოდა!

სკოლაში შესვლამდე დედაენის ორივე ნაწილი ბოლომდე ვისწავლე, შემდეგ თავიდან დავუბრუნდი და უკვე სხარტულად რომ ვკითხულობდი, მახარებდა. დიდი სიხარული განვიცადე, ჩემი ნასწავლი ასო–ბგერა პირველად გაზეთში რომ ამოვიცანი. გაზეთი ხელიდან არ გამიშვია, სხვა ასოებიც მინდოდა მეპოვნა.

არითმეტიკაში (დაწყებითის მათემატიკის წიგნს ასე ერქვა მაშინ) ათის ფარგალში მიმატება–გამოკლება რომ ვისწავლე, თავი უკვე მათემატიკის მცოდნე მეგონა.

შემდეგ ოცის ფარგალში დათვლის პროცესიც მახსოვს. ეზ–ოში ხმამაღლა ვითვლიდი თამაშისას ან სახლიდან ჭიშკრამდე გავრბოდ–გამოვრბოდი ნაბიჯების თვლით. თუ სადმე „გავიჭედე–ბოდი“, შევირბენდი სახლში დედაჩემთან, იგი მაშველი რგოლი იყო, გახსნიდა გაუგებარ „კვანძს“და თან საქმიანობდა. აბა, სად ეცალა, სწავლისას რომ დამჯდომოდა?! შემდეგ გადავდიოდით ანგარიშზე ოცის ფარგალში.

დედაჩემი სიამაყით ამბობდა: – თვლა და ანგარიში უკვე ოც–ის ფარგალში იცისო.

მათემატიკის სწავლის პროცესში რომ ვიყავი, ათისა და ოც–ის ფარგალში, ამ დროს ჩემი ძმა მეექვსე კლასში იყო და ფარგა–ლი უყიდეს მათემატიკაში წრეების დასახაზად. სიტყვა „ფარგა–ლი“– ჩემთვის დათვლისას რომ გამოიყენებოდა, თურმე, რომ გავიზრდები, ამ სიტყვის შესაბამისი ხელსაწყოც მექნება მათემა–ტიკისთვის.

ამ საკითხის გარკვევას შორს მივყავდი, გაუგებრობამდეც. ჩემთან მიმართებაში ეს სიტყვა ხშირად იხმარებოდა, რადგან ანგარიში ხომ იზრდებოდა თანდათან: ოცდაათის, ორმოცის, ორმოცდაათის,..., ასის ფარგალში,.. ა. შ.

გვიან მივხვდი, ფარგალი წრეს ხაზავს, მაგრამ სწავლაშიც ცოდნის წრე ხომ იკვრება ეტაპობრივად?! მაგ,: ასამდე, ათასამ–დე,.. მილიონამდე ფარგალი და ა, შ. დაუსრულებლად.

სიტყვა ფარგლის მრავალფუნქციურობაშიც გავერკვიე და ბედნიერი ვიყავი.

სწავლის პროცესი, ანუ ცოდნის შეძენით აღმასვლა, სიამოვ–ნებას მანიჭებდა და ნელ–ნელა მივუყვებოდი აღმართს მწვერვა–ლისკენ.

ჩემთვის უმაღლესი განათლება გახდა ცოდნის მწვერვალის მაქსიმალური სიმაღლე და სვლაც შევაჩერე.

აქ დარჩა აფრიალებული, ჩემი განათლებულობის დამადასტურებელი, დროშაც. ეს იყო საინჟინრო ტექნიკური განათლება, ინჟინერ-კონსტრუქტორის კვალიფიკაციით.

თუმცა... როცა წვრილშვილიანმა ფინანსთა სამინისტროში დავიწყე მუშაობა, „ფინანსები და საბანკო საქმეც“ დავამთავრე, ვინმეს არაპროფესიონალიზმში რომ არ დაედო ბრალი შემცირებებისას.

08.11.2023 წელი.
თბილისი.

ფსიქოლოგიური გარდატეხა

მორჩილი შვილის სტერეოტიპი მაშინ დავარღვიე, როცა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, მესამე კურსის იანვარში, ოფიციალურად მივატოვე, რადგან სასკოლო პრაქტიკაზე ვერ გავიდოდი ზღვარგადასული სიმორცხვის გამო და ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისკენ ავიღე გეზი.

თუმცა, იყო წინააღმდეგობები და დამაშინებელი დაქადნებები ოჯახიდან, მაგრამ მე უკვე აღარაფრის მეშინოდა, რადგან ბედნიერად ვგრძნობდი თავს – პედაგოგიურს თავი დავაღწიე.

გაუბედავმა და ზედმეტად მორცხვმა, მაგრამ მებრძოლი სულის პატრონმა გოგონამ, შევაღე ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმკაცრესი რექტორის, ნოდარ ვალიშვილის კარები და ავუხსენი მისვლის მიზეზი.

დიალოგი შიშის ბარიერის მოხსნის ფონზე წარიმართა.

მიხვდა, გადაწყვეტილება ჩემგან მტკიცე და უცვლელი იყო, ფეხზე წამოდგა, ხელი ბეჭზე დამადო მამაშვილურად და მითხრა:

– რომ გადმოგიყვანო, გაგიჭირდება, რადგან მეორე კურსის მასალასთან ერთად პირველის განსხვავებული საგნების ჩაბარებაა საჭირო.

პრაქტიკაში არ გაამართლა ამ მეთოდმა და თავიდან ჩაბარებას გირჩევო. დამაჯერებლად ამიხსნა და დავეთანხმე. რადგან სამუშაო სტაჟი არ მქონდა, საბუთების მიღებაზე დახმარებაც აღმითქვა.

ბედნიერი გამოვბრუნდი ახალი გადაწყვეტილებით.

ავიღე ისევ ჩემი სკოლის წიგნები, პროგრამა და განმეორებას შევუდექი დედულეთში.

საბუთები, მისაღები გამოცდების კომისიამ, მართლაც რექტორის რეკომენდაციით მიიღო.

ჩავაბარე.

სოფელში ვბრუნდებოდი მარტო, კიდევ ერთხელ გამარჯვებული.

შუადღე იყო.

სამეზობლოში, გზის ორივე მხრიდან, გამოეფინნენ მეზობლები, სახლებიდან ჭიშკრისკენ გამორბოდნენ მოსალოცად.

გზაც ამ სიტუაციამ დააგრძელა.

კიდევ უფრო ახლოს, დიდ „ბოგირს“ რომ გავცდი და მეზობლების „ალყას“ თავი რომ დავაღწიე, ღელისკენ შევუყევი გზას. ამ დროს მარცხენა მხარეს ვხედავ, ორღობიდან მოხუცი ბებია (პოლისი მანტკავა), როგორც შეეძლო გამორბოდა და მუდარანარევი ხმით დაიძახა:

– ციცინო, არ გამასწრო! მომიცაი ნენა მაქანე!

მომიახლოვდა, გულში მაგრად ჩამიხუტა, გულწრფელად მომილოცა და მითხრა:

– ნენა, ამ კუთხეში შენნაირი ნიჭიერი ჯერ არ დაბადებულა!

ქებით ცამდე ამიყვანა, ფეხი მიწაზე არ დამადგმევინა.

გამიკვირდა.

ამპარტავანი არასდროს ვიყავი და ამ სიტყვების არსს მოგ–ვიანებით ჩავწვდი.

მივხვდი, რამაც ათქმევინა ეს სიტყვები მოხუცებულს. მე ხომ არ მოვმზადებულვარ, ჩემს ოჯახს ფულიც არ ჰქონია და მხო–ლოდ ჩემი ძალებით ჩავაბარე 1972 წელს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში და ახლა,.. მეორედ – პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

წახვიდე გოგონა მხოლოდ გზის ფულით და ჯერ ერთ, მერე მეორე ინსტისუტში დაუბრკოლებლად მოეწყო, სხვისი გადასახე–დიდან, ასე მოსჩანდა, მაგრამ თქმით, მხოლოდ პოლისი ბებიამ თქვა. ორივე ინსტიტუტში მოწყობას ჩემს დამსახურებად თვლიდა.

ეს კი, მართლაც, ასე იყო.

და... ამ შეფასებას გაფრთხილება უნდოდა.

ვუფრთხილდებოდი.

ვუფრთხილდები დღესაც.

სახლშიც, რა თქმა უნდა მეორედ „ამაღლდა ჭერი“.

მას შემდეგ მამა აღარ მიმანიშნებდა, საით უნდა წავსულიყა–ვი, მხოლოდ ამას მეტყოდა:

– მამა, შენ უკეთ იცი, რა უნდა გააკეთო და სად წახვიდე!

როგორც იქნა, ჩემში მებრძოლისა და დაუმორჩილებლის, დამოუკიდებლის, შედეგიანი შრომისუნარიანისა და შრომის–მოყვარის თვისებები, თუ ხასიათი დაინახა.

მოგვიანებით დედაჩემმა ასე მითხრა, რაღაცაზე უკმაყოფილოს:

– ნუ ნერვიულობ! შენ, ისეთი ძლიერი და მიზანდასახული ხარ, შენზე აღარ ვდარდობ! ვიცი, ცუდს არ გააკეთებ, კარგ გადაწვეტილებასაც მიიღებ და საწადელსაც მიაღწევ ყოველთვის!

30.03.2021 წელი.
თბილისი.

ქაოსი თავში

ვირუსული პანდემია, „კოვიდი“, „მოდური“ რომ გახდა, უამრავი ადამიანი ჩაითრია და მოექცა მის კლანჭებში.

უამრავს კისერიც მოუგრიხა.

მარტოსულ–მარტომავალსაც მესტუმრა.

მისმა კლანჭებმა თავისი კვალი დამიტოვა, თუმცა სულიერად ძლიერს ვერ მომერია, ანუ კისერი ვერ მომიგრიხა.

•

ავადმყოფობის ქარიშხალმა გადაიარა.

რეაბილიტაციის პერიოდი დაიწყო:

ძალების აღდგენა...

ტემპერატურის რეგულაცია.

ღონემიხდილობა ხშირად წოლას მაიძულებს.

თავში ქაოსია.

თითქოს, კაბინეტში ორპირი ქარი შემოიჭრა და დალაგებული ფურცლები ააფრიალა. ფურცლები აქეთ–იქით უთავბოლოდ აწყდება კედლებს, ზოგი წიგნების თაროებზე შემოსკუპდა, ზოგი მაგიდის კიდეს შემორჩა, ზოგიც იატაკზე ვარდება, მაგრამ იქაც

მოუსვენრობა ეტყობათ: ხან გადააჩოჩებს, ხან კი გადააბრუნებს ქარის ტალღა.

მაგიდის „ლამპაც“ კი წააქცია და იატაკზე დახეთქების, ჩამოვარდნის საშიშროებაშია. ქარი მაგიდაზე სქელ წიგნებსაც არ უხდის ბოდიშს. როგორც მოუხერხდება, ცდილობს, ისე აიგდოს აბუჩად: ყდას აწევს, რამოდენიმე ფურცელსაც მიაყოლებს, მაგრამ ისევ დაიხურება სიმძიმის ძალით, ქარის ამოსუნთქვის პერიოდში.

პატარა ბროშურები ყველა იატაკზეა მიმოფანტული; ზოგი ტახტის ქვეშ შეაცურა ქარმა, ზოგი მაგიდის ქვეშაა მშვიდად.

აი, ასეთი ქაოსი მაქვს თავში.

წარმოშობილი ქაოსი როგორ აღელვებს და აშფოთებს სახლში დაბრუნებულ პატრონს?!

სწორედაც მაშფოთებს ეს ქაოსური სიტუაცია.

დალაგებას ვცდილობ, მაგრამ უშედეგოდ.

დალაგდებაო, მამშვიდებს ექიმი.

•

დალაგდა.

30.08.2021 წელი.
თბილისი.

ბედნიერების ეპიზოდები

ბედნიერი ვარ.

ბედნიერება კეთილსინდისიერი და შედეგიანი შრომა ყოფილა.

მე ხომ ასე აღვიზარდე?!

ასე ვცხოვრობ დღესაც.

შემოქმედებითი შრომა, ფიზიკური თუ გონებრივი, ჩემი ცხოვრების წესია.

ჰოდა, ბედნიერი ვარ, ჩემს საყვარელ საქმიანობებს ვეწევი, ჩემს ფიქრებს ვემსახურები, რითაც, უარყოფითი ემოციებისგან თავის დაღწევასაც ვახერხებ.

•

ბედნიერი ვიყავი, როცა ვგრძნობდი, სახლში სულმოუთქმელად მელოდებოდნენ, თუნდაც ხელცარიელს.

უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი ხელში გაუსაძლისი მძიმე ტვირთითაც კი და გზა მიგრძელდებოდა მოსალოდნელი შეხვედრის სიხარულის გამო. ვიცოდი, რომ იმათ ძალიან, ძალიან გავახარებდი, მით უმეტეს მათთვის საინტერესო ტვირთით.

გზაში ვფიქრობდი, რომ მათ დიდხანს, ძალიან დიდხანს ჩავეხუტები და ყველანაირ უსაქციელობას ვაპატიებ–მეთქი, ოღონდაც ყველანი საღსალამათნი დამხვედროდნენ.

ბოლოს და ბოლოს გაუსაძლისი დროც ილეოდა.

კარზე ვაკაკუნებდი.

კარს სამივე ხმაურიანი ზარ–ზეიმით აღებდა და სამივეს უნდოდა ერთდროულად ჩამხუტებოდა, მაგრამ ჩემი ტვირთი აფერხებდათ და ძლივს სკამამდე მიღწეულს, სიყვარულით და გარკვეულწილად სიბრალულითაც შემომყურებდნენ ძალზე დაღლილს.

ბედნიერი სიბრალულით თანაგრძნობას გამოხატავდნენ და მთავაზობდნენ ოთახის ჩუსტებს, საჭმელს,.. რაღაცას.

მერე ჩანთების ამოლაგებას იწყებდნენ და ყველაფერს თავთავის ადგილს მიუჩენდნენ გამოცდილი დიასახლისებივით. თან იმდღევანდელი სკოლის ამბებს მიყვებოდნენ. ერთმანეთს არ

აცლიდნენ, რადგან სამივეს ეჩქარებოდა თავიანთი სიბეჯითით გავეხარებინე.

•

დაღლილობას ვეღარ ვგრძნობდი.

ჭამაც აღარ მინდოდა.

მალევე ვდგებოდი და სახვალიო თადარიგს ვიწყებდი.

ბედნიერი ვიყავი.

არც მშიოდა და არც მწყუროდა.

ჩვეული რიტმი იწყებოდა.

პირობა, უსაქციელობების პატიებაზე, ირღვეოდა...

დედას მეშინოდა, „კალაპოტიდან“ არ ამოვარდნილიყვნენ.

ყველა შემთხვევაში მე მათთვის ძალიან ძვირფასი და მნიშ–ვნელოვანი ვიყავი, ისინი კი – ჩემთვის.

ჩვენ, ოთხივენი, ძალზე ბედნიერნი ვიყავით.

•

ბედნიერი ადამიანი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ მოკლებუ–ლი ვარ ფუფუნებას. სამაგიეროდ მაქვს შინაგანი რწმენა, ვარ თავდაჯერებული. ესენი განუყრელად ჩემშია და თან დამყვება, რაც მაძლევს საშუალებას ვიყო უბრალო, თავმდაბალი, გულის–ხმიერი. მაქვს მოსმენის კულტურა, არ ვბაძავ სხვას, ცივად და უხეშად არ ვექცევი შემხვედრთ არც გზაში, არც ტრანსპორტში, რითაც კიდევ უფრო ვმაღლდები ჩემში.

არ მშურს სხვისი, არ მრჩება თვალი სხვათა მატერიალურ კეთილდღეობაზე.

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რადგან ვარ მშრომელი, შემოქ–მედი, თუმცა ყველაფერს ვაღწევ დიდი ძალისხმევის ხარჯზე.

ეს უფრო მავსებს და მაბედნიერებს.

შეუძლებლის გადალახვისას როგორ არ ვიყო ბედნიერი?! როცა ამას მხოლოდ უფლის თანადგომით ვაღწევ.

როგორ არ ვიყო ბედნიერი, როცა ყველაფერ ამას ჩემი გონებრივი შესაძლებლობებით ვახერხებ. მაგრამ, გონებრივი შესაძლებლობა ხომ ღვთის საჩუქარია?!

მუდამ მარტოდმავალს, მარტოდმცხოვრებს, ხალხმრავლობაშიც კი მარტოდმარტოს თავი მხნედ მიჭირავს და არ მაწუხებს მარტოობა, რადგან ჩემთან უფალია და გულშიც ჩემს ფიქრებს უფალი განაგებს.

ადამიანების მიმართ სიხარულის, სიყვარულის გამოხატულება შეხმიანებით მირჩევნია, რადგან, მათთან სიახლოვის ერთადერთი საუკეთესო საშუალება მათი ხმის გაგონებაა, ვიდრე სოციალურ ქსელში მოწონებებით გამოხატული სიყვარული.

•

ბედნიერებაა პატიოსანი შრომის პროცესი. შედეგი გხიბლავს, კიდევ უფრო მეტი შრომისკენ გიბიძგებს, გავიწყებს თავს და მხოლოდ მასზე ფიქრობ, ვისთვისაც შრომობ და სტიმული ქანცს გაცლის.

კარგი ნაშრომი სიხარულს განიჭებს, კიდევ უფრო შეგიტყუებს, უფრო მეტი და მეტი შრომისკენ გიბიძგებს. მას კი ახარებ, ვისთვისაც შრომობ, მაგრამ მან არ იცის, ამ საქმეში დიდი შრომა რომაა ჩადებული, რომ შედეგი იოლი მისაღწევი არ იყო. ეს მხოლოდ შენ იცი, შენმა გონებამ და მარჯვენამ, შენმა ზურგმა და ხერხემალმა. ამიტომაც შრომა უფრო გამოცდილს გხდის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მეტი რომ არ შეგიძლია, ჩერდები, დასვენებას ითხოვს სხეული.

ჩემი შრომითა და ნაშრომით, მე ჩემი სათქმელი ვთქვი.

მხოლოდ ვთქვი, ტაშ–ფანდური არ გამიმართავს. საჭიროებ–ისამებრ ვშრომობდი, შესვენებისა და აჟიოტაჟის გარეშე.

•

სამწუხაროდ, ვისთვისაც ვიშრომე და ვასიამოვნე, ფეხად–გმულებმა და თავდადგმულებმა, წუნიას თვალით შეხედეს ნაშ–რომს და გემოვნებაგახსნილებმა, უკეთესის მსურველებმა, ნაშ–რომს წუნი დასდეს და უკადრისობის მანტიამოსხმულებმა, თი–თის წვერებზე შემდგარნმა გარეთ გადმოაბიჯეს და უკანმოუხედ–ავად წავიდნენ.

წავიდნენ, სხვაგან კრეფენ „ვარსკვლავებს“. ღამესაც სხვა–გან ათევენ უკეთესი კომფორტის დანახვის გამო.

არადა, ხომ შეუძლიათ უკვე უძლურსა და გადაღლილს და–განახონ, რომ მათაც აქვთ სურვილი, ნაშენს რაღაც შემატონ?! თუნდაც, ერთი ლურსმანი მიაჭედონ სადღაც; დაუსრულებელი დაასრულონ და სრულყონ ნაშრომი?!

და... იქ აანთონ ჭრაქი და მტვერი გადაწმინდონ მიტოვებულ წიგნებზე, რომლებითაც გზა გაიკაფეს ცოდნის მწვერვალების–კენ.

ამ ყველაფერს დუმილით ვხვდები, მაგრამ სისხლის ბოლო წვეთის გამოწურვამდე იჭყლიტება ნატკენი გული და ღრმად ამ–ოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევს.

ბედნიერი, თვითკმაყოფილი იერსახის უნარწართმეული ვდგავარ ჩემთვის.

ჩვენ უკვე ერთად კი არა, ცალ–ცალკე ვცხოვრობთ.

ყველას თავისი ცხოვრება და ინტერესები აქვს.

ჩვენ, ყველანი, უკვე ცალ–ცალკე, ბედნიერნი ვართ.

01.06.2021 წელი.

თბილისი.

ბუნების ამოუხსნელი ლოგიკა

ზაფხულის თაკარა, ზედმეტად, გადაჭარბებულად ცხელმა დღემ, ზოგჯერ, საშინელი გაავდრება იცის.

ისედაც, სკოლის დამამთავრებელი გამოცდების გაწამაწიის, ციებ–ცხელების პერიოდი იდგა. მე და ჩემი მეგობარი გოგონა ერთად ვმეცადინეობდით საგნებს, გამოცდების რიგითობის შესაბამისად, ხან – ჩემთან, ხან – მასთან სახლში.

ჩემს მეგობართან ვმეცადინეობდით იმ დღეს, როცა სულის შემხუთველი სიცხე იყო დასადგურებული, როცა სიცხისგან გულშეწუხებულ ფოთლებს რხევის თავიც არ ჰქონდათ.

უცებ, მაცნედ აჩქარებული ნიავი მოვარდა, თურმე, უკან გაავებული ქარი მოსდევდა. შემოჰყვა ნიავს ოთახში და სამეცადინო გარემო აგვიწეწა.

წამოვხტით ფეხზე.

ფანჯრები სასწრაფოდ ჩავკეტეთ, მიმოფანტული რვეულები და წიგნები თავთავიანთ ადგილებზე დავაბრუნეთ, აივანზე გავვარდით ბუნების ალოგიკურობაზე სამეთვალყურეოდ.

ცაზე, საიდანღაც, უზარმაზარი თეთრი ღრუბლის ლოდები აგორებულიყო, ქარი კვლავ და კვლავ მძლავრობდა, მზესაც კი შეშინებოდა და სადღაც შეეფარებინა თავი. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. ქარმა ფოთლები, სილა, მტვერი, გადაყრილი ძველმანები ჰაერში აიტანა და უთავბოლოდ გაჰქონდ–გამოჰქონდა, მათთვის ადგილი ვერ მიეჩინა; თოკებზე გაფენილი სარეცხი გადაგრიხა; ყველა ფაციფუცობდა. ქუჩაში მტვრის კორიანტელისგან შეწუხებული ადამიანები, ჩქარობდნენ მოსალოდნელი ამინდის მკვეთრი ცვლილებისგან თავდასაღწევად.

ცაზე ქათქათა ღრუბლები გაერთიანდა და გადაშავდა; სადღაც შორს, მუქარის ნიშნად, გაიელვა; აგრილდა; ჩამოღამდა; ჭექა–ქუხილმაც არ დაახანა; კიდევ უფრო აირია ერთმანეთში ცაში ატყორცნილი ნაგავი და მსუბუქი სხეულები, გაფენილი და ზოგი თოკსმოწყვეტილი სარეცხი, ვინც ვერ მოასწრო ჩამოხსნა, ყველაფერი აქეთ–იქით ეხეთქებოდა თავშესაფრის ძებნაში.

აჰა, აქა–იქ ხმაურით ეცემა მოსალოდნელი წვიმის ნაცვლად სეტყვის მარცვლები, სახურავებზე ატყდა რაკარუკი; თანდათან ეს ხმები რახარუხად გადაიქცა, რადგან უკვე ჩვეულებრივი სეტყვა მუშტისოდენა ყინვის ჩაგრეხილ გუნდებად იქცა. შეგვიანებული მგზავრები საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ და თავზე ხელებდაფარებულნი, ან ხელჩანთადაფარებულნი გაურბოდნენ ბუნების სტიქიისგან მოსალოდნელი სხეულის ან თავის გარდაუვალ ტრამვებს.

უთავბოლოდ მოძრავი ნივთები სეტყვამ მიწაზე კიდეც დაანარცხა და კიდეც ჩატენა თავისი „მუშტებით“ ისე, რომ მათი ცნობადობა წაშალა.

ეზოებში ყვავილნარი, ნათესები, ჩამოლეწილი ტოტები მიწაზე დაანარცხა. „ჯღაზე“ ზამბარასავით შემოხვეული ლობიო ხშირმა სეტყვის ძალამ ფოთლებიან–ყვავილებიან–ნაყოფიანედ ჩაკუმშა და მიწასთან გაასწორა უმოწყალოდ; დედამიწას ჩააკონა.

მსხმოიარე ხეებიდან ჩამოყარა უმწიფარი ხილი და ახალშემოსული ტყემალი.

ალაგ–ალაგ დააზიანა სახლის სახურავებიც.

ბუნების ამოუხსნელი ლოგიკურობა მალე დასრულდა.

გადაიდარა.

მზემაც გამოაჭყიტა და უღიმღამოდ დახედა განადგურებულ ადამიანთა ნაშრომ სარჩო–სამყოფელს.

უსიტყვოდ, გაოგნებული შევყურებდით გაოხრებულ ბაღ–ბოსტანს, ღობისა და ხის ძირებში მიყრილ ყინვის გუნდებს.

სიგრილე შენარჩუნდა.

ემოცია დაცხრა.

დავუბრუნდით სასწავლო რეჟიმს.

16.04.2021 წელი.
თბილისი.

შინაგანი ნგრევის ძალა

მყარად, მაგრად, უდრეკად, ბედნიერი ადამიანის იერით ვდგავარ საზოგადოების წინაშე.

მაგრამ...

როცა საკუთარ თავთან ვრჩები და მიწევს ჩემი შინაგანი სამყაროს გამოაშკარავება, გამომზეურება,.. როგორც კი წარ–მოვიდგენ და გავიაზრებ განვლილ კოლოსალურ შრომას, რო–მელთაგან ზოგიერთი თითქოს გადაირეცხა ან დაკნინდა, მან–გრევს.

გარეგნულად ეს არ ჩანს, მაგრამ, რამდენადაც არ ჩანს, იმ–დენად ძლიერია შინაგანი ნგრევის ძალა, რის გამოც შინაგანი ძალები იფიტება, მცირდება და ვრჩები უუნარო, უშინაარსო, უძ–ლური ნებისმიერი საქმიანობისადმი.

მოცელილი ბალახივით ვარ – მოწყვეტილი ყოველგვარ სი–ცოცხლის უნარს. თითქოს ვიღაცები გადამივლ–გადმომივლიან

და მტკეპნიან მიწაზე; თან, ისეთ მწვავე ტკივილს ვგრძნობ, თით-ქოს ჭრილობაზე მარილს მაყრიან.

16.04.2021 წელი.
თბილისი.

შრომიანი განაჩენი

ჩათავდაღმართებული იყო ცხელი ზაფხულის მზე და საღა-მოს მოახლოებას გვამცნობდა. უკვე მამაჩემის სამსახურიდან მოსვლის დროც იყო.

რატომღაც შეაგვიანდა.

•

მამა სახლთან ახლოს, ღელის გაღმა, კირის ქარხანაში, მუ-შად მუშაობდა. ვფიქრობ, სიტყვა „მუშაობა“ მუშადან გამომდი-ნარეა, რადგანაც მუშაობს მუშა. საკირის რამოდენიმე მუშის მუ-შაობის მაკონტროლებელ ერთადერთ ზედამხედველს უფროსი ერქვა.

კირის ქარხნის მუშაობის პრინციპი მარტივიც არის და ფიზი-კურად შრომატევადიც. სწორედ, მუშის საქმეა იქ.

ქვის გამოსაწვავი, აგურით ნაშენი, ორი უზარმაზარი ცი-ლინდრული ფორმის ღუმელი (დიამეტრით, დაახლოებით, სამი მეტრი) იყო. ქვევით ჰქონდა მრგვალთაღიანი, ბუხრის ფორმისა და ფუნქციის რამოდენიმე ხვრელი, სადაც ბლომად შეშით ცეცხლს დაანთებდნენ. მოძლიერებულ ცეცხლზე კვლავ ამატებ-დნენ და ამატებდნენ შეშას და ზევიდან ქვანახშირს; კვლავ შეშას და ქვანახშირს. ბოლოს გაძლიერებულ, მოღონიერებულ ცეცხლზე ცილინდრის ზედა, ღია თავიდან, იქვე – ახლოს მდება-

რე კლდის აფეთქების ხარჯზე მიღებულ პატარა ლოდებს და ქვებს, რომელიც ცემენტს შეიცავდა, მანქანით დააყრიდნენ გაღუზღუზებულ ცეცხლზე. ცილინდრის წრე დაიფარებოდა ქვით. ქვაზე კვლავ ქვანახშირს დააყრიდნენ, შემდეგ ქვას, ისევ ქვანახშირს, ისევ ქვას, მანამ, სანამ ეს უზარმაზარი ცილინდრი პირთამდე არ გაივსებოდა.

წვის პროცესი, ნელ–ნელა მიმდინარეობდა, ცეცხლიც ნელ–ნელა მიიწევდა ზევით ფენა–ფენად ჩაყრილი ქვანახშირის წყალობით ისე,რომ ცილინდრის ზედაპირზე დაყრილი ქვების ირგვლივ ცეცხლის ენები ამოდიოდა. ისევ მოაყრიდნენ ქვანახშირს და ზევიდან ქვებს. წვა არ უნდა შეჩერებულიყო.

ქვის გამოწვა ხანგრძლივი პროცესი იყო.

ბოლომდე გადავსებულ ქურას, ქვითა და აალებული ქვანახშირით, როგორც კი დონე ჩაიწევდა მასში, თანდათან, ზევიდან ჩაამატებდნენ ქვანახშირს და ქვას. ამასობაში, ქვევით – „საბუხრეში“ გროვდებოდა გამომწვარი ქვა, რომელსაც მუშები გარეთ გამოყრიდნენ ნიჩბებით; გარკვეულ სივრცესა და სისქეზე გაფენდნენ; შემდეგ ცივი წყლით კარგად მორწყავდნენ.

ამ ცხელ ქვებს ოხშივარი ასდიოდა ნისლივით. ცივი წყალი გამომწვარ ქვებს დაშლიდა და აფუვდებოდა, გაცრილი ფქვილივით გადაიქცეოდა. სწორედ, ეს იყო ცემენტნარევი კირი, საამშენებლოდ გამოსაყენებელი და ვარგისი.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ მშენებლობებიდან სატვირთო მანქანები, კირის წასაღებად. ამ მანქანებსაც მუშები დატვირთავდნენ ნიჩბებით.

ბოლოს უზარმაზარ სასწორზე შეგორდებოდა მანქანა და იწონებოდა წასაღები კირი. სწორედ, ახლა იყო საჭირო უფრო–

სი, მძღოლს ქვითარს ამოუწერდა წასაღები კირის ოდენობის შესაბამისად და თანხასაც გადაახდევინებდა.

ამ თანხიდან ეძლეოდათ ხელფასი მუშებს ყოველდღიურად, ალბათ უფროსსაც და ერთი სატვირთო მანქანის მძღოლსაც, რომელიც საკუთრივ საკირეს ემსახურებოდა ქვანახშირისა და შეშის მოსატანად, აგრეთვე კარიერიდან ქვის ღუმელამდე გადმოსაზიდად.

მოკლედ, ეს იყო კირის მიღების ტექნოლოგიური პროცესი, ბავშვური თვალით დანახული და ჩამახსოვრებული.

კირის მტვერი „არ გვაკლდა“ ახლო მოსახლეობას.

თეთრად გადაიფიფქებოდა ხეები, სახურავები, კიბეები და ალბათ, ბლომადაც ჩავისუნთქავდით.

რაც შეეხება კარიერზე კლდის მომტვრევის პროცესს, აფეთქებით ხდებოდა. აფეთქებამდე რამოდენიმე წუთით ადრე, ხმამაღალი გამაფრთხილებელი ყიჟინისა თუ ყვირილის ხმა ახლაც ჩამესმის ყურებში:

– „და–ი–მა–ლეთ“!!

– „მო–ე–ფა–რეთ“!!

ჩვენც სახლში შევდიოდით, რათა აფეთქებიდან გამოტყორცნილი წვრილი ქვით არ დავზიანებულიყავით. ხშირად, რომ იტყვიან, „ბეწვზე გადავრჩენილვართ“, როცა ვერ მოგვისწრია დამალვა. სახლის სახურავებიც ზიანდებოდა ხოლმე.

•

სწორედ, ამ ქარხნის შრომითი პროცესის ზაფხულის ერთერთი დღე იყო ჩვენი ოჯახისთვის მწვავედ ჩასამახსოვრებელი.

სამუშაო საათების დამთავრებიდან, დაახლოებით, ერთი საათი იქნებოდა გასული, მამაჩემმა თითქმის სირბილით ამოიქ–

ოშინა სახლამდე გზა შეღმართზე, სასწრაფოდ ხელ–პირი დაიბა–ნა, ტანსაცმელი გამოიცვალა და თქვა:

– მილიციას უნდა გავყვე, ჩხუბი მომივიდა!

თურმე, საკირის უფროსს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, მუშებთან წაქეიფება მოუსურვებია. სახელდახელო სასმელ–საჭ–მელი მძღოლს აყიდვინა და ჩამომსხდარან უფროსის კაბინეტად წოდებულ „ფარდულში“.

შექეიფიანებულზე საკირის უფროსს უფროსობა თავში ავ–არდნია და უშვერ სიტყვებზე – ბილწსიტყვაობაზე გადასულა. მა–მაჩემს მიუთითებია:

– რა საჭიროა სუფრასთან „ბინძური“ სიტყვების ხმარება?!

ეს უფროსს შენიშვნად მიუღია და უფრო მწვავედ დაუწყია გი–ნება. კიდევ ერთხელ შეუხსენებია მამაჩემს სუფრასთან სამეტყვე–ლო ლექსიკის დახვეწის საჭიროებაზე (მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი ძალიან მკაცრი კაცი იყო, მისგან გინება არ მახსოვს).

რა თქმა უნდა, უფროსმა ითაკილა მუშისგან შენიშვნა და პირდაპირ გინებაზე გადასულა.

მამაჩემს ღვინიანი ჭიქა უსვრია სიტყვებით:

– ნუ წაბილწე სუფრა, აქ ხალხი ვზივართ!

უფროსს კი აუცდენია ჭიქის მოხვედრა, მაგრამ ჭიქა კედელ–ზე მიმსხვრეულა და კედლიდან ასხლეტილი ნამსხვრევები სახე–ში მოხვედრია ადრესატს.

რა თქმა უნდა, სახე გაეჭრა და სისხლი გადმოუთქრიალდა.

გამოიძახეს სასწრაფო და მოჰყვა მილიციაც.

სხვათა შორის, უფროსი ჩვენი მოგვარე იყო.

მამაჩემის მილიციაში წაყვანას სასამართლოც მოჰყვა, უფ–როსის განცხადების საფუძველზე.

არც ოჯახის, არც თანამშრომელთა თხოვნამ არ გაჭრა უფროსზე და სამუდამო შრამისთვის განწირულმა, განცხადება არ გამოიტანა.

ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასამართლომ მამაჩემს.

მამაჩემი აღნაგობით მაღალი, სუსტი, ძვალმსხვილი, ჯანმაგარი, დიდტორება კაცი იყო. აღნაგობის საფერად მშრომელიცა და პატიოსანი ადამიანიც.

ათ თვეში გაანთავისუფლეს კარგი ყოფაქცევისა და ერთგული შრომისთვის.

და,.. მოულოდნელად, დილით ადრე, გათენებამდე დაგვადგა თავზე ოჯახს მამაჩემი.

ძველებურად გაგრძელდა ცხოვრება ჩვენს ოჯახში, სრულყოფილების შესაბამისად.

მამაჩემი დაუბრუნდა ძველ სამუშაოს.

იმ უფროსს საკირეზე აღარ უმუშავია.

მამაჩემის ავტორიტეტს, ამ შემთხვევის გამო, ჩირქი არ მოსცხებია. პირიქით, ყველას ერიდებოდა მისი და პატივით ეპყრობოდნენ. მუდამ ავტორიტეტი და ჭკუასაკითხავი იყო კუთხემეზობლობაში.

მართალი გზით, უფლის გზით იარა მამაჩემმა, თუმცა, უშეცდომო არავინაა.

18.12.2023 წელი.
თბილისი.

ჩემი უფალი სახლობდა

ჩემი გაჩენა უფალმა განსაზღვრა, აღასრულა კიდეც და იკ–ისრა წუთისოფელში ჩემი წარმატება–წარუმატებლობის დროს გვერდში დგომაც.

ეს მოგვიანებით ვიგრძენი.

თავიდან კი, მეგონა წარმატების დროს მარტო ვიყავი ჩემს სიხარულთან ერთად, რადგან მეზობლები გურიაში და ახლო–ბელ–ნათესავები ასე იტყოდნენ:

– მაგი კი მიაღწევდა, ჭკვიანი გოგო იყო, არ გვიკვირს!

თუ წავიქცეოდი, მაშინაც მარტო ვიყავი, მოტივაციით:

– გონიერი გოგოა, ძლიერი ნებისყოფის, წამოდგება, გაუმ–კლავდება, არ დაიკარგება!

ორივე შემთხვევაში მეგონა, მარტოს მიწევდა: ჩემი სიხარუ–ლის გულში ჩატევაც, წაფორხილებულს ფეხზე დადგომაცა და უცრემლო ცრემლებით გულის გავსებაც.

გვერდში მდგომნი ვერაფრით „გავაკვირვე“: ვერც წარმატე–ბით აღვაფრთოვანე და ვერც უფსკრულის პირას მდგომის შემყუ–რეთ გავაფიქრებინე: ხელი წავაშველოთ, არ გადაიჩეხოსო...

მახსოვს: ჩემი პირველი შვილის ინსტიტუტში მოწყობის გან–ცდებს ვყვებოდი ჩემს სოფელში მეზობლებთან და დასასრულს, როცა ვთქვი, უფასოზე მოეწყო–მეთქი და როცა ვიფიქრე, ახლა დამესევიან მოსალოცად–მეთქი, მეზობლის კაცმა ხელი აიქნია და თქვა გურული კილო–კავით:

– მაი აფერი! მე სხვა რამეს ყვებოდი მეგონა, თვარა, შენი შვილი რომ მეეწყობოდა არაა გასაკვირი! და „წყალში ჩამიყა–რა“ მოლოდინის ენთუზიაზმი.

დიდი სიხარულის და დიდი სასოწარკვეთის დროს, მარტო მდგომი, ყველას ვაცებდი ერთგვაროვანი ჟესტით – სიმშვიდით.

პირველს ღირსებად ვღებულობდი, მეორეს–წრთობად.

სიმშვიდემ, უზომოდ თავშეკავებულობამ ცრემლი არ იცის. ამიტომაც უცრემლოდ მომიხდა სიხარულისა და ტკივილის განცდებთან განმკლავება.

გულში არც წრმატებულს მიკრავდნენ და არც წაფორხილებულს შემეშველებოდნენ წამოსაყენებლად, სამწუხაროდ, გასამხნევებლადაც ბეჭებზე არავინ შემომხვევდა ხელს.

ვიდექი ასე ერთფეროვანი, გულგახარებულიცა და გულგამეხებულიც.

ამიტომაც, გარეგნული თვალით გამოვიყურებოდი, როგორც უემოციო, უხასიათო, განდეგილივით მარტომავალი „როობოტი“.

თურმე?!..

თურმე...

ჩემში, უფალი სახლობდა.

და... სახლობს დღესაც.

მე ვიყავი მათემატიკური ქანქარა, უხილავი ძაფით უფალთან დაკავშირებული, ამიტომაც იყო იგი, ჩემი ჭირისუფალიცა და „ლხინისუფალიც“. ლხინს გულის ზეიმად აქცევდა, გასაჭირს მიიოლებდა, მამხნევებდა, ძალას მმატებდა.

როგორც მათემატიკური ქანქარა საჭიროებს დამატებით ბიძგებს, რათა შენარჩუნდეს რხევის ამპლიტუდის სიდიდე, ადამიანსაც სჭირდება ბიძგი, სტიმული ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური

ძალების შემცირებისას, სასოწარკვეთილებაში რომ არ ჩავარ–დეს.

ქანქარას რხევის ამპლიტუდის სიდიდე კი, დამოკიდებულია მასზე წამბიძგებელი ძალის სიდიდეზე. ეს წამბიძგებელი ჩემ–თვის უხილავი ძალა იყო – უფალი.

ზენიტში ასული, როცა ყოვნდები, პაუზას აკეთებ და სიმძი–მის ძალის მოქმედებით დედამიწისკენ ეშვები(ისწრაფვი), შემ–დეგ კი, სხვა ახალი საქმისკენ მიექანები. იქაც, გარკვეულ ზენიტ–ში ადიხარ. გგონია ბოლოა, წერტილი დაესმება ყველაფერს, მაგრამ არა, უფალი, კვლავ გიბიძგებს ახალი საქმიანობისკენ.

იყო შემთხვევები, რხევის ამპლიტუდა, დიდ წინააღმდეგო–ბათა გამო, შემცირებულა და უფლის იმედიც გადამწურვია (ალ–ბათ რწმენის სიმცირის გამო); დასასრულისთვის მოვმზადებულ–ვარ, მაგრამ მოულოდნელად კვლავ ჩემი ბედით შეწუხებული უფალი, ახალ ძალას შთამბერავდა, და... კვლავ და კვლავ, ყველას და ჩემდა გასაოცრად ცხოვრება გრძელდებოდა სიახ–ლეებით.

გავა დრო, ქანქარას დამჭერი და უფალთან დამაკავშირებე–ლი ძაფი, მთელი ცხოვრება ახალ–ახალ ტრაექტორიებზე რომ დამაქროლებდა და დამაქროლებს უფლის ძალისხმევით, ნელ–ნელა გაიცვითება და გაწყდება.

ეს არ იქნება მარცხი.

ეს იქნება დასასრული ამქვეყნიური ყოფისა, ანუ გარდაცვა–ლება, ანუ დასტური იმისა, რომ ყველაფერი განიცდის სახეც–ვლილებას გარდაცვალებების სახით.

დიახ, ეს იქნება გარდაცვალება, ანუ ახალი მდგომარეობის მიღება.

მოძრაობა შეიცვლება უძრაობით.

დედამიწის მიზიდულობის ძალით, აქტიური ემოციაუცვლელი ქანქარა შეერწყმება დედამიწას – დედათა დედას.

ბევრი გულშემატკივარი და წამშველებელი რომ მყოლოდა, მათი შემყურე ქანქარა უთავბოლოდ და ინერტულად დაიწყებდა მოძრაობას აქეთ–იქით, მიხეთქების გამოხატულებით, განსხვავებული ამპლიტუდებით.

მხოლოდ უფლის მეოხი კი, მაქსიმალური ამპლიტუდით მოძრავი, მკაცრის, გაუტეხლის, შეუჩერებლის და დაუმარცხებლის სახელით, გავეცლები ამა სოფლის ორომტრიალს, ფიქრებით:

ჩემში უფალი სახლობდა.

08.04.2022 წელი.
თბილისი.

ჩვენი ოჯახის გამაერთიანებელი

ჩვენ მაშინ ბათუმში ვცხოვრობდით.

შვილები ჯერ კიდევ პატარები, სკოლის მოსწავლეები, იყვნენ. უმცროსი ვაჟი – მეორეში, ხოლო გოგონები მეოთხე და მეექვსე კლასებში სწავლობდნენ; საუკეთესონი იყვნენ.

ადრეული გაზაფხული იდგა.

არ თბილოდა.

ჯერ კიდევ თბილი ტანსაცმლით დავდიოდით.

დასვენების დღე იყო.

ყველანი სახლში ვიყავით.

უმცროსები ცოტა მოშორებით, მაღაზიაში გავგზავნე.

მალე დაბრუნდნენ.

შემოსასვლელში ტახტი გვედგა. ბიჭმა შემოსვლისთანავე გახარებულმა ხმამაღლა დაიძახა:

– დედიკო! დედიკო! ნახე, რა მაჩუქეს! – და ტახტზე პატარა, შავი ქუნქულაბეწვიანი, „პუდელის“ ჯიშის ლეკვი დასვა.

– ჩამოსვი! ჩამოსვი! არ დასვაროს! – ვიყვირე მე.

– არა, დედა, სუფთაა! – შემეპასუხა პატარა და შევატყვე, ლეკვის შეურაცხყოფა მის შეურაცხყოფად მიიღო.

ამის მოსავლელად ჩვენთან ვის სცალია–მეთქი, ვთქვი და ვიგრძენი, უკვე ძაღლის მოვლის პრობლემებზე გადავიდა საუბარი.

– ჩვენ მოვუვლით! შენ არ შეგაწუხებთ! – ალაპარაკდა სამივე ერთად.

იმდენი ქნეს, დროებით მოვლაზე დამითანხმეს.

ძაღლის პირობაზე მართლაც ლამაზი იყო. თეთრი ჰქონდა მხოლოდ თათები და გულზე ბეწვი, ჯვრის ფორმით. თვალები არ უჩანდა, თმები უფარავდა. როცა გვიყურებდა, თავს გვერდზე გადაწევდა ხოლმე, ალბათ კარგად რომ დავენახეთ.

მოკლედ, ჩვენს პატარა ბინაში (თუმცა, უკვე ანტრესოლი გვქონდა გაკეთებული საძინებლად, მაღალი ჭერის ხარჯზე და არც ისე პატარა იყო) ადგილი გამოვუნახეთ; ყუთი დავუდგით, რომელსაც მოძრავი, თაღის ფორმის კარები გამოვუჭერი. შესვლისას კარი შიგნით იღებოდა და თათებით თვითონ გამოკეტავდა კარებს და დაიძინებდა; ან გამოაღებდა და წინა თათებს გამოყოფდა გარეთ, თავსაც ზედ დაადებდა. ყუთს ზემოდან წრის ფორმის საჰაეროც ამოვუჭერით, საიდანაც ზოგჯერ ამოხტებო–

და, ალბათ თავსაც გვაწონებდა და თავისი შესაძლებლობის მრავალფეროვნებასაც გვიჩვენებდა.

ხშირად გაგვყავდა გარეთ, აივანზე, სადაც მოვუწყვეთ „ტუ–ალეტი“, სახლში რომ არ დაესვარა. მალე მიეჩვია ამ კულტურას.

სახელიც გამოვუძებნეთ – „მიკი“. მეზობლებსაც შეაყვარა თავი ხილამაზით.

გარედან რომ შემოგვყავდა, თათებს ვბანდით ან სველი პირსახოცით, რომელიც მისთვის გვქონდა გამოყოფილი, ვუწ–მენდდით. ხანდახან, კარებთან დაგებულ ხალიჩაზე ფეხებს ისე დავაწმენდინებდით, როგორც ამას ჩვენ ვაკეთებდით. ამას მალე მიეჩვია და მისითაც აკეთებდა ძალზე მოხერხებულად, ჭკვიან–ურად და გონივრულად.

ასე რომ, ჩავერთეთ მიკის საზრუნავში მთელი ოჯახი.

იგი ჩვენი ოჯახის მეხუთე წევრი გახდა და სხვათა შორის არც ბოლოში იდგა მისი მოვლა–პატრონობის პრობლემები. ზოგჯერ, სპეციალურ საკვებსაც კი ვყიდულობდით, ავუცერით, ვბანდით, ვვარცხნიდით, ვასეირნებდით.

მოგვიანებით ჯაჭვიც შევუძინეთ სატარებლად.

თავისდაუნებურად, იგი ჩვენს მოკრძალებულ ბიუჯეტშიც ჩაჯდა, მოვლა–პატრონობის განრიგსა და ყურადღების ცენ–ტრშიც.

ასე ვთქვათ „წილში“ ჩაგვიჯდა.

დილით ჩვენ – ყველანი გავდიოდით სახლიდან. მიკი მარტო რჩებოდა სახლში. სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვებს იგი ანტრე–სოლზე ასული ხვდებოდა, საიდანაც თავისით ვეღარ ჩამოდიო–და.

თანდათან ისე წავიდა საქმე, პირველ რიგში მის ამბავს მოვიკითხავდით.

მიკიმ ჩვენ გაგვაერთიანა.

ნაკლებად ვჩხუბობდით.

ჩვენი კამათის დროს იგი ან თავის სახლს მიაკითხავდა, ან ცალკე დაწვებოდა და გაიტრუნებოდა. გრძნობდა, რომ ამ შემთხვევაში იგი ზედმეტი იყო. მისი საქციელი ჩვენი განმმუხტავი იყო.

ჩვენ ეკლესიურად ვცხოვრობდით და ერთხელაც, კვირას, წავედით საზიარებლად.

მიკი თან წავიყვანეთ, მაგრამ ეკლესიაში ხომ არ შევიყვანდით და ვფიქრობდით, რიგრიგობით ქუჩაში გვყოლოდა. გაგვახსენდა, იქვე ახლოს ნაცნობი რომ ცხოვრობდა. მივედით, ავუხსენით სიტუაცია და სიამოვნებით დაიტოვა.

დამთავრდა წირვა.

მივაკითხეთ მიკის.

დაღონებულები დაგვხვდნენ ჩვენი ნაცნობები. გვითხრეს, გარეთ გამოგვექცა და ვერსად ვიპოვეთო.

ჩვენც შეწუხებულნი წამოვედით სახლისკენ.

ბავშვები ტიროდნენ.

დასაკარგად ყველას დაგვენანა.

წაშლილები შევედით ეზოში.

ვხედავთ, მეზობლის გარაჟზეა მიბმული ჩვენი მიკი. მეზობლები დარაჯობდნენ, თან ეფერებოდნენ.

გავვოცდით, რადგან ეკლესია არც ისე ახლოს იყო, ბევრი სამანქანო გზაც უნდა გამოევლო, თან მიკი პირველად წავიყვანეთ ასე შორს და გვიკვირდა, როგორ მოახერხა მოსვლა.

გავიხარენით.

მიკი თან გველაქუცებოდა და გვეფერებოდა, თან შეწუხებული წკმუტუნებდა. ალბათ, მის განცდებს თუ გვიყვებოდა.

საჭმელიც არ უჭამია.

ღამით არ დამაძინა მისმა კვნესამ. გალახული ბავშვივით სლუკუნებდა გულამომჯდარი და ცახცახებდა.

ავდექი და ჩავიხუტე.

ცოტა ხანში ჩაწყნარდა. ვეღარ მივატოვე და ლოგინშიც შემოვიწვინე.

მეორე დღეს უმცროსი ვაჟი მიკის ერთგულებაზე ლაპარაკობდა და ფერებ–ფერებით მიკის ესაუბრებოდა:

– მიკი, ის თუ იფიქრე, რომ მიმატოვესო, თავგანწირვით კიდევ ჩვენსკენ რატომ და როგორ გამორბოდი?!

ამ მომენტმა კიდევ უფრო შეგვაყვარა მიკი. უიმისოდ აღარ შეგვეძლო, მაგრამ ჩვენი ცხოვრების რიტმიდან ხომ არ ამოვვარდებოდით?!

მიკიც მოერგო ჩვენი ოჯახის წესებს.

როცა ბავშვები მეცადინეობდნენ, თვითონ იწვა გატრუნული. მაგრამ, როგორც კი განტვირთვის სიტუაციას იგრძნობდა, ანუ ბავშვების სხვა თემაზე გადალაპარაკებას გაიგონებდა, წამოხტებოდა, მაგიდის ქვეშ შეძვრებოდა (ბავშვები ერთ მაგიდასთან მეცადინეობდნენ) და ბავშვებს ფეხებზე ახტებოდა – სათამაშოდ იწვევდა მათ. განსაკუთრებით ბიჭის ჩათრევას ლამობდა და შარვლის ტოტზე ექაჩებოდა. ხანდახან, ბიჭი იღებდა ამ გამოწვევას და დარბოდნენ მაგიდის ირგვლივ. როცა მიკი ვერ ეწეოდა, შემობრუნდებოდა და წინიდან დაუხვდებოდა, ხან მაგიდის ქვეშიდან გზას მოუჭრიდა. მომენტალურად გვახალისებდა მისი საზ–

რიანობა. გასავათებამდე არბენინებდა ბიჭს, სანამ ტახტზე არ გაგორდებოდა დაღლილი. ჩემი ბიჭის სირბილით გადაღლა კი თითზე ჩამოსათვლელად თუ გაგვახსენდება.

მიკი გრძნობდა და მიხვდა, რომ მე ოჯახის უფროსი ვიყავი, რომ ჩემი სიტყვა კანონია.

როცა, ბავშვები ანტრესოლზე ასასვლელად ეპატიჟებოდ–ნენ, მიკი კიბეზე წინა ფეხებით შედგებოდა და მე შემომხედავდა, ჩემგან ელოდა ნებართვას. როცა ვიზას ვერ იღებდა, განაწყენე–ბული მის კარავთან დაწვებოდა.

ან კიდევ, სადმე წასვლას თუ ვაპირებდით და ბავშვები ეუბ–ნებოდნენ წავიდეთო, არ გაინძრეოდა; მე რომ ავდგებოდი და ვიტყოდი, წავიდეთ–მეთქი, მაშინ წამოხტებოდა და კარებთან პირველი მიირბენდა.

როცა ბავშვებს მკაცრად და ხმამაღლა ვუწყრებოდი, ივი გარ–ბოდა მის კარავში, შიგნით დაწვებოდა და სიტუაცია რომ ჩაცხრებო–და, მაშინ გამოყოფდა თავს გარეთ და მე მიყურებდა. თუკი გაველა–პარაკებოდი, გახარებული გამოვარდებოდა კარავიდან და ფეხებზე ლაქუცს დამიწყებდა; ხასიათს გამომიკეთებდა მისი საქციელი.

დიდ სასიკეთო საქმეს აკეთებდა მიკი.

ბავშვები ერთმანეთს მწვავედ აღარ უპირისპირდებოდნენ.

ოჯახში სიმშვიდე დამყარდა.

ერთმანეთთან დიდხანს გაბუტვის საშუალება და უფლება აღარ გვქონდა; ის გვაკავშირებდა და გვაერთიანებდა.

დიდხანს არ გაგრძელდა ჩვენი თანაცხოვრება.

დაბანის შემდეგ მე მას გავამშრალებდი, ჩავფუთნიდი, ჩა–ვათბუნებდი. ეს მასაც სიამოვნებდა და კარგადაც გამოიძინებდა.

ერთხელაც, ჩემი სახლში არყოფნის დროს, ბავშვებს დაუბ–ანიათ და მალევე ეზოშიც ჩაუყვანიათ.

გაცივდა.

დაინფიცირდა.

ინფექცია გაურთულდა თანდათან და დამბლა განუვითარ–და. ექიმი უძლური დარჩა, მკურნალობამ ვერ უშველა. ვეღარ გამოკეთდა.

ბოლოს აღარც ჭამდა, იწვა და თრთოდა. ჩვენდა გასაოც–რად, მას ფისო მიუწვა და არ სცილდებოდა.

ექიმის რჩევით, რადგან აღარ გამოკეთდებოდა, დავეთან–ხმეთ და „დააძინა“.

ბავშვებმა, ჩვენს სახლთან ახლოს, პორტის კედელთან „დაკრძალეს“.

გამოვიტირეთ.

დიდხანს გამოგვყვა მონატრების გრძნობა და სინანულის ტკივილი.

12.11.2018 წელი.
თბილისი.

ცხოვრება ჟღირდება

ჩემი სამი შვილისთვის ისეთი თავგადაკარგული საყრდენი ვიყავი, პიროვნულად გავისრისე.

თითქოს, მტვრად ვიქეცი.

უვარგისი და უმაქნისი გავხდი.

სამყაროს წევრი, აზროვნებაში სამყაროსგან ძალიან შორს ვიდექი.

თითქოს, სამყაროში სამყარო ამოვჭერი და გამოვყავი ჩემთვის.

ჩემი სამყარო, მხოლოდ ჩემი შვილები იყვნენ. მათთვის ფუნქციონირებდა, ჩემი სხეულის სასიცოცხლო ორგანოები. ისი–

ნი მათკენ იყო მიმართული, მათთვის იმართებოდა ჩემი ტვინის უჯრედები, სისხლიც მათთვის მოძრაობდა ძარღვებში, ჩემი გულიც მათთვის ფეთქავდა, ფილტვებიც მათთვის ასრულებდა სუნთქვით ფუნქციას.

ახლა, როცა შემომეცალნენ, თითქოს მართვის პულტი გაითიშა და ვიგრძენი ამ ორგანოთა არსებობა და საჭიროებაც ჩემთვისაც.

როგორ შეანელეს მუშაობა?!

თურმე, მაშინ ჩემთვის კი არ მუშაობდნენ; ჩემში მუშაობდნენ მათთვის.

ახლა კი, მხოლოდ ჩემთვის, თითქოს ეზარებათ ან გადაღლილთ, აღარ შეუძლიათ ძველებურად შემართებით მუშაობა, ჩემი შეგულიანება, ან გამხნევება.

პირიქითაც ვფიქრობ: მხოლოდ ჩემთვის მეზედმეტებიან კიდეც ისინი, რადგან ჩემი ფიქრით, მხოლოდ სიცოცხლე რა ბედენაა.

ცხოვრება მინდა!

აქტიური ცხოვრება მჭირდება!

09.04. 2021 წელი.
თბილისი.

წამოყოლილი

გაზაფხულ-ზაფხულობით, დილაადრიანად, მთაწმინდის პარკში ვვარჯიშობდი და იქედან, „მამა დავითის“ გავლით, ფეხით ჩამოვდიოდი რუსთაველის მეტრომდე – სახლამდე.

პარკიდან მომავალს იშვიათად შეგხვდება ვინმე, ისიც მხოლოდ ჩემნაირი, სუფთა ჰაერის მაძებარი.

როცა ტყის ყვავილებიცაა, ვიცი ხოლმე გზადაგზა მოკრეფა და სახლში წამოღება. ლარნაკში ვდებ და ოთახს სიახლეს ვძენ.

ერთხელაც, ფეხითმავალთათვის ჩვეული გზით ჩამოვდივარ, სპეციალურად გაკეთებულ ბილიკზე და მოაჯირებიან ქვაფენილზე.

უკვე ზაფხულია.

ყვავილების ჭაჭანება არ არის.

ძირითადად ბილიკს ვუყურებ, რადგან შიგადაშიგ კიბეებია და რომ არ წავფორხილდე, ან უარეს შემთხვევაში, არ ჩავენარცხო თავდაღმართში.

უცებ, უკან მივიხედე, თითქოს ვიღაცის თვალთამზერას რომ გრძნობ, აი ისე.

არავინაა.

მოაჯირთან კი, მკაფიოდ ჩანდა, ქვაფენილზე „თავგადმოყოფილი“, ერთ ფსიორა ღეროზე დასკუპული, გრამაფონის მაგვარი ორი ყვავილი; თეთრად მომეჩვენა, თორემ... ახლოდან ოდნავ მოვარდისფროც ერეოდა.

ეს იყო ძახილი თუ თვალთამზერა მომუდარე ყვავილისა, რომელიც წამოყოლას მთხოვდა.

დაუფიქრებლად ძირამდე მოვწყვიტე და სახლში, სხვადასხვაგვარ მინდვრის ყვავილებიან ლარნაკში, ეს ერთი ღეროც ჩავამატე.

საღამოპირას, ეს უცნაურად წამოყოლილი ყვავილის „გრამაფონი“, ქოლგასავით დაიკეცა.

შეიძლება ის მძინარა ყვავილთა ოჯახის კატეგორიას მიეკუთვნებოდა, მაგრამ მე მომეჩვენა, რომ მას მისთვის სასურველ და ყურადღებიან გარემოში, მშვიდად ჩაეძინა.

28.06.2021 წელი.
თბილისი.

სიშშეიდის და ბედნიერების გარანტი

ვწერ არა სხვისი მიმბაძველობით, არამედ, როცა ფიქრები მამათრახებს, არ მინდობს და თავს არ მანებებს.

წერა ამოსუნთქვის საშუალებაა; გამანადგურებელი ფიქრების ჩამოშორებაში მეხმარება.

მერე, სხვა ფიქრები წამოყოფს თავს და ის მთრგუნავს, სანამ არ ამოვირეცხავ გულს წერით და ა.შ.

თუკი პერსონაჟი თავს აღწევს დაბრკოლებებს პატიოსნებით, ალალ-მართალი შრომით და ცხოვრება გადაჰყავს ბედნიერებისკენ მიმავალ რელსებზე, საღად მოაზროვნე მკითხველს არ შეიძლება, არ მოეწონოს. თანაც, ჩემი ნაწერები, ჩემი სისხლი და ხორცია, ჩემი ჯგუფის სისხლითაა ნასაზრდოები.

წერა არის ჩემი სიამოვნებაცა და თერაპიაც.

წერა მაბედნიერებს.

ჩემი ჩანაწერები სიყვარულით გაჟღენთილი არაა.

ერთადერთი, ნეკერჩხლის სიყვარულს ვერ „გავექეცი“ და სიყვარულის ალში გახვეულმა, განცდა და განწყობა, იმწამსვე, გზაშივე დავწერე.

ალბათ, ნამდვილი სიყვარული რომ განმეცადა, სიყვარულის ნაკადულს ავარაკრაკებდი ჩემს შემოქმედებაში.

გავმართავდი სასიყვარულო ნადიმს. სადაც გაცოცხლდებოდნენ სიყვარულით გაჟღენთილი „ანბანური ინტეგრალების“ პერსონაჟები.

•

მართალია, დღეს წერაა ჩემი სულის თერაპია და გადამრჩენი. იგი, ჩემი მეგობარიცაა, მსმენელიც და ერთგული მესაიდუმ-

ლეც. მაგრამ... სხვაზე დახმარებაც იყო და დღესაც არის ჩემი სულის თერაპია, ოღონდ ვიგრძნო, რომ ვიღაცას ძალიან ვჭირ–დები. ეს ზარმაცზე, წამოგორებულ მცონარაზე დახმარებას არ გულისხმობს.

ასეთი ვიყავი ბავშვობიდან. მეგობარს, ახლობელს ან უც–ნობსაც თუკი ვჭირდებოდი, თუნდაც ჩემი საქმის გადადების, დროებითი დაბრკოლების ფასად დავეხმარებოდი.

მიყვარდა მოხუცებთან, უფროს ადამიანებთან ყოფნა, მათ–გან გაქცევაზე არ ვფიქრობდი. მათთვის დამხმარეც ვიყავი და კარგი მსმენელიც.

ყველა ასაკოვანი, თავისებურად ბრძენია, გამოცდილების ხარჯზე მაინც. მათთან ყოფნა ჩემი სულის საზრდო იყო და არის.

•

ბედნიერი ვიყავი ამ ჩემი თვისების გამო და ახლაც ისეთი ბედნიერი ვარ?!..

ბედნიერებაა, როცა რაიმეს აკეთებ და მასში შეჯიბრის სუნ–თქვა არ იგრძნობა.

შეჯიბრის გარეშე: შრომაც, სწავლაც, მოღვაწეობაც ბევრად უფრო ნაყოფიერია და ბედნიერს გხდის.

სწორედ, ამ თვალსაზრისითაც მასულდგმულებს ჩემი წერა.

შეჯიბრი ადამიანს ბოღმავს, თუ წააგო, ხოლო ამპარტავნება ეუფლება, თუ მოიგო.

შრომისმოყვარეობით მუდამ ჩემს თავს ვეჯიბრებოდი და არსებულზე უკეთესი მსურდა ვყოფილიყავი. ეს თვისება სიმშვი–დეს მანიჭებდა, გაწონასწორებულიც ვიყავი და მიღწეულით კმა–ყოფილიც.

ვმუშაობდი და ვსწავლობდი, რაც შემეძლო და როგორც შე–მეძლო. მათემატიკის სწავლა სიამოვნებას მგვრიდა და გაკვე–

თილზეც თავს ბედნიერად ვგრძნობდი. ისტორია არ მეხერხებოდა, ამდენად, წარმატების ზენიტს ვერ ვაღწევდი და არც ვიბრძოდი ამისთვის. უმაღლესი შეფასების მეზობლობაც მაკმაყოფილებდა.

ის, რომ სხვაზე შეჯიბრი არ მიყვარდა, ცხოვრების სხვა სფეროებზეც გავრცელდა. ჩემი თანაკლასელები, თანაკურსელები, თანამშრომლები გაცილებით უკეთ ცხოვრობენ ეკონომიურად. მე კი – ძალიან უბრალოდ, მაგრამ ეს არ მანერვიულებს, რატომღაც.

შემოქმედებითი უნარები მავსებს თვითკმაყოფილებით.

ყველა უკიდურესობაზე ვერც წავალ და ვერც ვიბრძოლებ მატერიალური კეთილდღეობისთვის. მხოლოდ აუცილებელს შევიძენ, დანარჩენი ფუფუნებისთვის არ ვიხარჯები.

სულის საზრდოსთვის კი ფულს არ ვიშურებ, საკვების ხარჯზეც კი.

მოკლედ, მე ბავშვობიდანვე მივაგენი სიმშვიდის და ბედნიერების წამალს.

უტყუარი და შედეგიანი თერაპიაა მხოლოდ შენს თავთან და კეთილდღეობასთან შეჯიბრი.

ანუ...

სხვას თუ არ შეეჯიბრები, იცხოვრებ მშვიდად და ბედნიერად.

24.01.2022 წელი.
თბილისი.

ჩემი წარსული სხვისთვის წასულია

ელვას მეხი მოჰყვება

რა დამავიწყებს: იმ ავბედითმოსილ 1977 წლის 11 სექტემ-ბერს, შავი ღრუბლით დაიფარა ზეცა ჩვენი სახლის სახურავზე. მეხმაც არ დაახანა, რაც ელვას(დეპეშას) მოჰყვა და სახურავიც ჩამოანგრია.

ყველა სულიერს წალეკვით დაგვემუქრა.

აქეთ-იქით ვეჯახებოდით უმწეო უსუსურნი საშველად.

საშველი კი არ ჩანდა.

ელვა-დეპეშის შინაარსი: „ბერინგის სრუტეში, შტორმის დროს, სატვირთო ბარჟა, გემის ძირითად ნაწილს მოწყდა და სხვათა შორის, ბადრი ჩხაიძეც დაიღუპა (50%)“, არ იცვლებო-და. სასწრაფო დახმარების ბრიგადა მობილიზებული იყო ჭირი-სუფალთა მოსასულიერებლად.

მე, სტუდენტ გოგონას, ჩვენი ოჯახის ორმა მეგობარმა, მე-ზობელმა მამაკაცმა მანქანით ჩამომაკითხა ქუთაისში, სახლში წასაყვანად. მოტივაცია ასე მომაწოდეს: მამაშენი სახურავს აკ-ეთებდა, გადმოვარდა, ფეხი მოიტეხა და შენ გნატრულობსო. ცოტა უცნაურად მეჩვენა, რადგან მამაჩემი ის ადამიანი არ იყო, მისი ავადმყოფობის გამო სწავლას მოვეწყვიტე; ამიტომ თვალე-

ბიდან გადმომსკდა ცრემლი, მამაჩემი ალბათ აღარ არის–მეთქი. გზადაგზა, სულს რომ მოვითქვამდი, კითხვებს ვაყრიდი მეზობ–ლებს მამაჩემის შესახებ – დეტალების დაზუსტებას ვცდილობდი. პასუხს მწირს ვღებულობდი.

ჩემი მეგობარი გოგონა, რომელიც თან მომყვებოდა, ხმას არ იღებდა. მისი დუმილიც მაკვირვებდა. თურმე ის ინფორმირე–ბული იყო სინამდვილით და აღარ მსახიობობდა.

მივაღწიეთ გურიას, ლანჩხუთის რაიონს.

სოფელ შუხუთის ცენტრიდან ჩემი სახლისკენ გადავუხვიეთ. მღელვარებამ იმატა, მამაჩემი მძიმედ თუა დაშავებული, საავ–ადმყოფოში რატომ არ მივდივართ–მეთქი?! ამასობაში სახლს მივუახლოვდით.

ვხედავ ჭიშკარი ბოლომდე ღიაა.

ეზო გადავსებულია ხალხით.

აჰა, მამაჩემი მკვდარი ყოფილა–მეთქი, გავიფიქრე და... ტი–რილ–სირბილით გავექანე სახლისკენ. სახლთან მისულმა დავი–ნახე, მამაჩემი სახლის გვერდიდან, ჩემს შესახვედრად გამორ–ბოდა; მისი ძლიერი მკლავები შემომხვია და გულში ჩამიკრა.

გაურკვევლობაში აღმოვჩნდი.

წამიერად დავმშვიდდი.

მამაჩემი ცოცხალი ყოფილა–მეთქი, გავიფიქრე და ცრემლიც შეშრა. ამ წამმა, სტრესსა და ცრემლს სიჩქარე და მიმართულება შეუცვალა.

აზრები აირია.

ალბათ დედაჩემი?!...

აბა სახლში ვისზეა ვაი–ვიში? ჭირისუფალთა დიდი ოთახის კა–რებთან შევჩერდი. დედა აქ არის და რომ დამინახა მომაკივლა:

– დიდუუუ... ციცინოც ჩამოვიდა შვილოო! დეიქცა ჩვენი ოჯა–ხი!.. ახლა ჩემს დაზე გადავიტანე ფიქრი; გავიხედე და ისიც აქ ზის განადგურებული.

ბადრი არა და არ მოდიოდა ფიქრში.

გაოგნებული ვიდექი ღია კარებში.

დასვენებული არავინაა.

კედელთან მსხდომ ჭირისუფალთ კიდევ მოვავლე ირგვლივ თვალი.

ყველანი სახეზეა.

არავის არ წამოსცდა დასატირებლის სახელი; თითქოს ვერ მამჩნევენ; საგანგაშო გლოვის ზარი არ ცხრება.

– გაოგნებული ვიდექი ღია კარებში და დაბნეულმა ვიყვირე:

კი, მაგრამ... რა ხდება? ვის დასტირით? – პასუხი არ ჩანდა.

სამჯერ მაინც ვიკითხე უშედეგოდ.

ბოლოს, დაბნეულმა, უფრო ხმამაღლა ვიყვირე:

– აღარ იტყვით, რა ხდებაააა?

– ვის დას–ტი–რით?..

ახლა კი დედაჩემმა მოიკრიბა ძალა, უთავბოლო წივილ–კი–ვილი შეაჩერა და როგორც იქნა შემომკივლა:

– ბადრიის!

ეს მოულოდნელობა ყოველგვარი მოსალოდნელობების ზღვარს გადასცდა და... გავშეშდი.

ტრაგედიის შესაბამისად მინდოდა მეყვირა, მაგრამ ხმა ჩა–მივარდა, ყელში რაღაც გამეჩხირა, თითქოს ენაც გამისივდა და პირში ვეღარ ვაბრუნებდი. სკამზე, როგორღაც, დამსვეს. მინდა ვიყვირო, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ. ისე დამემართა, სიზმარში რომ გვემართება–ხოლმე ადამიანებს, ემოციის გამოხატვა რომ

არ შეგვიძლია. ხელის თითები გამიშეშდა. მგონი ამოვიხრიალე რაღაც, გაურკვევლად.

ამ ჩემს ამოხრიალებაზე და შეკავებულ რეაქციაზე მამაჩემმა სახეში სილა ძლიერად გამაწნა ყურადღების მისაქცევად, სხვანაირად რომ ვერ გამაგონა და ძლიერად ჩამძახა:

– მამა! ჯერ არ ვიცით, დაუზუსტებელი ინფორმაციაა მოსული!

– პასუხს ველოდებით.

და... ცოტა ხმასაც დაუწია.

ეს ღმერთის ჩამოძახილის ტოლფასი იყო.

გამოვერკვიე წამიერად.

ცნობიერად შევხედე მამაჩემს.

იგი, აგრძელებდა ჩემს დამშვიდებას.

თურმე, ჩემს ჩამოსვლამდე, შიშმა შეიპყრო, ციცინო სუსტია და ამ ამბავს არ შეეწიროსო. ამიტომაც, გონებრივად მობილიზებული და მხნედ შემხვდა. ისე შთამბერა იმედი ბადრის დაბრუნებისა თვითონ იმედგადაწურულმა, რომ მე იმედით გავყურებდი შარას და გავყურებ დღესაც, როგორ სისულელედაც არ უნდა ითვლებოდეს სხვისთვის.

ვიღაცამ, მსგავს საქმეში ჩახედულმა, ელვა–დეპეშის შინაარსი უშიშროებას გააშიფრინა და აღმოჩნდა, რომ მართლაც, სავარაუდო ცნობა ყოფილა. რადგან, სხვა მეზღვაურების მსგავსად, ბადრი ვერ იპოვეს ახლომახლო კუნძულებზე გარიყული. ივარაუდეს, რომ იქნებ ამერიკის კუნძულზე გაირიყა და იქ დარჩესო.

ასე რომ, იმედიანობა და იმედგაცრუება ისე ენაცვლებოდა ერთმანეთს?! პინებიან სასწორზე მყოფთ, ხან ერთ მხარეს გადაგვწონიდა, ხან მეორე მხარეს.

•

დედაჩემი, გამუდმებულ მოლოდინის რეჟიმში ცხოვრობდა. ჭიშკრის ხმაზე, გვეტყოდა:

– გაიხედე, ბადრი ხომ არ მოვიდა?!

აივანზე მჯდარი, ჭიშკრისკენ მომავალ კაცს თუ შენიშნავდა, სათვალეს მოიმარჯვებდა, ნეტა ბადრი ხომ არ არისო?!

მან იმედგადაუწურავად გალია წუთისოფელი და 2 000 წელს ბადრიზე მომლოდინე თვალებით უფალს მიაბარა სული.

მამაჩემი, ჩემი იმედის სულის შთამბერავი, პიკის საათის გარეშე მუშაობდა. რომ დავჯექი და დავისვენე, ფიქრმა შემაქანაო, გამომიტყდა ერთხელ, ამიტომაც, გასავათებამდე ვმუშაობო.

ოჯახში მოსაგვარებელ დიდ საქმეებს გადადებდა, ბადრი რომ ჩამოვა, ერთად გავაკეთებთო. ამით ჩემი იმედის ხეს წყალს უსხამდა და თვითონაც, იმედგაცრუებას სილას გაულაწუნებდა.

სახლის წინ მდგარ ვაშლის ხეზე გასულ, მუდამ კარგადმსხმოიარე ადესა ყურძენს არ ჩამოკრეფდა, ბადრი თუ ჩამოუსწრებს, მან მოკრიფოს და თუკი ვერა – ჩამოიაროსო, ანუ განიავდესო.

•

ავადსახსენებელი თერთმეტი სექტემბრის შემდეგ დაიწყო მომხდარი კატასტროფის მიზეზების გამოკვლევები, სიტუაციაში გარკვევის პერიოდი. მიმდინარეობდა გადარეკვები ვლადივასტოკის სანაოსნოში მომხდართან დაკავშირებით.

ამასობაში ერთი თვეც გავიდა.

ინსტიტუტი ვიღას ახსოვდა?!

ბოლოს მამაჩემი და კიდევ ორი ახლობელი ადამიანი გადაფრინდნენ ვლადივასტოკში, საზღვაო სანაოსნოს სამმართვე-

ლოში, წარმომადგენლობასთან და გემის ეკიპაჟთან შესახვედ–რად, სიტუაციაში უკეთ გასარკვევად.

მე ქუთაისში დავბრუნდი დამძიმებული, ბურუსშემოსილი სუ–ლით, ინსტიტუტში სწავლის გასაგრძელებლად. იყო უამრავი პა–სუხდაუზუსტებელი შეკითხვა.

ცივი ნოემბერიც დადგა.

ვლადივასტოკიდან ჯერ დაბრუნებულები არ იყვნენ.

მოულოდნელად ბრმა ნაწლავის ტკივილმა შემომიტია. მდგომარეობა ისე გართულდა, რომ მარჯვენა ფეხის ზიდვა–ტა–რება მიჭირდა. ჭამის მადაც დავკარგე და ხანდახან გულისრევის შეგრძნებაც მომეძალებოდა. ჩემს ავადმყოფობაზე ხაზგასმა და ყურადღების გამახვილება გადაჭარბებულად მეჩვენებოდა ჩვენი ოჯახის უზარმაზარი ტრაგედიის ფონზე და სულგრძელად ვიტანდი გაუსაძლის, უწყვეტ ტკივილებს.

შაბათი დღე იყო. დილიდანვე გულისრევის შეგრძნებით გა–მეღვიძა, რომელიც ინსტიტუტში, ლექციაზე გამიმძაფრდა, თუმცა მშიერი ვიყავი. ორჯერ გავედი გარეთ გულის „ამოსასუფთავებ–ლად“, მაგრამ უშედეგოდ. მესამედაც რომ ვითხოვე ლექციიდან გასვლა, ლექტორი დაინტერესებულა, რა სჭირსო და თანაკურ–სელ გოგონას, რომელმაც იცოდა ჩემი წუხილის მიზეზი, აუხსნია სიტუაცია და ოჯახის ტრაგედიის გამო ექიმთანაც არ მიდისო.

ლექტორს გონიერება გამოუჩენია, ჩემდა სასარგებლოდ და სასწრაფოს გამოუძახა თურმე. ლექცია მთავრდებოდა, როცა სასწრაფო დახმარების ექიმები შემოვიდნენ აუდიტორიაში. მე გავიხედ–გამოვიხედე, ვეძებდი ადრესატს, თუ ვინ იყო ავად.

გაოცებული დავრჩი, როცა ლექტორმა ექიმებს ჩემზე მიან–იშნა:

– ეს გოგონაა ცუდად!. მზრუნველობით სიურპრიზებს მხოლოდ ბადრისგან ვიყავი ჩვეული.

ექიმებმა, აუდიტორია დაცალეს, მაგიდაზე დამაწვინეს, გამსინჯეს და დაასკვნეს:

მწვავე აპენდიციტია, სასწრაფოდ საოპერაციოა და სასწრაფოდაც გადამიყვანეს, ქუთაისის რკინიგზის საავადმყოფოში.

თანაკურსელთა ნაწილიც წამომყვა. დეკანატიდანაც დაუვალებიათ, თუ რაიმე გართულება წარმოიშვება, საქმის კურსში ჩაგვაყენეთო.

•

საავადმყოფოში, შაბათი დღის, მხოლოდ მორიგე ექიმი დაგვხვდა.

ოპერაცია გადაუდებლად სასწრაფო იყო, ამიტომ საოპერაციოდ, სისხლის ანალიზის აუღებლად, შემიყვანეს.

რადგან აპენდიციტი იყო პრობლემა და რადგანაც სუსტი გოგონა ვიყავი, თავდაპირველად, იოლ პროცესად ჩათვალეს და ოპერაციის პასუხისმგებლობა მორიგე ექიმმა თავის თავზე აიღო.

ადგილობრივი ანესთეზია გამიკეთეს.

შუა ოპერაციის დროს, რაღაც მითქმა–მოთქმა დაიწყეს. დამხმარე ექიმი და ექთანი, გარეთ გადი–შემოდიოდნენ. ჩემს გასაგონად არა, მაგრამ დერეფანში ამბობდნენ თურმე, რომ საქმე ცუდადაა, ბრმა ნაწლავს ექიმი ვერ პოულობს, გოგონას რა სჭირს გაურკვეველიაო. საცოდავი 22 წლის გოგონას გადარჩენა სასწორზე დევსო.

შეწუხდნენ თურმე თანაკურსელები. მთავარ ექიმთან შესულან, მოუყოლიათ ოჯახის ტრაგედიაცა და სიტუაციაც. ახლა ამ–

ასაც რამე რომ დაემართოს, ხომ მთლად დაიქცევა ოჯახიო. ჩვენგან თუ რაიმეა საჭირო, გვითხარით და გავაჩენთო, თანხა–ზეც მიანიშნეს თურმე.

დროც არ ითმენდა. ღია ჭრილობით სადამდე ვიქნებოდი სა–ოპერაციოში?!

მოვიდა გამოძახებული საუკეთესო პროფესიონალი ექიმი – მარსელი.

დამაძინეს ეთერის ხუფით.

თურმე, გაჭირვებული და დაჩირქებული ბრმა ნაწლავი, საშ–ველად ღვიძლს შეჰფარებია და მასთან დაუდვია ბინა, მას შე–სისხლხორცებია.

თუმცა, ექიმი მარსელი სიტუაციაში მალე გაერკვა, მიაგნო „გადამალულ“ ბრმანაწლავს, ოღონდ ამოკვეთისას გაუსკდა და ჩირქი მუცლის ღრუში ჩაეღვარა, რისთვისაც ჭრილობაში ჩატა–ნებული იყო „დრენაჟი“.

დასასრულს, მახსოვს ახალგაზრდა ბიჭი ექიმი, შემდგომში ჩემი მკურნალი, უკვე პალატაში, სახეში ხელს მილაწუნებდა და თან სახელს ჩამძახოდა გამოსაფხიზლებლად. როგორღაც გავა–ხილე თვალები ცნობიერად, ექიმმა ირგვლივ მყოფთ უთხრა:

– ყველაფერი კარგადაა! და... პალატა დატოვა.

•

ჩემთან დაკავშირებით, ყველაზე მთავარი, თურმე აწი იწყე–ბოდა, რაც, სულთა კავშირმა, სიზმრით გვაუწყა ერთსა და იმავე ღამეს: მამაჩემს ვლადივასტოკიდან ჩემებთან დაურეკია, ციცინო ცუდად მესიზმრა და რა ხდებაო?! თუმცა, ჩემებმა ჯერ არაფერი იცოდნენ.

მე კი იმავე ღამეს, აი რა ვიხილე სიზმრად: სოფელში ხმა დაირხა, ბადრი მოდისო. ყველანი ქუჩაში გამოფენილიყვნენ ბადრის მოლოდინში. მე ქუჩის მეორე მხარეს ცალკე ვიდექი. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ბადრიც გამოჩნდა. მეზობლებმა სიხარულის ემოცია ხმამაღლა გამოხატეს, უნდა ჩახუტებოდნენ, მაგრამ ბადრი ჩემსკენ გამოემართა, გადამეხვია და მათ მიმართა:

– მე კარგად ვარ, ციცინოს სჭირდება თანადგომა და თანაგრძნობაო.

ასე რომ, სულიერი კავშირებისთვის მანძილის ბარიერი არ არსებობს.

მოვლენები ასე განვითარდა: რამოდენიმე დღეში მაღალი სიცხეები დამეწყო, ჭრილობა გაშავდა – გაფუჭებულ ხორცს დაემსგავსა და ექიმმა ძაფები აჭრა. ჭრილობა ნებაყოფლობით გაიხსნა და ბლანტმა ჩირქმა იწყო გადმოღვრა. ისევ ატყდა ჩემს გარშემო საგანგაშო პანიკა და ფაციფუცი. მოწამვლის პროცესის წინააღმდეგ (ჩასახშობად) იბრძოდნენ ექიმები. მუცლის ღრუს მარილიანი ტამპონებით ასუფთავებდნენ, პენიცილინით ამუშავებდნენ, ტამპონებს ტენიდნენ ჭრილობაში, ანტიბიოტიკებს მიკეთებდნენ კუნთში; წვეთოვანი გადასხმით კვებავდნენ და თან ფილტრავდნენ ორგანიზმს.

როგორც კი დაბრუნდნენ ვლადივასტოკიდან ბადრის ინფორმაციით გაწბილებული მამაჩემი და ჩემი დეიდაშვილი, მაშინვე ქუთაისში გაჩნდნენ ჩემთან, საავადმყოფოში. ქალაქის საუკეთესო ექიმები ჩართეს, ჩემი ჯანმრთელობის გადასაკონტოლებლად.

მამაჩემი ძალიან ღელავდა. ბადრიზე წუხილი ჩემმა მდგომარეობამ ჩაანაცვლა.

ერთის მწუხარებაზე მეორის დამატება მეტისმეტი იქნებოდა. ჩემი სიცოცხლის კრიტიკულ ზღვარზე დგომა საფუძველი გახდა, ბადრის დაკარგვით გამოწვეული უკიდეგანო სტრესი ჩარჩოებში მოქცეულიყო და გადანაწილდა ჩემი დაკარგვის მოსალოდნელობის შიშზე.

მშობლები ლოცულობდნენ: – უფალო, ციცინოს ნუ გამოგვაცლი ხელიდანო.

მდგომარეობა ნელ–ნელა უმჯობესდებოდა.

18 დღე გაუნძრევლად ვიწექი საწოლში. ფეხის ქუსლები ძალიან მტკიოდა. თავმდგმური სადღეღამისოდ მჭირდებოდა. ეს ტვირთი თანაკურსელებმა იტვირთეს.

ჩვენი ინსტიტუტი, საქართველოში არსებული სასწავლებლებიდან, გამოირჩეოდა მკაცრი დისციპლინით. გაცდენებისთვის, აკადემიურ მოსწრებაში ჩამორჩენისთვის და სიგარეტის მოწევისთვის ინსტიტუტის ტერიტორიაზე, რიცხავდნენ ინსტიტუტიდან (სიგარეტისთვის – თანამშრომლებსაც). ასეთი მკაცრი გარემოს მიუხედავად, ჩემს სიტუაციასთან დაკავშირებით, დეკანატი საოცრად ლმობიერი, გულისხმიერი და ყურადღებიანი აღმოჩნდა. დღის განმავლობაში თანაკურსელები ჩემთან რამდენჯერმე მოდიოდნენ, ჯგუფურადაც, საჭიროების შემთხვევაში რომ დამხმარებოდნენ, ან მოეტანათ რაიმე; მესაუბრებოდნენ, თითქოს, მიხალისებდნენ ყოფას მრავალმხრივი ტკივილებისგან, მიმსუბუქებდნენ სულიერ განცდებს.

საავადმყოფოშიც იყო შეშვებაზე შეზღუდვა, მაგრამ ჩემს სახელსა და გვარს რომ ეტყოდნენ, ეს იყო ვიზირებისთვის უტყუარი საბუთი, იმიტომ კი არა, რომ მე საპატიო, ავტორიტეტული პიროვნება ვიყავი, ან ცნობადი „პროტეჟე“ მყავდა, არა,.. მე ვიყავი

ავადმყოფი სტუდენტი გოგონა, ამ შემთხვევაში ოჯახურ ახლობ-ლებს მოკლებული.

ჩემი ჭირისუფალი თანაკურსელები იყვნენ.

გოგონები თავმდგმურის ფუნქციას ასრულებდნენ, დღე-ღა-მის განმავლობაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ბიჭები კი მკურნალ და მთავარ ექიმთან ჩემი ჯანმრთელობის მდგომარე-ობას აზუსტებდნენ ცუდად ყოფნის პერიოდში, თანხის საჭიროებ-ასაც არ გამორიცხავდნენ, ოღონდაც გადარჩესო.

როგორც იქნა გამოჯანმრთელებაში წინსვლა იგრძნობოდა, სიცხემაც დაიწია, ღია ჭრილობამაც ამოხორცება დაიწყო მუც-ლის ღრუდან. უკვე სახლში გამოწერაც შეიძლებოდა და მკურნა-ლობის გაგრძელება პოლიკლინიკაში ექიმის კონტროლის ქვეშ.

მამაჩემმა, თუმცა ბადრის შესახებ საიმედო და ხელმოსაჭ-დი ამბავი ვერაფერი ჩამოიტანა, ეკიპაჟსაც კი ვერ შეხვდა, რად-გან გემი უკვე რეისში გასულიყო და 2-3 თვე პორტში არ დაბ-რუნდებოდა.

ჩემი გადარჩენა, რა თქმა უნდა გაუხარდა. სიხარულის ცრემლებმა თქვეს სათქმელი. ქალაქის საუკეთესო ექიმებმა და-ადასტურეს, რომ საშიშროება აღარ მემუქრებოდა, რომ ყველა-ფერი გამოსწორებულია, კრიტიკული მდგომარეობა ორგანიზმმა გადალახა.

მთელი ჩემი გარემოცვა უზომოდ გახარებული იყო. ყველა სახეგაბადრული შემოდიოდა ჩემთან. მედპერსონალმაც აღია-რა, რომ რაღაც პერიოდში ჩვენც უიმედობას ვყავდით შეპყრო-ბილიო, რომ შენი ორგანიზმი ძალიან დაგვეხმარაო.

მამაჩემმა საავადმყოფოდან გამოწერის დღისთვის, სოფლი-დან ჩამოიტანა პურმარილი: შემწვარი გოჭი და ქათამი, მოხარ-

შული ინდაური, ხაჭაპურები, ღვინო, არაყი, ჭადები, ყველი, მჟავე, მწვანილი,... ხილი, ჩურჩხელები (ამ ყველაფერში დედაჩემის უზარმაზარი შრომა, რწმენა, ლოცვა და სიყვარული იდო). ექიმებთანაც არ დარჩენილან ფულად ვალში. ეს პროდუქტიც ექიმისთვის უნდოდა მიერთმია, მაგრამ მე გადავამისამართებინე თანაკურსელებისკენ, რადგან მათი უანგარო თავდადება იმსახურებდა ღირსეულად წაქეიფებას.

სიარულის უფლება რომ მომცეს, პირველად ადგომაც გამიჭირდა. დადგომა რომ ვისწავლე, მერე ნაბიჯის გადადგმაზე მომიხდა მუშაობა, რადგან ფეხებს მიზანმიმართულად ვერ ვდგამდი. ნელ-ნელა ესეც დავხვეწე.

ვფიქრობდი, საავადმყოფოდან გამოსვლის მომენტისთვის მთელი ჯგუფი მოვიდოდა და ერთსულოვნების პატივით საბოლოოდ დამამშვენებდნენ, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, მხოლოდ ერთი გოგონა მოვიდა და ტანსაცმელი მომიტანა. ჩემს შეკითხვაზე, თუ სად იყვნენ დანარჩენები, მიპასუხა, არ ვიცი, რადგან კარგად იყავი, თავთავიანთ საქმეზე წავიდ-წამოვიდნენო. გამიკვირდა, თუმცა მაშინვე ვიფიქრე: სამი კვირაა თავიდან არ მომცილებიან და ახლა კარგად რომ ვარ, არ ჩათვალეს აუცილებლობად და საჭიროდ ჩემთან ისევ მოსვლა-მეთქი.

მივედით, ჩემს ნაქირავებ, პატარა ოთახში პურმარილით მე, მამაჩემი, ბიძაჩემი (დედაჩემის ძმა, რომელიც ქუთაისში ცხოვრობდა) და თანაკურსელი გოგონა, რომელსაც ვუთხარი, რომ მამაჩემმა პურმარილი ჩამოიტანა და დიასახლისთან ჩემი გადარჩენა ერთად აღვნიშნოთ-მეთქი. კარგი, სხვებსაც ვეტყვიო, თქვა და წავიდა.

ცოტა ხანში, სხვები მოვიდნენ ტაქსით, ჩვენს წასაყვანად გათხოვილი თანაკურსელის ოჯახში.

თურმე, მათი არგამოჩენის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ჩემი გადარჩენის აღსანიშნავად, ყველას თავთავიანთი სახ–ლებიდან მოუტანია პროდუქტი, ვისაც რა მოეპოვებოდა.

ეს არა მარტო სიურპრიზი, არამედ გვირგვინი იყო მათი მზრუნველობისა, ანუ გულღია, გულკეთილი, უანგარო, ხალისი–ანი, კეთილი დამოკიდებულების მწვერვალი.

მოკლედ, ყველაფერი გადაუწყვეტიათ. მამაჩემის ჩამოტანი–ლი პურ–მარილიც შევუერთეთ სტუდენტურს, საუცხოო სუფრა გაიშალა და საუკეთესო საღამოც გამოვიდა. თანაკურსელებიცა და მამაჩემიც კმაყოფილნი დარჩნენ და ბედნიერნიც. ბიძაჩემმა ხმამაღლა აღნიშნა:

– ეს ჩემი დისშვილი წყნარი, უთქმელი, მორცხვი გოგონაა და ყოჩაღ, როგორი ავტორიტეტი ჰქონია მეგობრებში!

•

ასე ლამაზად, მშვიდობიანად და მეგობრულ ატმოსფეროში შემოვრჩი წუთისოფელს სტუდენტობაში, ჩემი ძმის ტრაგედიით დამძიმებული და სიცილდავიწყებული.

ისე ვცხოვრობ, ყოველდღე მზად ვარ გასამგზავრებლად. არც ვალი წამყვება ვინმესი და არც მე მაქვს იმდენი, ვინმეს ჩემი ვალი ჰქონდეს.

ე.ი. ჩიტივით თავისუფალი ვცხოვრობ, ოღონდ, ჩიტივით ლა–ღი არ ვარ.

ერთადერთი, რის გამოც გული მწყდება წუთისოფელში ცხოვრებაზე, ის არის, რომ უსიყვარულოდ უნდა დავტოვო იგი.

სავარაუდოდ, ეს ჩემი მრავალმხრივ ძლიერი ხასიათითა და პრეტენზიული თვისებებითაა გამოწვეული.

•

ჩემი ძმის დაკარგვის ცნობამ ჩვენს ეზო–კარში ჩაახშო ყოველგვარი სიხარული, სიცილი, სიმღერა, წამღერება, გაღიმებაც კი. მზის ამოსვლამაც დაკარგა ხიბლი, თითქოს ჩიტებიც ძველებურად აღარ ჟღურტულებდნენ, იქნებ კი,.. და ჩვენ ვერ შევიგრძნობდით?!

ხილმაც გემო დაკარგა, თითქოს ყვავილებიც ძველებურად აღარ ხარობდნენ და კეკლუცობდნენ.

ყველაფერ კარგს, ლამაზს, სამხიარულოს ჩადრი ჩამოეფარა. თითქოს სასიცოცხლო არტერია გადაეკეტათ და სასუნთქი გზები ამოუქოლეს.

ეს არ იყო მითქმა–მოთქმით გამოხატული ტკივილი.

ეს იყო გულის ფუფქვა.

ჩაკვდა და ჩაჭკნა ყოველგვარი სიხარულის გამოხატვის ფორმა. გარედან კი არა, ჩვენში არსებობდა შინაგანი ძაძმოსილება, რომელიც ახშობდა სიხარულის ექოს.

რადგან არ იყო საფლავი და მისი მოვლით გამოხატული თვითკმაყოფილება მიცვალებულის მიმართ; რადგან არ იყო შავებით შემოსვა და ცრემლებით გამოხატული გლოვა; ჩვენსავე გულში იბექსნებოდა უზარმაზარი გამოუხატავი ტკივილი.

ეს იყო, გაურკვეველი დროით, მოთმინებით გაჯერებული ლოდინი.

მოთმინების დაკარგვის უფლება კი,.. არ გვქონდა.

•

მშობლები დიდი ხანია მიიცვალნენ.
ლოდინის შეწყვეტა განაჩენია.
ლოდინი ჩემში გრძელდება.

09.06.2018 – 06.05. 2021 წწ.
თბილისი.

გამოთხოვება დეიდაშვილ ლამარასთან

1970 წლის 6 სექტემბერი.

არც კი მინდა ამ წლის გახსენება.

იგი ხომ შენი უბედურების მომტანი იყო, ლამარა?!

რა სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო შენმა მოულოდნელმა ტრაგიკულმა ინფორმაციამ ყველა... მაშინ მე მეცხრე კლასში ვიყავი, სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის. მას შემდეგ უკვე რამდენი ათეული წელი გავიდა და არ განელებულა ის სინანულის გრძნობა რაც შენმა დაკარგვამ გამოიწვია.

აი, ის ჩანაწერი, რომელიც შენი დაკრძალვის შემდეგ დავწერე ღამით, სახლში დაბრუნებულმა. (ტექსტი უცვლელია):

30 წელი.

რა პატარაა ეს რიცხვი მაშინ, როცა ადამიანის წლოვანებასთან და სიცოცხლესთან გვაქვს საქმე!

30 წელი ადამიანს მხოლოდ იმისთვის გინდა, რომ მიზანს მიაღწიო, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობიდან გაქვს დასახული. და როცა გახარებული და მიზანსმიღწეული ფიქრობ შემდგომ

წინსვლაზე, ფიქრობ მომავალ ცხოვრებასა და ოჯახის შექმნაზე, რა ძნელი და აუტანელი უბედურებაა ის, რომ სწორედ ამ დროს ინთქევი შავბნელ უფსკრულში.

შენც ხომ 30 წლის იყავი?! შენც ხომ იყავი მიზანმიღწეული?! მაშინ გინდოდა შენ სიცოცხლე, მაშინ ფიქრობდი მრავალ სიხარულზე, ბედნიერებაზე – ოჯახის შექმნაზე. არ დაგჭირვებია შენ ამაზე ბევრი ფიქრი, რადგან ბევრს უნდოდა ეტარებინა ცხოვრების უღელი შენთან ერთად.

თავს ბედნიერად გრძნობდი შენი მეუღლის, ანზორი დევიძის, გვერდით. რა იცოდი, შენ მართლაც საბრალოვ, ცხოვრებაში უმამოდ, ობლობაში აღზრდილო, მხოლოდ დედის ნუგეშით დაიმედებულო, რომ ამ უსაზღვრო ბედნიერებას უსაზღვრო უბედურება მოჰყვებოდა?! რატომ აღმოჩნდა ასე ხანმოკლე შენი ბედნიერება, როცა საკუთარი ძალებით კაფავდი ეკალბარდიან ცხოვრების გზებს?!

ნეტა, სულაც არ გაბედნიერებულიყავი, თუკი ასე ხანმოკლე იქნებოდა იგი. სამი თვის ბედნიერება არაფერია ადამიანისათვის, მით უმეტეს შენთვის, როცა ძლივს ეღირსე ოცდაათი წლისამ. რად იყავი ასე ბედუკუღმართი, ჩემო სანუკვარო, ცხოვრებაში ერთადერთო, გამორჩეულად საყვარელო ადამიანო?!

1970 წელი რად შეიქნა შენთვის უბედურების მომტანი?! თუმცა, ეს წელი იყო შენთვის ბედნიერებისაც, რომელიც ამავე წელსვე ჩაგმწარდა.

ამ წლის მაისში გახდა ბედნიერი შენით საწყალი, შრომაში წელგაწყვეტილი დედა, ერთადერთი საამაყო ძმა და ჩვენ ყველა ახლობლები. ასევე უბედურები გავხდით ყველანი ა/წ 6 სექტემ–

ბერს, როცა დაღამდა, მზე მოეფარა მთებს და უკუნი ბნელი ჩამოწვა.

თურმე, შენთვის სამუდამოდ ჩაესვენა მზე, სამუდამოდ დაღამდა, სამუდამოდ ჩამოწვა ბნელეთი.

შენ ვეღარასოდეს შეეგებები მზის ამოსვლას, რომელსაც ყოველთვის აღტაცებული ხვდებოდი; ვეღარასოდეს იხილავ მზის ჩასვლას, როცა დღე-ღამე იყრება და ცა ვარსკვლავებით იჭედება. მერედა, როგორ გიყვარდა შენ ზაფხულის მშვიდ, ვარსკვლავებიან ღამეს თქვენს მოლიან ეზოში ძვირფას დედიკოსთან, ძმასთან და ხანდაზმულ ბებიასთან საუბარი, მაშინ ძილი მთლად გავიწყდებოდა.

ნეტავი, ხშირად გქონოდა შესაძლებლობა, დამტკბარიყავი ახლობლებთან საუბრებით, თუკი 30 წლის გული ვეღარ შეძლებდა ფეთქვას შენს მკერდში.

სამგლოვიარო ელვა-დეპეშები გაჩნდა ყველა საახლობლოსთან. ვინ იფიქრებდა, რომ შენ გვიხმობდი არა ბედნიერების მისალოცად, არამედ სამუდამოდ გამოსამშვიდობებლად.

შენმა თანაკურსელებმა გასვენების დღეს მოგიტანეს უმაღლესი განათლების დამთავრების დამადასტურებელი დიპლომი, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა სამგლოვიარო სიტუაცია, რადგან შენ მის ხილვასაც ვერ მოესწარი.

არ შეიძლება კალამმა აღწეროს უსაზღვრო მწუხარების ის გრძნობა, რომელიც გამოწვეულია შენი ნაადრევად დაკარგვის გამო.

სამაგიეროდ სამუდამოდ დაგვიტოვე განუსაზღვრელი სიკეთე, სითბო და სიყვარული შენს ახლობლებს. იმდენი დაგვიტო-

ვე, რამდენის დატოვებასაც ვერ შეძლებდა და ვერ შეძლებს ბევ-
რი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე.

რა წაშლის, შენს ლამაზ, კეთილშობილ სახეს და სახელს
ჩემს გულში.

ციცინო ჩხაიძე (15 წლის).
13 .09.1970 წელი.
გურია. შუხუთი.
კვირა. შუაღამე.
ჩემი სამეცადინო მაგიდა.

შენი თბილი ბუნება და გულისხმიერება ახლობელთა მი-
მართ ამ წერილიდანაც ჩანს, რომელიც პატრიკეთში მომწერე
სოხუმიდან, როცა სტუდენტი იყავი; მე კი თქვენთან ვცხოვრობ-
დი და ვსწავლობდი მერვე კლასში.

ეს, მწვანე კალმით ნაწერი წერილი, ჩემთვის უძვირფასესი
იყო შენს სიცოცხლეშიც.

ახლა კი, იგი ჩემთვის ძვირფასი რელიქვიაა. სანიმუშო გაკ-
ვეთილია, ახლობელთა მიმართ სიყვარულისა და გულთბილი
ურთიერთობის გამომხატველი.

12.01. 2012 წელი.
ბათუმი.

ჩემო ლოლო!

მივიღე შენი წერილი. ძალიან კმაყოფილი
ვარ, რომ ხარ. ნუ ვარ ბედნიერ შენზე.
ღელავ, მიხარია ვარ, რომ ეს ის ბიჭუნაკია
და მიყვარს მზრუნ.

ჭეშმარიტი სიყვარული ის ჩამოგიდა ნელელ ან ჩამოგიდეს
ანდა ვინმეს მოამზადე. შენ ან იყავი ყველაფერი
მაინდამ. მაინდამ ყველაფერი დანარჩენია. ოღონდ
ხარო, შენია ოღონდ ის. ოღონდ ამბიციანია.
წიგნიც ეს საკმარისია.

ღელავ ან ვარ ეს ის ყოფილ ან ზომაზე
ხარ? ყოფილზე ეს ფერია ეს ის ვარ.
ჩემო ღელავ ზომაზე ხარ შენ ხელია. ლოლა
ხომ იცი ისი ლინუსია მაქვს. შენა ვნახე,
ძალიან ოღონდ ის, ავადმყოფობა ეს ყოფილ
ძალზე ენყინა. ვარ ვარ და ვარ ფიცარ ძალიან.

ლოლო ამაზე შენ იცი ჩემი ყოფილ ლოლა
ბიბლიოთეკა ზოგჯერ ჩემს ღელავ და ჩემს იყავ.
ზომიერად ყველა. ლოლა ფრანგულ და ბევრ
ვარიანტს ეწერა

ძალიან. მაინდამ ყველაფერი
[illegible] შენი ლაპარაკ.

Z/V-695

მინიატურული ჩანაწერები

ანმანური კრიალოსანი

ჩემი პირველი წიგნი: „ანბანური ინტეგრალები“, რომელიც შედგება, ქართული ანბანის 33–ვე ასო–ბგერაზე აგებულ, პატარ–პატარა მინიატურა–მოთხრობებისგან, ჩემთვის, 33 ბურთულიანი სალოცავი ფსკვნილის ტოლფასია.

იგი, მართლაც კრიალოსანია: ოღონდ, სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა ხარისხის, სხვადასხვანაირი ხიბ–ლის, სხვადასხვანაირი შინაარსის, სხვადასხვაწახნაგოვანი „ქვებისგან“ აკინძული.

თითოეული მინიატურა–მოთხრობა, თავისებურად საინტე–რესოა თავისი შინაარსითა და ფერადოვნებით, შინაარსში წვდომის სურვილით, კაზმულობით, ენის გასატეხის “სინდრო–მით“ ხასიათდება თითოეული.

მიყვარს.

უსაშველოდ მიყვარს.

შვილივით მიყვარს თითოეული მათგანი, რადგან თითოე–ულზე, სხვადასხვანაირი შრომაა ჩადებული.

ჩემი ჩამოშალაშინებულია, ყოველგვარი ზედმეტობებისგან განთავისუფლებული და ჩამოხვეწილი.

16.06.2022 წელი.
თბილისი.

სისუსტე, უცოდინრობა თუ შიში?

შვილების აღზრდის პროცესში სიმკაცრე, მოთხოვნილება სწავლისა და წესრიგისადმი ვერ შევახამე მოფერებასთან.

ეს ჩემი სისუსტე იყო?

თუ შიში, სადავეები არ გამქცეოდა წარმატებისკენ სწრაფვისას?!

თუ უცოდინრობა ამ მხრივ, რადგან მეც ხომ მკაცრ ოჯახში გავიზარდე, მოფერების გარეშე?!

16.08.2020 წელი.
თბილისი.

მ ზ ე

მზეს ვერ ვუყურებთ, ვერ ვათვალიერებთ; იგი ბრჭყვიალაა, ოქროსფერი, ამიტომაც ბრწყინავს და კაშკაშებს.

როგორც დედა, მზეც მისი კეთილი თვისებების გამო გვიყვარს და გველამაზება, რადგან ერთნაირად თბილია ყველასა და ყველაფრის მიმართ. უანგაროდ გვათბობს, გვკურნავს, ძალას გვმატებს, გვახალისებს, შთაგვაგონებს, გვკვებავს, გვაიმედებს.

მზეს ვადარებთ არსით კეთილ ადამიანსაც, კეთილშობილს, როცა იგი უანგაროდ დახმარების ხელს გამოგვიწოდებს, წაქცეულს წამოგვაყენებს, უძლურთ გადასასვლელზე გადასვლაში დაგვეხმარება,.. ლუკმას გაგვიყოფს.

02.09.2021 წელი.
თბილისი.

სიკეთე

სიკეთე რაიმეს ჩუქებას არ გამოხატავს, რადგან, შეიძლება ვინმეს იმ მოტივაციით აჩუქო, ძალიან ბევრი რომ გაქვს და მაინც არ დაგაკლდება.

უფრო დიდი სიკეთეა, როცა მშიერი ერთი ნაჭერი პურიდან ნახევარს გიწილადებს.

02.09.2021 წელი.
თბილისი.

იმედი გადამრჩენია

როცა უიმედობით მოცულ სიბნელეში ხარ, რომ იცოდეთ, რაოდენ დიდი ძალა აქვს, თუნდაც ერთი პატარა სანთლის შუქ-საც კი...

ეს შუქი იმედია, რომელიც არ წაგაქცევს.

იმედი სალ კლდესავით გაგამაგრებს, ძალას შეგმატებს, შე-უძლებელს შეგაძლებინებს.

იმედი გადამრჩენია.

26.10.2019 წელი.
თბილისი.

ბოლო ფიქრები

მეცნიერება როდის ავა იმ მწვერვალზე, გარდაცვლილი ად-ამიანის სიცოცხლის ბოლო ერთი საათის ფიქრები წაიკითხოს?!

ამით ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი: თუნდაც მეტყველება-წართმეული ადამიანის მიერ დანაბარები ანდერძის სახით;

აღსარებით პატიების თხოვნა ვინმესადმი;

ან რჩევა–დარიგება შთამომავლობისადმი.

ყურადსაღები იქნება ფიქრები, მკვლელობისას ან თვითმ–კვლელობისას.

09.09.2020 წელი.
თბილისი.

საუკეთესო ღირსება

ადამიანში საუკეთესო ღირსება ზომიერებაა: საუბარში, ჩაც–მულობაში, ჭამა–სმაში; სიხარულის და მწუხარების გამოხატუ–ლებაში, სტუმრად ყოფნასა და სტუმრის მოწვევაში.

16.09.2020 წელი.
თბილისი.

თამამი მოსაუბრე

ზედმეტად თამამი მოსაუბრე „მჩაგრავს“, „მთრგუნავს“, თან მაკვირვებს, რადგან მის საუბარში ხშირად სიბრძნე არ იკვეთება და წარმატების მიღწევას სითამამით ცდილობს.

ასეთთან ვჩერდები, რაიმეს დამტკიცების სურვილიც კი არ მიჩნდება.

ვგრძნობ, ერთმანეთისთვის ზედმეტნი ვართ. იგი ჩემში ვე–რასოდეს შემოვა და მე მასში შესვლას არც ვეცდები.

საბედნიეროდ ჩვენ აცდენილ წრფეებზე ვდგავართ და ვმოძ–რაობთ.

08.04.2022 წელი.
თბილისი.

„მაპაციეს“ აზრი

ადამიანთან ურთიერთობისას, შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ, სიტყვა მაპატიეს ან ბოდიშს მაშინ აქვს აზრი, თუკი მსგავსი საქციელი აღარ განმეორდება. წინააღმდეგ შემთხვევაში აბუჩად აგდების სინდრომი ყალიბდება და ზრდილობიანმა შეურაცხყოფილმა, წერტილი უნდა დაუსვას ამ ურთიერთობას სამუდამოდ.

14.06.2022 წელი.
თბილისი.

დუმილი

დუმილი გაცილებით მრავლისმთქმელია.

07.04.2022 წელი.
თბილისი.

წუთისოფლის კანონზომიერება

წუთისოფლის კანონზომიერებას ვინმემ თავი დააღწია?
ან შეცვალა?
ან ფულით, ან პროტეჟეთი დარჩა უკვდავი?
მადლიერნი უნდა ვიყოთ იმით, რომ წუთისოფელში დროებითი ცხოვრების უფლებით დაგვასაჩუქრა უფალმა.

10.09.2022 წელი.
თბილისი.

ადამიანური ურთიერთობები

ადამიანური ურიერთობები უმთავრესია, ვიდრე მატერიალური ფასეულობები ან გასართობი ღონისძიებები.

19.05.2023 წელი.
თბილისი.

მრმოს მმართველი

მაგნიტი მხოლოდ რკინას იზიდავს, გაპრიალებულსაც, დაჟანგულსაც, ჯართსაც, მაგრამ არასოდეს – ძვირფას ლითონებს.

სწორედ მაგნიტია თავხედობაში გადასული, ზედმეტად თამამი ადამიანიც, რომელიც ბრბოს იზიდავს, იკრებს და ისინიც ეტმასნებიან.

ჭკვიანი ინტელიგენტი, „მაგნიტს“ ვერ შეეკვრება და ცალკე დგას.

მაგნიტი ბრბოს იზიდავს და მისი მმართველია.

31.10.2021 წელი.
თბილისი.

მეგობრობას წლები ძერწავს

მეგობრობას უცებ ვერ შეიგრძნობ.

მეგობრობას წლები ძერწავს, აფორმირებს, აყალიბებს და ბოლოს, გამოქანდაკებული, დახვეწილი არსებობს სიცოცხლის ბოლომდე, თუ რომელიმე მათგანი ბინძურ რელსებზე არ გადავიდა ან არ გადაიყვანეს ურცხვმა ძალებმა.

თუკი მეგობარს მეგობრის წარმატების დანახვა უფროობით ხარისხში სურს, ეს მის კეთილშობილებაზე მეტყველებს.

და...

თუკი ვინმეს ვარდზე მხოლოდ ეკლის დანახვა სურს, ე.ი. მის სულში პრობლემაა.

11.10.2022 წელი.
თბილისი.

სჯობს

ყველა ქუჩის ძაღლის ყეფას ყურადღებას ნუ მიაქცევ, თორემ შენი საქმე გაუკეთებელი დაგრჩება და დარჩები ქუჩის ძაღლთა შორის მდგარი.

შენც, ყველა გამვლელ ძაღლზე შემყეფარე, გაუფასურდები და თავსაც დაკარგავ, შენც ქუჩის ძაღლად „გადაიქცევი“.

შინაურ ძაღლს რა სჯობს?! ოჯახის ღირსებას იცავს და მხოლოდ უცხო მომხვდურს უყეფს.

შენი საქმე აკეთე, ის სჯობს, ვიდრე სხვის ქილიკში დაიხარჯო ან სხვის გაქილიკებაში დაიწერო ქულები.

26.07.2023 წელი.
თბილისი.

პოლიტიკა

პატრიოტი გონიერისთვის, პოლიტიკა მჩაგვრელია და მტერი;

უგულოდ მომხვეჭელისთვის – მსუყე სალაფავი სარბიელი.

07.10.2023 წელი.
თბილისი.

შვება

იყო დრო, სულის ტკივილი სისხლს მიშრობდა ძარღვებში და შვებას ცრემლები მაძლევდა...

მას შემდეგ, რაც ტკივილი დამიმეგობრდა და მეგზურიც კი გახდა ჩემი, ცრემლი აღარაა საჭირო. რომც მინდოდეს, არ გად-

მომდის. მაგრამ, რადგან ცრემლიც დასახარჯია, ახლა იგი მხოლოდ სიხარულის დროს ჩამომეღვრება, საუკეთესო მომენტისას ან თუნდაც, ტელეფონით ყურადღებით მოკითხვისას, ახლობლის ან ოჯახის წევრის წარმატებისას.

07.04.2022 წელი.
თბილისი.

ავტორიტეტი

გარკვეულ წლამდე, მოზარდობის პერიოდში, როცა შვილს შეეკითხებიან:

— ვისი შვილი ხარ?

იგი მშობელს ასახელებს.

თუკი მშობელი გამორჩეულია ან ცნობილია რაიმეთი, საზოგადოებას დიდხანს გაჰყვება მშობლის ავტორიტეტული დამოკიდებულება შვილისადმი.

ბედნიერია მშობელი, თუკი შემდგომში, იგი გახდება შვილის მშობელი, მისი ცნობადობის, წარმატების ან ავტორიტეტული მდგომარეობის გამო.

ვაი იმ შვილს, ხანდაზმულობისასაც მხოლოდ მშობლის ავტორიტეტით რომ საზრდოობს და ცხოვრობს.

14.04.2021 წელი.
თბილისი.

მეგობარი

მეგობარი კარდაკარ არ უნდა ეძებო.

იგი თავისთავად გამოჩნდება ან აღმოჩნდება შენს გვერ-დით. თავდაპირველად შენთან, შეიძლება, საჭიროება აკავში-რებდეს. თუკი შემდეგაც გრძელდება მეგობრული ურთიერთობა, ე.ი. შენში მეგობარი, საყრდენი, აზრის გამზიარებელი და მრჩე-ველი იპოვა.

თუ ეს ურთიერთობა წლებს უძლებს, ე.ი. მყარია და სამუდა-მო გეჩვენება.

ისედაც ხდება, შენ რომ მეგობარი გგონია, ხედავ, ისეთთან მეგობრობს, რომლისნაირთანაც შენ არასოდეს ჩამოჯდები სა-საუბროდ და მისი თანამოაზრე არასდროს გახდები.

დასკვნას თავისთავად აკეთებ.

ის, ვინც მეგობრად მიგაჩნდა, მთლად ისეთი არ ყოფილა, როგორიც გეგონა.

ე.ი. შენი „მეგობარი“ ან ორმაგ თამაშს თამაშობდა, ან ახლა დაიწყო თამაში.

23.04.2021 წელი.
თბილისი.
მთაწმინდის პარკი.

მილაგებული სახლი

სახლში ყველაფერი ძველებურად მილაგებული და ყველა წვრილმანი ძველებურად თვალს მიფარებული აღარც მომწონს.

ვფიქრობ, „იქეთაც“ მეყოფა აურეველი ყოფა, თანაც სხვის დალაგებულში!!

რაც მიყვარს და რაც მჭირდება, ყველაფერმა უნდა შემახსენოს თავი: ჩემმა წიგნებმა, ჩანაწერების რვეულებმა მაგიდაზეც და მაგიდის უჯრაშიც, თავთანაც.

იქვეა ხელის, სახისა და ტუჩის საცხები, ხელის მასაჟორები, სათვალეები, მაგიდის ნათურა; საწრუპავი საწყლე, ჩაი, კაკაო ან ყავა; კალმები, სხვადასხვა ფერის, უამრავი, უმეტესად შავი; ფანქრები, სახაზავები, კორექტორი, სუნამო, სანტიმეტრიც კი,..

01.07.2021 წელი.
თბილისი.

ფრაზები

ადამიანური ურთიერთობა უმთავრესია, ვიდრე სხვა მატერიალური ფასეულობები ან გასართობი ღონისძიებები.

19.05.2023 წელი.
თბილისი.

•

შვილების დაფრთიანება სასიხარულოა, თუმცა სევდაც ახლავს.

04.07.2023 წელი.
თბილისი.

•

წუთისოფელი ადამიანურ ურთიერთობებზეა აგებული.

ეს ურთიერთობები ხან ჰარმონიულია, ხან წინააღმდეგობრივი.

29.07.2023 წელი.
თბილისი.

•

კრიტიკოსები ხშირად ქილიკოსები, ანუ ცინიკოსები არიან.

07.04.2022 წელი.
თბილისი.

•

უღირსი ვერ ჩასწვდება სხვის ღირსებას.

11.04.2023 წელი.
თბილისი.

•

ნაშრომი ღირსეულია, თუ მასში საღი აზრი და გულიანი შრომაა ჩადებული.

28.10.2023 წელი.
თბილისი.

•

ხმადაბალი, წყნარი მელოდია ჩაგაფიქრებს, დარდს შეგიმ-სუბუქებს და სასიცოცხლო ძალებს შეგმატებს, განწყობას გაგი-უმჯობესებს.

22.10.2023 წელი.
თბილისი.

•

ცოდნის გადაცემის უნარებით ვყიდი არა ჩემს ცოდნას, არ-ამედ მხოლოდ შრომას, რადგან ცოდნა კვლავ ჩემთან რჩება და,.. იგი უფრო და უფრო მყარდება სხვაზე გადაცემისას.

20.03.2023 წელი.
თბილისი.

•

უფრო დიდი სიმდიდრე, ვიდრე შვილია, არ მესიმდიდრება.

თუმცა, დიდი ტკივილია და ჯანმრთელობის დაუძინებელი მტერი.

13.04.2021 წელი.
თბილისი.

•

თუ ოჯახი სიყვარულზე არ არის დაფუძნებული, მაშინ ის მართლაც ჯახი და ჯოჯოხეთია.

21.03.2023 წელი.
თბილისი.

•

ქარის „მუსიკაზე“ აცეკვებული ტოტები, ფოთოლთა რუშის–გან შეკერილ კაბებს აფრიალ–აშრიალებენ.

30.05.2021 წელი.
4 სთ.45 წთ.
თბილისი.

•

წუთისოფელი საშრომ–საცხოვრებლად გვათხოვა უფალმა.

გავუფრთხილდეთ და უვნებელი დავუტოვოთ ჩვენს შემ–დგომთ.

09.06.2021 წელი.
თბილისი

•

კუთხეში, მარტოდმარტო მდგარი, შევყურებ სამყაროს კანონზომიერებებს.

ვაკვირდები მის სახეცვლილებებს და ვიხიბლები ამ ცვლილებათა სინქრონულობით.

27.06.2021 წელი.
თბილისი

•

სიცოცხლე დროებით გვაჩუქა უფალმა არა სამყაროს სახრავ-დასარბევად, არამედ კარგად შესაგრძნობ-შესათვისებლად და მოყვრულად გამოსაყენებლად.

16.02.2022 წელი.
თბილისი.

•

ქალს დედობა ბევრ სიახლეს აღმოგაჩენინებს, ჯერ თავისთავში და შემდეგ სამყაროში.

19.03.2022 წელი.
თბილისი.

•

უშედეგო შრომა განადგურება და წაშლაა წუთისოფლიდან.

09.06.2021 წელი.
თბილისი

•

წერა მარტოობისგან თვითგადარჩენის ერთ-ერთი ხერხია, თერაპიაა ერთგვარი.

27.06.2021 წელი.
თბილისი.

სარჩევი

ქარტოსულობის ხიბლი 3

მადლიერი აღმღერისგან 9

ლ ე ქ ს ე მ ი

ნაბუხრალი 11

გულწრფელი მუზის ნაჩურჩულარი 13

მზის სხივად მოვევლინები 13
ჩემთვის, ესაა სამშობლო 14
ვინც ვიყავი, დღესაც ის ვარ 20
მუზა წყალობაა 21
უფალს გულს ვუშლი 22
დედის ამაგი 23
მზის მადლი შემოდგომაზე 24
სამშობლოს ჩემეული ინტერპრეტაცია 25
მე რომ აღარ ვიქნები 26
შემასმენელი 27
წუთისოფელი ქველია 28
ზამთრის არია 29
თავის უფალი 30
საუკეთესო მოსაგონარი 31
გაუხუნარი 31
მადლიერება ლოცვად გულში 32
ნაბუხრალი 33
გარდაცვალებათა სერია 34
მონანული სული 35
შუხუთი ჩემი ძიძაა 36

ღარები ბორცვზე 37
ფიქრებმა გამამათრახა 38
სიცოცხლე მომხიბლველია 39
თვითონ გავალ ფონს 40
მზეს ვნატრულობ 41
დროა, გამოიღვიძონ! 42
ზამთრის პირი 43
ის დრო მენატრება 44
უცნობ გოგონას 45
თვით – ირონია 45
არც ჩანავლდება კერია 46
სიცოცხლე ერთადერთია 47
დავდევი ზავი 47
ქვა ვარ 49
ოცნება 50
ნაფქვავი 50
ჩემი წარსული ხელკავით დამყავს 51
სევდიანი თვე 52
გვიხსნის ტრადიციულობა 53
ვის უნდა ცოდნა?! 53
ცოტა მაცალე ღმერთო 54
რეალობა 54
კონფისკაცია 55
„მასხარას“ სცენარი 57
ჩემი მეგზური უფალია 58
ვაი სირცხვილო? 60
ბოდიში ბატონო! 61
ჩარაზული 61
მარტოკას ყოფა 62
არ გადავჩეხავ 62

სანატრელი ალცაიმერი 63
ღმერთო ჩემო 64
უფალმა მომხედა 64
ცრემლის არსი 65
ვაი იმას 65
ჯანგაცვეთილი 66
დრო 66
გულის ჩურჩული 67
სამყარო 67
ჩემი გული 68
ბუქის გარეშე 69
მარტოდმარტო 69

პარალელიმი 70
საგულისხმო პარალელები ანუ უფლის გზა 70
სამწუხარო პარალელები 83
მსურს და... მძულს 85
სხვადასხვა დროის განწყობები 93

საბავშვო 96
პირველი თოვლი 96
ზარმაცი ნია 97
სამი წლის კორექტორი 97
ყოჩივარდა 97

ნაუბრები 98

პ რ ო ზ ა

წერტილი დასასრულია 111

გზადაგზა ნაფიქრალები 113

ბავშვობაში გასაკეთებელი 113

ადამიანთა დაძაკავშირებელი 114

ზზრიოვნების სპექტრი 115

გარდაცვალება და სიკვდილი 116

გუფრთხიილდი და ასახლე 118

გზის დასასრულს 118

დაძაბრკოლებელი და გამაძნეველი 121

დაუცველობის სინდრომი 123

დედა დედასაშობლოცაა 125

თვალთვალი 127

მარადთული სიყვარულის სიმბოლო 128

ძნე შეელაა 132

მისაბაძი ბაკტრიოტები 133

კეთილმოგონებათა სკივრში 138

შიშარას შეცდომები 140

ომის ანარეკლი 142

ბირიოვნება ერიოვნებაში 144

როგორც მაკრაკტელი 145
სვადაშებურული ქალის პორტრეტი 149
სიკოცხლის სეზონები და პერიოდები 150
სიკოცხლის უკმარისობა 154
უსიყვარულობა სასგალია 156
წერტილი დასასრულია 157
წარმატების საწინდარი 159
წრეწირის ცენტრი და რადიუსები 161
შიში და საშიში 164
ღრუბლის დაცემინება ცრემლებით 166

გულში ჩანაგუბარი 168
აბსურდულობა – გმირობის საწინდარია? 168
აძოუცნობი დუღაბი 170
ალ თქმა 173
გაძოხატვის ძოულოდნელობანი 175
გუთვლელი სიკეთე 179
გაუხუნარი მეხსიერება 183
გზა გოლგოთისკენ 187
დაბადება 191
თვითგადარჩენის გზა 196
მაგრობა 200

ძალიერობა სტუძარძასაინძლობაში 202
ძარტოსულობა ძარტოობაში 204
ძაშკილი ძალა 207
სასაკილო „ძათხოვარი“ 209
სიკეთე ნაძკაკეშიაკ იგრძნობა 211
სიძდიდრე 215
სიმკაკრის აკადემიები 219
კოდნის ძრავალსახეობა 222
შეგებების დიბლომატები 223
სულით ხეიბარი 227
უგანაზენო განაზენი 230
უთალს არ ვავიწყდები 233
თარგალი 233
ფსიქოლოგური გარდატეხა 236
ქაოსი თავში 239
ბედნიერების ებიზოდები 240
ბუნების ამოუხსნელი ლოგიკა 245
შინაგანი ნგრევის ძალა 247
შრამიანი განაზენი 248
ჩეში უთალი სახლობდა 253
ჩვენი ოჯახის გამაერთიანებელი 256

ცხოვრება ჭირდება 262
წამოყოლილი 263
სიმშვიდის და ბედნიერების გარანტი 265

ჩემი წარსული სხვისთვის წასულია 268
ელვას ქნი მოჰყვება 268
გამოთხოვება დედაშვილ ლამარასთან 282

მინიატურული ჩანაწერები 287
ანბანური კრიალოსანი 287
სისუსტე, უცოდინრობა თუ შიში? 288
მ ზ ე 288
სიკვეთე 289
იმედი გადამრჩენია 289
ბოლო ფიქრები 289
საუკეთესო ღირსება 290
თამამი მოსაუბრე 290
„მაპატიეს“ აზრი 291
დუმილი 291
წუთისოფლის კანონზომიერება 291
ადამიანური ურთიერთობები 291
ბრბოს მმართველი 292
მეგობრობას წლები ძერწავს 292
სჯობს 293
პოლიტიკა 293
შვება 293
ავტორიტეტი 294

მეგობარი 295
მილაგებული სახლი..... 295

ფრაზები..... 297

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ციცინო ჩხაიძე
ნანა დუმბაძე

ყდის იდეა და დიზაინი **ავტორის**
ნახატი **ბესიკ კუპატაძის**
კომპიტერული ამწყობი
ირაკლი უშვერიძე

დაიბეჭდა
გამომცემლობა **„უნივერსალში"**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4.
☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com
universal505@ymail.com

დაიბადა ლაანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში, 1955 წლის 16 იანვარს. 1972 წელს დაამთავრა შუხუთის საშუალო სკოლა. პროფესიით ეკონომისტია. წლების მანძილზე მუშაობდა ინჟინერ-კონსტრუქტორად.

ჰყავს სამი შვილი და სამი შვილიშვილი.

„ნაკვეთი ნაფლეთები", ციცინო ხსაიძის მეოთხე, პოეზიისა და პროზის გაერთიანებული კრებულია.

ISBN 978-9941-8-7714-3